


644 /
1973/3



ԳԻՆԵՄ

10

1973



კარგა კარგად

რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი!

ორ ზღვათა შუა მდებარე
ბრწყინავედა კავკასიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი!

სულ მაღლა გორის ციხეა,
სულ დაბლა ძველი სიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი!

დაბლით კოლხიდის ველია,
მალიდან დგას ბახტრიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი!

სსსს

12-423

197

გაერთიანების მენიუდგეგმა ფალო

10

ოქტომბერი

1973

თბილისი

სა. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლტივიური შურნაღი

საბჭოთავო ალკ ცენტრალური კომიტეტისა და მფარბლთა კავშირის თრბბრ

კ. ში...
სა. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ზაურ აბლაძე

მარადისობის ბაღლო!

ლექსის ირემო — მყვირალო
წუნდა გულგასახარადა!
შენ — ფენზემოსიარულე
ვეფხვის და მოყვების ბაღადავ!

აკვანი ლექსმა გიარწია —
პოეტს — გენიადლოცვილს!
შენ უკვდავებამ გიწყვილა
და უკვდავ ლექსად ამოხვდი!

დიდებად ლექსი გეყოფა —
ოლიმპიელთა ხმასწორო!
გიძღვნა ზვიადმა ეპოქამ
შენ უკვდავება სახსოვრად!

პქუსს შენი ზოტბა უხვდა!
ამ ზოტბამ სული ამინთო!
ქართული ლექსის მუხა ხარ
და პოეზიის ამინდი!

მარადისობის ბაღალო!
სიმბოლევ მარადიანო!
ქართული სიტყვის მადანო!
სიმძლავრევე არაგვიანო!

დიდ არს დღეს შენი სახელი!
დიდება შენი დიდია! —
ქართული ლექსის ლანჭერო!
ქართული სულის მინდიავე!

გული მთხოვს, გითხრა სათქმელი,
გულიც ლექსია, თითქოსდა!
გული მთხოვს, როგორც ვაჭარი
სიკვდილვამ ბალახს ითხოვდა!..

ლექსი წაყითხულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალის რედაქციის შეწვევით 1955 წელს.

შენი სიმალლის ჭირიმე!
გიღმერთა დედათბილისმა!
შენ აკაკივით ტკბილი ხარ!
ილიასავით ტკბილი ხარ!

მე გეტყვი სიტყვას უტყუარს!
მაშინ მოგვედღე, თუ ვერ გითხრა:
შენ შოთასავით ერთი ხარ!
შენ ვაჟასავით ერთი ხარ!

ვინა თქვა შენი სიბერე?
ლექსთა სარდალო, გაგვიძელ!..
და ნუ მოგვაკლებ სიმღერებს,
დიდ საქართველოს გაფიცებ!



სიმღერები

[Faint, mostly illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page]

მიახლოება

დიდი ხანია ვცდილობ მივუახლოვდე გალაკტიონს სათარგმნად; ასეც მგონია, უკვე შევეხე მის პოეზიას, ოღონდ ყოველთვის მიზნის სირთულე მაკრთობს.

უკრაინულ ლიტერატურაში მარად ცოცხლობს ქართული პოეზიის სიყვარული და თარგმანები განხორციელდა ცნობილ ოსტატთა მოუქანცველი შრომით; უცნაურია, გალაკტიონის კარგი თარგმანი თითქმის არ არსებობს. მე ბევრი მიფიქრია ამის თაობაზე და თითქოს ახსნაც შემიძლია. ჩვენ ისე ვეთაყვანებით და იმდენად ნათლად ვგრძნობთ ოსტატის დიდებას, რომ მისი პოეზიის ნაჩქარევ ხელყოფას ვერაფერს ბედავს. ჩვენ მოწიწებითა და გულდასმით ვისმენთ ქართულ ლექსს და ვიცით — გალაკტიონის თარგმნა მხოლოდ იმ გზებით შეიძლება, როგორც მას საქართველო უყვარდა; შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა პოეზიის წიაღს მისებრ ღრმად ჩაწვდები, აღიქვამ და შეისწავლი სხვა ხალხების კულტურას ისე, როგორც მან შეითვისა.

გალაკტიონთან მიახლოება ხალხის გულთან, მის წმიდათაწმიდასთან მიახ-

ლოებაა. შეუძლებელია მთელი სიღრმით შეიცნო პროცესები, მეოცე საუკუნის საქართველოს გული რომ გარდაქმნეს, თუ არ ჩაუფიქრდები დიდი პოეტის ცხოვრებას.

მე მანცვიფრებს გალაკტიონის პიროვნების განუმეორებლობა და იმავე დროს მისი ცხოვრების მსგავსება. თანამომქმთა ცხოვრებასთან; იგი დაიბადა თითქმის იმხანად და იქ, სადაც მაიაკოვსკი, სწავლობდა თითქმის ისე, როგორც ტიჩინა; იცხოვრა რილსკისა და აუფზოვის მსგავსად.

იგი ეპოქას გულის მანძილზე მიეახლა, შეძლო სხვებზე მძაფრად აღეჭვა დროის მთელი სირთულე და პრობლემები; მოეთხრო ისე მათ გამო, როგორც არავის.

გალაკტიონი იმათგანი იყო, ვინც დღენიადგ იღვწის ხალხის სულის შესანარჩუნებლად; იგი მარად დარჩება საქართველოს პოეტურ ზმად და ხატად — პოეტმა ეს დაიმსახურა.

მან უძნელესი გზა განვლო, რადგან რეფორმატორთა თაობას ეკუთვნოდა და რაოდენი ნიჭი და სიმტკიცე, რა შეურყევე რწმენა იყო საჭირო საიმი-



სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იქმნება არა მარტო პოეზიის ქვეყანა, არამედ საერთოდ ქვეყანა.

რაც დღეს საუკეთესო იქმნება, იმით გალაკტიონს ვუახლოვდებით ისე, ვით ტიჩინას, რილსკის, ზაბოლოცკის... შეგვიცნობთ რა პასუხისმგებლობის მაღალ ვალს, ვფიქრობთ გალაკტიონზე, ისე როგორც რევოლუციის ქართველში გამარჯვებულ ხალხზე, ახლებურად რომ აღიქვა საკუთარი არსი და განიახლა გონების ძალა.

გალაკტიონი რომ გამხდარიყავ; საუკუნეთა მხრებს უნდა დაყრდნობოდი; გალაკტიონივით რომ გეცხოვრა, საკუთარი მხრებით უნდა შედგომოდი საუკუნეებს.

მასთან მიახლოება ძნელია და შეუძლებელი.. ჩვენ ახლა ვთარგმნით მის ლექსებს და ვამზადებთ დასასტამბად — ისე რუღუნებითა და სიფრთხილით, როგორც ალბათ, არავინ არ გვითარგმნია.

ვის ჰკავს გალაკტიონი? არავის. ვით საქართველო არა ჰკავს არც ერთ სხვა ქვეყანას.

დაე მარად ცოცხლობდეს დიადის განუთქორებლობა. მარად ცოცხლობდეს დიდი გალაკტიონი — ის თავანკარა მდინარე, საბჭოთა პოეზიის ზღვას და მსოფლიო პოეზიის ოკეანეს რომ მიერთდეს.



[Faint, mostly illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page.]



გაღვიძრვის

აგვისტოს 10.

დაფიქრება ხაყვარულ კაცზე.
მარტო ოთახში.

საუბარი საკუთარ თავთან.
წვიმის ნაწური ყვავილების ფილებს ავსებს.
სველდება ისიც, ვინც ამქვეყნად არაფის გავდა.

გაკიდულია ცაში წვიმის ჯემა შარი.
დარეკე! ყველა ხინანული გაზაფხულს დარჩა.
იქნებ მიიპყრო ყურთასმენა ჯიუტი მგზავრის,
ატეხილ ჭალას რომ მიარღვევს და მაინც არ წანს...

და ზამბახების სველ მკლავებში გრილდება დამე,
მიპყვება ბალი სულწასული ფოთლების გნიასს.
უნაურ ხილვებს მომლოდინე დღეები სრავენ
და ტახტახავით საესე მთვარე სარკმლიდან მიაქვთ.



წაიღეს მთვარე და წვიმაში გალუმპულ ალუებს
უხმობს პროფილი, სვედიანი, უნაზეს ქალის.
და ხმა კითხულობს შორეული:

— დარეკე?
მალე!
დარეკე. მალე!
მალე!
მალე!
სად არის ქარი?

სად არის ქარი, ცხენის ფლოქვით გადარეული,
მათრახის ტარი... ბროლის თასი... შმაგი ტენება.
სველ უნაგირზე აღმართულა შენი სხეული,
შორი ვერსალი... კიპარისი და შეჩვენება...



მიაქვთ ზაფხული ტანდაცარულ, თვინიერ ხარებს,
მთავრებენ ყვავილების მშვენიერ წარსულს.
და ხმა კითხულობს შორეული:
— დარეკე?
მალე!

— დარეკე, მალე!

მყუდროება არა და არ მსურს...

„მე არ მახსოვდა, მქონდა იგი თუ მომაგონდა,“
არც შენ, ძვირფასო, სახსოვარო დიდი ლოდინის
ამოდიოდა მხოლოდ ქალი ძველი ბანქოდან
და ტორტმანებდა ქართლის ღამე მკერდზე ლოდევით...

პოეტის ჯვარცმა სხვა ნაღველი და იმედა,
პოეტის სისხლმა სანთელივით უნდა იაღოს —
ვინც თავის ქერქში, მეგობრებო, ვერ დაეჭია
და გასულია ღამის გზებზე სახეტილოდ...



„ნიუსპრიუს“ ანკეძა

ქურონალ „ცისკრის“ რედაქციამ ორი კითხვით მიმართა რამდენიმე ქართველ მწერალს, ხელოვანსა და საზოგადო მოღვაწეს:

1. რა როლს აკუთვნებთ გალაკტიონ ტაბიძეს პირადად თქვენ ქართული პოეზიის განვითარებაში?
 2. რა ადგილი უჭირავს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას თქვენს ცხოვრებასა და შემოქმედებაში?
- ვაჭვეყნებთ პასუხებს.

მუხრან მაჭავარიანი

სათქმელი ძირითადად ერთია დასაბამიდან. ეს ერთი სათქმელი ჯერ კიდევ უძველეს ხანაში გამოითქვა თავისებურად: ყველაფერი, რაც შემდგომ შეიქმნა და იქმნება, წარმოადგენს ერთხელ უკვე თავისებურად თქმულის მხოლოდ ვარიანტებს, — აქცენტის ახლებურად დასმის მეოხებით.

აქცენტი ჰქმნის სიახლის მირატს. პოეტებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა სათქმელი, არამედ სიახლე და ხარისხი აქცენტისა (ამ სიტყვის უვრცესი გაგებით).

გალაკტიონი დიდ ქართველ პოეტთა თანავარსკვლავედში სწორედ აქცენტის სიახლითა და ხარისხით გამოირჩევა.

მან შესანიშნავად იცის:

- რა არ უნდა თქვას,
- რა უნდა თქვას,
- როგორ უნდა თქვას,
- ხად არ უნდა თქვას,
- ხად უნდა თქვას,
- რატომ უნდა თქვას!

ამიტომაცაა დიდი პოეტი. გიორგი ლეონიძეს ხშირად უთქვამს:

— ის რა ლექსია, რომელიც არც ჭირში გაგახსენდება და არც ლხინშიო!

ვინც გალაკტიონის პოეზიას კარგად იცნობს, შეუძლებელია, ყოველ ნაბიჯზე არ გაახსენდეს მისი ესა თუ ის ლექსი, სტროფი, ან სტრიქონი.

ეს ფაქტი კი, ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ ცხოვრებისეულია და, ვითარი ოსტატობით გამოხატავს გალაკტიონის პოეზია ქართული სულის სიღრმესა და ენის მრავალფეროვნებას.

არავინ ისე არ იცის თავისი და სწავისი პოეზიის ფასი, ვითარცა ჭეშმარიტად დიდმა პოეტმა.

გალაკტიონის გამოუქვეყნებელ ლექსებში აღმოჩნდა ერთი ლექსი, მრავალწერტილით დაბოლოებული ერთი სტრიქონით: „შოთა, აკაკი, ილია, ვაჟა და...“

თანამედროვეობამ ამ მრავალწერტილის ადგილას „გალაკტიონი“ ჩაწერა („შოთა, აკაკი, ილია, ვაჟა და გალაკტიონი“).

ვფიქრობ, მომავალი საქართველო სწამართლიანად მიიჩნევს მეოცე საუკუნის ქართველთა ამ საქციელს.



ნაკოვნი ზოგონიძე

1. გალაკტიონი იმდენად ბიბლიკურ-ლი ჭეშმარიტებაა, რომ თქვენს მიერ დასმული პირველი კითხვა უხერხულო-ში მივადგენს მაგრამ რაჟი კითხვა დას-მული ასე ვიტყვოდა: გალაკტიონი — შევამება, სრულყოფი და გზები ქარ-თული პოეზიისა.

2. ჯერჯერობით ავანშიანე ჩემებურად ხუთ ნაწილიანი კანტატა „ქარი ქრის“ (ტენორის, მკითხველის, გუნდისა და მე-ფიოლინეთა ანსამბლისათვის).

- I — ზღვა ხმაურობდა
- II — ქებათი ჭეზნ ნაქორწმინდას
- III — ქარი ქრის
- IV — სილაყვარდე
- V — მთაწმინდის მთვარე

„ქარი ქრის“ — საესტრადო დუეტ-შიც ვცადე.

ამ ლექსის მუსიკაში გადატინისას ზოგჯერ ქარის განწყობას სიმღერის თანხლებიან ფაქტურაში გამოხატავენ ხოლმე, მე კი პირიქით, ქარის განმოსახ-

ვა მუსიკაში სრულად უარყავებ და ძირითად მარცვლად „ვერ გავივებ ვერასდროს, ვერასდროს“ ავიღე.

და რრდენაც ჩემს კოლეგებს მოვმს-მენინე ეს სიმღერა; სვითეულმა მათ-განმა ამ ლექსის თავისებური განხნა მიამბო.

ამას კი გალაკტიონის პოეზია იძლევა. ჩემი კანტატის ბოლო, მეხუთე ნა-წილში, სადაც გამოყენებულ მსჭვს დანამედროვე გამომსახველი მუსიკა-ლური ხერხები, გალაკტიონის ხმის ნა-ნაწერს (თვითონ კითხულობს „მთაწმინ-დის მთვარეს“) ნაწარმოები უტიდურეს ემოციურ დატვირთვამდე აპყავს.

ჩემი დიდი ოცნებაა გადავიტანო მუ-სიკაში „ეფემერა“.

გალაკტიონი უსასრულობააა უაღრესად სრულყოფილი. წმინდა.

ჩემი ფიქრების მარადიული თანა-მგზავრი.

ზაინა ავალიშვილი

ბევრი მიფიქრია გალაკტიონზე. მი-ფიქრია არა მარტო როგორც მკითხ-ველს, არამედ როგორც სკულპტორს: მიფიქრია მის თვალებზე, შეუბლზე, წვერებზე, რომელსაც იგი თითქოს გა-დააყვადი წარსულში, ჩვენს დიდ კლასიკოსებთან: აკაკისთან, ილიასთან, ვა-ჟასთან... მე, ჩვეულებრივი მკითხვე-ლისაგან განსხვავებით, არა მყავს მარ-ტო ერთი გალაკტიონი. მრავალჯერ შევამინე მისი სხე, და კიდევ ხში-რად მივუბრუნდები ალბათ. მაგრამ ჩემთვის დაუვიწყარია ის წუთები, როცა მიმუშავია მისი თანდასწრებით, მას თვალიან, ლიტერატორი არა ვარ, და ალბათ მის ბოლო დღე, რომ ჩემს წინ სავარძელში მრავალთებულ დიდ პოეტს შეტიმებულ თაშამ შეკითხვებს გაძლევდი ლიტერატორად და მწერ-ლებზე ოდესმე იქნებ დაეწერა ცოტა რა მსგავსების მსგავსად.

კრულთა შეკითხვა მინდა ვუპასუხო. მიმაჩნია, რომ გალაკტიონი იგივეა, რაც აკაკი, დავა, შარათაშვილი. იქნებ... მაგრამ ამ „იქნებზე“ მომავალში თაო-ბებმა უნდა ოლაპარაკონ. შე არც წარ-სულის, არც მომავლის არ შემინდა, თქვა გალაკტიონმა მან ჩვენზე უკეთ იცოდა, რა ადგილიც უნდა დაეჭირა ქართული მწერლობის საგანძურში მის ნაღვალს. არც ჩვენ, მის ლტოვებრივ ლექსზე შევყარებულ მკითხველებს გვეზინოა მომავლის — გალაკტიონის პოეზიის მომავლის! რა ადგილი უჭი-რავს გალაკტიონს ჩემს ცხოვრებასა და შემოქმედებაში? დიდი, ღლბათ ძალიან დიდი როცა კარგ გუნებაზე ვარ, შე თვითონ ვიცი როგორ მოვიქცე, მაგრამ როცა ცუდად ვარ, შე რჩევას დაწინა-რულს ვთხოვ დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონის. წადნს. იქცეს ადგილი უჭირავს მას ჩემს ცხოვრებაში.

პაპი გაბრია

ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა მივირს. თუ პასუხი მოკლედ არ მოსკერი და გააკვირურე, მაშინ მთელი სტატია გამოგვივა. და ასე რომ სდომოდათ, კითხვას აღარ დაგნსვამდნენ, პირდაპირ სტატიას შეგიკვეთდნენ. თუ პასუხი მოკლედ თქვი, მაშინ იგი მათემატიკურ ფორმულას ემსგავსება. მათემატიკური ფორმულები კი ლიტერატურასა და ხელოვნებაში მეტისმეტად პრეტენზიული და უჭკუთა. ასეთ გასაკვირში ვარ ყოველთვის კითხვებზე პასუხის გაცემისას, მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ვიბასუხოთ:

1. ისტორიული საქართველოს სამეფო შეიღი სამთავროსაგან შედგებოდა. ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც შეიღი სამთავრო (ან ტომი) იხსენიება. საქართველოს ისტორიულ ემბლემატ შეიღიქიმიანი ვარსკვლავი იყო. უცნაური დამთხვევაა, მაგრამ ქართული პოეზიაც შეიღიქიმიანია: შოთა, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ფაქა და გალიატიონი.

2. ალბათ რაც პოეზიის მოყვარულ ყოველი ადამიანის ცნობებაში. მანიკებს უდიდეს ესთეტიკურ სიმოყვებას.

მეზარ კვიტიშვილი

განუზომელაა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში გალაკტიონ ტაბიძის ადგილი და დამსახურება. თვით პოეტის შემოქმედებაში ერთ-ერთ უბრწყინვალეს თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1916 წელი. სწორედ ამ წელს გამოიკვეთა გალაკტიონის განუყოფელი პოეტიკა, რაც განსაკუთრებულ შალით გამოვლინდა მის სახელგანთქმულ წიგნში — „არტიტული ყვავილები“. ქართულმა ლექსმა ამ იმეათ კრებულში მანამდე არნახულ ელვარება შეიძინა. ჩვენს წარმოსახვაში მარადიულ მშვენიერებად იქცა პოეტის მოღვაწე ასულიდან დაძრული დაუოკებელი რიტმები.

ყველგან, ყველგან იჩენს თავს შინაგანი კულტურა ისე, რომ ნასახივ არ რჩება არსად წიგნურობის, ლიტერატურაში იხილს. ცნობილია, მაგალითად, რა ახლობელი და სყვარელი იყო მისთვის დიკენსის სამყარო. გარდა დღიურებისა, დიდი ინგლისელი რომანისტის სახელი მოიხსენიება პოეტის ლექსებში და ამას ყოველთვის აქვს ერთადერთი მიზანი — დაამყაროს ინტიმე, შექმნას სასურველი განწყობილება.

თავლი იყო ირბი, აღმაცრა.
დიკენსის გმირეთი დეცლონი ჩაფქრება
ელვარებს ლუშელი ვფიქრობ, ხანა
ცემლი სამიტება
გაილო დანჯარა: თავლი იყო ირბი,
აღმაცრა.

ამ რამდენიმე სტრიქონში გაცოცხლებულა დიკენსის გმირების უცნაური მელანქოლია, წითელი ალით განთებული მათი სევდიანი სახეებია. სურათი შეიძლება კიდევ უფრო დავაჟინკრეტოთ. ძნელი არ არის ამ ლექსში დავინახოთ „დუვიდ კოპერტილდის“ კითხვით მიღებული „შთაბეჭდილების ანარეკლი“. კერძოდ, ის მომენტია, როცა ბუხართან ჩაფქრებული სტირფორტი ერთ-ერთი ყველაზე მიშხიდველი და რომანტიული პიროვნება დიკენსის მიერ დახატულ პერსონაჟებში ცქცხლის ალზე გაჩენილ სურათებს თუ სახეებს აკვირდება. სწორედ ამ დროს კოპერტილდის ხელის შეხება ტბილი ბურანდან გამოიყვანს, ხილებს დაუფრთხობს და შეაფიქრებს მეგობარს. — საშინლად მძავს ბინდი, ეს გაურკვეველი დრო, როცა აღარც დღეა, არც ღამე, დამდგარა... — შესჩივლებს სტირფორტი ამ მომენტში კოპერტილდის: „მეჭკნარეგნობის ცეცხლ-“

ბი. გალაკტიონის „პოეზიაში. მრავლის უმრავლესია.

გალაკტიონ ტაბიძის მთელი ცხოვრება იყო განუწყვეტელი მოსინჯვა და აღმოჩენა ახალი ხმების, ახალი მელოდიებისა, ოქროსმადიებლის უნით რომ იჭერდა მისი „სწორუპოვარი ჩანგი“. ბედნიერია ჩვენის თაობა, ამ ტიტანის ჭიდილს რომ შეესწრო მარადისობასთან, რუსთაველის ხელში გამოვლილ ქართულ სიტყვასთან. საამაყო

იმის შეგნება, რომ გალაკტიონი იყო ჩვენი ეპოქის ღვიძლი შვილი და თანამებრძოლებსაც ქარიშხლის პირისპირ დგომას მოუწოდებდა.

მადლიერი ხალხი; გალაკტიონის სალოცავი საქართველო, მთელი ქვეყნიერების გასაგონად იმეორებს პოეტისავე ნათქვამს:

ხალღებქმლო იყოს მისი
და ღიღებით ხსენება!

ბიორგი ბანიჩილაძე

გალაკტიონ ტაბიძეში ჩემმა თაობამ პირველად დაინახა და იგრძნო მათთან ერთად მცხოვრები გენიალური შემოქმედი და პიროვნება. ჩვენს თვალწინ თითქოს ჩვეულებრივად ცხოვრობდა და ქუჩებში დააბიჯებდა თანამედროვე ქართული პარნასის ნამდვილი ჰეგემონი. ჩვეულებრივობის წარმოდგენაში კი არაფრით არ თავსდებოდა არც საზოგადოებრივი ნორმატივებიდან ამოვარდნილი მისი პიროვნება და არც მისი მოეტური შესაძლებლობების ხასიათი. ...მოარღვევდა მოფუსფუსე ხალხთა ნაკადით საესე თბილისის ქუჩებს და თავის გარშემო ხომალდისაგან გაჭრილი წყლის ქაფივით ტოვებდა ათასგვარი ტყუილ-მართლისა და ლეგენდის ნამსხვრევებს. გეზი მას თითქოს მუდამ პორიზონტის უსასრულობისაკენ ჰქონდა აღებულა.

მისი ფიზიკური ასრებობის შეწყვეტაც კი იმ წერტილად იქცა, რომელმაც დაასრულა და მთლიანობაში შეკრა მისი ინტიმისა და ხელოვნების თავი და ბოლო.

პირადად მე არასოდეს არ შემხვედრია გალაკტიონის ლირიკის სიღრმეში გამოკვეთილ კაცზე უფრო დახვეწილი, ელეგანტური, ჯენტლმენური და უფრო კეთილშობილი პიროვნება. არ შემხვედრია ქართველი კაცის ჭირისა და ლხინის ასე გულწრფელი და მოხდენილად მატარებელი აღამიანი.

მისი გავლენისა და მნიშვნელობის

არეალი ფართოა და არ ვიცი რომელი ერთი ჩამოეთვალო. ერთს კი აღვნიშნავ. ვინც თანამედროვე სკოლებში და სამწუხაროდ უმადლეს სასწავლებლებშიც ქართული მწერლობისა და საერთოდ კულტურის სწავლების მდგომარეობას დაკვირვებია, კარგად მოეხსენება თუ რა დღეშია ამ ფასეულობასთან ახალი თაობის დამოკიდებულების საქმე. და თუ ახალი თაობა მთელი არსებით განიცდის თანამედროვეობისა და ისტორიული საქართველოს შინაგან კავშირებს, არავინაა ამ კავშირების გალაკტიონზე უფრო ღრმა მესაიდუმლო.

თუ შეიძლება დღევანდელ ჭაბუკს ინტერესი გაეღვიძოს იმის შესაცნობად, თუ „ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“ (დ. გუბრაძის შვილი) — ამ ინტერესის გამამაფრებელიც გალაკტიონია.

გალაკტიონი გვიხსნის, განგვაცდევინებს და მისი მეშვეობით ვესიყვარულებით ქართული სტილის უმადლეს გამოვლინებებს. მსგავსად უძველესი ტაძრების არქიტექტურისადმი სიყვარულისა განურჩევლად მათ საკურთხეველებში დაბუდეებულ სიჩუმის, სიცარიელისა და ღამურებისა.

ამ სიჩუმეში სამრეკლოს ზარების რეკვისთვის გაისმის გალაკტიონის პოეზიის ხმა... ერთი ნაბიჯიც და იგივე ხმა თანამედროვე ცივილიზაციის თავბრუს დაშხვევ ტემპს აყოლილ ქართველ კაცს

თავის საზრდის, მხნეობას, საბნობებს
და გააძლიერებს ჩასწორებულს...

ზედმეტია სიტყვა მისი შემოქმედ-
ების ნოვაციის, რეფორმატორობისა
და სიტყვისადმი არტიკული დამოკი-
დუბულების ახალ პერსპექტივებზე.

გალაკტიონი ერთადერთიან თანამედ-
როვე ქართულ პოეზიაში, რომლის მი-
მართაც მისი სიდიდის აღსანიშნავი
ყველაზე გაცემილი და პომპუტური
ეპითეტებიც კი საოცარი ბუნებრივობით
გაისმის...

ბივი მალულარი

რაც უფრო მეტი დრო გადის, მით
უფრო იზრდება გალაკტიონ ტაბიძე
ჩვენს თვალში, მით უფრო დიდ მნიშ-
ვნელობას იძენს ის, რაც მან შექმნა და
ამოახსნელად, შესაფასებლად, აღსაზ-
რდელად, გასამდიდრებლად და დასაბ-
კობად მომავალ თაობებს დაუტოვა.
დღეს, როცა ცხოვრების ტემპი ყოველ-
წლიურად მატულობს, ძნელია იმ დრო-
ის ხანგრძლივობისა და მნიშვნელობის
შეფასება, რაც გალაკტიონ ტაბიძის
გარდაცვალების შემდეგ გავიდა, მაგრამ
ჩვენსა დიდმა პოეტმა თავის მოღვაწეო-
ბის მანძილზე იმდენად გაუხსროს დროს,
იმდენად გადაახალისა როგორც პოეტუ-
რი აზროვნების, ასევე მსოფლმეგობ-
რებისა და შემოქმედებითი კულტურის
ტრადიციული მემკვიდრეობა, რომ მი-
უხედავად მრავალი სუსტი ლექსისა,
არც ორიგინალობა დაუკარგავს, არც
ემოციური შემოქმედების უნარი და
არც დიდი ოსტატის ავტორიტეტი. გა-
ლაკტიონ ტაბიძეს იმხელა ღვაწლი მი-
უძღვის ქართველი ერის წინაშე, რომ
ყოველთვის დარჩება ნაციონალური
კულტურის დიდ შემოქმედად, ქომავალ
და სიამაყედ.

ყველას, ვისაც კი იგი უნახავს, აღ-
ბათ ახსოვს ქუჩაში მარტომარტო მო-
სიარულე, კონკრეტული გარემოს გა-
ნუყოფლად მფლობელი და ამავე დროს
კონკრეტული გარემოდან გამოყოფილი
პოეტი — მხარბეჭიანი, წვერმოშვებუ-
ლი, ფიზიკურად ძლიერი ვაჟკაცი, რა-
ნიელიც ზმირად დიმილით, ხუმრობით,
გამეყუარად გულწრფელი სიცილით იმ-
სუბტიმბდა ნებაყოფლობით ნაკისრ
მძიმე ტვირთს. ეს ტვირთი რომ მართ-
ლაც მძიმე იყო, ამაზე ცხადად მეტყვე-

ლებდნენ მისი სევდიანი, ჰკვიანი თვა-
ლები, რომელთა სიცოცხლისუნარიანო-
ბაში შემოქმედის უზარმაზარი იმპულ-
სი კიაფობდა და როცა ეს იმპულსი ქა-
ლადღზე იღვრებოდა, სიტყვათა პოე-
ტურ წყობაში და მუსიკალურ ყდურ-
ლობაში ნათლად იკეთებოდა წლობით
ნაფიქრისა და ვანცდრლის ხატოვანი
სახიერება. გალაკტიონ ტაბიძემ შესა-
ნიშნავად იცოდა რა გზით, საიდან მის-
დგომოდა მესხიერებაში გაფანტულ,
შრეებად დალაგებულ შთაბეჭდილებებ-
სა და განცდებს, როგორ დაეკავშირები-
ნა ისინი მრწამსთან, მსოფლმეგობრ-
ებასთან, ერის სულიერი წინამძღოლის
მოვალეობასთან და შეემკო ისე, რომ
ნაყოფი მშვენიერიც ყოფილიყო, საამუ-
რად უღერადიც და აზრობრივადაც ბეჭ-
რის შემცველი. საკუთარი შემოქმედე-
ბითი იმპულსების მოვლას და მოწეს-
რიგებას მარტო პოეტური ნიჭი კი არ
სჭირდება, არამედ დიდი მსახიობისა და
რეჟისორის, პოეტური ხილვებისა და
სახეების კომპოზიციურად შემკვრელი
რეჟისორის ნიჭიც და გალაკტიონ ტა-
ბიძე იმ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადე-
ბული კაცი იყო, რომელსაც დიდ პოე-
ტურ ნიჭთან ერთად დიდი მსახიობისა
და საკუთარი სულის ჩაბნელებულ სცე-
ნაზე დადგმული სპექტაკლების რეჟი-
სორის ნიჭიც გააჩნდა. მის დიხე მოძ-
რაობებში, მის გარეგნულ სიმშვიდეში
ქარიშხალი ბუდობდა. ამ ქარიშხალის
ქროლვას ხან ცამდე აჰყავდა, ხან ძიწა-
ზე ანარცხებდა, ხან სიხარულითა და
ნეტარებით ავსებდა, ხანაც სევდითა და
ტვირლით თრგუნავდა და პოეტური
განწყობილებებს ამ ცვალებადობაში,
ცისა, სისუფთავეისა და სიწმინდისაკენ

სწრაფვანი იბადებოდა მისი შედეგებზე, მისი უკვდავი ლექსები. გალაკტიონ ტაბიძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება განუყოფლად შესწირა პოეზიას, შესწირა ისე ვაჟაკურად, რომ არც საკუთარი მოწოდებისათვის უღალატნა, არც ერთ კვიანძალ შეგრული მოწოდებისათვის და არც პუმიანური იდეებისათვის.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზა ვრძელი იყო, ხოლო მისი პოეზია ფერებით, უღერადობით, სახეებით, სიმბოლოებით, კომპოზიციებით, მეტაფორებით, ნეოლოგიზმებითა და არქაიზმებით შედიოდა. საქართველოში თითქმის არ მოიპოვება ისეთი შრომისმოყვარე და ნაყოფიერი პოეტი, როგორც გალაკტიონ ტაბიძე იყო. ამიტომ მისი პოეტური მიღწევები, მისი ლექსების მუსიკალობა და სახეობრივი სიმდიდრე, ერთი სიტყვით ნიუიერი მხატვრის დახვეწილი სტილი და შემოქმედებითი პროცესის ფართო დიაპაზონი, დიდი მონაპოვარია ქართული ლიტერატურისა და კულტურისათვის. თავისებურია გალაკტიონ ტაბიძის ფერითა სითბო და საცივე საღებავების სპექტრული გამა, ბგერათა ალიტერაციული, ტონალური, ასონანსური და ისონანსური ფორმობა, ფორმითა ასტატურა შერჩევა მომწიფებული შთაბეჭდილებებისა და ვანტაჟების, ვადმოსაცემად. ვარდა ამისა, გალაკტიონ ტაბიძემ საგრძნობლად გაამდიდრა ქართული ენა, ვაფართოვა მისი გამოყენების შესაძლებლობანი. პოეტის მიერ ნახმარი ბევრი სიტყვა ფორკვეულ კონტექსტში ვანუიერებულ ელვრადობას იძენს, მისი სტილი მთლიანი, მრავალწახანგოვანი და საამომწიფია. ხოვებრთ ფარხანს დროულად

ნახმარ ნეოლოგიზმთან ერთად გვხვდება ძველი ქართული სიტყვა, რომელიც ენის დაკნინების პერიოდში მიიჩქმალა, მაგრამ პოეტის ხელში კვლავ აღსდგა და თანამედროვე სიტყვების გვერდით არსებობის უფლება მოიპოვა.

ვარდა დიდი ღვაწლისა, გალაკტიონ ტაბიძეს ქართული პოეზიის წინაშე ერთგვართ ცოდვა მიუძღვის. მისმა მოუღლემა ნიჭმა, შინაგანმა თავისუფლებამ, ორიგინალობამ და ლექსის წერის ტექნიკამ იმხელა ვავლენა იქონია პოეტთა შემდეგ თაობებზე, ისე დაჩრდილა მათი ხმა, ისე შეზღუდა მათი შესაძლებლობანი, რომ ბევრმა მათგანმა ან სულ დაანება თავი წერას, ანდა წერაზე ხელის აღებას ეპიგონობა არჩია. ცოდვა გალაკტიონ ტაბიძემ, რაღვან თვით მას არ შეეძლო არ ეწერა, ახალი ფორმები არ ეძებნა. ვავლენა არ მოეხდინა სხვებზე, არ გვემდირებინა ქართული ენა, ქართველი ხალხის სულიერი კულტურა.

მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონ ტაბიძე სრულიად არ უფრთხილდებოდა თავის ვანმრთელობას, მტრულად უფრო ემცეოდა საკუთარ სხეულს, ვიდრე მოყვრულად, მაინც ფიზიკურად ძლიერი, ვანმრთელი კაცი იყო, მაგრამ საქმე ის კი არაა დრე ვარდაცვალა პოეტი თუ გვიან, ცოტა ხანი დაჰყო ამსოფლად თუ ბევრი, არამედ ის, თუ რა შექმნა, რა ვავლენა მოახდინა მშობლიური ხალხისა და სხვა ხალხების სულიერ კულტურაზე, რა აღიარება ჰპოვა ერის გულში. ამ მხრივ გალაკტიონ ტაბიძის ღვაწლი დიდზე დიდია და საამომწიფეყვანად ბეუხა იარსებებს — იარსებებს გალაკტიონ ტაბიძეც.



საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური
სამსახური ურთიერთობების

პოეზიის იდეალი

გ. ტაბიძე ლექსში „ქებათაქება ნიკორწმინდას“ წერდა:

მაქვს მეჩაღს მიღებული
ქნარი როგორც შინა.

განუსაზღვრელი პოეტური თავისუფლებით მოიტანა ვალაკტიონმა ქართულ ლექსში. პოეტური თავისუფლების ცნება გ. ტაბიძესთან მოიცავს მეცნიერულ ტერმინს „პოეტური ლიცენცია“ და კიდევ სცილდება მას, რადგან გ. ტაბიძის თავისუფლება არა მარტო ახალი სიტყვების შექმნაში და გრამატიკული ნორმებიდან გადახვევაში მდგომარეობს, ეს არის, უპირველეს ყოვლისა, აზროვნებისა და ხედვის თავისუფლება, ეს არის ქართული ლექსის ტრადიციაზე დამყარებული და ამავე დროს სრულიად ახალი რიტმი, რითმა, ზრმა, კონსტრუქცია. ვალაკტიონს არასოდეს არ მოუთხოვია მისი თანამედროვე სიმბოლისტიებივით ან ფუტურისტიებივით ტრადიციის სრული უარყოფა და ყოველგვარი პოეტურობის თუ ესთეტიკური კანონის დარღვევა. განუსაზღვრელი თავისუფლების მოთხოვნას ისინი მიყავს თავისუფლების დაკარგვამდე. ამ პარადოქსს განაპირობებს შემდეგი ფაქტი: ფუტურისტიების და სიმბოლისტიების თავისუფლება გამოიხატება უარყოფით რეაქციაში ყველა მანამდე არსებული ლიტერატურული მიმდინარეობისა და პოეტის მიმართ. უჩვეულობა და თავისუფლება მათთვის იდენტური ცნებე-

ბია, ამიტომ ნაპოლისში, სიმანინჯის კულტი, ბუნდოვანებისკენ სწრაფვა, რაც თავისუფლების ცნების შემადგენელი ელემენტებია, იქცევა ახალ მართალია, უჩვეულო, მაგრამ მინც დომებელ და გარკვეულ ჩარჩოებში ამყვდევს ამ პოეტებს, ხოლო თავისუფლება იქცევა არათავისუფლებად და შეზღუდულობად.

გ. ტაბიძე არასოდეს არ ყოფილა არც ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის თრთოლოქსალური მიმდევარი, აქმცა სიმბოლისტურ და ფუტურისტურ ჩარჩოებში დაუბეჭდია რამდენიმე ლექსი. მისი ტალანტი ვიწრო კლასიფიკაციის ჩარჩოებში ვერ ეტევა.

გ. ტაბიძე იგონებს სიტყვას, უფრო სწორედ, ეს ბგერათა კომპლექსია: „დოვინ-დოვენ-დოვლი“, რომლის ელერადობა ასოციაციას იწვევს ცხენის ფეხის ხმასთან. ეს „სიტყვა“ სრულიად ორგანიულად ზის ლექსში და ამტყიცებს, რომ პოეტისთვის სიტყვას გზა და კომუნიკაციური ფუნქციისა აქვს მეორე, უფრო ხელუხლებელი და შეუსწავლელი მხარე. მისი მუსიკალური ქღერადობა, ფერი... მას აზრის გარეშეც აქვს ემოციური და ასოციაციური ლატვართვა:

მიქრის დაღალ გადაყრილი,
დოვინ-დოვენ-დოვლი...

ლექსში „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“ არის ასეთი სტრიქონები:

რა განაპი გვექონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ვღერხ ქვის მარმონია
დარობს რამდი დარი.

ეს ჩვეულებრივი პოეტური ლიცენ-
ციაა „რამდი დარი“ — რამდენი და-
რი“, მაჟამური რითმაც: „რა მდიდარი“,
„რამდი დარი“, ალიტერაციაც „დარობს
რამდი დარი“, და სიტყვა, რომელიც
წმინდა ჟღერადობით უახლოვდება ქარ-
თული სიმღერების მისამღერს:

ანდა:

მთავაზობდით დები ვარდო
და ამხობდით ლანდებით.
თქვენ ხეუთი კარგი ხართ,
თქვენ პოეტი ბრძანდებით...

„და ამხობდით ლანდებით“ სხვა პო-
ეტთან, ალბათ, სრული უაზრობა იქ-
ნებოდა, აქ კი ყველაფერი ბუნებრივი
და გასაგებია.

პოეტურ თავისუფლებას არსებობის
უფლებას აძლევს დიდი ტალანტი და
ის განუმეორებელი პოეტური ხიბლი,
რომლის ახსნა და ანალიზი შეუძლებე-
ლია.

გ. ტაბიძის როლი ქართული პოეზიის
განვითარებაში უდიდესი და შეუცვლე-
ლია. ახალგაზრდები ისე არ ბაძავენ მი-

სი ლექსის გარეგნულ ფორმას, რო-
გორც სწავლობენ მისგან პოეტურ აზ-
როვნებას, სწავლობენ, რომ სიტყვა
არამარტო კომუნიკაციისა და აზრის
გამოხატვის საშუალებაა, არამედ რთუ-
ლი ესთეტიკური ფენომენი, რომელიც აგ-
რეთვე. ფერისა და მუსიკალური ელემ-
ენტის სინთეზს წარმოადგენს, რომ პო-
ეტის კანონების ცოდნა და კულტუ-
რის მინიმუმი, რომელსაც იძლევა თა-
ნამედროვე ინფორმაციის ნაკადი, არ
არის საკმარისი პოეტისთვის, საჭიროა
ტალანტი და საკუთარი, განუმეორებე-
ლი და პოეტური ხიბლი.

დაახლოებით 18 წლის ასაკში ვიფიქ-
რე, რომ გალაკტიონი ჩემთვის პოეზიის
იდეალია, ლექსის სხეულის და სულის,
ე. ი. მისი ფაქტურისა და აზრის ბედნი-
ერი პარმონია. პირველის ყველაზე
მკვეთრი მაგალითია მხატვრული სახე:
— სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში,
რითმა: სილაყვარდე — სილაში ვარ-
დი, მეორის — განუსაზღვრელად თა-
ვისუფალი პოეტური აზრისა — სულს
სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვ-
როებას.

ამ ორი საწყისის: ბედნიერი და იშ-
ვითი პარმონიის მატარებელია გალაკ-
ტიონის პოეზია ჩემთვის მუდამ.



ბიოგრაფიული გეგმა

გვიფარავს მრავალი ჭერი

(რომანი)

ნაწილი პირველი

1.

სადაც ახალგაზრდობაა, იქ კრიამული მეთნაკლებად მაინც არის: თბილისელ სტუდენტთა საკმაოდ დიდ ჯგუფს კი, რომელიც მთავრების კალთებზე ასპირანტურულ მოწყვენილ სოფელს მთავარი არდადეგების დროს ესტუმრა, თავდაპირველად თითქმის არავითარი ხმაური არ გამოუწვევია.

სტუდენტები რიდით შევიდნენ მათთვის საცხოვრებლად გამოყოფილ ძალზე შეფერხებულ სკოლის შენობაში, საიდანაც სოფლის მესვეურთ წინასწარ გაგზავნილი ყოველგვარი სამოსწავლო აგლადიღება, და დაბნეული ღიმილით შეუდგნენ საორთვეო სამყოფლის მოწყობას. თუმცა, ამაზე მხოლოდ წუთები დაეხარჯათ, რადგან ბევრი ბარგი არ მოჰყვათ.

კრძალვას და შებოძილობას მათ აიძულებდა სკოლის ღობეზე გარედან მომდგარი ადამიანების ცნობისმოყვარე, უფრო კი თანამგრობი თვალები. მათი უმრავლესობა სახედანაოჭებული და შაოსანი დედაბრები იყვნენ, რომელთაც დაწვებზე ცრემლები ეკიდათ. კანტი-კუნტად კი მოსჩანდნენ ასევე სევიდანი, წელში მოკაკული ბერიკაცები. საერთო მდუმარებას არღვევდა მარტალენ ღობეზე ბელურებივით შე-

მომსხდარი ბაღების ულტრატული, ოღონდ უნადვლოდ არც ისინი გამოიყურებოდნენ.

როდესაც სტუდენტები სამასწავლებლოსა და საკლასო ოთახებში სახელდახლოდ დალაგდნენ და გარეთ ხალხისა და გარემოს გასაცნობად გავიდნენ, მოხუცები იქაურობას უკვე გასცლოდნენ. სამაგიეროდ, ისევე ღობეზე ამხედრებული დახვდნენ და მომლოდინედ ცქმუტავდნენ კანკებდავაზული ფეხშიშველი გოგო-ბიჭები. ზოგი კი ეზოშიც გადმოსულიყო და ცდილობდა ქალაქელი ახალგაზრდების ყურადღება როგორმე დაემსახურებინა.

ბაღურ ამირიძემ მათ შორის გამოარჩია თორმეტიოდე წლის წკებლასავით მოქნილი და სახენათელი, სუფთად ჩაცმული ბიჭი, რომელიც ფაფუკ ვარდისფერ ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, თითქოს ჩუმი ლექსი იზებებოდა.

— ყოჩაღ ბიჭს მგონი რაღაცის თქმა უნდა.

ბიჭი პირველად შეცბა, მაგრამ სანდომიანი და მოხდენილი სტუდენტის გულთბილმა მიმართვამ მალევე გაათამამა. იგი მკვირცხლად გამოსხლტა უცხო სტუმრების წინაშე მიაბიტად პირდაღებული გოგო-ბიჭების ზურგიდან და თავში ჩაუღდა მეგობრების გუნდს, ისე-

ქ. მარტლის ს.ბ. ს.ბ. ს.ბ. ს.ბ.

ვე რეაგირებთ თავის შიშავ სტუდენტთა ერთი ჯგუფიდან გამოწინავებული იდგა ბადაღურ ამირიძე. მასში ბავშვის უტყუარი ალლოთი ბიჭმა მთელი სტუდენტობის საერთო მეთაური შეიგულა.

— თქვენ ვანა თონხა შეგიძლიათ?

— რაკი ქალაქელები ვართ, იმიტომ მტკითხები?

— ჰოოდე.

— ჰოოდე-და, მე ასე გიპასუხებ: ზოგს შეუძლია, ზოგი კი ახლა ისწავლის ამ შენი გოგო-ბიჭების დახმარებით.

ყოჩად ბიჭსა და ერთობლივ ყველა ბავშვებსაც ძალზე ეამათ თვალტანადი სტუდენტის ნათქვამი და სიამაყისგან თვალეები გაუბრწყინდათ. ისინი დანდობილად მიუახლოვდნენ სტუდენტებს და პატარა გულუბრყვილო მასპინძლებსა და მათ სტუდენტებს შორის უმაღლესი მეგობრობა დამყარდა. ჩასხდნენ პირდაპირ ღალანა მდგლოზე და ბინდამდე გასტანა, დამშურმა, ვულითადმა საუბარმა.

2.

სოფლისადმი ქალაქის დახმარება სამრეწველო საქონლით მომარაგებასთან ერთად, საკოლმეურნეო მინდვრებსა და ზვრებში ქალაქელთა გარჯაც არის. მათი წაშველება განსაკუთრებით ფასობდა სოფელში ომის დროს. თუმცა უკვე ის წელიწადი იდგა, როდესაც ომის აღსასრულის მოახლოება სრულიად აშკარად იგრძნობოდა. მაგრამ პატარა სოფელს ჯერ მხოლოდ თითო ოროლა მეურნე დაჰბრუნებოდა ომიდან და გარეშეთაგან ხელის შეწყობას იგი კიდევ საჭიროებდა.

სოფელს, რა თქმა უნდა, ჰქონდა საკუთარი სახელი, მაგრამ მეტწილად მოწყენილსა და განაბულს, სტუდენტებმა თავის მხრივაც შეარქვეს — ილუბალი.

სტუდენტები ოთხმოცამდე იყვნენ. მათ შორის ვაჟი — მხოლოდ ხუთი. მაგრამ წაწორედ მცირერიცხოვნების გამო ვაჟები საგანგებო პატივისცემით სარგებლობდნენ. დავით ქალიშვილებში

და აგრეთვე მთელ სოფელში. მით უფრო, რომ თვითელი გაშმაგებით ირჯებოდა. განსაკუთრებით დაუახლოვდა მათ ყველას ყოჩადი და გულითადი პატარა ბიჭი ლევა მორბედაძე. ხოლო თავიდანვე დამეგობრებულ ბადაღურ ამირიძეს ის, რომ იტყვებან, აღმერთებდა.

დროებით საცხოვრებელ სახლად გარდაქმნილი სკოლა ერთსართულიანი გრძელი შენობა იყო ღია განიერი დერეფნით და მოკლე უმოაჯირო კიბით. ისედაც უდიდლამო შენობა დიდხანია აღარ შეეღესათ, არც შეეთეთრებინათ, დამსკდარ და მოლალღადებულ იატაკს კი ხმელი პურის მხხრევის ხმაური გაჰქონდა. ხოლო ეზოს ტყრუშული ოობის ძირობებზე აწლი და ჭინჭარი მოსდებოდა და მთელი კარმიდამო ბეჩავად გამოიყურებოდა.

შენობის უმცირესი განაპირებული ოთახი — სამსწავლებლო, ხუთ ვაჟს საღვამად სავსებით აკმაყოფილებდა, შვიდივე საკლასო ოთახი კი ძლივს იტევდა მხოლოდ ქალიშვილებს.

ქალიშვილებმა მოსახლეობაში მოპოებული ორომებითა და ლასტებით მარტივი საწოლები გამართეს, მაგდებულ ნაირი ყუთები გამოჩხრიკეს და საკლასო ოთახები რამდენადმე მოაწესრიგეს. ვაჟებს კი სამსწავლებლთს იატაკზე ერთიანად თივა ეფინათ და არაფერი არ ედგათ. ბალიშებად გაქუცული ჩემოდნები ეწყოთ, საბნები კი ნამდვილი ჰქონდათ. ბამბის თხელი, ბუსუსინი საბნები, რომლებიც თავმომწონე ახალგაზრდებისათვის შინიდან ძალის-ძალით გამოეტანებინათ.

მათ ოთახს არა მხოლოდ სამსწავლებლო, ან ვაჟების ოთახს, არამედ სამეთაუროსაც უწოდებდნენ, რადგან ოთხ ბრიგადად დაყოფილ სტუდენტობას ოთხი ვაჟი ედგა სათავეში, ხოლო მეხუთე მთლიანად რაზმის ხელმძღვანელად ითვლებოდა. პატარა ლევა მორბედაძე კი ბედნიერი იყო, რომ საერთო მეთაური მართლაც გამოდგა მისი პირველი ნაცნობი სტუდენტი ბადაღურ

ამირიძე, როგორც ეს მას გულმა უყარ-
ნახა.

სტუდენტებს სიმინდის თოხნა ევა-
ლათ და ისინი დილიდან საღამომდე
მუყაითად შრომობდნენ სოფლის მე-
მოგარენზე. მეწინავეობდნენ ვაჟები,
როგორც ბრიგადის ხელმძღვანელები
და მამაკაცები. მათ თითქმის ტოლს არ
უდებდა ბევრი ქალიშვილიც, რომელ-
თაც უმალდეს სასწავლებელში წასე-
ლამდე მთელი ცხოვრება სოფელში გა-
ეტარებინათ და თოხნა არ ეხამუშებო-
დათ. უჭირდათ მხოლოდ ქალაქის
შვეიდრ ამკლუცებს, თუმცა ძალას არც
ისინი იშურებდნენ.

ყველაზე თავგამოდებით მაინც სტუ-
დენტთა მთავარი მეთაური შრომობდა.
უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის
სტუდენტი ბაადურ ამირიძე ისეთი მე-
თაური იყო, მკვახე განკარგულებებს
ერიდებოდა, მხოლოდ თუ ვინმე წაი-
ზარმაცებდა, ცივად საყვედურობდა.
არც აიძულებდა ჩამოტოვებული საქ-
მის წაწევას და მის მაგივრადც დამა-
ტებით თვითონ ირჯებოდა. ეს სინდის-
ზე აყენებდა ზარმაცს და იგი ხმაგა-
ნენდილი იღებდა თოხს. ზოგნი საყვე-
დურს იმსახურებდნენ ანგარიშმიუცე-
მელი ვალაღებისთვისაც, რაც დარდიან
სოფელს შესაძლოა მტკიცენულად გა-
ნეცვდა. მაგრამ ვერავინ იტყოდა, რომ
მეთაური ტყუოდა ან უფლებებს ბო-
როტად იყენებდა. ამიტომ მას ყველა
შეუსიტყვებლვ ემორჩილებოდა.

ბაადურს მოგრიძო მოყვანილობის
ხორბლისფერი სახე ჰქონდა, გონიერი
მგზნებარე თვალები, მოკლე, ოდნავ
ფართო ცხვირი და უმეტესად მჭიდროდ
მოკუმული მკაფიო ტუჩებით; მუქი
წაბლისფერი თმა კი — ხშირი და გვე-
რდზე და უკან გადავარცხნილი. იგი
საერთოდ საკმაოდ წარმოსადგეი იყო,
მაგრამ ხშირად დაფიქრებული და
შებლმეკრული, ერთბაშად უყმური
ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

სინამდვილეში კეთილი გულისა იყო.
ხოლო, როცა იმეორად გაიღიმებდა,

მის შნოიან მართალ სახეს, ლაზათი კი-
დეგ ემატებოდა.

ქალიშვილები ამის გამო თვალთმაქ-
ცურად გადაკრავდნენ ხოლმე. შენსაუთ
რომ გვიხდებოდა, ღიმილს სახიდან
არ გადავიყრიდითო. ბაადური კი პა-
სუხად ღიმილს მყისვე იქრობდა; ჭა-
ისევე იკმუნებოდა.

სამაგიეროდ, დროდადრო აცეტება
შეეძლოთ დანარჩენ ვაჟებს, ყველაზე
მეტად კი ქერა და თაფლისფერთვალე-
ბა, ცხვირქიცნა ბედია კობიძეს, ბაა-
დურის სკოლის მეგობარს. ბედია ცო-
ტას კიდეც წაიზარმაცებდა. დილით
ძილს ადვილად ვერ სთმობდა. მაგრამ
როგორც პირველ მომლხენს და ხუმა-
რას, ამას დიდ ცოდვად არ უთვლიდ-
ნენ, ღმობიერად პატიობდნენ. მხო-
ლოდ ბაადური ებუზღუნებოდა ძილის-
გულა ბრიგადირს. ის კი თავს იმით
იცავდა, რომ გვიან ვალვიძებურიც ორი
კაცის საქმეს კისრულობდა. ბედისა
ავადმყოფობა იყო კოხტაობაც, სარ-
კესთან ხანგრძლივი ვარცხნა, ხოლო
შემდეგ თავი თუ ეფხანებოდა; თმაზე
ხელს არ გაიკარებდა; რომ ქოჩორი არ
დაშლოდა.

სამი მათი ამხანაგი — ლაბუა აბელ
მინამე, თვალგუდალა ზურაბ ლორია
და მურიანივით შავი და აყლარწული
ემზარ-გიომვილი, სამივე ინდუსტრიულ-
ლი ინსტიტუტის სტუდენტი; ინსტრ-
ტუტში გაცნობილი, მაგრამ უკვე დამ-
მობილებულნი საერთო გატაცების —
მუსიკის ნიადაგზე. ბაადურს ყველა-
ფერში უჯერებდნენ, ხოლო გამართობ-
ლობაში ბედიას მხარს უბამდნენ; თუმ-
ცა ოხუნჯობა მასავით მოხდენილი არ
გამოუდიოდათ, რადგან ბუნებით დიხჯ-
ნი იყვნენ, აზრის გამოთქმამდე. ხშირად
ზედმეტად იღეკებოდნენ. გაწელილი
სიტყვა კი, თუნდაც ძალზე მორგებუ-
ლიც, გვიანდა ნასროლი ტყვიაა, როცა
სამიზნე უკვე სხვის მიერ დაცხრილუ-
ლია, სცხრილავდა კი სამიზნეს ბედია

გიორგი გელაჯიანი
გარდაცემული მწიგნობარი

კობიძე, რომელსაც საჭირო სიტყვა მუ-
დამ ენაზე ეჭდა. ის კი იყო, რომ ემზა-
რი, აბელი და ზურაბი ენამჭევრობის
დანაკლის სიმღერისა და დაკვრის სა-
ქმბარი ნიჭით ინაზღაურებდნენ.

ერთობ სამშალო მუსიკალური სმე-
ნის მქონე, მაგრამ ყველაფერში თამაში
ბედია თითხ არც მუსიკაში კაცავდა.

— როგორ თუ არ ვარ მუსიკალური?
დაპირქვევებულ ვედროს ძირზე მიყუ-
რეთ რანაირი საცეკვაო დავანთო! —
თვალს ჩაუკრავდა ხოლმე იგი ქალიშ-
ვილებს, რომლებიც უმაღლ გააჩენდნენ
ვედროს და ბედისა ვახურებულ დაკვ-
რაზე ჭუნძულით ცეკვას იწყებდნენ
სწორედ აბელი, ზურაბი და ემზარი.

ისინი უმეტესად ართობდნენ სტუ-
დენტთა ცალკეულ ჯგუფებს, ვინაიდან
ოთხმოცი სული ადამიანი მუდამ ერ-
თად ვერ იყო ხოლმე. სამავიგროდ,
ყველას სანიმუშო ერთიანობა ჰქონდათ,
მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა უმ-
აღლესი სასწავლებლებიდან იყვნენ და
უმრავლესობამ იდუმალში ჩამოსვლით
გაიცნო ერთმანეთი.

3.

გასაკვირი არ იყო, რომ ვაჟებს ქა-
ლიშვილთა შორის სათავისონი შეეგუ-
ლებინათ და თავის მხრივ ქალიშვილე-
ბიც ევეკლუცებოდნენ თაყვანისმცემ-
ლებს. ერთობლივ ყველა ქალიშვილი
პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა
ბაადურ ამირიძესაც, დაახლოებული კი
მასთან არავინ იყო მისი ყბადაღებული
გაუცინრობის გამო. თვითონ ბაადური
მეგობრებს ქალიშვილების გამოჩევას
არ უწონებდა. ეუბნებოდა, რომ გამო-
ურჩევლნი გულნაკლული დარჩებოდ-
ნენ. ყველა ქალიშვილი, ცხადია, ლამა-
ზი და მიმზიდველი არ იყო, და ვაჟების
მიერ ცალკეულთა გაღმერთება, სხვებს
რალა თქმა უნდა, გულს ატყენდა. ბა-
ადურის გარდა ქალიშვილებს არ ებრან-
ქებოდა თავად მათზე უფრო მორცხვი
ლაბუა აბელ მინაძე. ემზარმა და ზუ-
რაბმა კი ბაადურის დარჩებულში თავის
სასარგებლო შესწორება შეიტანეს და

უცვლელთათვის კი არა; რამდენიმე ქალიშ-
ვილს ერთდროულად ვარშიყვებდნენ.

ერთ კონტა დასათუთ ქალიშვილს
დაადგა თვლი ბედია კობიძემ — ყველა-
ზე მოუსვენარმა და კვიმატმა კაბუკმა
სამოცდათხუთამეტ ქალიშვილში ყვე-
ლაზე წყნარი და მორცხვი გამოარჩია
და დაიჭემა. გული გაულო მას ნაწინამაც,
რომელსაც თეთრ სახეზე წყვილად და-
ცემული მელნის წინწყვლებივით აჩნდა
პატარა, ბისფერი, ფაქრიანი თვალები.
ბედიაძეც თავისი ტყვედქმნა სწორედ
ნაწინის თვალებს დააბრალა, როდესაც
ბაადურს გაენდო.

— ფაქრიანი თვალები მიყვარს ქა-
ლიშვილისა! უცუბ რომ დაუჯერებ,
იმისთანა. ასეთ თვალებს ქვეყნის კი-
დედმდეც წაყვები.

ჯერჯერობით კი ბედია და ნანი ხში-
რად განმარტობას ახერხებდნენ, უფ-
რო საღამო ხანს, როდესაც სტუდენტ-
ები სამუშაოს რჩებოდნენ.

საღამო ხანს სტუდენტებთან სკოლის
მიდამოზე სოფლის ქალები და ბავშვე-
ბი იკრიბებოდნენ. ზოგს ფრონტიდან
წერილი ჰქონდა მიღებული, ზოგს
ფრონტზე გასაგზავნი და წამკითხავად
თუ მიმწერად სტუდენტებს იმსახუ-
რებდნენ. წერილების წაკითხვაც და მი-
წერაც ყველაზე ხშირად ბაადურს უწევ-
და. მთელი დღე თონხით მისავათე-
ბული სტუდენტების უმრავლესობა ას-
ეთ დროს ოთახებში მკვდრებივით ეყა-
რა. უფრო გამძლენი კი ტყეში კვან-
როვანის მოსაპოებლად დატანტალობდ-
ნენ და სკოლის კიბეზე მეტჯერ მარ-
ტო ბაადური იჭდა ხოლმე უბის წიგ-
ნაკითხა და ფანქრით. იგი სტუდენტთა
შრომასაც აღრიცხავდა, და დღიურში
საკუთარ შთაბეჭდილებებსაც ინიშ-
ნავდა.

სკოლის ეზო მთვარის ამოსვლისას
ცოცხლდებოდა.

მწვანიაზე გუნდ-გუნდად ხასიატ-
როდ და სალილინოდ ბანაკდებოდნენ
ერთპირგამომინებული და ტყიდან დაბ-
რუნებული სტუდენტებიც, რომლებიც
ტყეში მონათვარს ყველას თანაბრად

უწილაღებდნენ. კენკროვანის მომცვრევა გართობა არ იყო. რაც საკმელი ეძლეოდათ, არ ყოფნიდათ და დამატებით ტყის ყიფმატი ხილით იკვებებოდნენ.

ხალხმრავლობის მიუხედავად ეზოში გნისი არ იდგა. უკრავდნენ, მღეროდნენ თუ ქილიკობდნენ, სტუდენტები მხიარულებას მაინც იკუთხებდნენ. სოფელში რამდენიმე ოჯახში გლოვას დაესადგურნა. ზოგთ კი, ვისაც ფრონტზე მყოფნი ცოცხალი ჰყავდათ, გაბედულად მაინც ვერ გაეხარნათ, რადგან ომის ავდარს ჯერ სრულად არ გადაეგლო. მამები, ძმები, დებიც კი ან მეგობრები მაინც, ფრონტზე ჰყავდათ სტუდენტებსაც და ცა მათთვისაც არ მოწმენდილიყო.

4.

სკოლის გვერდით მართა ცხოვრობდა. სკოლისავე დამლაგებელი. სამი ვაჟის დედა. მათგან ორი, აგრეთვე მეუღლეც მართას ფრონტზე ჰყავდა. შინ ნაბოლარა — თერთმეტი წლის ლეგა დარჩენოდა. ბიჭი თვალფხიზელი იყო, კირკიტა და ნაპერწკლიანი. ლეგა მთელი არემარის დილის მახარობელიც იყო. რიყრაყზევე გააქრიალებდა ის თავის ეზოზე „დილილმე, დილილმეო“ და შურდულივით დაეშვებოდა ხოლმე კამკამა ღელისკენ, რომელიც ბებერი ვერხვებით დარდილულ ხევში მოდუნდუნებდა. მიჰქროდა და თან ტანთ ვახდასაც ახერხებდა. წყლის პირზე მიგლვებულ კი უკვე შიშველიც იყო ხოლმე და შეუჩერებლივ გუბურაში ტყაპანს ადენდა. პირის დაბანვაც აღარ სჭირდებოდა. შემდეგ იგივე ღელეში კუჭჩაბრუნებული გიდელით თევზს იჭერდა, ხოლო ნადავლს ბაადურთან მოარბენინებდა.

თავად სოფლის ტოლწოროთა წინამძღოლმა ლეგამ სტუდენტთა შორის მეგობრად მათი მეათური ბაადური გამოარჩია. ბაადური მას სათავგადასავლო წიგნებს უთხორობდა და გარშემორტყმულ მთებს უხატავდა. მოკლე ხანში ბაადური და ლეგა ძმებივით გახდნენ.

შვილის უფროს მეგობარს კი დედის ვილურად უდგებოდა მართაც. თვითონ ხელმოკლე ქალი, ბაადურისთვის მაინც მოინარჩუნებდა ხოლმე საკუთარი ღარიბული ულუფიდან. კიდევ ურეცხავდა და უქემსავდა. ბაადური ამ პატივისცემას ყოველთვის სასტიკად უარობდა. მაგრამ დარდამოუღვეელი გალუული ქალი მუდართ შეგანებდა ხოლმე — თითქოს ჩემი დათა ან შაქრია ყოფილხარო — და ბაადურიც გულშეძრული უთმობდა. მართა თავისი ამავის გასამართლებლად, მადლიერებით აგრეთვე შეახსენებდა ბაადურს, რომ სოფელში ყველაზე მეტი ჯაფა ჩემი გულისთვის ვადგაო. იგი ფრონტიდან მიღებული, ქმრისა და შვილების წერილების წაქითხვასა და მათთვის პააუხის მიწერას გულისხმობდა, რასაც ბაადური უსრულებდა. წერა და კითხვა რიგიანად შეეძლო მეოთხეკლასელ ლეგასაც, მაგრამ მამისა და ძმების ნაჩქარევ გაკრულ ნაწერს ბიჭი ადვილად ვერ არჩევდა. უფრო უჭირდა კი მას მისაწერის ჩამოყალიბება.

მართას კარმიდამო კიდევ უფრო სნეულად და სევდიანად გამოიყურებოდა, ვიდრე სკოლისა. თუმცა სოფელში არც სხვა მეკომურთა ეზოყურე გამოირჩეოდა სასურველი იერით. სახლსა და კარს, როგორი რიგიანიც არ უნდა იყოს იგი, ყოველდღიური მზრუნველობა სჭირდება, რომ დიდხანს არ შეილახოს. შინდარჩენილთ კი ამდენი ილაჯი არ შესწევდათ.

დედაშვილს ღარიბული სახლი ჰქონდა. თითქმის ქოხი.

მორბედაძეები ის იყო მოლონიერბულიყვენენ, როდესაც ომი დაიწყო და ოჯახის თავსა და უფროს ვაჟებს სამშობლოს დასაცავად უხმეს. მათ მხოლოდ სამენი მასალის მოზიდვა მოესწოროთ ახალი მკვიდრი სახლის ასაგებად, ოღონდ არ დასცლოდათ საძირკველის გაჭრაც. კი. ეზოში აგური და ხე-ტყე

გიორგი გელაშვილი
გვიშარავს მრავალი ზარი

წყობისად ელაგა. ქვა კი გროვად ეყენა. ქალაქელთათვის ეს ჩვეულებრივი რიყის ქვა იყო და მეტი არაფერი. სოფლის პატარა მკვიდრი ლევა კი გროვაში გამოცდილ მეურნესავით გამოარჩევდა ნაირ ქვას — ბურთას და დელაზს, შუბლას და თალაშს, ჭოჭყას, ხურდას. ხოლო მთელი მასალა ლევას წარმოდგენაში ეხატებოდა კობტა ორსართულიან სახლად, რომელიც მათ ეზოში თავმოყრილად აღიმართებოდა და მიდამოსაც დააშვევებდა.

სოფელმა რამდენჯერმე იფიქრა მადლი მოესხა და უილაჯო ოჯახისათვის სახლი თავისი ხელით აეშენებინა მართას ქმრისა და უფროსი ვაჟების დაბრუნებამდე, მაგრამ სოფელიც უღონო იყო. ჯანმავარი მამაკაცები პირწმინდად ომს მოეთხოვნა, წაუსვლელი ბერძნულები კი ქალებთან და ბავშვებთან ერთად საკოლმეურნეო შრომასაც ვერ აუღიოდნენ.

5.

სოფლის თავკაცი ქალი იყო, ქალიშვილი, ოცდაორი წლის შავთვალწარბა და აზიდული ქეთევანი. ოღონდ თავმჯდომარედ მისი დაყენება სოფლის თითქმის უმამაკაცოდ დარჩენას არ დაბრალდებოდა. როდესაც ერთი წლის წინ მას ეს ძნელი მოვალეობა ჩააბარეს, სოფელში ჯერ კიდევ იყო რამდენიმე საქმის გამძლოლი ვაჟკაცი, მაგრამ კოლმეურნეებმა მაინც ქეთევანი ირჩიეს. თქვეს, კოლმეურნეობაში უპირატესად ქალებიღა დავრჩით და თავმჯდომარედაც ქალი უფრო შეგვეფერებო. თანაც, ჩვენი პირიშზე ქეთევანი საქმეში გამოარჩეულია, ნაკითხია, სოფლის აჯკარგი ძირის-ძირამდე იცის, და რაც მთავარია, სოფელი თავგამოდებით უყვარსო. ყველაფერი კემმარტება იყო. ამას ემატებოდა ისიც, რომ ქეთევანს მოწაფეობის დროს სკოლაში, შემდეგ კი როგორც კოლმეურნეობის წევრს სხვადასხვა ახალგაზრდული წინამძღოლობა ეკისრა და საქმეს მარჯვდაც უძღვებოდა.

მაინც სხვა, ძალზე რთული იყო მთელი კოლმეურნეობის მართვა და ქეთევანმაც პირველად თავი შორს დაიჭირა. თავი კი არ დაიფასა, ვინიციბაა სოფელს იმედი ვერ გაეუმართლოო, გულში ის აიხირა. მაგრამ სოფელიც არ დაეხსნა. ხოლო რაკი უარი არ გაუვიდა და ჭაპანი შეიბა, მოსვენება დაკარგა. ის აზრითა ჩაიჭედა, რომ საკუთარი თავი უნდა დაევიწყებინა და დღენიდაც ფიქრად მხოლოდ კოლმეურნეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა ჰქონოდა.

ქეთევანი ქარაფშუტა არც ყოფილა, მაგრამ კოლმეურნეობისა და მამისადამე მთელი სოფლის თავკაცის მდგომარეობამ ახალგაზრდა ქალი მეტად დაკვირვებული გახადა. მის თვალსა და ყურადღებას უნდა მოეცვა ყოველი ოჯახი, ზვრები, მინდვრები, ბოსტნები, სანახები და ისიც ერთავად მოძრაობაში იყო, სახლში სტუმარივით მოკლებნიტ ეჩვენებოდა ხოლმე დედამას, რომელთაც მეტი შვილი არც ჰყავდათ.

ლიაშვილები ძველ, დაბალ, მკვიდრად ნაშენ სახლში ცხოვრობდნენ.

მთელი სახლი ერთადერთი, დარბაზივით ვრცელი ოთახი და ღია დერეფანი იყო. ოთახი უზარმაზარი, ძველებური ავეჯით იყო მოწყობილი. კედლებში ღრმად იყო ამოჭრილი დიდრონი და ტევადი წალოები, ხოლო მაღალთაღიანი ჯმუხი ბუხრები — ერთი ოთახში და ერთიც დერეფანში მღვიმეებს ჰგავდნენ. ასე რომ, მთელი სახლი თავისი აგებულებით და შედგენილობით ისე გამოიყურებოდა, როგორც ადამიანის წარმოდგენაში იხატება დევების საცხოვრისი მისი ავლადიდებით.

მთელი დღის განმავლობაში მუხლჩაუხრელად მოფუსფუსე, დაუშრეტელი ილაჯის პატრონი ვარნიკა და ერთავად ტანტზე ან რომელიმე ბუხართან კუტივით ფეხმორთხმული ალექსი ღიაშვილები კი თავზეხელგადასმულეზივით ერთი სიმაღლისა და ხმელი აღნაგობის ტანმორჩილ, შუახნის ადამიანებზე იყვნენ. ალექსი ღიაშვილი თითქმის იყო კარტუკუტი, მას შემდეგ რაც

აგერ უკვე თხუთმეტი წელიწადია ტყე-
ში შეშის დამზადების დროს გადმოქ-
ცეულმა ხემ ქვეშ დაიტანა და მუხ-
ლებს დაბლა ფეხები დაუმონა. სწო-
რედ ეს თხუთმეტი წელიწადია, ბედმა
ასე იწება, და გამრჯე მეზვრე და სოფ-
ლის პირველი მყნობელი, მთელი დღე-
ები ნამორებსლა ჩაჰკაუუნებს, და მისი
ნახელავი ჯამი თუ ტაბაკი, ტაბიკი თუ
უნავირი, ფანდური თუ როდინი, ცაცხ-
ვი ან ჩამჩა მაინც, ყველა მეზობლის
ოჯახში გაჩნდა.

მშობლებს გული ეწვიოდათ, რომ ქე-
თევანი თავს თითქმის აღარ ეკუთვნო-
და, მაგრამ ეამაყებოდნენ კიდევ, რომ
მათი ქალიშვილი მთელ სოფელს უძ-
ღებოდა.

ქეთევანს საიმედოდ ეღდა მხარში
არც ერთგული მეგობარი, თებრო და
ნუცა კოლმეურნეო-
ბაში ყველას თანაბრად მუშაობდნენ და
ამაგე დროს თანამდომარის სხვადასხვა
ფანჯარებულების შესართლებასაც ასწ-
რებდნენ.

ქეთევანს გრძელ ქვედატანში ჩატა-
ნებული ვაჟური, ლურჯი სატინის ხა-
ლათი და მაღალქუსლიანი, ტილოს
ჩექმები უხდებოდა და არც ქალურ
ფერსა და სათნობას უკარგავდა. მის
კუბრით შავი და მშინაივი სქელი
თმა ბეჭებამდე სწვდებოდა, მაგრამ არ
წინავდა, მულოდ ეყარა. როდესაც
ცხენზე იჯდა, თმა მართასავით ლამა-
ზად ეშვებოდა, არ კი ეწეწებოდა.

თავმჯდომარეს თვინიერი თეთრონი
ჰყავდა. უნავირზე დაკრული ჰქონდა
პატარა სასაგზლე ხალიჩური ხურჯინი.
ქეთევანს, როდესაც იგი სამუშაოდ
შორს გაყვანილ სტუდენტებს დახედავ-
და ხოლმე, ხურჯინში მუდამ გააჩნდა
საგანგებოდ მათთვის გადადებული რა-
იმე ნუხლი, ცალკე ვაჭებისთვის კი
დამატებით მწვანად საშოვნელი თამ-
ბაქოც.

შორს სამუშაო ივრისპირა მიწდვრე-
ბა იყო, სადაც სტუდენტები ისევ სი-
მინდს თონინდნენ. ეს დაახლოებით რვა
კილომეტრი იყო სოფელიდან ყოველ

დღით იქ ფეხით გამგზავრება და სა-
ლამოთიც ქვეითად უკან დაბრუნება,
რაკი ურემები მათთვის ვერ მოიცოდა,
მათ ბევრ დროს დაუკარგავდნენ და არც
უხალისებოდნენ. ამიტომ, სადაც მუშა-
ობდნენ, რამდენიმე დღით ბანაკიც იქ
გაშალეს და ღია ცის ქვეშ ცხოვრობდ-
ნენ. ამინდიც ხელს უწყობდათ. მშვიდი
მთვარიანი ღამეები იღვა და ასე ყოფ-
ნა კიდევ მოსწონდათ.

6.

მდინარის დაცემულ მერდზე უსიე-
რი ტყის ანაცალივით ცალკე დამკვიდ-
რებულოყო ხნოვანი მურყნების ლამა-
ზი კორომი. ახლოს იყო ყინულოვით
ცივი წყაროც და სტუდენტების მურყ-
ნარში ბანაკობდნენ.

სამუშაო ახალი დამთავრებული ჰქონ-
დათ სტუდენტებს და ბანაკში ზოგი
იკვრებდა, ზოგი ირეცხავდა, ზოგიც რას
ან რას აკეთებდა, უმეტესობა კი მღე-
ლოზე გართმული ისვენებდა, როდესაც
თავკვეთილი გორიელიდან ბანაკი-
საკენ დაშვებულ მტერიან საურაზე გზა-
ზე ყვითელ კორიანტელი ავირდა და
თქარათქურცი მოისმა.

სტუდენტებმა ცხენი შორიდანვე იტ-
ნეს, მხედარი კი ვერა. ქეთევანის თურ-
რონს მამაკაცი მოაგელვებდა. მხედარ-
მა გონიერი პირუტყვი მოხდენილი
ჩორთით ზედ ბანაკზე მოაგლო და ახ-
ალგაზრდების წინ გარინდა.

ტენობი ცხენისანი ეშინიან სახის,
ბრგე ვაჟკაცი აღმოჩნდა, შავ-შავი და
გრუზათმიანი. იგი სამხედრო ჩაცმუ-
ლობაში იყო, მხოლოდ უქულო. ტან-
ზეც მოწილიფებული, ქამარმობოშე-
ბული და მკერდის ღრმულამდე საკინძ-
ჩახსნილი. მედგარი და შეუპოვარი კა-
ცი ჩანდა, აღზნებულოც იყო და ყვე-
ლას თამამად გაებდრა.

— გამარჯობათ თქვენი, და ბაადურ
ამირიძე კი რომელია — პირისპირაც
დამიყენეთ!

გიორგი ბლაჟუშვილი
გვიწარავს მრავალი წელი



თითქოს მოთლოდნელად თვითვე
სტუდენტს ფრონტიდან თავისიანი და-
უბრუნდაო, ყველა ისე მოხიბლული
და დამუხრებელი შესჩერებოდა ანაზ-
დად მოვლენილ ლალ მხედარს. თავისი
სახელის გაგონებაზე ბაადური მძაფრად
შეტოკდა და აღელვებული წამოდგა.
მხედარიც მაშინვე მარჯვედ გადმოსხლ-
ტა ცხენიდან და ბაადური მის ღონიერ
მკლავებში მოექცა.

— მე დათა ვარ, ძმაო, მართას დათა!
— მღინარის გაღმეთსაც გასწვდებოდა
მისი მკეჭარე ხმა, როცა უცებ გულია-
ნად მიემადლიერა თუ არა ბაადურს,
იგი ისევ ცხენს შეაფრინდა, — ხოლო,
ვინც მიკადრებს კი, ამაღამ გოლას წისქ-
ვილში მეწვიეთ მცირე პურმარილზე.
წისქვილში პურის გატეხას და და-მქურ
საუბარს თავისი ეშხი აქვს. ნურც და-
მაღალატებთ!

გოლას წისქვილი ბანაკიდან ასიოდე
ნაბიჯზე მყუდრო ქალაში ჩაყუთულიყო
და მეტწილ მდუმარებდა, რადგან საფე-
ვაკი ხშირად ელვოდა.

სტუდენტებმა წისქვილის გზა კარ-
გად იცოდნენ, თუმცა თუ სოფელს იშ-
ვიათაღდა სჭირდებოდა იგი, მათ იქ სუ-
ლაც არ ესაქმებოდათ. მაგრამ მათ იზი-
დავდა ნაღვლიანი მოხუცი მეწისქვილის
წყნარი, გონიერი მუსაიფი და სიცხეზე
გათანავლეთ კი სიამოვნებდათ წისქვი-
ლის აქავებულ ჩახრიალაში, ცივი აბა-
ზანას მიღებაც.

დათამ ცხენი ისევ სოფლისკენ გააპე-
ნა. ფრონტზე მამაცობისთვის უხანმოკ-
ლესი შვებულებით დასაჩუქრებულს
ხეაღინდელი დღედა ჰქონდა თავის გან-
კარგულებაში, მოსანახულებელი კი
ბევრი დარჩენოდა.

მთვარე რომ კარგად ამომალდა,
ბანაკს ის უკვე ურმით მოაღდა, რომ-
ლითაც ლეგა თავისი რამდენიმე რჩეუ-
ლი ამხანაგით მოიყვანა, ხორავიც
მოიყოლია და წისქვილში მასპინძლო-
ბა აღისრულა. წისქვილი იმიტომ აერ-
ჩია, რომ სტუდენტები ახლოს ბანა-
კობდნენ და ისინი სოფლამდე და უკან

შორ გზაზე არ ეწოწიალებინა. თითო
თითო კიქა კახურსაც კი ექნებ. თავისი
ექნა, ახალგაზრდები აფტიკტიკებინა,
რაც სოფელს არ ესიამოვნებოდა, ხო-
ლო, თუ წისქვილმა ყველა ერთად ვერ
დაიტია, როგორც ვერ დაიტევდა სო-
ფელში მორბედაძეების ქონიც, დათამ
ლეგასა და სხვა პატარების დახმარებით
გულითადი ყურადღება მანც მთელ
სტუდენტობას გააწვდინა. ისინი შიგ-
წისქვილშიც და მის ირგვლივებზეც
დასვა და თვითველს თავს შემოველო.

იმ დამეს ცოტა ხანს სარეგლამაც
ირეტრეტა ყველასთვის ერთნაირად
ტბილად საყვარელ ძველ წისქვილში.
დათას ახირებული გატაცება იყო წისქ-
ვილის ტიკტიკით ტუბობა და მოხუცმა
გოლამაც ერთი კალთა გადანახული მა-
რცვალი მის საამებლად ჩამოფეჭა.

7.

სიზმარვით მოველინა დათა დედანა
და უმცროს ძმას, სოფელს, უცნობ სტუ-
დენტებს და ისევ გაჰქარა.

ფრონტზე მისი მეორედ გამგზავრე-
ბის შემდეგ სტუდენტები ორიოდ დღე-
და დარჩნენ ივრის ნაპირებზე და ისევ
სოფელში აბრუნდნენ. ისე მიეხალის-
ნენ და მიესიყვარულნენ ბინად დაღე-
ბულ სკოლას, თითქოს თავთავის სახლ-
ში მივიდნენო.

სახლებში დაბრუნებამდეც შორი
აღარ იყო, რამდენიმე დღეც და არდა-
დეგების მიწურულზე გამოეთხოვებოდ-
ნენ სოფელსაც. გული ერთთავად ქალა-
ქისაკენ მიუწევდათ, მაგრამ უკვე ენა-
ნებოდათ სოფელიც, რომელსაც ამიგი
დასდეს, რომელმაც ისინი თავისმხრივ
მკვიდრებით შეითვისა. სოფლის მიერ
დაფასება მათ ემაცებოდათ. ხოლო
უკეთესი სახელი რომ დაეტოვებინათ,
როგორც კი მინდვრად სამუშაოები მო-
ითავეს, ბაადურის თაოსნობით სტუ-
დენტებმა ახლა ორღობეები, სარწყავი
რუები, ბოჯირები მოარჩიანეს. მთავა-
რი კი ის იყო, რომ საუცხოოდ მთავა-



ნიანეს და მოალამაზეს სკოლა და მისი ეზოც.

— თოვლსა და მტვერზე ყველა დაამჩნევს კვალს ნაფეტურების სახით, მაგრამ ის არაფერს ნიშნავს და მალეც იშლება! — ხმამალა კკუას ძალას ატანდა ბედია. — ჩვენ ადამიანური სიკეთის კვალს ვტოვებთ დედამიწაზე!

— მშვიდობიან ზაფხულსაც დაგვხედეთ, შვილებო. — მადლიერად აბარებდნენ მათ ღობეებზე მომდგარი ჩაჩანაყი მოხუცები. — დაგვიბრუნდებიან ვაჟკაცები, კვლავ მოვლონიერდებით და პირშერცხვენილი აღარ გამოვალთ თქვენთან.

მოხუცები პირშერცხვენილად თავს ოჯახური უსახსრობის გამო სთვლიდნენ. რომ საკმაოდ ვერ აპურებდნენ გამრჯე და გულლია ახალგაზრდებს, რომელთაც ისევ ბედიას თქმით ბაადურმა მუშაობაში ჩანი გაავადებინა.

გამგზავრებამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე ბედიამ აზრი წამოაყენა, რომ მიზანშეწონილი იყო ნელ-ნელა კვლავ ქალაქური იერი დაებრუნებინათ. გულისხმობდა საღამოობით საგარეოდ ჩაცმას და საერთოდ მოპეწიანებას, რამეთუ სოფელში ცოტათოდენ გატყუებდნენ, აფლარტუნლობა თბილისშიც ჩვეულებად არ ჩაპყოლოდათ.

მისი მოსაზრება უპირველესად ქალიშვილებს ებრიანათ და მოკობტავებაც დაუყოფნებლივ მათ დაიწყეს. დაიხეხეს წინგოიანი ხელები და დაიქნეს ფრჩხილები. გულმოდგინედ მიხედეს ჩაცმას და თმის ვარცხნილობას. ერთიხანობა მივიწყებული კეკლუსტობაც დაიბრუნეს და აღრინდელივით განაზდნენ. ვაჟებიდან. რომელთაც ტანსაცმელი აგრეთვე ქალიშვილებმა მოუწესრიგეს, პირველი გამოაპრანჭა ბედია. ეს ასევე უნდა ყოფილიყო, რადგან თაოსნობა მას ეკუთვნოდა.

სტუდენტებს ქალაქისკენ ემუშრებოდათ, მათი მოახლოებულო გამგზავრების გამო კი დაბნეული და დაღვრემილი იყო სოფლის გოგობიჭობა. როცა კი სტუდენტები სოფლის შემოგარენზე

მუშაობდნენ, პატარები მათ გვერდებზე ედგნენ და როგორც შეეძლოთ, მას უმსუბუქებდნენ, ხოლო საღამოობით, სკოლის ეზოზე გამოფენილთ, სახეში შეყვარებული თვალებით შესციინებდნენ. ბავშვები მათი საუბრებისა და დარიგებების მოსმენას ისე შეეჩვივნენ, რომ თავსა და სოფელს უიმართოდ ველარ წარმოიდგენდნენ. მაგრამ სტუდენტებს თითქმის უკვე პირი ქალაქისკენ ჰქონდათ და პატარებმა გულსაკლავად მიიწყინეს. ისინი ხან გაბუტუნებვით დაბორიალობდნენ სტუდენტების გარშემო, ხანაც შორიახლოდან განაბული ზვერავენენ ხოლმე. ბოლოს კი თვალბზე ცრემლმომდგარნი უჩუმრადვე ეცლებოდნენ.

8.

ბაადური და ბედია სკოლის მოკლე კიბეზე მარტო ისხდნენ. ბედია მოყავისფრო მსუბუქ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, მყვირალა პალსტუხით და გულის ჯიბიდან ამოფურჩქნილი თეთრი ცხვირსახოცი. ბაადურს კი ეცვა იგივე გახუნებული უჯრულა ხალათი და მუხლებზე დაბურთული ნალურჯალი შარვალი, რომლითაც მუშაობდა ხოლმე. ხოლო ფესსაცმელი ეცვა მხოლოდ ცალ ფეხზე, რადგან მეორე მუხლებს შორის ემწყვდია და გასანთლული ძაფით საიშედოდ აკერებდა.

ცხელი შუადღე იყო. დედამიწა ხურდა. სტუდენტებს ყველა სამუშაო მოსრულებული ჰქონდათ და გამგზავრების ელოდნენ. ელოდნენ თბილისიდან წარმომადგენლის ჩამოსვლას, რომელსაც მატარებლით მათი ერთად გამგზავრების მოგვარება ევალებოდა. სიცხის ფიმი კი გარეთ სხვა არავინ ჩანდა. ზოფოთახებში უკანასკნელ თადარიგს იჭერდა, ზოვიც — ქალებს შეფარებოდა. ამიტომ არ იყვნენ ეზოში ბავშვებიც.

ბედია და ბაადური კი იმიტომ ვანმარტოვდნენ, რომ შეყვარებულ ბედიას

პირიკი. მელაშვილი
ხეივანის მრავალი მერი

მეგობარს ნანიზე ცალკე სალაპარაკო
მოზღვაებოდა. ამ ლაპარაკში მკა-
ფიოდ გაირკვეოდა ნანიზე ბაადურის
შეხედულება, რასაც ბედიასთვის არ-
სებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბაადურის შეხედულებამ ბედია უზო-
მოდ გაახარა. ამიტომ იგი აღგზნებული
იყო და ახლა თბილისში ჩასვლის უმაღ-
ლესი დანატრებული ქალაქის მონა-
ვარდების გეგმას აწყობდა. ბაადური
მას მალეული ღიმილით უსმენდა. იმი-
ტომ ეცინებოდა, რომ იცოდა მთელი
ქალაქის შემოქროლის მაგიერ ბედია
სინამდვილეში მხოლოდ ერთ-ორ აჩე-
მებულ ქუჩას დაბოლოავდა, რადგან
მის წარმოდგენაში სრულიად ქალაქი
იყო სწორედ მათი ის საყვარელი ქუ-
ჩები.

მთულოდნელად მათ უცნაური ჩოჩ-
ქოლის ხმა მოესმათ, ხოლო ეზოში მწა-
რედ აზლუქუნებული ლეგა შემოიჭრა
და შიშველი ფეხების ტყავებით უთავ-
ბოლოდ დაბორიალობდა. თან ცრემ-
ლიან სახეში პაწია მუშტებს გაბეჭე-
ბით იშენდა.

— რა მოხდა, ლეგა! — ბიჭს შეშ-
ფოთებული მივარდა ბაადური.

სასოწარკვეთილ ლეგა ბაადურს
წელზე შემოეხვია და უნუგეშოდ მიეს-
ვენა.

— ვაიმე, მამი!

— რა, ლეგა, გენაცვალე?

— ჩემი მამილო, ძია ბაადურ! მამი-
ლო, და შაქრიაცა...

ბაადური და ბედია, ბიჭის მოთქმაზე
შეძრული სხვა სტუდენტობაც, ვინც
შენობაში იყო, მართას სახლისკენ გაც-
ვიდნენ. მათ გაედევნა გულამოსკვნი-
ლი ლეგაც.

მორბედაქვების ეზოში უკვე შეყ-
რილიყო მეზობლობა, მაგრამ მთელი
საცოდავი კარმიდამო მძიმე მღუმარე-
ბას მოეცვა. შეძრწუნებული ქალები
წელჩახრილნი შემოხვეოდნენ გაძვალტ-
ყავებულ მართას, რომელიც დერეფნის
ღირფსთან, სადაც წინდის ქსოვით ჩაჯ-
დომა უყვარდა ხოლმე, ფილაქანზე გა-
რთხმულიყო და აღარ სუნთქავდა.

ველსგან განცალკევებოდა ციკლი
გროვასთან მოკვეთილივით თავჩაქინდ-
რული და გახვევებული იდგა ერთდროუ-
ლად ორი დიდი ვარამის მაუწყებელი,
რაიონის სამხედრო კომისარიატის მო-
რივე შიკრიკი. შიკრიკი ნაომარი, ხნიე-
რი კაცი იყო, დასახიჩრებული და ნახევ-
რად ჰკუდიდან გადასულიც. მას კომისა-
რიატში მოსული შეტყობინებისთვის
გულდასმით არ დაეხედა. არც უფრო-
სებისაგან ნებართვა აეღო. ჰკონებოდა
სამახარობლოდ მიეშურებოდა მორბე-
დაქვებისაკენ, სინამდვილეში კი ოჯა-
ხისთვის უბედურების ცნობები მიეტა-
ნა. ცნობები თვითონვე საზეიმოდ ხმა-
მალლა წაეკითხნა, ხოლო როცა მართა
ღირედან უსულოდ გადაჩებლიყო,
თავზარდაცემული ლეგა კი ეზოდან
უაზროდ გაჭრილიყო, წანაკითხის აზრს
თავათ მაშინდა ჩასწვდომიყო.

9.

სოფლის დაუთქმელი საკრებულო
წყარო იყო წყარო სოფლის შეაგულ-
ში მკერდგამოფატრული ბებერი ვაწ-
ლის ხის ძირში წვრილი, დახავებული
ღარიდან მოწანწყარებდა.

კაკლის ამოხეჩილ კოჭორა ფესვებ-
სა და ნახევრად მიწაში ჩაფლულ სი-
ლოდებზე რამდენიმე მძიმედ ნაღვლია-
ნი ადამიანი იჯდა. შეკრებილიყვნენ
სოფლის მოხუცები კოლმეურნეობის
ახალგაზრდა თავმჯდომარე ქალის უფ-
როსობით და დიდძალი სტუდენტობაც.

მეგობარ ვაქებს შორის ლოდზე იჯ-
და ბაადური. მის მუხლებში კი თავი
ჩაერგო ლეგას. ლეგა ჩუმად ქვითინებ-
და და ცრემლი ერეთოდა ყველა იქ
მყოფსაც.

ეს-ეს არის მიწას მიაბარეს საბარალო,
გაუხარელი მართა და ახლა მკმუნვარე
ბჭობა იყო, როგორ ეპატრონათ ღეთი-
სანაბრად დარჩენილ ლეგასთვის.

— სოფელს, ვიცი, არ გაუჭირდება
ერთი ობლის რჩენა. — სიტყვებს ყუ-
რადღებით არჩევდა, თუმცა ხმას კარ-
გად ვერ იმორჩილებდა ბაადური. —



მაქვს ჯერ სოფელსაც არ უღონის. ომიც რომ დამთავრდება, კიდევ დრომ უნდა გაიაროს, სანამ ისევ წელში ვაიმართებით. ლუკმა პურსა და ნუგეშის სიტყვას ობოლი ბიჭისთვის მაინც მუღამ მოძებნით. ოღონდ, მრავალ გაუპიროვნებელ მეურვეს, ბიჭის ბედობლის ერთმანეთზე გადაკისრება რომ არ მოხდეს, ერთის გაპიროვნება აჯობებს. ბიჭს, აგრეთვე არგებს ერთხანს გამოცვალს ვარემო, სადაც მას ყოველწუთს აცხადება საშინელება, რომელიც მის თვალწინ დატრიალდა. ამიტომ ლევას მე გავარიდებ აქაურობიდან და ჩემთან თბილისში წაიყვან.

მოხუცებს ბაადურის აზრი ხელსაკრავად არა, ოღონდ სოფლისთვის საჩოთიროდ ეჩვენათ. ვინიცობაა, რაიონს ხმა მწედებოდა, მთელმა სოფელმა ერთ დაობლებულ ბარტყს ვერ უმწყსა და უცხო კაცს სამაძლოდ გაატანაო. მათვე ფიქრით, ჯერ სულ ჯველი ბაადური ფეფონს სხვისი საპატრონო იყო და ბიჭის მოვლას ვერ მოეროდა. იქნებ კი ფავთ ბიჭიც არ ინდომებდა, რომ დღემამისეული დანგრეული ბუდიდან ამთავითვე ამსხლტარიყო.

სოფლის მხრიდან დამსწრე მამაკაცთა შორის მხოლოდ ერთი იყო ორმოცამდე წლის ადამიანი, უკვე ომმოვლილი და გვარიანად დაჩეხილი მასწავლებელი ფარნაოზი, რომელიც სკოლაში მასწავლებლების ნაკლებობის გამო ბავშვებს ოთხ საგანს ასწავლიდა. მოხუცებიც ნასწავლი კაცის აზრს უცდიდნენ.

ფარნაოზმა, ნაპრვეი შუბლი ხელის გულით მოისრფა და ბაადურს ყურადღებით შეხედა.

— ძალზე გულთან მისატანია შენი კეთილშობილება; ვაეკაცო, ოღონდ უფრო მეტად ძნელია ტვირთი, რომელსაც ეჭიდები და ვაი თუ ვერ ზიდო. თაფაც კიდევ სხვისი მზრუნველი ხელი გჭირდება. შენ ვის იმედით ჩაიყვან ბიჭს, თუ გაგატანეთ?

— მხოლოდ ჩემი თავის იმედით.

მყავს დედა, და, სიძე, დისწვილები. მაგრამ ისინი ცალკე ცხოვრობენ. მისეულ სახლში მართო მე ვარ. თანაც მართლაც ახალგაზრდა ვარ, თუმცა ბალდი კი — აღარ. უმცროსზე მეურვეობის ვალდებულებაც მეტ ფხას გამომაჩენინებს. ის კია, ჩვენ რამდენიც არ უნდა ვიდათ, თავისი ბედი მაინც თვითონ ლევამ უნდა გადაწყვიტოს.

პასუხად ბაადურის სიტყვებისა, რომელთა აზრი ლევას ბუნდოვნად გაეგებოდა, ბიჭი მას მუხლებიდან მკერდზე შეალოლდა და თავდავიწყებით მიეხუტა.

— წაიყვანოს! — მოკლედ გადაწყვიტა მათი გულთათობით აღელვებულმა ქეთევანმა. თავმჯდომარე ბაადურის პირდაპირ, დედის გვერდით იჯდა და ამ წუთამდე დაძაბული სდუმდა. მას შავი, მოქნილი წარბები მალა ასხიდავოდა, ტუჩები მჭიდროდ მოკუთმვოდა, მკერდი კი მძიმედ უტოკავდა. — ბაადური ალალი და გულისხმიერი ადამიანია. ბიჭს ნამდვილ ძმობას გაუწყვეს. წაიყვანოს. ჩვენ კი, გზალა დაფულოთო.

არავინ არ ახსენა დათა. მორჩილად დადუმებულ ფარნაოზს და მოხუცებს კი მისი სახელი ენაზე ედგათ: დათა რომ ჩამოვა და ლევა შინ არ დახვდება, ომგადახდილი ვაეკაცს რა პირით შევხედოთო?

ბაადურიც მათ გულში განუმარტავდა, რომ ბიჭს სამუდამოდ არ იტაცებდა, თავისთან მხოლოდ დათას გამოჩენამდე დაიტოვებდა.

ფიქრით უკვე ყველა ლევას უფროს, ღვიძლ მასთან იყო. მაგრამ არ ახსენებდნენ მის სახელს გულის იმ ამ აზრზენი კარნახით, რომ იქნებ დაბრუნება აღარც დათას ეწერა.

— 10.

თბილისელი წარმომადგენელი, რომელსაც სტუდენტების გამგზავრება

გიორგი ვალაშვილი
გვიწარავს მრავალი პირი



უნდა მოეგვარებინა, იდუმალში კიდევ
ორი დღის შემდეგ ჩამოვიდოდა.

ორი დღე, თითქმის ამბუტუგული რჯა-
ხის პარტახ კარმიდამოზე ბორიალი კი
ნამდვილი წამება იქნებოდა ჯერაც გა-
თვნებული ლევასთვის. ამიტომ ბაა-
დურმა მისი დაუყოვნებლივ წაყვანა
გადაწყვიტა.

ბედია კი კანონად მიიჩნევდა, რომ
ყოველივე, რაც ეხებოდა ბაადურს, ის
მასზეც თავისთავად და ულაპარაკოდ
ვრცელდებოდა და ბაადურთან ერთად
აგრეთვე დათქმულ დრომდე გასამგ-
ზავრებლად ვაემზადა. მაგრამ ბაადურ-
მა მხოლოდ თავი გააქნია და ესეც საყ-
მარისი იყო, რომ გაწილებულ ბედიას
სოფლიდან ჯერჯერობით ფეხიც არ გა-
ედგა.

— თუ არა ასეთი სრულიად გამო-
ნაკლინი შემთხვევა, არც მე შეპატიება
სხვაზე აღრე წასვლა, — მოიბოდიშა
ბაადურმა, როცა ყველას დაემშვიდო-
ბა, თუმცა ამას დანაშაულად და ლაღ-
ტად არავინ უთვლიდა.

ვაეებმა მას ისიც აღუთქვეს, რომ
ქალიშვილებს ცივ ნიავსაც არ მიაკა-
რებდნენ და საერთოდ ყველაფერი
რიგზე იქნებოდათ დანარჩენთა ერთად
გამგზავრებამდე, და ამ მხრივ დამე-
დებულმა ბაადურმა ლეგა გზას გაუ-
ყენა.

ისინი თითქოსდა ფეხით მხოლოდ
ექვს კილომეტრ მანძილს გაივლიდნენ,
სოფლიდან რკინიგზის სადგურამდე.
სულ ექვსჯერ თოთხმეტი კილომეტრი
კი იყო თბილისამდე. ამავე დროს მათ
ბარგს მხოლოდ ერთი პატარა გუდა
წარმოადგენდა. რომელშიც საგზალი
ჰქონდათ, და ბაადურს მოულოდნელად
დაებადა აზრი, რომ შეეძლოთ მთელი
გზაც ფეხით დაეფარათ.

ბაადური ფეხით სიარულის მოყ-
ვარული კაცი იყო და თუ თავისი გუ-
ნების თანამგზავრს შეიხვედრებდა, წინ
რაგინდ გრძელი გზაც არ უნდა ჰქონო-
და, თამამად გაუდგებოდა. ახლა მას
პირადი სიამოვნება არ უბიძგებდა. გა-

უელვა, რომ ფეხით ტაატი, შენობა
ვრთს. შეხვედრილ თავშესაფრებში ლა-
მის თევა, აღსავსე იქნებოდა სრულიად
ახალი შთაბეჭდილებებით, რომლებიც
დაძმებული ბიჭის გონებას სხვა ფიქ-
რებით დატვირთავდა და მიიმე მწუხა-
რებას დაოდადრო მაინც დაავიწყებდა.

ლეგასთან მან თავისი განზრახვა სხვა
მოსაზრებით გაამართლა.

— შორი კია თბილისამდე, მაგრამ
ჯერ სადგურში მატარებლის ლოდინში
ყოფილს, შემდეგ ახლა თვით მატა-
რებელში ჯაყჯაყს, იქნებ ფეხით სია-
რული ვარჩიოთ? მით უმეტეს, რომ ვაი
თუ ბილეთიც ვერ ვიშოვით. შენ რას
იტყვი; შევძლებთ ცხრა მთა ფეხით გა-
დავიაროთ?

ლეგამ არაფერი უპასუხა და თავჩა-
კიდულმა პირველმა გააბიჯა ოღრო-
ჩოღრო ბილიკიდან მრავალი სოფლის
გამკვეთ შარაზე, რომელიც თბილისის-
კენ მიიკლავებოდა.

მათ ასიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ
გავლილი შარაზე, რომ ვზა ფერდობი-
დან თავისი თეთრონით დაშვებულმა
ქეთევანმა უყვია.

ლეგას ის თითქოს არც შეუმჩნევია.
ლეგა კვლავ მცირეზე გაწინაურებული
ფიქრებით გაბრუნებული მიზორმეცობ-
და. ცხენიდან მსუბუქად ჩამოქვეითე-
ბული ქეთევანი კი ბაადურს გვერდში
გაჰყვია. როდესაც ისინი ლეგას წამოე-
წივნენ, ცხენზე ის შეანკუპეს. თუმცა
სხვა დროს ლეგას ორი ადამიანის დახ-
მარება არ დასჭირდებოდა, ოღნავ ბიძ-
გიც ეყოფოდა, რომ ცხენს სხარტად
ზურგზე მოქცეოდა და შემდეგ ლამა-
ზად კიდევ გაეჭენებინა. მაგრამ ახლა
ლეგა თავისთავს ვერ გრძნობდა და
ცხენზე ტვირთივით ატანილი, ამასთანა-
ვე დუნედ ქანქარებდა.

ქეთევანი და ბაადური ცხენს კვალში
მდუმარედ მიჰყვებოდნენ. ქეთევანმა
დღემილი არ დაარღვია ისე გამოაჩინა
რალაც შეხვეული და ბაადურს ჯიბეში
ჩადება დაუპირა. ბაადურმა კი, თით-
ქოს ის ქეთევანის ამ მოძრაობას მოე-



ლოდა, მაჯა სწრაფად დააღებინა და მო-
უღუნა, ხოლო მეორე ხელი გაგდებო-
ნებულ შეკრულას შეუშვირა და უკან
დაუბრუნა.

— ფულია, არა?

— სულ რამდენიმე თუმანია, ლევა-
ზე მოსახმარად.

— ლევა და მე მოთხოვნილებებს შე-
ვიზღუდავთ და ჩემს სტუდენტურ სტი-
პენდიას ვიმყოფინებთ.

— ალბათ, მაინც ეს გროშებიც დაი-
მატეთ.

— ეს გროშები კი არა, კარგა მოზრ-
დილი თანხა სჩანს და მავით შენ სად-
ღესასწაულო კაბა იყიდე.

— შენ სიტყვა ხად ჩამიკარი! განა
ვაეურად რომ მიცვია, კაბები არ მაქვს?
ძალიანაც კარგი კაბები მაქვს, მაგრამ
იმ კაბების ჩაცმის დრო ჯერ არ დაბ-
რუნებულა.

— საბედნიეროდ, ის დრო მალე
დაბრუნდება.

— ეტყობა, მეც იმ გადანახულ კა-
ბებში მაშინ გამოვეწყობი. ამიტომ
გულს ნუ მატყენ და, გამომართვი ეს
ფული, ბაადურ.

— აღარ გამაგებინო! სჯობდა, შენი
ლამაზი ჩვეულებებისთვის არ გელაღატა
და ფულის ნაცვლად თამბაქო მოგე-
ტანა.

— ვაი, შენს ქეთევანს! უთამბაქოოდ
ხარ? მაგრამ მე ხომ თქვენ შემთხვევით
გადაფეხარეთ, ან რას წარმოვიდგენდი
თუ სადგურისკენ გზას ვაიშორებდით
და ასე მარყუჟებით ივლიდით, რო-
გორც მიდებართ.

— არავითარი გზის გაშორება და
მარყუჟებში გეზი პირდაპირ თბილი-
სისკენ გვიკირავს.

— ფეხით, ბაადურ?

— სულ ფეხით. თუ არ ჩავთვლით ამ
ასიოდე ნაბიჯს, რომელიც ლევამ შენი
ხათრით შენივე თეთრონით გაიფრა.

— ეს ქალაქური ახირებაა?

— ამას თავისი ჩამალული აზრი აქვს.

— მაგრამ შენ რომ უთამბაქოოდ
ჯერ გასძლეხ?

— თამბაქო შენს გასაჯერებლად ვერ
სენე. საკმაოდ მაქვს. ჩვენმა ბიჭებმა
შემიგროვეს საგზაოდ. თვითონ კი, რო-
გორც სხვა დროს გაქირვებისას, ალ-
ბათ თუთის ფოთლის წვეთი ახრჩოლ-
დებიან.

— ვაი თუ მატყვილებ, რომ არ ვი-
წუხო! იქნებ კი არც საგზალი გახლავთ
საკმარი! თუ აგრეა, მეზობელ სოფ-
ლამდე გამოგყვებით და ყველაფერს
გაგიჩენთ.

— ჩვენ უკვე ყველაფერი გვაქვს,
ქეთევან. გულწრფელად გუუბნევი.

— მაშ მე ტყვილად გადაგყრივართ,
თუ არაფერში გამოვადგებით! თუმცა
შენ ხომ ჩემთან დამშვიდობება დაგა-
ვიწყდა და ამ დანდობილა შემთხვევის
წყალობით მაინც ჩამოვართმევთ ხელს
ერთმანეთს.

როდესაც წუთით შეყოვნებულმა ბა-
ადურმა და ქეთევანმა ხელი ჩამოართ-
ვეს, შეჩერდა თეთრონიც და ცხენიდან
მიწაზე ნელა ჩამოცურდა ლევა.

11.

მგზავრებმა თითქმის ოთხთ დღე ია-
რეს, მაგრამ ოთხი თავშესაფარი არ
მოინაცვლეს. ხან წვიმდა, ხან შუე იკბი-
ნებოდა და მათ შეელოდა მეველეების
ნაირი ხუხულები, რომლებიც იღბლად
მრავლად ესკუბა თითქმის მთელი გზის
გაყოლებაზე. ცოტაოდენ უფრო საი-
მედო, თუმცა აგრეთვე სახელდახელო
ნაგებობებს ირჩევდნენ ღამის სათევად.

გზა კი მართლაც ბევრს ახალს შეაც-
ნობდა ლევას და გულსყურსაც სტა-
ცებდა. გარემოს ყურებაზე მეტად მა-
ინც ბაადურის საუბარი ართობდა. ბა-
ადური გულიანად უთხრობდა გზადმ-
დებარე ყველა სოფელზე, მდინარეზე,
ტყეზე, აგრეთვე სხვადასხვა უძველეს
ნაგებობათა თავგადასავალს.

ხშირი შესვენებები კი იმიტაც იყო
ნაკარნახევი, რომ ბავშვი არ გადაღლი-
ლიყო. მართალია, სოფელში გაზრდი-

პიორგი პალაშვილი
გვიფარავს მრავალი ზამთ

ლი ლეგა ქალაქელ თანატოლებზე უფრო ამტანი იქნებოდა ფეხით მგზავრობაში, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო ბიჭის შესაძლო ჩუმი აღერდილობა, რაც, ვინიცობა გამოეწვია მომავლებზე უფრო ერთფეროვნებას. ბაადურის ფიქრით, თუ ლეგას თბილისამდე გავლილი გზა ყველაზე უფრო იმით დაახლოვდებოდა, რომ საშინლად დაიქანცა და გაწამდა, იგი თბილისს ვერ შეიყვარებდა.

ამის მიუხედავად მათ გზის ბოლო, მომეტო მონაკვეთზე აღარ ჩამოუხლეს, იმ აზრით, რომ ხანმოკლე შესვენება თუ მოაღწეებდა, თორემ დარჩენილი მანძილის გაწვევრას არ გაუადვილებდა.

თბილისს ისინი მტკრიანი და პირგამშრალნი უახლოვდებოდნენ, როდესაც საღამოს ლილისფერში გამოჩნდა პირდაპირ მათგან ჩქარი ნაბიჯით მომავალი თითქმის შეტყუებულნი ორი მგზავრი.

წერწეტა ბედიამ თავისებური სიარული იცოდა. მთელი ტანით წინ წავარდნილი მოკლე და სწრაფ ნაბიჯებს ადგამდა, თითქოს თავს იმაგრებდა, რომ არ წაქცეულიყო. ამით იცნო იმ ბაადურმა შორიდანვე.

— მე ასეც ვიცოდი! — სალამის მაგიერ უთხრა მას ბაადურმა, როცა შემხვედრნი ერთმანეთის პირისპირ შეჩერდნენ. ბედიამ კი ბაადურიცა და ლეგაც დიდიხნის უნახავებივით ჩაბუბნა.

— მეც ასე ვიცოდი!

— შენ რა იცოდი?

— გული მიგრძნობდა, რომ შენ რაიმე უცნაურს აიტყვნიდი. მაგალითად, ამ სიშორე გზას ფეხით დაადგებოდი. რაც თქვენი შემთხვევით გადაყრის შემდეგ სოფელში ამოსულმა ქეთევანმა კიდევ დამიდასტურა. შენ რაღა იცოდი?

— მე ის ვიცოდი, რომ თუ შენ თბილისში ჩამოსვლას ჩამოგვასწრებდი, ჩვენს შესახვედრად გზაზე გამოხვიდოდი.

— სამაგიეროდ, მე ისიც დანამდე უღებოდა ვიცოდი, რომ შენთან ერთად იყო ლეგა. ხოლო ჩემთან ერთად ვის შეგახვედრებდი მე, შენ ვერც კი წამოიღებდი.

ბედიას თანამგზავრი მათგან მოშორებით იდგა და საიდუმლოდ იღიმებოდა.

ბაადურმა ძლივს დაუჯერა თვალებს, რომ ხედავდა დიდიმ ელერდაშვილს, თერთმეტი თანაკლასელი ბიჭიდან ერთ-ერთს, ჩუმსა და ფიქრიან მეგობარს, რომელიც ომში პირტიტველი ვაბუჯი წავიდა. ახლა კი ბაადურისთვის მცდეელი თვალი მიეჩერებინა ადგილზე მოუსვენრად მტოკავ გრძელუღვაშთან გამხდარ-გარუჯულ ძლიერ ვაჟკაცს. ყველაზე უფრო მოულოდნელი ის იყო, რომ დიდიმს სამხედრო ვიმნასტურის ცალი სახელო ზედმეტივით ცარიელი ეკიდა. ბაადურმა უცებ იაზრა, რომ ამაზე ყურადღების შეყოვნება დიდიმს განწყობას ავნებდა და გაუქმებულ სახელოს თვალი ისე გააცალა თითქოს არაფერი შეუმჩნევია. სამაგიეროდ, ფრთხილად მოუისნჯა მარჯვენა ხელი, როდესაც ისინი უსიტყვოდ გადაეხვივნენ ერთმანეთს, და ბაადური გულისტკივილით დარწმუნდა, რომ დიდიმს მკლავი ძირშივე წმინდად ჰქონდა წათლელი.

საოცრად ბედნიერად იმოქმედა მეგობრების ამაღელვებელმა შეხვედრამ ლეგაზე. ლეგა სიხარულით ჯერ კისერვე მოკეთურად მიესიყვარულა უცნობ დიდიმ ელერდაშვილსაც, თუმცა მას მოხვევა ვერ შეებდა, მაგრამ ორივე ხელი ქამარში ჩასკიდა და თვალგებში აღერსით შეხედა. თავისმხრივ ძმურად მიეფერა მას დიდიმი. რომელსაც ბედიასაგან უკვე სცოდნოდა ყველაფერი, რაც საბრალო პატარა ბიჭის თავზე დატრიალდა.

ქალაქამდე დარჩენილი ორიოდე კილომეტრი მათ ხალისიან საუბარში შემჩნევლად გალიეს. ქალაქში შესვ-



ლისთანავე კი დადლილი მუხლები ტრაფიკში დასვენეს.

12.

სამივე მეგობარი — ბეღია, ბაადურ-რი და დიდიმი მარჯანიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ბაადური — პლენანოვის პროსპექტსა და კამოს ქუჩის შორის მდებარე მოკლე მონაკვეთზე, ხოლო ბეღია და დიდიმი — პროსპექტიდან ზედა ნაწილში.

ტრამვიდან მარჯანიშვილის ქუჩის გაჩერებაზე ჩამოსულ მეგობრებს კედევ ბევრი სალაპარაკო ჰქონდათ, მაგრამ ფეხით დიდგზა გამოვლილ ბაადურსა და ლეგას დასვენება მოუხდებოდა, და ამიტომ მალე დაიშალნენ.

ბაადურის სახლი ნახევრად სარდაფული ქვედა ნაწილით შემალღებულ ერთსართულიან შენობას წარმოადგენდა. ბაადური ზედა ნაწილში ცხოვრობდა. ორთახიანი ბინის სამივე ფანჯარა ქუჩაზე გადიოდა. კარი კი ბინას ეზოდან, რამდენიმე საფეხურიანი კიბის თავზე ჰქონდა ჩატანებული შუშაბანდის ლამფა კედელში.

ხოლო სახლიდან ახლო, კიევის ქუჩაზე იყო საშუალო სკოლა, რომელიც ბაადურმა დაამთავრა.

ბაადურს სკოლაში წარჩინებით არ უსწავლია. მას იტაცებდა გარეშე წიგნების კითხვა, თავისთვის წერა და ხატვა, აგრეთვე ქალაქის ქუჩებსა და გარეუბნებში დაუღალავი ხეტიალი და სასწავლო საგნებში მეცადინეობას დროს აკლებდა. მაგრამ მასწავლებლები გრძობდნენ, რომ თუ ბაადურ ამირიძე ცოტა მეტს მოიწადინებდა, არც ერთ აღიარებულ ხუთოსანს წინ არ გაუშვებდა. საერთოდ კი მართალი და ნაკითხი, ამასთანავე ამხანაგების მოყვარული და გამორჩეული სპორტსმენი, სკოლაში ცნობილი მოწაფე იყო და უველას სწამდა.

ბაადურმა მეხუთე კლასში მისაბარებლად ლეგა სწორედ თავისეულ სკოლაში მიიყვანა, ქალაქში ჩამოსვლის მეორე დღესვე, ბეღიასა და დიდიმის

თანხლებით, სკოლაში მათ სინარულოთა და ცნობისმოყვარეობით, სულ სხვადასხვა შეკითხვით შემოეხვედნენ მასწავლებლები.

ლეგას მიმე ხვედრმა მასწავლებლებს გული შეუკუმშა და მათ ბაადურს მის აღსაზრდელზე საგანგებო ყურადღება აღუთქვეს. მასწავლებლებმა ღრმად განსაჯეს თუ როგორი რთული მოვალეობა უტვირთნია მათს ნამოწაფარს და გულისხმიერად დაარიგეს კიდევ.

საუბარი სკოლის დერაფანში ხდებოდა. ლეგა განმარტობით, კედელთან იდგა, სადაც ბაადურმა დააყენა, და მის ირგვლივ მსჯელობას ვერ ისმენდა. კოხტა და მოკრძალებული ობოლი ბიჭი კი მასწავლებლებში უკვე აღძრავდა მისდამი კეთილგანწყობას, ოღონდ თვითონ ლეგას უცნობი დარბაისელი ადამიანების თანამგრძნობი გამოხედვა აწუხებდა და იგი ადგილზე საცოდავად იწურებოდა. მაგრამ მასწავლებლებმა მას მალე დაუყვავეს, მეგობრულად ხელი მოხვიეს და კლასიკენ წაიყვანეს.

უმწეოდ მობუზულმა ლეგამ იდუმალი მუდარით სავსე, შეშინებული თვალები უკან გამოაცეცა, მაგრამ ბაადური მეგობრების თანხლებით მისკენ უკვე ზურგიით იყო და კიბეზე ჩადიოდა.

13.

მოულოდნელად ახალფეხადგმული მასწავლებელი აღმოჩნდა ელდარ ლუარიძე, ფუფუნებაში გაზრდილი და თავხედი, ოღონდ წარმოსადგვი გარეგნობის ახალგაზრდა, ბაადურის ყოფილი თანაკლასელი. ელდარს ინსტიტუტი ჯერ არ დაემთავრებინა, ფიზკულტურის მასწავლებლობა კი უკვე ეტვირთნა, თუმცა არც უნდა გასძნელებოდა, მოწაფეობაშივე რიგიან ტანმოვარჯიშედ და ფეხბურთელად ითვლებოდა.

ვიორგი ბალაშვილი
ვერსაბავს მრავალი ჰერი



ელდარი ზუსტად სკოლის პირდაპირ ფარალალა ეზოში ცხოვრობდა და ახლა სპორტულ ლურჯ პიჯამოში გამოწყებელი სახლიდან გაკვეთილზე შინაურულად გადმოდითდა, თან ქვაფენილზე გახეთქვამდე გაბერილ ბურთს ახტუნავებდა.

ელდარმა, თითქოს ვერ იცნოვო, არავითარი ყურადღება არ მიაქცია აგრეთვე ყოფილ თანაკლასელ ბედიასა და დიდიმს და გამარჩია და ჩამოიტოვა მარტო ბადურმა.

ბადურსა და ელდარს ერთმანეთო გულზე არასდროს არ ეხატებოდათ. ბადურს ამიტომ, ომის დროს შინდარჩენილ ყოფილ თანაკლასელთაგან, რომელთა შორის იყო ელდარიც, მხოლოდ მისი ასავალ-დასავალისადმი არ გამოუჩენია არავითარი ყურადღება, მაშინ, როცა შეძლებისდაგვარად ასე თუ ისე რამე იცოდა ფრონტზე ყოფი ამხანაგების შესახებაც კი. ბადური და ელდარი, როგორც განსხვავებული ბუნების ადამიანები, ერთმანეთს ერიდებოდნენ კრძეც, მაგრამ წლობით უნახაობის შემდეგდა ამ მოულოდნელ შეხვედრაზე, ელდარმა უცებ უჩვეულო გულმხურვალება გამოამჟღავნა.

- როგორ ხარ, ძაო?
- თითქოს არა მიშავს.
- სკოლა მოგენატრა და შემოიარე?
- არ გამემტყუნება. სკოლის მონატრება ბუნებრივი ამბავია.

— შენ რომ ჩვენი კლასელი თინა გიყვარდა, საით არის, გაგიფრინდა?

— არავითარი თინა. მე ყუყუნა მომწონდა, მაგრამ შენ არ შეგეცილე.

— ნუთუ მართლა — ყუყუნა? შენც ადექი და ახლა დაეპატრონე. უკვე კიდევ დაეშორებით მე და ყუყუნა. მეტად ხანმოკლე გამოდგა ჩვენი ცოლქმრობა.

— მადლობას გიხდი ნაცოლარის შემოდღევისათვის. სულგრძელი ვარ, მაგრამ ნაქმარევე ქალს ვერ შევირთავ. ისიც შენს შემდეგ.

— არა — მართლა გიყვარდა ყუყუნა?

— შენ კი ახალა ეკვიანობა? მართლა ეს ჯერ რა არის! ყუყუნა მუდამ კარგი გოგო იყო. მეორედ უკვე ბედნიერად გათხოვდება და შენ მაშინ ნახე შენი ყოფა! განცდები! სინანული!

— ჩემი თავი გადარდება? თუ ყუყუნა მართლა გიყვარდა, უნდა გიხაროდეს, რომ გავშორდი.

— არ მიხარია. ოღონდ, გამოგიტყდები. არც ის მესიამოვნა თავის დროს თქვენი შეუღლება რომ გავიგე.

— ჩემი შეგშურდა?

— ყუყუნა შემეცოდა და დამენანა. — ყუყუნა შენ ნამდვილად გულში გყოლია! ისე, არც თინა იყო ურიგო გოგო.

— თინაც კარგი გოგო იყო. მაგრამ მე ერთდროულად ორზე ვერ მეპირებოდა თვალი.

— შენც ადექი და, რაკი ყუყუნა ხელიდან გამოგეცალა, თინას მაინც დაეპატრონე. თუ, შენ ჩემი დარიგების გარეშეც ხედები თინას და მე ტყვილად მალაპარაკებ?

— ვერ ვხვდები, თინა კარგა ხანია ფრონტზეა. საზენიტო არტილერიისი. სხვათა შორის ფრონტზეა აგრეთვე მეზენიტეებად, ჩვენი კიდევ ორი გოგონაც, ელისო წერეთელი და ხარიტა არჯევანიძე.

— რას ლაპარაკობ? პირველად მესმის.

— ვგრძნობ, რომ პირველად გესმის, ოღონდ, ეს იცოდა ყუყუნამ და საოცარია რატომ არ უთქვამს?

— არ უთქვამს. ჩვენ მხოლოდ კინკლაობას ვუნდებოდით, სანამ დავშორდებოდით. მაინც ვის ხედები ჩვენი კლასელებიდან? ბედია არ მყავს მხედველობაში. ვიცი, რომ ბედია და შენ ძველებურად განუყრელი ხართ.

— ხვდები მხოლოდ რამდენიმე ქალიშვილს. სხვები დაქსაქსულნი არიან. ბიჭებს კი — ბედიას გარდა არავის. ჩვენკლასელი თერთმეტი ვაჟიდან, რვა ომშია, აწ უკვე გამოკლებით დიდი ელერდაშვილისა, რომელიც ორი დღეა დაბრუნდა, ცალხელა. ანუ, შეი-



დი ისევ ომშია. თავიდანვე კი შინ მხოლოდ საშინი, შენ ბედია და მე დავრჩით.

— პირადათ მე ჩემით არ დავრჩენილვარ შინ. მე, მშობლების ავადმყოფობამ მიხსნა. ბედია — ასაკმა. ბედია, როგორც ჩვენზე წლით უმცროსი, სკოლის დამთავრებისთანავე გასაწვევი ასაკისა არ იყო, ხოლო, როცა გაწვევამ უწია, უკვე სტუდენტი იყო და სწავლას არ მოწყვიტეს. შენ კი, შენს მოტეხილ მკლავებს უნდა უმადლოდე, რომ ფრონტი ავტდა.

— არ ვუმაღლი. დაშავებული მკლავები თუ თოხნას არ მიშლიან, არც ფრონტზე მიმტყუნებდნენ.

— თოხნა რაღა შუაშია?
— მთელი ზაფხული ვთოხნიდი. სოფელში, სადაც არდადეგებზე სტუდენტები სამუშაოდ გაგვგზავნეს.

— შენა და თოხნა! წიგნისა და ბურთის მეტი შენს ხელში სხვა არაფერია მიჩანავს და თოხს როგორ შეეჩვიე?

— აღვილად შევეჩვიე. სხვათა შორის, რომ აღარაფერი ვთქვა ვაყებზე, მათ შორის ბედიაზე, ჩემთან ერთად იტუა თოხის სამოცდათხუთმეტმა ქალიშვილმაც. ტანწერწერტა და სათუთზელებიანმა ქალიშვილებმა.

— ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამაზე ითქმის, სოფელსა და თოხს შენც გარდაუქმნიხარ. ქალიშვილებისთვის თვალი შეგიჩვევია. წინათ კი მათ მხოლოდ უბღვეროდი.

— არ შემიჩვევია. ჩემი გუნებას ქალიშვილები კი შეუმჩნეველი არც აღრე მჩხებოდა. იმიტომაც სკოლაშივე გამოვარჩიე ყუყუნსაც.

— ყუყუნასთან უმძრახად რომ არ იყო, ვეტყობდი შენს გულისტქმას და გავახარებდი.

— არ ივარგებდა. თუ თქვენ შერიგება გიწერიათ, ოდესმე შენდამი ყუყუნას გულგრილობამ იქნებ ეპვი მოგახვიოს, რომ მას გული ორად გაეყო. შენსა და ჩემს შორის. საერთოდაც, კეთილგონიერულია, რომ ქალმა არ იცო-

დეს ვისა და ვის მოსწონდა ან უწონს ახლაც.

— შენ ისეთ კეთილშობილებას იჩენ, რომ თუ მართლა საქმე შერიგებაზე მივიდა, იქნებ ყუყუნასა და ჩემს შორის შუამაელობა იკისრო?

— ვერ ვიტყვირთებ. საიმედო შუამავალი არ ვიქნები. ნახვამდის, ელდარ.

— გეჩქარება? ცოტაც გველაბარავნა...

— ნამდვილად გეჩქარება. აგერ კუთხეში მელოდებიან ბედია და დიდმი, რომლებიც შენ წედან რატომღაც თითქოსდა ვერ შეამჩნიე.

— ნუთუ ეს ბედია და დიდმი არიან! კი დავინახე, რომ ვილაცეები იყვნენ შენთან, მაგრამ სახეზე არ დავკვირვებებივარ.

— ნუ თვალთმაქცობ, ელდარ. მშვენივრადაც იცანი ორივე, მაგრამ შენ გინდოდა, რომ ისინი პირველი გცემოდნენ და კისერზე ჩამოგვიდებოდნენ.

— ვთქვათ, ეგრე ვიფიქრე! მართლაც პირველი რატომ ისინი არ უნდა მომსალმებოდნენ?

— საქმე იმაშია, რომ მათ პირველშეორეობა არც ჩაუფიქრიათ. უბრალოდ, მათ შენ კულაბზიკობით პირი გაარიდე და იმათაც იმიტომ აინუნშიც იღარ ჩაგადღეს. ისე, შეგეძლო, რომ არც მე გეცნე.

— მაგას როგორ ვიზამდი! შენ ხომ ჩვენი აღიარებული ბელადი იყავი.

— აი, ეგრე ამხანაგურად სხვა როცა ბელადს მიძახდა, შენ იმაზე შურისგანცეცხლი გეკიდებოდა ხოლმე. ახლა კი რა ნათელი გეწვია? ნახვამდის, ელდარ!

— მაინც მირბიხარ? თუ ძმა ხარ, ნუ მიცხარდები. ბედიასთან და დიდმთან, თუ რაღაც სწორედ ვერ მოვზომე, თვითონ გამოვასწორებ. სხვა ბიჭებისა რაღა იცი — შენი სოსო მოლოდინისა მაინც?

— სოსო ეაყკაცურად ომოზს. დაჯი-

ზიოჯი გალაზვილი
გვიზარავს მრავალი მერი



ლდობულიც ბევრჯერ არის: ზოგი რამ ვიცოდი დანარჩენებზეც, მაგრამ რაც ხანი თბილისში არ ვიყავი ის ცნობები დაძველდა. ახალი ცნობები თვითონაც გასაგები ჯაქვს.

ელდარს ჩვეულებად ჰქონდა ხელის ჩამორთმევის დროს მთელი ღონის გამოჩენა. ხოლო ბაადურს ეს მუდამ აღიზიანებდა. თუმცა არც ის იყო სუსტი. მასაც იოლად შეეძლო ხელის ჩამორთმევით დაეკენესებინა ისეთი ოტროველაც კი, როგორც ელდარ ლუბრიძე იყო.

ისინი დამშვიდობებისას ხელის ჩამორთმევას წინდახედულად მოერიდნენ.

ძალზე გონივრულად კი მოიქცნენ ბედია და დიდიმი, რომლებმაც, როცა ბაადური მათ დაუბრუნდა, სიტყვაც არ დასძრეს ელდარზე, შეატყვეს, რომ ბაადური ელდართან საუბრით აღერდით იყო. ხოლო თვითონ თავს შეუტრაცყოფილადაც გრძნობდნენ, რომ ელდარმა ისინი თითქოსდა ვერ იცნო. განსაკუთრებით სდულდა ბედია. ბედიას მართო ის ვერ ეპატიებინა ელდარისათვის, რომ მან ყურადღებაც არ მიაქცია ფრონტიდან ეს-ეს არის ცალხელად დაბრუნებულ დიდიმსაც კი, არა თუ მას.

— დაბერებულან ჩვენი მასწავლებლები, — სინანულით აღნიშნა სინამდვილე დიდიმმა იმითმაც, რომ საერთო გულისყური სხვა სავანზე გადაეტანა. — უფრო ზუსტად — კი არ მოხუცებულან, ამისგან შელახულან. თუმცა, რა გასაკვირია! ომს ხალისი მოუპარავს ჩვენი ლალი თბილისისთვისაც, მით უფრო დაუჯანბნა ომს ადამიანები, მათ შორის პირველ რიგში ისეთი სპეტაკი სულის ადამიანები, როგორც მასწავლებლები არიან.

დიდიმი თავისი სიტყვების დასადასტურებლად დიდი ხნის გაუახლებულ სახლებსა და ქუჩებზე არ მიუთითებდა. თითქოს არც არაფერს უყურებდა, ისე მიიბიჯებდა. სამაგიეროდ, ჩანდა, მას მატარებლიდან ჩამოსვლისთანა-

ნავე დანატრებული თვალის გარეშე რბი შემოვლებითაც აღექვალნი ქალაქის შეუცნობლად გახუნებული იერი.

სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქმა ლეგაზე. დიდიმმა კეკელუცი თბილისის შელახული სახე იხამუშა და განიცადა. ლეგას თვალში კი, რომელიც თბილისს პირველად ხედავდა, ეს იყო მრავალფეროვანი ნაგებობებით ამოვსებული უზარმაზარი ქა, მოცული განუწყვეტელი დგანდგართა და გაპოვნებელი მოძრაობით. ლეგა თბილისმა მთლად დააბნია და დააფეთა. იგი ყველაფერს შეშინებული უფრთხოდა. ამავე დროს ბავშვს გაუნელებელი დარდი უტრიალებდა. გარეთ, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ხშირად ჩრდილიც აკრთობდა და ბაადურს ფერწასული ეკვროდა. ამიტომ პირველ ხანებში მას სკოლამდე ყოველ დილით ბაადური მიაცილებდა და უკან წამოსაყვანადაც სკოლასთან ხდებოდა. ლეგაც შევებს სახლშიდა პოულობდა, თუმცა სახიდან სევდას ვერ იცილებდა.

ბაადურის ოთახებს შორის ფართით და მოწყობილობითაც სხვაობა მნიშვნელოვანი იყო. საკმაოდ ვრცელ დიდ ოთახში, სადაც ბაადური იძინებდა, იდგა ყველა მთავარი და აუცილებელი ავეჯი, და იყო სასიამოვნო წესრიგიც. მეორე ოთახი კი პირველზე ბევრად პატარა და მიტოვებულივით მოუველელი იყო და ძლივს იტევდა ბაადურის ბავშვობის დროინდელ საკუთრებას — ძველებურ ჩუქურთმიან პაწია საწერ მაგიდას მრგვალი სკამითურთ, მორჩილი თაროსნა და მოხარატებულ ხის საწოლს. მაგრამ თუ პატარა ოთახი გულიანად შეკეთდებოდა, მთელი საოცნებო სამყარო იქნებოდა ლეგასთვის, რომელსაც იგი მიეკუთვნა. ლეგას მართო ამის გაგებამაც თვალები აუქუქუნა. მით უფრო გადაუდებელი ხდებოდა მისთვის ელფერის დაბრუნება. ამის შემდეგ ლეგა თავის ოთახს მეტად



შეიყვარებდა და სწავლასაც უფრო გულს დაუდებდა.

მიუხედავად ცოტა წელანგარობისა, ასეთი კეთილშობილური წამოწყებანი და საერთოდ აზრიანი თათნობანი, ბედის უყვარდა. სწორედ ბედია გამოვიდა პატარა ოთახის სრული მოწყობისა და ლეგის მხარში ამოუყენა დიდიძი, აგრეთვე ზურაბი და აბელი. ვერ იპოვა მხოლოდ ემზარი. ამასზე ბედია ერთი კი აპილპილდა, მაგრამ მალე დამშვიდდა. ახსნა, რომ წოწოლა და დანადრუნე ემზარი მათ მიიწვია არაფერში გამოადგებოდა, ხოლო გამურვა, რასაც მუშაობისას ვერაიენ ასცდებოდა. მას ისედაც არ აკლდა.

თუმცა, ყველაზე ნაკლებად ამოითხნა თვითონ ბედია, რადგან მან ისე მოახერხა, რომ თავისებური სამუშაოთა მწარმოებელი გახდა. იგი მომუშავეთ მასალას და იარაღს უმარჯვებდა, თან მითითებებს აძლევდა და აფულისებდა. რაღა თქმა უნდა, ოსუნჯობდა კიდევ და ეს მუშაობას ახალისებდა.

მოგვიანებით გამოჩნდა ემზარიც. ემზარს, როგორც წესი, სახლებში მიეკითხნა აბელისა და ზურაბისათვის და მათიანების მცირეოდენი მინიშნებითაც ხელათ აელო ალლო სად იქნებოდნენ წასული ისინი. საერთოდაც, ეს სამი გადაბმული მეგობარი საოცარ სამძებრო გაპკრიახობას ამჟღავნებდა, როცა ერთმანეთი ჰყავდათ საპოვნი.

როდესაც ემზარი მუშაობის ეშში შესულ ამქარს გამოეცხადა, მათ დარჩენილი ჰქონდათ მხოლოდ მალღივი სამუშაოები და ბედიას მკახე განკარგულებით უსაშველოდ მალალი დაგვიანებული შემწე კიბედ იქნა გამოყენებული.

ბედიამ მას იქვე კიდევ დანათლა ეს ზედმეტი სახელი — კიბე.

მთელი კვირა დღე ერთობლივი ხალისიანი გარჯის შედეგმა მოლოდინს გადააქარბა და მიიღეს საუტხოოდ მოფერიანებული ნათელი ოთახი თავისი

გაჯანსაღებული ავეჯით. ყველაფერს ამას მიიწვია უფრო ხარისხიანად მრულებდნენ ხელოსნები, მაგრამ გასამრჯელო თანხის გაღებას არა თუ მართო ბაადურის, მისი მეგობრების ჯიბეც არ ეყოფოდა.

ბედია ისეთი სამუშაოთა მწარმოებელი გამოდგა, რომელმაც მუშის კეთილსინდისიერი შრომის ღირსეულად დაფასება იცის. მას თადარიგი დაეკირნა, რომ მუშაობის შემდეგ დამაშვრალნი საკადრისად დაეპურებინა. ამ მხრივ ის სხვა დროსაც იჩენდა თავს. მას ექვიც არ ეპარებოდა, რომ ბაადური ლეგას არ დაამშვედა. მაგრამ ბედიამ იცოდა ისიც, რომ ბაადურს სახლში ხშირად მხოლოდ ცარიელა პური ებადა. ბედია კი ბაადურზე გაცილებით მარიფათიანი იყო და როგორი გაპკრევააც არ უნდა სდგომოდა, დამატებით კბილის გასაქრავს მუდამ შოულობდა. მონაგარს კი ყოველთვის ბაადურს ძმურად უზიარებდა.

აქვერად, საერთო სადილისათვის, ბედიას რაღაც მანქანებით მოეპოვებინა მთელი თავი საპკილოიანი პური, მოზრიდილი ტობრაკი კარტოფილი და სხვა დამხმარე ბოსტნეული. მზარეულად კი მან პირველად გამოსცადა ლევა, რომელიც ორი საათით აღრე სხვა სამუშაოდან გამოათავისუფლა.

გადააქარბა მოლოდინს ლეგას გელოვნებასაც. მის მიერ დამზადებულმა სურნელოვანმა კერძმა ერთსულოვნად მაღალი შეფასება მიიღო და დაღლილი უფროსი მეგობრები ეზოში ონკანზე ვაგრილების შემდეგ საშემეს ხარბად და სიამოვნებით შეექცნენ.

15

სტუმრების წასვლის შემდეგ ბაადურმა და ლეგამ ჰურტკელი დარეცხეს და მოლაგეს მაგადა. ამის მერე თავთავისი სამეცადინოთი ორსვე დიდ ოთახში მოეწყო იმავე სასადილო მაგიდას-

გიორგი გელაშვილი
ბარდარავს მრავალი ზიბი

თან, რადგან პატარაში, სანამ მის კედლებსა და იატაკს წებო და საღებავი არ შეეშრებოდა, არ დაიჯდომებოდა. ანუ, ლეგა თავის ოთახში კიდევ რამდენიმე დღე ვერ დამკვიდრდებოდა.

ლეგას დიდხანსი არ შერჩა შესამჩნევი სილადე, რაც ბაადურის მეგობრებისა და საერთოდ ხმაურიანი, ხალხიანი დღის წყალობით მიეცა, თვალეზი ჩვეულებრივ დაენისლა, ვულისყური დაეფანტა, და ბაადურმაც იგრძნო, რომ ბიჭი წიგნში უაზროდლა იყურებოდა. თავის მხრივ გამოიცინო ბაადურის ფიქრი ლეგამ.

— გული გაგიწყალეთ არა, ძია ბაადურ? — წიგნიდან თავაუღებლივ ჩაიღულღულდა მან.

— რითი, ბიჭო? — თანაგრძნობით მიეხმატკბილა მას ბაადური.

— აი, ერთავად სახე რომ ჩამოტყორის, იმით.

— მწუხარება გაქვს და დარდი უნდა იდარდო. ვინც სადარდებლის გულთან მიტანა არ იცის, ის ჭკუამხიარულია. შენგან — შორს! მერე და მერე კი, ბუნება ინებებს და შენც ისევ ძველებური ყოჩალი ბიჭი ვახდები.

— ვერც ვსწავლობ, ძია ბაადურ.

— ლაპარაკია, ალბათ, უკეთესად სწავლაზე. მაგრამ ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელ ნიშნებსაც არაუშავს. დროც რაღაც სულ ერთი თვე გავიდა, რაც სწავლა დაგეწყო და კიდევ მოასწრებ თავის გამოჩენას. თუმცა, აუცილებელი ფრიადოსნობას არც შემდგომში მოგთხოვ. შენის მხრივ კი ერთი შედევითი უნდა მომცე. უკანასკნელ კურსზე ბევრი სამეცადინო დამიგროვდა. წინა მაქვს სახელმწიფო გამოცდები და სადიპლომო შრომაც. ერთი სიტყვით, ყოველი წუთი უკვე ძვირად ნიღირს. და აი, საჭირო დრო რომ მოვიგო, ამიტომ მოდი ხვალდან სკოლაში და სკოლიდან სახლში უჩემოდ იარე. რას იტყვი?

— ვივლი.

— ხომ არ გეწყინა?

— რას ბრძანებთ!

— იქნებ გეშინია?

— ვიფრთხილებ.

— აი, შენ უკვე ხდები კიდევ ძველებური ყოჩალი ბიჭი! ყოველშემთხვევისთვის, პირველ დღეებში ვინმე თანაკლასელი ამხანაგი გაიჩინე და ერთად წადით და წამოდით ხოლმე. შევთანხმდით?

— შევთანხმდით.

ლეგამ ისევ ცოტა მოიგუნება, ბაადურის საამებლად წიგნიც მოწადინებით გადაფურცლა, მაგრამ მთელი დღე ფუსფუსით დაღლილს მალე ძილი მოერია და წიგნზევე ჩაეძინა. ბაადურმა მას მიძინარეს გახანა და ლოვინში რბილად შეაგორა.

16

როგორც შეთანხმება იყო, ლეგა სკოლაში მარტო წავიდოდა. მაგრამ ეს არ მოითხოვდა, რომ იგი დილით ჩვეულებრივზე ადრე ამდგარიყო. ლეგა კი, ჯერ ისევ ბნელოდა, რომ უკვე ფეხზე იყო, და უჩუმრად მიიპარა სასაღილო მაგიდასთან. სუფრის ქვეშედან მან პურის წიგნაკები და ფული გამოაცურა. ლეგა გარეთაც უხმაუროდ გავიდა, დობრუნდა კი ნარბენი, პურით, პურის წიგნაკებით და ხურდით.

ლეგას თავისთი მოეფიქრებინა ბაადურისთვის მეტი შედევითი მიეცა, ეიდრე ის მოითხოვდა. თუკი ბაადურს სამეცადინოდ დრო არ ყოფნიდა, ლეგა ამიერიდან სკოლაში ხომ მარტო ივლიდა და პურის მოტანაზეც მას აღარ მოაცდენდა.

ლეგა ახლა სასკოლო ჩანთის ჩალაგებას შეუდგა.

რაც ხანი ბიჭი ფუსფუსებდა, ედვიდა ბაადურსაც, მაგრამ თავი მოიმიძინარა და ცნობისმოყვარეობით მას მალულად თვალს ადევნებდა.

ლეგას ჩუმათეული წრიალი ბაადურს ერთი პირობა საეჭვოდ მოეჩვენა და გული შეუქანდა, შემდეგ კი ამ ეჭვისა თვითონვე შერცხვა.

ლეგას წასვლის შემდეგ ბაადურს ჩვეულებრივზე მეტი არ უმეცადინია.



სამეცადინოს მოქარბება მან იმისთვის მოიგონა, რომ ბიჭს უგამყოლობა უკიდურესობით გამოწვეულ მოვლენად მიეჩნია. მთავარი იყო პირველი გაბედვა. შემდეგ უფროსი გამცილებლის თანხლებას იქნებ ითაკილებდა კიდევ უფრო თანატოლებთან ერთად სიარული მოუვიდოდა ქუთუში. თანატოლებში, ბუნებრივია, მეგობრებიც გაუჩნდებოდა. მეგობრები კი ყოვლად აუცულებელი იყო დაობლებიდან თავის ნაქუქში ჩაკეტილი ბიჭისთვის.

ჯერჯერობით ლევა უამხანაგოდ იყო. მათ პატარა ეზოში მისი ტოლი მხოლოდ ერთი გოგო ცხოვრობდა, რომელსაც ლევა არ ეკარებოდა. ვერავის დაუახლოვდა ლევა სკოლაშიც და იყო ერთთავად თავისთვის განმარტოებული და უმოქმედო.

ლევას დაბრუნებამდე ბაადური მოუსვენრად იყო და ფანჯრიდან მალმალ ქუჩაში იხედებოდა.

ლევა კი დაუგვიანებლივ გამოიჩნდა და სახლში უჩვეულოდ ხალისიანი შემოცანცალდა.

— სკოლაში მარტო წავედი. ვიხმეს დაძახება მომერიდა. სკოლიდან კი ერთად წამოვედიოთ მე, გური და ტიტე. გური ჭილაძე და ტიტე დეკანოზიშვილი ჩემი კლასელები არიან და ორივე ჩვენს გვერდით სახლში ცხოვრობს. დილაზე ტიტე და გური თავიანთი სახლის წინ დამხვდებიან.

— ჰო და, ყოჩაღ! შეგიძლია ევ შენი ახალი ამხანაგები სახლშიც მოიყვანო ხოლმე, თუკი ერთად მეცადინებოთ ან გართობა გუნებაში მოგივათ.

— გმადლობთ, ძია ბაადურ. ენახათ.

— საერთოდაც, თავს შებოჭილად ნუ იგრძნობ. რაც გეწადოს ან გაწუხებდეს, თუ საჭიროდ სცნა, გამიზიარე. მე შევეცდები ყველაფერი გაგიგო. ამავე დროს, ჩვენს საერთო ჭერქვეშ ერთმანეთის აზრს ანგარიში ვაეწევა. ოღონდ გამამწყვეტი სიტყვა ჩემი იქნება. ბინას კი, როგორც შეგვეძლება, ორივემ მოვუაროთ. მოვალე ვართ ბინა ისეთ

წესრიგზე გვექონდეს, რომ სტუმრები ჩვენთან ყოფნა სიამოვნებდეთ.

მათი სტუმრები უმთავრესად ისინი იყვნენ, ვინც მონაწილეობა მიიღო ლევას ოთახის მილაგებაში.

პირველად ბაადურს ეშინოდა, რომ მასთან ბედიას, ემზარის, ზურაბისა და აბელის ერთდროულად სტუმრობისას ანუ იგივე შეკრებულობის ხილვისას, რომელსაც ყოველდღე ხედავდა ლევა მათი იდუმალში ყოფნის დროს, მას იქ გადატანილი თავზარი არ განახლებოდა. ხოლო გამოჩენა სამხედროტანსაცმლიანი, ცალსახელოცარიელი დიდმისაც, ვინიცობაა აგრეთვე დარდებს მძაფრად აუშლიდა ლევას, გაახსენებდა რა ფრონტზე დაღუპულ მამასა და ძმას, შაქრიას, აწ უკვე ნამდვილი სულისკანკალით კი ახლობლებიდან დარჩენილ ერთადერთ ადამიანს, ძმათა შორის უფროსს, დათასაც, რომელზეც დიდხანია აღარაფერი არ იცოდნენ.

მაგრამ ლევა სწორედ მათ სტუმრობას და საუბრებს გამოყავდა ფიქრებიდან. ოღონდ ბაადური უშლიდა მეგობრებს ბიჭისთვის საჩუქრების მორთმევას და მის მიმართ სიგულჩვილს, რომ სხვათა გადამეტებულ ყურადღებას თავად ის საკუთარი ბედისადმი უზრუნველი არ გაეხადა. არ უკრძალავდა არავის მხოლოდ მეცადინეობაში ცოტათუნ წახმარებას, რადგან ლევას ეს ჯერ სჭირდებოდა. ყველაზე მეტ ამავს ამ მხრივ მას სდებდა ძლიერ მგრძნობიარე და თავად საოცრად ჯიუტი მეცადინი ღაბუა აბელ მინაძე, რომელსაც ბუნებით ბავშვებთან აღმზრდელური ურთიერთობის მოთხოვნილება ახასიათებდა და ლევასაც მოთმინებით ავარჯიშებდა ყველა საგანში.

ოღონდ, თვითონ ლევა კიდევ ვერ იყო გონებამოკრებილი და გაჭირვებით სწავლობდა.

ლევას თარონსა და საწერ მაგიდაზე კი სახელმძღვანელოებთან ერთად უკ-

გიორგი ბალაშვილი
გვიწავრავს მრავალი გერი



ვე საკმაოდ ეწყო გარეშე საბავშვო წიგნებიც.

როდესაც ბადურის არ უწონებდა თავის მეგობრებს ყოველ მოსვლაზე ლევასთვის რაიმე ფასეული საჩუქრის მოტანას, იქვე, რომ ისინი არ გაეწიებინა, ერთგვარ შეღავათს იძლეოდა.

— თუ მაინცდამაინც არ დაგიშლიათ საჩუქრობანა, უფლება გექლევათ ხელს მთავოლოთ ხოლმე მხოლოდ წიგნები. ასეთ ნობათს ჩვენ კმაყოფილებით მივიღებთ.

ამის მაგალითს თვითონ ბადურის იძლეოდა და მეგობრებმაც მიბაძეს.

ასე დღითიდღე იზრდებოდა ლევას პირადი ბიბლიოთეკა, მაგრამ ლევა ვერც სწავლას, ვერც გარეშე წიგნებს ხარბად ვერ დაეწაფა.

17.

სკოლიდან ლევას დაბრუნებას უნივერსიტეტში ბადურის წასვლა ემთხვეოდა. მოსალამოებამდე, სანამ ბადურს ლექციები გაუთავდებოდა, ლევა სახლში მარტო რჩებოდა და გაურკვეველ შიშს განიცდიდა. შიში მიჰყვებოდა ლექციებზე ბადურსაც, რომ საკუთარი თავის ანაბარა დატოვებულ ლევას რაიმე ფათერაკი არ შემოხვეოდა. მაგრამ ბადურს დაკვირვებამ დაანახება, რომ შინ მის არ ყოფნაში ლევა გარეთ არ გადიოდა. სახლში კი, როცა სახელმძღვანელოებს გატანჯული სახით გვერდზე გადასდებდა, სახიფათოდ არ ჩხირკედლაობდა. ამასთან, ლევა ბინის დალაგებას შეეჩვიდა და დასაბანდებელს იმატებდა. ბადურიც დაამედა.

ბადურის უკვე უნივერსიტეტში წასასვლელად მზად იყო და ლევამაც წუთიწუთზე შემოაღო შუშაბანდის კარი. იღონდ მოვიდა სტუმრის თანხლებით.

ელდარ ლურციძის მოსვლა სრულიად მოულოდნელს იყო ბადურისთვის. ლექციებზე მიმჩქარი კი უჩერებულობაშიც ჩავარდა, რომ მასპინძლობას ვერ გასწევდა.

— დრო მეც მოზომილად ანგარიში გაუწია მის წუხილს ელდარმა, — სკოლაში მორიგეობა მიწევს სათანახევარში. უნივერსიტეტამდე კი მიგაცილებ და ლაპარაკს გზაზეც მოვასწრებთ.

ელდარი არც დამჯდარა. სტუმრობის მიზეზს კი ბადურთან ერთად ქუჩაში გასვლისთანავე შეეხო.

— უბრალოდ სასაუბროდაც უნდა მიმოვიდიოდე ერთმანეთთან. რაც არ უნდა იყოს მთელი ათი წელიწადი თანაკლასელები ვიყავით. თუ მეგობრები ვერ გავხდით, როგორც შენ და სოსო მოლოდინი, როგორც შენ და ბედია, ძველი ნაცნობები ხომ მაინც ვართ და ესეც ანგარიშგასაწევია. ვერ დაეძმაცადით კი იმიტომ, რომ შენ მე რატომღაც თვალში არ მოგდიოდი. იმიტომაც ახლა ღირსადაც არ ჩამთვალე ჩემთვისაც გავგეგებინებინა, რომ აღსაზრდელი ავიყვანია. თანაც, ბიჭი ჩვენს სკოლაში მოვიბარებია. ეს მე ახლახან შემთხვევით გავიგე სხვა მასწავლებლებისაგან. შენ ლევაზე ზრუნვა მათთვის გითხოვია. მე არაფრად ჩამავდე. მე მაინც მინდა გითხრა, რომ ლევას მეც გამოვადგები.

— შენ ლევას მფარველობას ნუ გაუწყევ. მფარველობა ხშირად უარყოფითად მოქმედებს ბავშვზე. — გამაფრთხილებელი დასკვნა გამოიტანა ელდარის შეპირებიდან ბადურმა და ნაბიჯს უმატა.

ელდარი აიმრიზა.

— შენ მე მუდამ გეზიზღებოდი და ახლაც არ გეპიტნავები.

— არ ღირს ძველის გახსენება. — მოკმუხენით ხელი ჩაიქნია ბადურმა, ელდარს კი მისი ასეთი გულზვიადობა უფრო ეწყინა.

— ძველის მარტო ხსენებაც კი გუნებას გიწამლავს?

— რა ექნა! უნებლიეთ ეგრე გამომდის.

— მოგონებების სურათს მე გიფუქებ?

— შენ აფუქებ მხოლოდ იმ სურათს.



თებს, რომლებშიც შენ ურევინარ. სხვა, უმეტეს მოგონებებზე კი სამდურავი არ მეთქმის.

— მე ისეთი რა საფრთხობელი ვაყავი?

— შურიანი იყავი. ყველას დაცინვა გიყვარდა.

— სამაგიეროდ შენ გოროზი და დიდგულა იყავი.

— ვერ დაგიდასტურებ. თუმცა, როგორც ამბობენ ხოლმე, უცოდველი არავინ არის, მეც, ალბათ ყველას არ მოეწონდი. ყოველ შემთხვევაში, მე ვცდილობდი უსამართლოდ არავისთვის მეწყინებინა.

— მე ვის რა დავუშავე?

— ბევრს და ბევრიც. შურიანობა მომშხამავი ბოროტებაა და შურიით ყველას შხამავდი.

— ვერც მე დაგიდასტურებ ჩემს დასასიათებას. მაინც, დავუშვათ, უცოდველი არც მე ვარ. პირადად შენთან რა დანაშაული მიმიძღვის?

— ჩემთან არაფერი. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მიბედავდი. სხვა ბიჭები კი ჩემზე უფრო დამთმობი იყვნენ. შენც ეგ გინდოდა და ვისაც დაიბრიყვებდი, ტალახში ათრევდი.

— ეგრეთ მოხსენიებულ დაბრიყვებულებს კი მგონი შენ ესარჩლებოდი.

— კარგად დაგხსოვებია. თუმცა, ჩემგან შენზე უფრო მეტი ხვდებოდა იმათ, ვისაც შენ აქიაქებდი. თავს რომ გაჩაგვრინებდნენ, იმისთვის. — ანუ, ამხანაგებს მიგულიანებდი! ახლაც იგივეთი ხომ არ ჰქვებავ ზოგ-ზოგებს, კერძოდ ბედიასა და დედიმს, ვინც აღრინდელივით გვერდში გყავს?

— შეგიგულიანებდი იმ შემთხვევაში, მე რომ სუსტი და ლაჩარი ვყოფილიყავი. საბედნიეროდ, ჩემი თავი ასეთი არ მახსოვს. ამას შენ უკეთ დაადასტურებ. კერძოდ, ბედიას კი შეგულიანება არც ერთ შემთხვევაში არ სჭირდებოდა. მუდამ ჩახმახზე იდგა და ღვარძლიან გამობლომებზე ენით მიწასთან გასწორებდა. ბედიას ამის უნარი თუ

გაუმახვილდა, თორემ არ დასჩლუნგებია. ვატყობ, უკვე აღარაფერს შეგარჩენს დედიმიც, თუ მას უწინდელივით რამეს შეჰკადრებ. პირადად მე კი ახლა მხოლოდ გულს ვიფხან. სამწუხაროდ, გული ბევრ განძეულთან ერთად ზოგ ნაგავსაც ინახავს.

— ახლა განიწმინდე გული?

— ახლა გულზე მომეშვა. არსებობს სასიამოვნო ტკივილიც — დუდკო რომ გამოგერწყვება ისეთი.

— გამოდის, რომ მთლად ძიძვილად არ წასულა ჩვენი საუბარი.

— აი, ამ საუბარს თვითველი ცალკე რომ გადავხარშავთ, დასკვნები მერე გავაკეთოთ.

— სად და როდის შეეხვდეთ ამისთვის?

— სადაც და როდისაც შენ გენებოს.

— მე, შეიძლება, შენთან კიდევ მოვიდე?

— რა საკითხავია!

ისინი უნივერსიტეტის ბაღში დემი-შვიდობნენ, სადამდეც სულმოუთქმელად იარეს.

ბაადურს ზარი ლექციაზე უხმობდა. ელდარსაც უნდა სამორიგეოდ ეჩქარნა. მათ ხელი პირველად რბილად ჩამოართვეს, ოღონდ შემდეგ თანდათან მაჯაში ძალა ჩაიყენეს და ტკივილისაგან ორივე მხრებში მოიწურა.

18.

ქუჩიდან ბაადურის სახლი მართლაც უფრო ერთსართულიანი იყო. სამაგიეროდ, რამდენადმე ჩავარდნილ ეზოდან სახლის ქვედა ნაწილიც, რომელსაც ჩასასვლელი კობები ჰქონდა, სიმაღლეში თითქმის სრულ სართულს უტოლდებოდა. ეზოს მხარეს სახლს ერთიანად შუშაბანდი ეფარა.

მეორე სართულზე ზუსტად ბაადურის ბინის ტოლსწორი ოთახები და შუშაბანდის განაკვეთი ეკავა ბესო-პაბად წოდებულ ჰარმაგ კალატოზ ბე-

ზიოზაი ველაშვილი
 დიუშაბავს მრავალი მხრი



სარიონს, მეუღლე სოფიოთი. მათ ვაჟი არ ყავდათ, ორივე ქალიშვილი კი დიდისნის გათხოვილი იყო, და ცოლ-ქმარი მარტო ცხოვრობდა. ისინი თავს გამოყრუებულად მიიხსენებდნენ ან არ იმჩნევდნენ. ყოველშემთხვევაში, შვილებს და შვილიშვილებს სახალსოდ არ ემდურდნენ იმაზე, რომ მათ ხშირი სტუმრობით არ ახარებდნენ. იქნებ არ ემდურდნენ გულშიც, იმდენად თავდავიწყებით უყვარდათ მთელი თავისი შთამომავლობა. თავის მხრივ შვილების ოჯახებს იშვიათად ევლინებოდნენ თვითონაც, ალბათ იმ კეთილგონიერული აზრით, რომ მათი სტუმრობა სიძველის თვალში არ გაუფასურებულყო. სამაგიეროდ, როცა ნავსს მაინც სტეხდნენ და ეზოდან მოსუტური ხელკავით გადიოდნენ, სახეზე ისეთი ბედნიერება და სიამაყე ეწერათ, რომ ამჟამად იგრძნობოდა, შვილების ოჯახებში გულითადი დახვედრა ელოდათ.

სხვა დღეებში, სამუშაოდან ბესარიონის დაბრუნების შემდეგ მოხუცები გვიანობამდე ფუსფუსებდნენ და თან განუწყვეტლივ ტკბილად ჭუჭუქებდნენ, ხანაც ორმაგი სათვალევით აღჭურვილი ვაზეთებს ძირისძირამდე კითხულობდნენ. მაგრამ სამუშაოდან დაბრუნებამდე ხომ ჯერ სამუშაოზე წასვლა იყო! ბესარიონი სახლიდან მუდამ ერთ დროს, დილაბინდზე გადიოდა და ყოველთვის სანიმუშოდ ფაქიზად ჩაცმული, კოხტა ბრეზენტის ტომარაკით ხელში, რომელშიც იარაღი და სოფიოს მიერ საგულისგულოდ შეფუთული საუბზე ელაგა. ბესო-პაპა ხატებრივ თავიანთს სცემდა თავის ხელობას და სამუშაოდ მიმავალი ასე უზადოდ იმიტომ გამოიყურებოდა.

მაშინ თბილისში ბევრი არაფერი შენდებოდა, მაგრამ თუ ჯერჯერობით მრავალნაცადი ოსტატის ქაფჩა ისევე ხდება, თვითონ ბესარიონი მაინც არ სცდებოდა. მის ხელებს რავინდარა არ ემარჯვებოდა და იგი ყველანაირ სამუშაოზე საქირთ კაცი იყო.

ბაადურისა და ბესო-პაპას ცალ-ცალკე კიბეები ჰქონდათ.

ორი ბინა იყო სახლის ქვედა სართულზეც.

ერთი ეჭირათ უშვილო ცოლ-ქმარ პაპიძეებს, რომლებმაც შვილი აიყვანეს უკვე ხნოვანებაში, როცა საკუთარის ყოლის იმედი საბოლოოდ გადაეწურათ.

უშვილობა ნუმც დაბედობდეთ კეთილ ადამიანებს! ოღონდ ტყვილი რთუშვია მეუღლეთა გაყრის ვამართლება იმ მიზეზით, რომ მათ შვილი არ ეყოლათ. ეს უფრო ის არის, რაზეც ამბობენ: მიზეზ-მიზეზ დოს მარული აკლიაო. შოთა და კატო პაპიძეები ძალიანაც განიცდიდნენ უშვილობას, მაგრამ ფიქრადაც არ გაუვლიათ ამ ნიადაგზე ერთმანეთი დაეთმოთ. ისინი ერთმანეთს მუდამ ზედ დაჰკანკალებდნენ, ხოლო როცა შეუღლებიდან მრავალი წლის შემდეგ თითისტოლა ციური იშვილეს, მას თავს შემოეფლნენ, ერთმანეთს კი მეტად შეხაროდნენ. შოთა ტრესტის ბუღალტერი იყო, მსახურობდა მბეჭდავ-მემანქანე კატოც. მათ მარტო შოთას ხელფასიც გასწვდებოდა, მაგრამ შოთა მეუღლეს სამსახურს იმიტომ არ უშლიდა, რომ კატო სახლში მთელი დღე უხმისგამცემოდ ცოცხა იქნებოდა. ბავშვის აყვანისთანავე კი კატომ სამსახურს თავი დაანება და ახლა ციურიზე ზრუნვალა ახსოვდა. ხოლო ბუნებით დინჯი შოთა ამიერიდან სახლში თავქუდმოგლეჯილი მორბოდა.

პაპიძეების გვერდით უიღბლო მარტოხელა ქალი ტასია ცხოვრობდა. ტასია უქმარშვილოდ დაბერდა და სრულიად უნათესაო იყო. თუმცა ის სულიერად გულნაკლულობით უფრო იყო დაბეჩავებული, ვიდრე ხანდაზმულობით ჯანგატეხილი. ტასია შრომისუნარ მოკლებული იყო და მის შემოსავალს პენსიასთან ერთად წარმოადგენდა ქირა, რასაც უხდიდნენ დიდ ოთახში სხვადასხვა დროს სწავლის მანძილზე მობინადრე სოფლიდან ჩამოსული სტუდენტები. ტასია მათ ზღვრულად

მცირე-თანას ახდევინებდა, რადგან სტუდენტთა ჩვეულებრივი ხელმოკლეობა მისთვის ცნობილი იყო. ამასთანავე მათ საუკეთესო დიასახლისობას უწევდა. მქირავებელნი მუდამ ორ-ორნი იყვნენ და, როგორც წესი — მეგობრებიც, ან — მარტო ვაყები, ანაც — ორივე ქალიშვილი. თავის მხრივ სტუდენტები ტასიას დედასავით ემადლიერებოდნენ, ხოლო როცა დრო უწევდათ, მას გულდაწყვეტილი ეთხოვებოდნენ. მაგრამ ზოგნი ხანგრძლივაც ატარებდნენ მისდამი პატივისცემას და ტასიას დროდადრო შემდეგაც მოველინებოდნენ ხოლმე უკვე სასიხარულო სტუმრებად.

ყოფილ მდგმურ ვაჟთა ერთ-ერთმა სტუმრობამ შეახვედრა ისინი ტასიას ჭერქვეშ თავიანთ ნადგომ ოთახშიმათს შემდგომ მათსავით წყვილად დამკვიდრებულ ქალიშვილებს და, თურმე ბედს ჩაეთქვა, რომ მათი ეს გაცნობა და სწრაფი შესმატებულება ლამაზად, ორი ახალი ახალგაზრდა ოჯახის შექმნით დაგვირგვინებულყო. ტასია კი, რომელსაც პირადმა ცხოვრებამ ვერ უმართლა, ახალგაზრდების გაბედნიერებამ, მის სახლში რომ ჩაისახა, სიცოცხლეში პირველად აღავსო მაღალი სიხარულით.

19

ამგვარად, ბევრი ხალხი არ ცხოვრობდა მარჯანიშვილის ქუჩის ამ პატარა სახლში და მუდამ სასიამოვნო მყუდროება იყო ეზოშიც. წერილად მოკირწყლულ, სანიმუშოდ დარაკრავებულ კონწია სწორკუთხოვან ეზოს ადამიანის თვალი მხოლოდ შუშაბანდებიდან მოიცავდა. დანარჩენ სამ მხარეს კი აღმართულიყო სხვა სახლების ყრუ კედლები, რომელთაც ჟამითჟამ მოყვანილუ ხვიარა მცენარეების ბაღე აჰყვროდა. სხვა თვალში მოსახვედრი მცენარე შუა ეზოზე დაბერებული, მაგრამ ჯერ ისევ საღი და ტანადითუთის ხე იყო. ეზოს შორეული კუთხეები კი დათმობილი ჰქონდა საბნისხელა და საბანივით ჭრელ ორ ყვავილნარს.

ეზოსა და ყვავილთა კვლებსაც მცხოვრები თანაბრად და ხალისით უვლიდა. გულმოდგინედ ირჯებოდა ბაადურიც, თუმცა დანარჩენ მეზობლებს თავის სირცხვილად მიაჩნდათ, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ, ასეთ საჩოთირო საქმეს მოჰკიდებოდა. მიუხედავად მეზობლების წინააღმდეგობისა, ბაადური, როცა კი დროს იპოვიდა, არც მიწის საჩიჩქნ ჩსირს თაყილობდა და არც მეზოვის ცოცხს და აქანდახს. ამგვარ შემთხვევაში მეზობლებიც ძლიერ მკაცრად აღარ უკრძალავდნენ ბაადურს ასეთ თავგამოდებას, რადგან თვითონ ეზოზე გამოფენის საბაბი ეძლეოდათ, რასაც თუთის ხის ქვეშ მოწყობილი ფიცრის მრგვალი მაგიდის გარშემო შემოსხლომა და ცხოველი საუბრები მოსდევდა. ასეთი საუბრები კი ნამდვილი გულის მოკვრება იყო თვითუელისათვის.

თუთის ქვეშ საუბრები არ მოიშალა მას შემდეგაც, რაც საეზოვო გარჯაში ბაადურს შეუვალი მოთხოვნით შეენაცვლა სამეურნეო საქმეებში კარგად გაათითნობიერებული ლეგა, რომელმაც სხეებზე უპრიანად მიიჩნია მის მაგიერ თავისთავზე აედო ეს შრომა. ასეთ დროს უკვე თვითონ ბაადურს ეძლეოდა საბაბი ეზოზე გამოჩენილიყო ლეგას ნაკეთების შესამოწმებლად. მის ფეხდაფეხ კი გარეთ ჩვეულებრივად გამოიშლებოდნენ ხოლმე ბესობა და სოფიო, შოთა და კატო პაპიძეები, ტასია.

უფროსები ჩვეულებრივ მუსაიდს გაბამდნენ ხოლმე, ხოლო ეზოსა და კვლებს მზრუნველად უვლიდა აღარც მარტო ლეგა, მას გაფაციცებით ეხმარებოდა მისი კბილა ციური პაპიძე. ლეგა გულს კიდევ არ უჩვენებდა ცქრილა გოგონას, მაგრამ ციური გულგაუტეხავად ცდილობდა მისი გულის მოგებას.

გიორგი ვაჟაშვილი
გვიწყარავს მრავალი ზიარი

უფროსები გულსყურით ისმენდნენ ბაადურის მსჯელობას ომის მიმდინარეობაზე, ლეგა და ციური კი კვლებში ჩაცუცქული მუშაობდნენ, როცა ეზოში თავადერილი შემოვიდა ელდარი.

პატარა ეზოში ყველაზე მეტი მომსვლელი ბაადურს ჰყავდა. ამის მიუხედავად, თუ უფრო სწორედ ამიტომ, მეზობლები სცნობდნენ მის თითქმის ყველა ნათესავს და მოკეთეს, ვისაც კი მათ ეზოში ფეხი დაედგა. ამათში არ შედიოდნენ ბაადურის დედა ქალბატონი ცაგო და დიი მაია, რომლებიც მრავალი წელი ამ ეზოში ცხოვრობდნენ და ერთგვარად ისევ ეზოს წევრებად ითვლებოდნენ, და არც მაიას ქმარ-შვილი, როგორც იგივე ეზოს აღზრდილის მეუღლე და ნაშიერნი.

თუმცა, მათზე გაცილებით ხშირად ბაადურთან მოდიოდნენ მეგობრები; ყველაზე მეტჯერ კი შემოიჭრებოდა ხოლმე ბედია, რომელიც ეზოში დიდხანია შინაური კაცი იყო. მოწაფეობის ბოლო წლებიდან მოყოლებული, როცა ბაადური და ბედია განუყრელად დამეგობრდნენ, თითქმის დღე არ ყოფილა, რომ ისინი სკოლის გარეთაც არ შეხვედრილიყვნენ. შეხვედრის ადგილად კი დაკანონდა ბაადურის მყუდრო ეზო, რომელიც ბედიას ძალიან მოსწონდა და უყვარდა. მათი სტუდენტობის პირველივე წლიდან კი, როცა თავათ უკვე ორი შვილის დედა, მაიამ, დედა თავისთან გადაიბირა, რადგან ქმრის სახლში დამხმარე არავინ ჰყავდა, ბედია სანახევროდ ბინადაც ბაადურთან იყო. ასე, იგი თითქმის ბაადურის თანაბრად იცნობდა მის მეზობლებს, რომელთაც ენაწყლიანი და გულღია ყმაწვილის ყოველ დანახვაზე სიამოვნებით სახე უბრწყინდებოდათ. ბედიასადმი ეს სიყვარული მომდინარეობდა, რა თქმა უნდა, ბაადურისა და მათი ფაქიზი მეგობრობის ღრმა პატივისცემიდან. ამას ახლდა ისიც, რომ მათ ისევე ყველაფერი ეცოდნენ ბედიანზე, როგორც ბაადურზე. კერძოდ ის,

რომ ბედია და ბაადური, მართლაც სკოლაში ერთ კლასში იყვნენ და უნივერსიტეტშიც ერთ კურსზე, ბედია მთელი წლით უმცროსი იყო ბაადურზე. რომ მამით ისიც ობოლი იყო, დედა კი მსახურობდა, და რადგან სახლში ბავშვის მიმხედველად არავინ ჰყავდა, მისი სკოლაში შეყვანა ეჩქარა. რომ დედამისი მასწავლებელი იყო, ასწავლიდა იგივე სკოლაში, სადაც თავისი ერთა მიაბარა, და სანამ ბედია პატარა იყო, დედა და შვილი სკოლაში ერთად მიდიოდნენ და ერთადვე ბრუნდებოდნენ. რომ ბედია ეს ერთხანია სწორედ დედის ხათრით აღარ რჩებოდა ღამით ბაადურთან. დედა ამას კი არ უშლიდა შვილს — იგი კმაყოფილი იყო ბედიასა და ბაადურის მეგობრობით — უბრალოდ ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა და სახლში მართო ცოდვა იყო.

მეზობლებს კარგად ახსოვდათ დიდიმიც, რომელიც ფრონტიდან დაზიანებული დაბრუნდა, და ბაადურის სხვა თანაკლასელი ბიჭებიც, რომლებთანაც ბაადური მეგობრობდა და რომლებიც ჯერ კიდევ ომობდნენ.

ისინი უკვე იცნობდნენ ახალგაზრდა მეზობლის სამ ახალ მეგობარსაც, რომლებიც მათი თვალის არეში პირველად გასული ზაფხულის არდადეგების შემდეგ გამოჩნდნენ, მაგრამ აბელი, ემზარი და ზურაბი ეზოს იმთავითვე ახლობლურად შეეწყვნენ.

მათთვის სრულიად უცხო იყო მსოფლოდ ელდარი, რომელსაც პირველად ხედავდნენ.

მეზობლებს ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ გულში თვითუფლს ეწყინა, რომ ჩაცმულობით და საერთო შესახედაობით საკმაოდ შნოიანმა და ამავე დროს ალბათ განათლებულმა ახალგაზრდა კაცმა უფროს ადამიანებს სალაში არ მისცა, ხოლო ბაადური მათ უბოღინოდ მოსტაცა და მას თავი სახლში შეაყვანინა.

თანაც, მეზობლებმა იგრძნეს, რომ სტუდენტთა მოყვარე ბაადურს ეს სტუდენ-



რო დიდად არ ესიამოვნა. ამაში მით უფრო დარწმუნდნენ, რომ დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სახლიდან ორივე სახელაღწილი გამოვიდა და ერთმანეთს თითქმის უბრაოდ დაემშვიდობა.

21.

ეს ძალათმაცხონე სტუმარი ჯერ ქუჩაში გასულიც არ ეგონათ, როცა ეზოში თავისებურად ლაღად შემოვიდა ბეღია.

ბაღური უკვე ისევ თავის ადგილზე იჯდა მეზობლების წრეში და სულმოუთქმელად თამბაქოს ეწეოდა. ასეთი გაცხარებული ქაჩვა ადამიანის შინაგან ქოთქოთს მოასწავებდა და ამიტომ თანამგრძნობად გატრუნული იყვნენ მეზობლები. ბედიამ კი ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია და ხელათ და ძალდაუტანებლივ სული ჩაუდგა საერთო ცხოველ საუბარს. ბედიას მეოხებით ის მოხდა, რომ როდესაც კარგად მოსაღამოვდა და მეზობლები აიშალნენ, ბაღური უკვე შესამჩნევად დამცხრალი იყო.

— რა უნდოდა შენს ძმაცას? — მაშინდა სულსწრაფად მოიძია ბედიამ. — ბაღური მიხვდა, რომ ელდარი და ბეღია ერთმანეთს საღღაც ჭიშკართან შესჩხებებიყვნენ, როდესაც ერთი გარეთ გადიოდა, ხოლო მეორე ეზოში შემოდიოდა. სალაპარაკოდ კი არ შეჩერდნენ, რადგან როგორც კი ჭიშკარას ვიწრობში თვალს მიეფარა ელდარი, მაშინვე გამოჩნდა ბეღია. ბაღურს არ ესიამოვნა ბედიამ რომ ელდარი ძმაცად უხსენა. ეს ელდარის გაჭირდება უფრო იყო, მაგრამ მკვახედ ითქვა და ბაღურისთვის წაყენებულ ბრალდებასავით გაისმა.

ბაღურმა სცადა არ შეემჩნია წყენა, მაგრამ ბედიას არ გამოეპარა, როგორ შეიკცა მან ქვედა ტუჩი კბილებით, რაც ბოღმის ამოღერას ჰგუდავდა.

— რა ამბავიო, რა უნდოდა? — უკვე რბილად შეასხვავებრა ბედიამ.

თუთის ქვეშ, სადაც მთვარის მქრქალი შუქი ატანდა, ისინი მარტოლა იყ-

ვნენ, მაგრამ შორიასლო რაღაცა დევ ფუსფუსებდა ლეგა და ბაღურმა ის სახლში გაგზავნა.

— აი, შენ რომ გამჭირიახი და გამჭკრეტი ხარ, შენც კი ვერ გამოიცნობ ისეთი სიგიჟე შემომთავაზა.

— ჩემი გამჭირიახობა ნამდვილად ცნობილია, მაგრამ ახლა ისეთი ცნობისმოყვარეობა მახრჩობს, რომ ამოცანებზე თავის მტკრევა არ შემიძლია.

— სამაგიეროდ, მე პირში ენის მობრუნება მიჭირს. ერთი სიტყვით, ჯერ ეგრეთწოდებული საყველბურო ლაპარაკი წამომიწყო და დაშაქრული სიტყვებით ლამის სულში ჩამიძვრა.

— მოდი, მე იმის ყელსზევით ნაყბედის მოსმენით ნუ გამბერავ. მთავარი რა იყო?

— შემდეგ გადავიდა მთავარზე. უცებ მომახალა, რომ ხელმოკლეობის მიზეზით ლეგა დროებით მისთვის დამეთმო. იმის გათვალისწინებითაც, რომ მისი სახლიდან ლეგა სკოლასთან უფრო ახლო იქნებოდა და სამეცადინო დრო დაეზოგებოდა. ეს პირველი შეხედვით კეთილშობილებას ჰგავს. მაგრამ თავიდათავი თურმე სხვა ყოფილა და ელდარმა, შენ წარმოიდგინე, ესეც არ დამიმალა. უკვე გითხარი, ლეგას მხოლოდ დროებით მთხოვდა, ანუ ზუსტად იმდენი ხნით, რამდენიც ეყოფოდა რომ საზოგადოებაში ქველმოქმედათ ეცნოთ. შემდეგ კი, როგორც ნათხოვარ ნივთს ლეგას ისევ მე გადმომილოცავდა. არჩევანი ლეგაზე იმიტომ შეუჩერებია, რომ ლეგას უკვე იცნობს, როგორც წესიერ ბიჭს და თავში საცემი არაფერი ექნებოდა. მაშინ როცა თუ აიყვანდა სხვა ობოლს, ის, ვან იცის, როგორი გამოადგებოდა! თანაც, მისი თავიდან მოშორებაც გაუძნელდებოდა. ეს ყველაფერი თვითონ ურცხვად გადამიშალა. დანარჩენს მე მივხვდი. ამ ხრიკით ელდარი ხალხში მე სახელს გამიტეხდა. თითქოსდა, რაც ლე-

ბიოგრაფი ბელაშვილი
დაწვრილხანს მრავალი მერი



გას ბედს შევახე, ყველაფერი ქველმოქმედების გათამაშება იყო. ანუ, მე დამაბრალებდა იმას, რაც გულში თვითონ ჰქონდა.

მთელი ამბის თხრობისას ბააღურს ხმა პლატობდა. ბედიას კი ჯავრისაგან ენა დიდხანს დაეხა. ეს დაემართა იმ ბედია კობიძეს, ვისაც სიტყვის ქუნა არასდროს სჭირდებოდა.

— ელდარი უფრო საშიში აღამიანი ყოფილა, ვიდრე მე მეგონა, — გაცეცხლდა ბოლოს ბედიას, — საკადრისი პასუხი ხომ მაინც გაეცი? — პასუხი რა თქმა უნდა მიიღო. მაგრამ ყველაზე საკადრისი პასუხიც კი ვერ დააწყნარებს კაცს, როცა გულის ძირამდე შეურაცხყოფილი ხარ, როგორც მე ვარ. აბეზარი ექვიც ამეკვიატა. ვაი თუ ელდარმა ლეგა შეიჩვიოს. რაც არ უნდა იყოს, ყოველდღე ხედება სკოლაში. უფროსისთვის კი, ისიც მასწავლებლისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომია ბავშვის გულის მოგება.

ბააღურის ყოველად უსაფუძვლო, თითქმის თითებიდან გამოწოვილი შიში ბედიას სიცილადაც არ ეყო.

- შენ ჩემზეც ხომ არ ხარ ნაწყენი?
- უცებ შეცვალა მან საუბარი.
- განა შენც რამეს მედაგები? — შეკითხვითვე უპასუხა ბააღურმა.
- არ იცი, რას ვგულისხმობ?
- მგონი ვხედები.

ბედიას მთელი კვირა იყო არ გამოჩენილიყო ბააღურთან და ძვირი სანახავი გახდა უნივერსიტეტშიც. ბააღური გრძნობდა, რომ ბედიას ასეთ გაგარეულებას პირდაპირი კავშირი ჰქონდა იდუმალში მოპოებულ ჩუმ და მოკრძალებულ ნანისთან. ნანი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. სამედიცინო ინსტიტუტის განყოფილებები კი მთელ ქალაქში იყო გაფანტული. ამიტომ მომავალი მედიკოსები ერთთავად გაწამაწამაში იყვნენ და ბედიასაც დიდი აღლო და სიპარჯვე სჭირდებოდა, რომ ნანის გზაკვალი მუდამ სციოდნოდა და კიდევ მოეხელთებინა ხოლმე. ამ მხრივ

ბედიას ალბათ ერთ-ერთი დამატებითი გასული კვირა ჰქონდა.

— მიწყრები? — თავი მოისაწყლა ბედიამ. — შენ თუ მეტყვი, ნანის თავს დავანებებ.

— აღარ მოგწონს? რომ ირწმუნებოდი ნანის თვალზეს ქვეყნის კიდემდე ვაყვებოდი?

- იგივე რწმენაზე ვარ ახლაც.
- მაშ ეგ ფიქრი რატომ მოგსვლია?
- შენ რომ გულიდან არ ამომიგდო.
- რატომ უნდა ამოგიგდო?

— იქნებ არც ამომიგდო. მაგრამ ნანის გამო რომ შენთან ხშირად ველარ ვიყო ხოლმე, ვაი თუ თანდათან უჩემობა აღარაფრად ჩაავდო.

— შენც საქმე ისე დააყენე, რომ ნანის სამუდამოდ არ ჩამოგაშოროს მეგობრებს.

— ჩემი მომავალი მეუღლე ჩემი მეგობრებისადმი კეთილგანწყობილი უკვე ამთავითვე არის. განსაკუთრებით შენს მიმართ. ნანი შენ ჯერ კიდევ იდუმალში მოხიბლვ კეთილშობილებით.

— ნანის ჩემზე მეტად მაღალი შეხედულება ჰქონია!

ბააღურს ისევ შეუტრეპული სახე ჰქონდა და ბედიას გრძნობდა, რომ მას ლევას გაორების ეჭვი კიდევ გულს უჩხანინდა.

- ამოიგდე თავიდან ეგ სისულელე, ბააღურ.
- რაზე შეუბნევი?
- კარვად იცი, რაზეც.

ბედიამ უცებ მოიანგარიშა, რომ საუბარში გვარიანად დაპლამებოდათ და სწრაფად წამოგდა.

ჯერ ისევ ძალაში იყო ომის დაწყებამდე შექმნილბევასთან ერთად შემოღებული მოქალაქეთა გარეთ გვიანობამდე ყოფნის შეხლუღვა.

ის, რომ ბედიამ სასაცილოდ ჩათვალა ბააღურის შიში თითქოსდა ლეგა ელდარის გავლენის ქვეშ მოექცეოდა, ეჭვს

მინც არ ფანტავდა. ეჭვი გამონაკლისი იყო იმ სახით, რომ უწლოვანი ბიჭი შეიძლება დახარბებულიყო ცხოვრების უკეთეს პირობებს, რასაც მას ელდარი ლამაზ ფერებში დაუხატავდა. ეტყობა, ეს ფიქრი ჩაეჭვდა ბედიასაც. ამას ის მოწმობდა, რომ ბაადურთან საუბრის დასასრულს მან გაიხსენა საუბრის დასაწყისი, ასეთი აუცილებლობა კი თითქმის აღარ იყო. როცა კაცი ერთი საგნიდან საუბარს მეორე საგანზე გადაიყვანს, მაგრამ შემდეგ თვითონვე ისევ პირველს დაუბრუნდება, სჩანს იმის ირგვლივ არხენი არ არის.

ბაადურს ეს ციდან დატყვილი ეჭვი ერთი პირობა უფრო გაუღრმავდა ბედიას წასვლის შემდეგ, როცა შინ შევიდა და ტანთვაუხდელი ლეგა ლოგინზე პირქვე დამხობილი დახვდა.

— ლეგა!

ლეგა შეკრთა და ლოგინზე ცრემლების მშრალეებით წამოჩადა.

— ძია ბედიამ ამ საღამოს ზედაც არ შემომხვდა, ძია ბაადურ...

ბაადურს ეგონა, რომ ლეგა უკვე იყო გაბლანდული ელდარის მიერ დაგებულ ქსელში და სულ სხვა რამ რომ გაიგო, გულიდან მოეშვა. მაგრამ ამიერიდან აი, სულ ასეთ სულის კანკალში იქნებოდა ბაადური, როცა კი ლეგას სახე არ მოეწონებოდა, მით უფრო თუ ბაადურისაგან მიღებული სუსხის მიუხედავად, ელდარი თავის უკეთურ განზრახვას არ გადაიფიქრებდა.

საბედნიეროდ, რის გამოც ახლა იყო ლეგა დამდურებული, იმას საერთო არაფერი ჰქონდა ბაადურის ჩუმ შიშთან, და ბიქს გულის გაკეთება სჭირდებოდა.

— მე თქვენი ვერაფერი გავიგე! შენ ბედიას ემდური, ბედია კი გემდურის შენ. რომელი ხართ მართალი?

— ძია ბედია მე გემდურის? რაზე, ძია ბაადურ?

— გემდურის იმაზე, რაზეც შენ ემდური მას. ბედია წუხდა, ნეტავი ლეგას რა ვაწყენიე, რომ ამ საღამოს ერთხელაც არ შემომხვდაო. მაგრამ, ეს არა-

ფერი. გაუგებრობას შემდეგ შეხვედრის შემდეგ ზე თვითონ გაარკვევთ. მთავარი ის არის, რომ თქვენ ორივეს ერთმანეთი თანაბრად გყვარებიათ.

ლეგა უცებ დამშვიდდა, ხელათაც გაშინშელდა და სიამოვნებით შეძვრა ლოგინში.

ბაადური კი დიდ ოთახში გავიდა და სიბნელეში დიდხანს დაფიქრებული იდგა ფანჯარასთან. ბაადურმა ლეგას წინაშე ბედია ხელდახელ მოგონილი, მაგრამ სავსებით დამაჯერებელი ტყუილი გაამართლა. ბედიას ძალიანაც ეგუნებებოდა თვისებურად თბილად შეხუმრებოდა ლეგას, მაგრამ ბაადურისგან ეკრძალებოდა ბიქსის მიმართ გრძნობების მოზღვავება. ბაადურმა ის დროულად გააფრთხილა.

— დიდი ყურადღება ლეგას განცდებს გაუმძაფრებს. საერთოდ, მეტისმეტი ყურადღება ხშირად საწყუხარს უფრო უღრმავებს ადამიანს, განსაკუთრებით ნორჩს, ვიდრე უნელებს. ამიტომ, თავი ისე დაიჭირე, თითქოს ვეღარც ამჩნევ მის დარღს. ეგვე უკვე ვთხოვე ჩვენს სხვა ბიჭებსაც.

ბედიამ ნაღვლიანი ღიმილით დაუჯერა.

მაგრამ მათი შეთანხმება ცნობილი არ იყო ლეგასთვის და მისდამი ბაადურის პირველი მეგობრის ბოლოდროინდელი ნაძალადევი გულგრილობა ბიქს თურმე ახალ დარდად გადაქცევიყო. ყველაფერი იმას უკარნახებდა, რომ აუცილებელი იყო ლეგას გულჩახვეულობისგან განკურვნა, რასაც ხელს შეუწყობდა მისი ნაცნობობის არის გაფართოვებაც.

23.

ლეგას გულჩახვეულობილიდან გამოსაყვანად სასიამოვნო გამოდგა ბაადურთან მისი ყველა შინაურის ერთად სტუმრობა.

კალენდრით უკვე ზამთარი იყო, მაგრამ არ ზამთრობდა. ამიტომ ბაადურ-

გიორგი ბაღაშვილი
გამომცემი

რის დედა, დი და ბავშვები (ნათელა წლისა იყო, მამის მოსახლე ავთო კი ოთხისა და ჯერ სკოლაში არ დადიოდნენ) მთელი ზაფხული და შემოდგომაც დარჩენილიყვნენ სოფელში გულითად ნათესავთან და თბილისში ზამთრის დამდეგთან დაბრუნდნენ.

თბილისში ჩამოსვლისთანავე გადაუღებლივ ბაადურთან სტუმრად წამოსულ სიდედრსა და ცოლშვილს კი თან ეახლა სიძეც. ავთანდილ დარცემელია სანიმუშოდ თავაზიანი, ოცდათხუთმეტ წელს გადაბიჯებული, სადა გარეგნობის ადამიანი და ნიჭიერი ინჟინერი, იმთავითვე კარგად შეწყობილი იყო ცოლისძმას, მაგრამ ხშირად ვერ ხვდებოდა. იგი ქარხანაში ურთულეს საამქროს განაგებდა და სხვა გარესამყაროს თითქმის მოწყვეტილი იყო. ახლა მას გამოჩაქლესა შემთხვევა — ორი თავისუფალი საათი მისცემოდა.

თვეობით უნახავ ბაადურთან შეხვედრის გარდა, ყველა დასშურებოდა ლევას გაცნობასაც, რომლის შესახებ უკვე იცოდნენ.

ლევა მათ საბრალოდ მობუზული წარუდგა. მაგრამ უფროსმა სტუმრებმა მას შინაურულად გაუღიმეს, თავმოვლილობა და ზრდილობა შეუქქეს, სევდანარკვი კეთილი სიტყვით გული გაუთბეს. პატარები კი ხელათ დაუმეგობრდნენ კიდევ და ლევა მებოჭილობიდან გამოვიდა.

— დიდებული ბიჭი მოგიყვანია ჩვენდა ვასახარად, ნათელასა და ავთოს უფროს ძმად. — ლევას მოკლე ქოჩორზე ხელი გადაუსვა და ვაქიშვილს მიმართა ქალბატონმა ცაგომ. — სასიამოვნო ისიც არის, რომ შენი ბავშვების საწოლი და საწერი მაგიდა აღარ ცდება. ახლა ტანსაცმელზეც ვიზრუნოთ.

— აქვს, დედი, ლევას ჯერჯერობით სამყოფი ტანსაცმელი. — აცნობა მას ბაადურმა. — საგარეო კი შეკრავმა შეუთქვრა.

— მეკრავი აღარ გამაგონო! — ხელები გაასავსავა დედამ — მეკრავებს დალაქებისა არ იყოს, დიდათ არ ეხა-

ლისებათ ბავშვების მომსახურებამ. შეკრავებს რიგიანად არც გამოუღიბთ ბავშვის ტანსაცმელი. ლევას მე შეემოსავ. შენს პატარაობის ტანსაცმელს გადავუკეთებ. ლევამ ეს, მგონი, არ უნდა ითაკილოს. პირიქით, უმცროს ძმათა ნატვრათ, რომ უფროს ძმათა ნაქონი თავის ტანზე იხილოს და იამაყოს. შენი დისშვილები კი უკვე ისე გამკონე ვახდნენ, რომ როცა მე ორიოდ დღე ლევას საკვრავს ჩავეუჯდები, ისინი სახლში თვინიერების განსახიერება იქნებიან. ხომ, მათა, ხომ, ავთანდილ?

ქალიშვილმა და სიძემ ქალბატონ ცაგოს გულმოდგინედ თავის დაქნევით დაუდასტურეს ვარაუდი. მათ კი, ვისაც ბებია და მშობლები თავებდად უდგებოდნენ — ნათელამ და ავთომ, გულიანად გადააკისკისეს.

ბავშვების თვალთმაქცობამ სიცილი მოგვარა უფროსებსაც, მაგრამ ქალბატონმა ცაგომ უცებ კედელზე რაღაც მოისაკლისა, წარბები შეკრა და ბაადურს გაოცებით შეხედა.

— სოსოს სურათი რა იქნა? ბაადურმა შეკითხვას წაუყრუა. ავთანდილს თამბაქო და ქალაღლი გამოართვა და ერთი გახვევა პაპიროსის კეთებას დიდი დრო მოანდომა. ომმა კი უცებ გახვევაში დაახლოვნა.

— სოსოს სურათი მე ჩამოვხსენი და შევინახე, დედი. — როდესაც ნათელამ და ავთომ ლევა მისი ოთახის დასათვალიერებლად გაიტაცეს და უფროსები მარტო დარჩნენ, მაშინ უპასუხა ბაადურმა. — სურათზე სოსო სამხედრო ტანსაცმელშია. მისი მალიმალ დანახვა კი ლევას ყოველწუთს ომში დაღუპულ ძმას მოაგონებდა და თავს ერთავად მწუხარების წინაშე აგრძნობინებდა.

საქმე იმაშიც არის, რომ ტოლები ყოფილან და საოცრად გვანან სურათებში შაქრია და სოსო ერთმანეთს. ორივე ამაყი, ბრგე, თანაც ერთნაირად მშვიდი და კეთილი ღიმილით აღბეჭდილნი. სოფელში, მორბედაძეების სახლში ფრონტიდან გამოგზავნილ შაქრიას სურათის პირველად რომ შევხედე, უცებ დავიბე-

ნი, სოსო მოლოდინის გამოსახლება აქ
რა გზით გაჩნდა-მეთქი. რატომღაც არ
მიტყეამს ეს არც საწყალ მართანთვის,
არც ლეგასთვის, არც სოფელში ორ-
დღიანი შვებულებით ჩამოსული დათა-
სთვის. ის კია, იშვიათი სათნო გულის
ადამიანებად ხომ ვიცანი ყველა ესენი
და ამ მსგავსებამ კიდევ მეტად შემა-
ყვარა მათა ოჯახი.

— მაღლია ღმერთს, ფრონტზე უკ-
ვე სულ წინ მიდიან ჩვენები, — საერ-
თო სევედის გასაქარებლად, რამაც მო-
იკვა ოთხივე ომიანობის სიმკაცრის
წარმოდგენაზე, ომის საიმედო სინამ-
დვილე აღნიშნა დედამ.

ბაადურს კარადაში ნიგოზი და პური
ეგულებოდა. შეეძლო მოეტანა სუფე-
რაზე უშაქრო ჩაიცი, თვითონ სტუმრებს
კი მისთვის მოერთმიათ სოფლიდან ჩა-
მოტანილი ჩირი და ტკბილი ტყუაპი,
რომელიც შაქრის მაგივრობას გასწევ-
და. მაგრამ სტუმრებმა ვახშმად არ მოი-
ცადეს. გარეთ ზამთრის მოკლე დღე
სწრაფად ილეოდა. ავთანდილს ქარხა-
ნაში ექპარებოდა. ჯერ კი, ჩაბნელებუ-
ლი ქუჩებით ცოლშვილისა და სადედ-
რის სახლში მიყვანა უნდა მოესწრო.

ისინი საკმაოდ შორს, ღრმა ღელეში
ცხოვრობდნენ.

სიშორის მიუხედავად, საოცრად
მარჯვე და მოყვარულმა ქალბატონმა
ცაგომ ხან ისევ თვითონ მოაკითხა ლე-
გას, ხანაც თავისთან სიძის სახლში ის-
ტუმრა. რამდენიმე ხელი ტანსაცმელი
გაუწყო და შვილიშვილებსაც აძმო.

24.

ქალბატონი ცაგო, როდესაც ბეჯი-
თად აღნიშნავდა საბჭოთა ჯარების
ძლევამოსილ წინსვლას, ისევე როგორც
ყველა მოქალაქე, ემყარებოდა იმ სრულ
პეშმარტებას, რომელიც ნანატრი სი-
ხარულით გულაძგერებული ადამიანე-
ბისათვის ყოველდღე მოჰქონდა რადი-
ოსა და გაზეთებს.

მაგრამ როდესაც სამშობლო ჯერ ძა-
ნიც ისევ ომის ქარცეცხლით სუნთქაე-
და, ფიქრი საერთოდ ბრძოლათა ვითა-

რებისა, პირადად კი მოქმედ არ
მყოფ ახლობელთა ირგვლივ კვლავ
წუთითაც არ ეხსნებოდა შინდარჩე-
ნილთ. უფრო კი ის აღლევებდათ, რომ
ბედს ამ შვების დღეების მოახლოების
ჟამს არ გაეწირა მათიანები. ფიქრი
მათზე, ვინც მეგობრად და ალხობლად
ეგულა, არ ასვენებდა ბაადურსაც.

მაგრამ ფიქრი მაინც მხოლოდ ფიქ-
რია. ბაადურმა კი თავიდანვე ვალდ
იღვა შეძლებისდაგვარად ყოველივე
სცოდნოდა ომიანობით დაქსაქსულ ამ-
ხანაგებზე. მან ბევრთან კიდევ დაამყა-
რა მიმოწერა და თვითელზე თითქმის
იმდენივე იცოდა, რამდენიც მათმა
მშობლებმა და დამამ. სოჯკერ კი
იცოდა მეტიც. რადგან ცნობილია, რომ
ახალგაზრდები, რომელითაც ეზო, სკო-
ლა და ქუჩა აკავშირებთ სულიერად,
ერთმანეთს უფრო უზიარებენ ფიქრებს,
ვიდრე თავის შინაურებს. განსაკუთრე-
ბული ყურადღება ბაადურს ბედისთან
ერთად უშუალოდ ფრონტზე მყოფი
ამხანაგებისკენ ჰქონდა. ბაადურმა ყვე-
ლა ამათი სახლი იცოდა და როცა რო-
მელიმესგან წერილები წყდებოდა, ამ-
ბავს მათ ოჯახებში კითხულობდა. ომ-
ში მყოფ თანაკლასელთაგან ყველაზე
მეტად გულდია და ალალი სოსო მო-
ლოდინის ოჯახში უჭირდა მისვლა.

მოლოდინების თავზე საშინელება
უკვე დატრიალდა. სამთაგან ორი ძმა,
სოსოზე უფროსები, შარშანწინ და შარ-
შან ფრონტზე გპირთა სიკვდილით და-
ეცნენ. შინ კი აღუწერელმა მწუხარე-
ბამ ცხოვრებიდან თითქმის გამოთიშა
მოხუცი დედა და სამი ძმის ერთადერ-
თი და, შვილთა შორის ბოლოსწინა,
სოსოზე ორი წლით უფროსი.

ძმამე დარდს შეებოჷა ფრონტზე სო-
სოც, მოლოდინების ოჯახის უკანასკნე-
ლი მეომარი, მაგრამ ის მაინც მზნე-
ობდა. ბაადურისათვის გამოგზავნილ
მის მოკლე წერილებში კვნესა და გო-
დება არ იყო. ოღონდ ძმების დაღუ-
პეამდე მოწერილ ბარათებში თბილი-

გიორგი ბელაშვილი
განიზარავს მრავალი ზიანი



სურ ნეტარ მოგონებებთან ერთად იყო ნაკვესებიც, პატარ-პატარა საკუთარი ლექსებიც, სახუმარო მინახატებიც. ბოლოდროინდელში კი ყველაფერი ეს ნაჩქარევმა ძუნწმა სტრიქონებმა შეცვალა. უკვე იშვიათადაც იწერებოდა, სახლში კი — კიდევ უფრო ზუსტივ. ეტყობა, თავადაც გულჯავრიანი და მწუხარე, საშინელი სვედრით მიმხდარი დედისა და დის სანუგეშებელ სიტყვებს ველარ პოულობდა.

დიდუმილიდან დაბრუნებულ ბაადურს სახლში სოსოს წერილი არ დახვდა, გავიდა კი თითქმის ექვსი თვე, რაც მისგან არაფერი ისმოდა. ბაადურმა კიდევ ორი თვე იცადა, სანამ ქალაქში ლეგაც გააჩვია, მაგრამ კვლავ ამოდ. ოღონდ ლეგა არც ისე ფართოდ გაცენო თბილისს, რომ მისი ყოველი უბანი სცოდნოდა.

ბაადურმა ლეგას ხელი ჩასკიდა და დიდუბეში პირველად გაატარა.

დიდუბეში იყო სოსოს კუთხის სახლი.

ბაადურმა ლეგა გარეთ დატოვა და სახლში მარტო შევიდა.

25.

ნახევრადბნელ უღიმღამო ოთახში ცარიელ მაგიდასთან ერთმანეთის პირდაპირ გაქვევებული ისხდნენ სოსოს დედა და და, და არაფერს მოქმედებდნენ. ისინი არც ბაადურის გამოჩენაზე გამოცოცხლდნენ, შვილისა და ძმის მგობარს მხოლოდ ნაუცბათევად, უაზროდ შეაცეცდნენ და თავისთვის ჩუმად ჩაიღველდნენ.

ბაადურისთვის მათ სიტყვა არ აღმოაჩნდათ და ის გულდამძიმებული გაუდა ქუჩაში.

მანამდე მას განზრახული ჰქონდა აღრინდელივით ჩამოველო ფრონტზე მყოფი დანარჩენი თანაკლასელების სახლებიც, მაგრამ სხვაგანაც ასეთივე სევდიანი დახვედრის შიშით აღარ წავიდა.

ქალაქში უწინდელი ხალისი და ცოცხალი ფუსფუსი დიდხანია არსად

იგრძნობოდა. ამას კიდევ შეეჩვეოდა მისი.

მაგრამ ბაადურს განსაკუთრებით ნაღვლიანი მაინც სოსო მოლოდინის მოკლე და წყნარი დიდუბის ქუჩა ეჩვენა. ქუჩა იმიტომაც იყო წყნარი, რომ ნაწილობრივ ჩიხს წარმოადგენდა და ტრანსპორტი მასზე ნაკლებად ხვედებოდა. თანაც, ქუჩის ბოლოში იყო დიდუბის ცნობილი პანთეონი, რომლისადმი კრძალვა ახლომცხოვრებთაგან ზედმეტ ხმაურს თავისთავად გამორიცხავდა. ისე კი, დიდუბელებმა იცოდნენ ჯგუფებად თავშეყრა, გულითადი საუბარი, გარეთ ჰადრების ქვეშ ნარდისა და ჰადრაკის გამოლა. პატარა ქუჩაზე თითქმის ყველა საღმთო იცნობდა ერთმანეთს. ახალგაზრდები კი ძმურადაც მეგობრობდნენ და ყველაფერში ერთმანეთის გამტანნი და ქომავნი იყვნენ. თანაქუჩელ ბიჭებში სოსო ახოვანი ტანითა და სანდომიანი ღიმილით გამოირჩეოდა. ეს ღიმილი მისდამი უცნობთაც პირველადვე ნდობით განაწყობდა. სოსო მართლაც მეტად კეთილი გულის ჰაბუკი იყო. ზოლო, თუ მას ახირებული მორიდებულობის გამო არ შეეძლო სხვასავეთ ოხუნჯობა, მოუქნელობის გამო კი — ფეხბურთში თუ ლახტში თავის გამოჩენა, თანატოლები მას მარტო ამ ღირსებისთვისაც აღმერთებდნენ.

სოსოსთან ერთად ის მისი თანატოლებიც იმდენივე ხანია აღარ სჩანდნენ საყვარელ ქუჩაზე და მუშტაიდიდან პანთეონამდე დიდუბის ეს წყნარი ნაწილიც — ომისგან გაბნეული ბიჭების მთავარი სარბიელი, თითქოს მათზე სევდიან ფიქრს მოეცვა.

ბაადურს ლეგა ქუჩაში კედელზე მიყრდნობილი ელოდა. ბიჭს ბაადურის დანახვისთანავე თვალში ეცა მისი მოწყენილი სახე და დადვრემილობის მიზეზის გაუგებლადაც, მასაც ნაღველი მოერია.

ისინი უკანაც ხელჩაკიდებულნი ვაბრუნდნენ.

ბაადურს თავიდან ისიც ჰქონდა გუ-

წმბაში, რომ სოსოს ამბის გაგების შემდეგ ლევანთვის თავისი საყვარელი სხვა ქუჩებშიც გაეცნო. მაგრამ სანუგეშო რომ ვერაფერი შეიტყო, ხალისი დაეკარგა: ლევა ისევ პირდაპირ სახლსაკენ წაიყვანა. ბაადური კრიჭაშვიკი მიიბიჯებდა და გალურსული იყო ლევან: ლევანს გამალებული ცანცალი სჭირდებოდა, რომ ბაადურის განიერი ნაბიჯებისთვის ფეხი შეეწყო.

26.

ადამიანები გამარჯვების გზებზეც ბევრი იღუპება.

ვერაგი მტრის აღსასრულის მოახლოება დღითიდღე ნათელი ხდებოდა, მაგრამ ომს კიდევ ეწირებოდნენ საბჭოთა მეთომრებიც.

თურმე ამოღა იყო სოსოს წვრილების იმედი. ხოლო ცნობა მისი, მრავალგზის დაჭრილი და დაჯილდოებული მამაცი ლეიტენანტის გმირულად დაღუპვის შესახებ, მიიღო არა მისმა ოჯახმა, არამედ ბაადურ ამირიქემ. ბაადურმა, მიიღო იმითომ, რომ უბის წიგნაკში სოსოს სწერებოდა მხოლოდ მეგობრის მისამართი.

ბაადურს პირველად ცრემლი არ გადმოუვარდა, მუხლი არ წაეკვეთა, ოღონდ სახეზე მიწისფერი დაედო, და ლევანამ, რომელიც მას აღელვებულა შესჩერებოდა, იგრძნო, რომ შუშაბანდის კარის ძირიდან უხილავი ხელით შემოცურებულმა ნაბეჭდმა ბარათმა შემზარავი ამბავი მოიტანა. ისეთივე, როგორც იღუმალში დედამისს მოურბენინა სამხედრო კომისარიატის მორიგე შეკრებამ, ნომარმა და ნახევრად ჭკუიდან გადასულმა ხნიერმა კაცმა.

ბაადური სკამზე მიიმედ დაეშვა და გარინდა. მას თვალი პირდაპირ კედელზე მიეყინა და რინდი გაუხანგრძლივდა. ბოლოს მან საწერი მაგიდის შუა უჯრა ნელა გამოშალა და ლევანამ პირველად დაინახა ბაადურის სათაყვანებელი მეგობრის, აწ უკვე დაღუპული სოსო მოლოდინის სურათი, რომელშიც საკუთარი ძმა, შაქრია ეცნაუ-

რა და ბიჭი ჩუმად აქვითინდა. ბაადურსაც მოერია ცრემლი.

უახლოესი მეგობრის დაკარგვა პირველი ასეთი თავზარდამცემი დარტყმა იყო ბაადურის ცხოვრებაში. ოღონდ, მიიმე მწუხარებისაგან გაოგნებული, იმას მაინც ერთგვარ ბედის მოწყალეზად მიიჩნევდა, რომ ცნობა მიიღო მან და არა დაღუპულის დედამ და დამ. დედას და დას ისიც აღარ მოუვიდოდათ, მაგრამ მათ სინამდვილე არ ეცოდინებოდათ და მისი ოდესმე გამოჩენის იმედით კიდევ ისულდგმულბდნენ.

შემდეგ სხვადასხვა დროს ცნობილი გახდა, რომ ზოგი ადრე, ზოგიც გვიან, ომს შესწიროდა ბაადურის კიდევ ოთხი თანაკლასელი ვაჟი — მხატვრული სტევენის ოსტატი და ყველა საკრავის საიდუმლოს გამხსნელი კოტე კილაძე, თავგამოდებული ფეხბურთელი ვანო ჭელიძე, მრავალმხრივი კოლექციონერი და მხატვარი ლევან თერიშვილი, ნიკიერი დამწყები პოეტი თენგიზ ბიბილეიშვილი. ასე რომ, სოსოსთან ერთად, ფრონტზე წასული რვა ჰაბუკიდან, ხუთი მარტო ერთი საშუალო სკოლის ერთი კლასის აღზრდილი.

კლასში კი სულ თერთმეტი ბიჭი იყო. ცოცხალი კი, მწყობრიდან ადრე გამოსული დიდიმის გარდა, უკვე ომის შემდეგ, გამოჩნდა მხოლოდ ორილა. ერთი, სულგაშლილი და თავმოწონე, ყველა სიმღერის დამწყები და გოგონების აღიარებული რაინდი გიგი ლუტიძე, მეორე — სათუთი და ფუნჩულა, კოლექციონერობაში ლევან თერიშვილის მხარისამებელი რამინ ჯარიაშვილი. ორივე ჩამოვიდა ორდენებით, მედლებით, უმაღლესი მთავარსარდლის მადლობის სიგელებითა და ჭრილობებით.

იღბლად სრულიად უვნებელი დაბრუნდა სამივე თანაკლასელი ფრონტელი ქალიშვილი, თინა, ელისო წერეთელი და ხარიტა არჩევანიძე.

თითქმის ერთდროულად დაბრუნებულ და ახლომანლო მცხოვრებ გიგის

გიორგი გელაშვილი
გვიზარავს მრავალი ზარი

და რამინს ერთად მიეკითხნათ ბედისთვის, სადაც მათ დიდძალი დახვედროდით, ხოლო ყველა ისინი ბედამ ბაადურს სახლში მოაყენა.

ატყდა თავდავიწყებული ყრბამული და ხვევნა-კონა, სულმოუთქმელი გამოკითხვანი, გახსენებანი.

27.

შეხვედრის პირველი საღამო აღინიშნა ქუჩებში სახეტიალოდ ერთად გასვლით და თან გაიდევნეს ლეგაც, რომელსაც უფროსებმა მემკვიდრეობით მოვალეობად მიუჩინეს ზიარებოდა მათს აჩემებულ საყვარელ ადგილებს, აგრეთვე ჩვეულებებსა და გატაცებებს.

მათ უპირველესად მოინახულეს ლამის კვალთაზე ჩაბნელებული სკოლა, რომელიც თავის დროს ხანდახან ცოტა იქნებ ეზარებოდათ ხოლმე, როგორც მათი წამებისა და უუფლებობის სენაკი, მაგრამ ახლა მშობლიური სახლების შემდეგ ყველა სხვა შენობას ერჩივნათ. სკოლის ეზოდან კი სიხარულით გადაინაცვლეს ოთხი ქუჩის მონაკვეთებით მოჩარჩოებულ ჯაფარიძის სახელობის მრგვალ შუაგულიან და მყუდრო ხეივანიან პატარა ბაღში, სადაც ისინი ადრე იკრიბებოდნენ ხოლმე.

მაგრამ გზად მათ საიდანაც მოეკერა აყვია ელდარ ლურიძე და დანარჩენთა საერთო გულთაღობა უცებ შეიზოპა.

ელდარმა ეს არა თუ აინუნშიც არ ჩააგდო, იგრძნო რა რომ მათ განწყობილება გაუფუჭა, თვითონ უფრო გაიხარა. ელდარი ენად გაიკრიფა და ბილწი ენის შხამი ყველას აწვდინა. სულ გული მოუკლა ჩუმსა და მორჩილ დიდძიმს.

ომში ყველაზე მეტად დაზარალებულ დიდძიმს ყველაზე ნაკლები საბრძოლო ჯილდოები — მხოლოდ მედლები ჰქონდა, მაგრამ მათ ძლიერ აფასებდა და მკერდიდან არ იშორებდა. ელდარმაც მას წკაპურტით სწორედ მედლები შეუქლარუნა დამცინავად.

— სულ ეს არის, რისთვისაც იყავი ფრონტზე?

დიდიმს მარჯვენა ხელი აკლდა მხარეზე რამ ცაციაც უფარგოდა და თუმცა ძალზე თვინიერი და მომთმენი იყო, შეეძლო თავისი მკლავის ძალა ეგემებინა ნებისმიერი თავხედისათვის, როცა ამას აუტილებლობა მოთხოვდა. ელდარის დაცინვაზე დიდძიმს სწორედ მუხლზე ჩამოდებული ცაცია საეპკოდ შეუტოკდა, თითები კი მუშტად გამოენასკვამაგრამ მის მუშტს ხელი დააფარა ბაადურმა და არ გაანძრევინა.

— ომის დროს ვინც იომა, მეტნაკლებად ყველა გმირია, თუნდაც მას მედალიც კი არ მიეღოს. — ცივად თქვა ბაადურმა, ხოლო ბედისა უკვე ციცხლი ეკიდა.

— შენ ოღონდ კი ვინმე მოშხამო და გინდაც სასმელ-საჭმელი არ გქონდეს! — შეუღრინა მან ელდარს.

თვითონ დიდძიმმა ბაადურის ხელიდან მაჯა ნაწყენად გაითავისუფლა და ნიკაბი ლამის მოიგლიჯა, ისე მწარედ მოიფხანა. შემდეგ იგი გაბუტული წამოდგა და ბალიდან დაუმშვიდობებლივ გავიდა.

— მე გულუბრყვილოდ ვისუბრე, თქვენ კი უმიზეზოდ ყუმბარასავით აფეთქდით, კაცი მოვკალი თუ რა? — უტიფრად იმართლა თავი ელდარმა, როგორც კი დიდძიმი თვალს მიეფარა, იგრძნო რა, რომ ერთობლივ ყველა, გიგოც და რამინიც, რომელთაც ჯერ ხმა არ ამოეღოთ, მის საქციელს უდიერ გამოხლომად მიიჩნევდა და ჰგმობდა.

ელდარს არავინ უბასუსხა, მანაც ხელია ჩაიქნია, სკამიდან შეურაცხყოფილიც წამოიჭრა და აგრეთვე ქუჩისკენ გაეარდა, მხოლოდ იმ კარის საპირისპიროდან, რომლიდანაც დიდძიმი გავიდა.

— ეს ისეთივე ღვარძლით ვატენილი დარჩენილა, როგორიც მუდამ იყო — ხმამაღლა დაინანა გიგომ, რომ ელდარს გაეგო. ელდარმაც მკაფიოდ გაიგო, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ გაიგო. არც მოიხედა.

— რა სჭირს ამ ადამიანს, რომ სუ-

ლერთავად ასე იკბინება? — გულანს-
ტივილით თქვა რამინმაც.

ალარც მას არავინ უპასუხა.
ბაადური და ბედია, როგორც ომის
დროს შინდარჩენილნი, ელდარის მიერ
ნამართა შეურაცხყოფისათვის თით-
ქოს თავს დამნაშავედ გრძნობდნენ-
საუბარიც ველარ აეწყო და ყველა
უგუნებოდ წამოიშალა.

ასე ხშირად უგემურდება დიდხნის
სანუკვარი საოცნებო შეხვედრა შეხ-
ვედრის რომელიმე შეზღვარეცხილი
და ლაგამაწყვეტილი მონაწილის მიხე-
ზით.

28.

ხუთი მეგობრის შემდგომ შეხვედ-
რებს ელდარის კვლავაც თარსად გა-
მოტყვრომის შიშმა ციებცხელება შექ-
ყარა. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ,
რომ მათი გზაკვალი ყნოსვით არ აეღო
ელდარს. ამიტომ გამოიცვალეს თავ-
შეყრის ადგილებიც. ამას კი ამჩნევდა
ლევაც და ბიჰს თათქოს გული ეთანაღ-
რებოდა, რომ ისინი, ვისგანაც მას ამ-
ხანაგობა უნდა ესწავლა, ერთ-ერთ თა-
ვიანთავანს ყველა ზერხით რიყავდნენ.
თავის მხრივ ლევას სინანულს მი-
უხვდა ბაადური და მას ახალი თავსა-
ტეხი გაუჩინა, რომელიც მარტო ბედიას
გაუზიარა.

ბედია კი ახტა და დახტა.
— ეს ელდარი რა ჰკირა გაგვიხდა!
შენც ადექი და უამბე ლევას, რასაც
ელდარი უბირებდა და ბიჰსაც ამისთა-
ნა ყალთაბანდის გარყვანზე გული აღარ
აუჩუყდება.

— მე ლევას ვერავისზე ძვირს ვერ
ჩაეწვეთებ. ბიჰმა ადამიანებზე წარ-
მოდგენა თვითონ უნდა შეიქმნას, უფ-
როსების ფრთხილი ჩარევით. რა თქმა
უნდა.

— მამ მოდი ერთად ვუთხრათ. ელ-
დარს კი ნუ ვუძაგებთ, მხოლოდ მისი
განზრახვა გავაცნოთ და რა უციც
არის, ლევამ თავისით განსაზღვროს.
ხომ შენც ბოლოსდაბოლოს უნდა გაარ-
კეთო ისევ შენთან დამრჩენი თუ გამ-

ტყევია ლევა! გაქეყილს გატეხე
სჯობს!

ისინი უნივერსიტეტიდან ახალმოსუ-
ლი იყვნენ და ბაადურის უშუაბანდში
პურითა და ძეხვით ვახშობდნენ. ლევა
კი ამ დროს თავის პატარა ოთახში გაკ-
ვეთილებს ამზადებდა და დაძახებამზე
წიგნებს სიამოვნებით შეეშვა.

ლევამ ჰკუადამჯდარი ადამიანს გო-
ნიერებით მოისმინა, რაც ბაადურის-
თვის მის შესახებ ელდარს შეეთავაზე-
ბინა, ბოლოს კი, თუმცა სიფრთხილის
შეგნებით არ გაცინობიერეს ელდარის
ამ მოგუნებების ავკაცურ ფანდშიც,
ბიჰმა სასოწარკვეთით თავი ჩაჰკიდა.
ლევა ერთხანს გაოგნებული იდგა, შემ-
დგმ უცებ ძლიერმა ცახცახმა აიტანა
და ბაადურსაც და ბედიასაც გული გა-
დაუბრუნდათ ბიჰს ემანდ ფეხები არ
გამოეცალოსო. შეშინებულებმა საჩქა-
როდ ხელიც მიაშველეს ლევას, მან კი
როგორღაც ზიზღით გაითავისუფლა
თავი მათი ხელებიდან და უსიტყვოდ
ისევ თავის ოთახს მიაშურა. მაგრამ ლე-
ვა წიგნებს აღარ მიუჯდა. მან ისინი და-
კეცა და სხვა წიგნებზე შეაწყო. უკვე
დადინჯებით მიალაგა მთელი მაგიდა და
ოთახიც, ხოლო როცა მცირე მოთათბი-
რების გამო მოგვიანებით შევიდნენ
მასთან შეფიქრიანებული ბაადური და
ბედია, ტანსაცმელს გარიდებულ, ნახევ-
რად შიშველ და მწარე ღიმილისგან
სახეშეცვლილ ლევას ხელში საიდან-
ღაც ამოჩნრეკილი საკერებლებიანი
შარვალი და ხალათი უკირა, რომლებიც
იღუმალიდან ჩამოპყვა და სასწაულით
შემონახვოდა.

ლევა ბაადურის სახლში თავის სა-
კუთრებად არათერს თვლიდა, იმასაც
კი, რაც პირადად მისთვის იყო შეძენი-
ლი, და წუთისწინამდე სათაყვანებელი
უფროსი მფარველისგან გულდაკოდი-
ლი, სოფელში გაქცევას იგივე გაწყა-
ლებული სამოსის ამარა და ისევე ხელ-
ცარიელი აპირებდა, როგორც თავის
დროს თბილისს მოეგლინა.

გიორგი ვილახვილი
გვიზარავს მრავალი ზიკრი

1.

დათა მორბედაძე უკანასკნელი წლის გასრულებიდან კიდევ მთელი ერთი თორმეტთვეულის შემდეგ დაბრუნდა საქართველოს მიწაზე. სოფელში ჩასვლის უმალ კი თბილისისკენ გატრიალდა და მარჯანიშვილის ქუჩას მიაშურა. ლეგა მას ეზოში შესჩეხებოდა და დათამ გულამომჯდარი ბიჭი სახლში მკერდზე მიხუტებული შეიყვანა.

დათა შეუცნობლად გამოცვლილიყო. გრუხა თმა განაცრისფერებოდა. სახე დასდაღვოდა. თუმცა არ მოტეხილიყო, მაგრამ თითქოს დაბერებულიყო.

ბაადურმა და დათამ უსიტყვოდ, მაგრამ ჩამოართვეს ხელი და ძმურად გადაეხვივნენ. ლეგა ისევ ძმას გულში ეხუტა და სულშეგუბებული სლუქუნებდა. ტირილში მან თან ცალი ხელი პაერში გაასახავა, ბაადურის კისერი იპოვა და ისიც თავისკენ მიიზიდა.

— სუ. შემოგველე, სუ. ვიკმაროთ ცრემლები. — ღრმად ამოიხვნეშა და ლეგა ფრთხილად ძირს ჩასვა დათამ, რომ ერთხელაც, უფრო თავისუფლად და მადლიერად გადახვეწნიყო ბაადურს.

ბაადურსა და დათას ცრემლი არ უღვრიათ, მაგრამ უცრემლოდაც მტირალივით დასხდნენ განიერ-საეარძელზე. ლეგა კი შუაში ჩაიყენეს. დათამ მას მკლავი შემოხვია და დაჭირვებული ხელის გულით სველი თვალები ამოუშმრალა.

— გამაგრდი, შენ შემოგველოს ჩემი თავი. იხხნევე.

ლეგას ისევ სატირლად უთრთოდა ტუჩები, მაგრამ დათას შეგონებამ გასკრა და აღარ იცრემლა. ცოტაც და, მან მოიხალისა კიდევ. დათას მოწინებით ხელი ჩასჭიდა და თავისი ოთახის დასათვალიერებლად წაიყვანა. ლამაზად მოწყობილი პატარა ოთახის ნახვამ დათა ააღელვა და იგი უსახლვროდ დავალებული კაცის სახით დაბრუნდა ბაადურთან. დათა ისევ თავის ადგილზე

დაჯდა, მადლობის გამოთქმას კი ამაოდ შეეცადა. მას დანახული ამაგის სრულად გამომხატველი ღირსეული სიტყვა არ მოეძებნა. მხოლოდ სიცილს გადაჩვეულ, დაღარულ სახეზე თბილი ღიმილი გაუერთა.

დათას ფინიასავით თან მოჰყვა ლეგაც, მაგრამ ბაადურმა ის მოულოდნელად უკან გააბრუნა.

— სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ამდენიხნის უნახავ ძმასთან შეხვედრა, მაგრამ გაკვეთილებს მაინც მომზადება უნდა.

ძმის მიმართ აღმზრდელის უბოდიშო სიმკაცრემ დათას გულში უჩხელიტა. გონება კი უმალ მიუწვდა, რომ ეს აღსაზრდელზე გულისხმიერი ზრუნვა იყო და ნატენიც დაუამდა.

— გიჯერბს?

— არ ვემდური.

— ყველაფერი რიგზე გაქვთ?

— ვუბებთ ერთმანეთს. გვექონდა ერთი გაუბებრობა. ვინმე ფარისეველმა გულში ჩაიდო ლეგა ანგარებით თავისთან გადაეტყუებინა. როცა სხვისი ეს განზრახვა მე და ბედიამ ლეგას გავაგებინეთ, ბიჭს მოსჩვენებოდა, რომ მის პირდაპირ მოშორებას ვერიდებოდი და ასეთი ხერხით თავიდან ვიცილებდი. ანუ, ვურჩევდი იმ პიროვნებასთან მართლაც გადასვლას. ჩემში გაწბილებულ ლეგას ისლა რჩებოდა, რომ სოფელში მირბოდა. მაგრამ იგივე ბედიამ და მე გონზე მოვიყვანეთ. განუემარტეთ, რომ რაც ვუთხარით მხოლოდ იმიტომ, რომ იმ პიროვნების მოსალოდნელ ხრიკებზე არ წამოგებულებიყო. საბედნიეროდ, დავუმაღეთ მთელი ამ ამბის საზიზღარი არსი. ის, რომ გაიძვერა პიროვნება ბიჭის თავისთან ყოლას ფიქრობდა მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნებოდა, რომ მას ქველმოქმედის სახელი გაეარდნოდა. შემდეგ კი ბიჭს კარსგარეთ დატოვებდა. მე და ბედიამ მთელი ამ ჩანაფიქრის ეს ამაზრზენი ნა-



წილი იმიტომ არ ვუზიარეთ ლევას, რომ ერთი ავსტრის წაყოლებით მას კეთილი ადამიანებისადმი ბავშვის სულიანთვის მავნე უნდობლობა არ ჩანერგვოდა.

— მაღლობა ღმერთს, გონს დროზე ნოგიყვანიანთ! არადა, მაგ შენი კაცური გულის ჰირიმე, მოვალე ხომ არ ხარ უცხო შვილზე ამდენი სითბო დახარჯო.

— გონს ადვილად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ლევა გონიერი ბიჭია და ავკარგს ალღოს უღებს.

— დარდით კი დარდობს, რა თქმა უნდა.

— ბევრს დარდობს, მაგრამ მე არ ვუშლი. დარდის აკრძალვა არ შეიძლება დარდი საჭიროა დაძველდეს და თავით ჩაცხრეს. ისე კი, ვცდილობ, რომ დარდისთვის დიდი დრო არ რჩებოდეს. აუცილებელი წარჩინებით სწავლას არ ვუყვირებ, მაგრამ ვაკვეთილების მომზადებას ყოველთვის ვთხოვ. სწორედ სადარდოდ რომ ნაკლებად ეცალოს.

— სოფელში კი ლევა მაგ დარდზე შესწავლად დარდსაც დაიმატებს.

— მე რაღაც უცნაური სიტყვები მესმის! თუ შენ ლევა სოფელში გინდა წაიყვანო, სწორე არ გიფიქრია. ბიჭი უკვე მემვიდევ კლასში გადადის. ქალაქს შეეჩვია. ამხანაგები გაიჩინა. ბარემ საშუალო სკოლა აქვე დაამთავროს. მერე კი მისი ბედი შენ განაგე! ახლავე წაყვანა იმიტომ არ არის გამართლებული, რომ თვითონ სახლკარი ახლიდან გაქვს მოსაწყობი და ბიჭზე საკმარი თვალყური ვერ გეჭირება. ხშირად სკოლის ცვლაც ვნებს მოწაფეს.

— მე უმადურ წამტაცებლად არ ჩამოვსულვარ. შენ რომ ცხოვრების ტვირთი შეგიმსუბუქო, იმიტომ უფრო ვეპირები ლევას წაყვანას.

— რა ტვირთია, ლევა? ჩემს ნაქონ ტანსაცმელს, რომელსაც დედაჩემი რიგიანად არგებს ტანზე, ეგ არ სწუნობს. ზოგჯერ მთლად ახალსაც ვუხერხებთ. პურის ფულად ჩემს სტუდენტურ სტიპენდიას თავისუფლად ვმყოფინობდი. ახლა კი უკვე სამსახურში ვარ და შე-

მოსავალიც მოგვემატა. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მე და ლევა ლიან შევეჩვიეთ ერთმანეთს და დაცილება ორივეს დაგვანადვლებს.

— ეგ მეცა ვთქვი! მაგრამ მეც რომ მაგის მეტი არავინ დამჩნა ჩემი ღვიძლი! არაფერი ყოფილა იმაზე ძნელი, სამშობლოში დაბრუნებულს თუ შინ არავინ დაგვხვდება კაცს. პოდა, როგორ გაეძლო სულ მარტომ?

— ჩვენ ორივე გაგაძლებინებთ. ლევას არდადაგებზე და უქმე დღეებში ჩამოგვივლით ხოლმე. მე ქალაქიდან შორ მანძილზე ფეხით ვასვლა მიყვარს. უკვე ავიყოლიე ლევაც. თუ საშუალება გვაქვს — ერთად ვლაშქრობთ. ლევას მუხლი უფარგა. პირველი ასეთი გამოცდა ლევამ ჯერ კიდევ მაშინ ჩააბარა, როცა იდუმალიდან თბილისში ფეხით ჩამოვედი. ახლა სოფელში მატარებლით გეწვევით ხოლმე, რომ გზაში ბევრი დრო არ დაგვეკარგოს და შენთან ყოფნის წუთები არ დაგვაკლდეს. მუხლის გასაშლელად კი თქვენი პატარა საღებურიდან სოფლამდე ფეხით გასავლელი ექვსი კილომეტრი გვეყოფა.

— მე თქვენს ერთურთ ერთგულებას კარგად ვხედავ. ამიტომ მესიკვდილება თქვენი დაცილება. მაგრამ თვითონ ლევა რომ ამიხიროდეს, წამიყვანეო?

— ახირებით არ ავიხირდება. სურვილი კი მოსალოდნელია. გამოთქვას შენი სიყვარულით. იმ თვალსაზრისითაც, რომ მხარში ამოვიდგეს სახლის მშენებლობაში, რასაც შენ უეჭველად გადაუდებლად დაიწყებ. ლევა თქვენ ეზოზე ახალი სახლისთვის მოზიდულ თვითულ ქვას სცნობდა და უფროთხილდებოდა. მაგრამ მარტო შენი ჯანი და ლევას პატარა ხელები სახლს ვერ ააშენებს. მაინც ხალხი უნდა დაინმარო. ასე რომ, ლევას გარეშე იოლას წახვალთ. ხოლო როცა სახლს გადახურავ, ცხადია, ოჯახს მოეკიდები. ლევასაც შენს ჰერქვემ მომვლელი გა-

გიორგი გალავნილი

გიორგი გალავნილი

უნდებდა და მეც მაშინ ვეღარ დაგი-
ჭერ მის თავს.

ბაადური და დათა ხმადაბლა საუბ-
რობდნენ, რომ მათი ლაპარაკი მეორე
ოთახში ლეგას არ მოესმინა.

ლეგა თავის ჩუქურთმიან საწერ მა-
გიდას უჯდა. წიგნს ფრთხილად ფურც-
ლავდა მათთვის ყურის წაგდებას არც
ცდილა. ისედაც ხედებოდა, რომ საუ-
ბარი მას შეეხებოდა. წყდებოდა მისი
ბედი. დარჩებოდა თბილისში თუ დაუ-
ბრუნდებოდა სოფელს. ლეგა ძლიერ
დღვავდა. წვალბოდა. წყაითხულს ვერ
აღიქვამდა. ლეგას თან სული კბილით
ეჭირა, რომ ორ მოსაზრებას შორის,
რომლებიც უთუოდ წამოიჭრებოდა,
აჩივანი მისთვის არ ეკითხათ. ის ჯერ
თვითონაც ვერ გარკვეულიყო, ასეთ
შემთხვევაში რომელ მხარეს გადახრა
მართებდა.

2.

ბაადურისა და დათას საუბარი ლე-
გასთვის უცნობი დარჩა. ლეგას საყვა-
რელი სოფელი ენატრებოდა, მაგრამ
უკვე თბილისიც ვერ ეთმობოდა. ამი-
ტომ ის იმედი ჰქონდა, რომ მისთვის
ორი ყველაზე ძვირფასი ადამიანი მხო-
ლოდ გრძნობას არ აპყვებოდა და მის
ბედს გონივრულად გადასწყვეტდა.

დათამ თბილისში სულ ოთხი დღე
დაჰყო. ისედაც წლობით აკლდა სო-
ფელს გამრჯე ვაჟკაცის ხელი და თვალ-
ყური, და გრძნობდა, კოლმეურნეობას
დროზე უნდა გამოსდგომოდა მისი მარ-
ჯვენაც. ის ოთხი დღე კი, ლეგას სკო-
ლიდან თავისუფალ დროს, ძმები შინ
და გარეთ განუყრელად ერთად იყვნენ.

უფროსი ძმის ვაჟკაცური შესახედა-
ობა, მის სამხედრო გიმნასტურაზე საბ-
რძოლო ჯილდოებისა და დაჭრილობის
ნიშნების წყებანი, ლეგას სიამაყით აე-
სებდა. ამიტომ იგი ისწრაფვოდა მეტ-
ჯერ ხალხის თვალში გარეთ ყოფილიყ-
ვნენ. ხალხი კვლავ მოკრძალებიან
თვალს აყოლებდა ქუჩაში შემხვედრ
ნათმართ. ქალაქში მრავალი ომგადახ-
დილი ენახათ, კიდეც უფრო მეტს

ახლა ხედავდნენ. მაგრამ
ლი და პირქუში კაპიტანი, რომელ-
საც თანმხლები ცამეტიოდე წლის
ბიჭისთვის მხარზე ფრთხილად დაედო
მძიმე ხელი და დაფიქრებული ღინჯად
დააბიჯებდა, ერთი იმათგანი იყო, ვინც
გამვლელთა სავანგებო ყურადღებას იქ-
ცევდა. მათი მოწიწებული და თანამ-
გრძნობი გამოხედვა თან ისეთი მეტ-
ყველი იყო, თითქოს ხედებოდნენ, რომ
ასაკით ბევრად განსხვავებული, მძიმე
ნაბიჯით მოარული სამხედრო კაცი და
ნორჩი მოწაფე ღვიძლი ძმები იყვნენ
და მათ თავზე კი საშინელ დუხკირს გა-
დაეარნა.

დათას, ქალაქის ქუჩებში უკვე საკმა-
ოდ გარკვეული ლეგა მეგზურობდა,
მორიდებით უხსნიდა და აცნობიერებ-
და. დათა მის გამართულ, დახვეწილ
ლაპარაკს კმაყოფილი ისმენდა, თან მა-
ლაზიების შუშაბანდებს აკვირდებოდა,
ვინძლო ლეგას შესაფერი ტანსაცმელი
შეემჩნია, მაგრამ ეიტრინები ძალზე
მკლედ გამოიყურებოდა და დათა შე-
საბრალისად გულდაწყვეტილი იყო,
რომ ძმას საჩუქრით ვერ გაახარებდა.

ცხოვრების პირობები ომის დამთავ-
რების პირველივე თვეებიდან საგ-
რძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ყვე-
ლაფერი უცებ თავზესაყარი არ გახდა.

დღისით ბაადური სამსახურში იყო
და მათ ვერ ახლდა. სამაგიეროდ, სალა-
მოობით მასაც შეეძლო დამგზავრებო-
და, მაგრამ ერიდებოდა, რომ ძმების-
თვის უნებურად შინაური საუბარი არ
შეეზღუდა. იგივე მოსაზრებით ბაადუ-
რი მათ არც დათას დამგზავრების სალა-
მოს შეუერთდა და მას სადგურშიც
მარტო ლეგა გაჰყვა.

მაგრამ მატარებელი უკვე საათნახე-
ვარზე მეტი ხნის წასული იყო, ლეგა კი
აღარ გამოჩნდა. მაშინ როცა სადგური-
დან სახლამდე ნახევარ საათის მანძი-
ლიც არ იყო. ბაადურს სხვა არაფერი
ფიქრიც არ მოსვლია, გარდა იმისა, რომ
ლეგა მანაც ღვიძლი ძმისკენ გადაიხა-
რა და ჩუმად გაიპარა, რაკილა ბაადუ-
რისთვის თავისი გადაწყვეტილების



გამხელისა შერცხვა. უმადურობის წინაშე გულდაწყვეტილ ბაადურს უკვე ყველა იმედიც გადაეწურა, როცა დაგვიანებულმა ლევამ აჩქარებით შეაღო შემაბანდის კარი.

ლევას ძმის გასაცილებლად ტიტ და გურიც გაპყლოდნენ. სადგურიდან გამობრუნებულთ კი, ბიჭებს ლაპარაკსა და ვიტრინების ჰერეტაჟი დრო შემუშინეველად გაპარვოდათ.

ლევამ განმარტების შემდეგ ბაადურს ბღუჯად ფული გაუწოდა. მორიდებულ დათას ფულის პირადად ბაადურისათვის მიეცემა ვერ შევებდნა და მატარებლის გასვლის უკანასკნელ წუთს ლევასთვის ჯიბეში ჩაეტენა, რომ მათ საერთო ხარჯებს შეშველებოდა. ბაადურმა დათას ნამოქმედარი არ იჯამნიკა, მაგრამ ლევას გული არ დასწყვიტა და ბოძებული თანხა დაუთვლელად სასადილო მაგიდის გადასაფარებლის ქვეშ შენახულ საოჯახო სახარჯოს მიუმატა.

3.

ტიტ დევანოზიშვილი და გური ჰილდაძე საერთოდ კარგა ბიჭები აღმოჩნდნენ და ლევას ერთგულ მეგობრებად გამოადგნენ. ისინი ერთგულები და ბინებთაც მეზობლები იყვნენ. სამსართულიან მკვიდრ სახლში, რომელსაც განიერი უტიხარო შიდა აივნები ჰქონდა. მათგან ერთ-ერთი, სახელდობრ შუასართულისა, იყო გურისა და ტიტის მეგობრობის ნამდვილი ხიდი, მოყოლებული ფეხისა და ენის ადგილიდან. ქუჩის მოცემულ მონაკვეთზე სახლი მაღალ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნებოდა. ამიტომ მის გვერდით ძლიერი ქიმაჯისგან მოწყალედ ხელგადაფარებულ ბავშვად სჩანდა წყნარი და მორჩილი სახლი, რომელშიც ტიტ და გური ერთიხანია ახალი მეგობარი დაიგულეს.

მიჯნა კი იყო აგურის არც თუ დაბალი კედელი, რომელიც დიდი ეზოსთვის იქ ჩამწყობებული სათავსოების ერთიან ზურგს წარმოადგენდა, ხოლო

მატარა ეზოსთვის — ხვიარა მცენარეულითა კლანჭის მოსაკიდებელ და წვეწვევით საცოცავ შვეულ სიბრტყეს.

გური და ტიტემ ეს მყურდო, მრალერსე ეზო უცებ შეიყვარეს, ხოლო თავისმხრივ თანდათან გაეჩვია მათკენ ძალზე მორიდალი ლევა, რასაც ბაადური იმით ხსნიდა, რომ ორივე ოჯახში მას გულთბილად ღებულობდნენ.

გური დედისერთა იყო და ბინაში მხოლოდ სამი სული ცხოვრობდა. მათი კარის მეზობლებს კი სამი მართო შეილი ჰყავდათ, ტიტეს გარდა მისი უმცროსი და და ძმა. მათთანვე იდგა ბავშვების დეიდა, რომელზეც ახლობლები ზემორობდნენ ხოლმე, უფროს დას მზითევში გამოჰყვავა. ამ რაოდენობრივი სხვაობის პირობებში ორივე ოჯახს, ისევე როგორც თავიანთ სახლში ბესო-პაპას და ბაადურს, პაპიძეებსა და ტასიას, თანაბარი საცხოვრებელი ფართობი ეკავათ. თუმცა ბინები საერთოდ პატარა იყო, სამაგიეროდ ჭილაძეებსა და დევანოზიშვილებს შესაშური მეზობლობა ჰქონდათ და სტუმრიანობის დროსაც ერთიმეორის გაფაციცებულ ხელშეწობით გამოდიოდნენ მდგომარეობიდან. როდესაც მათ შორის რომელიმე ოჯახს სტუმრები ჰყავდა, ორივე ბინა ერთის სრულ განკარგულებაში გადადიოდა.

ამ ყურადღებიან და გულღია, თავმიდაბალი ადამიანების მხრიდან სრულიად ბუნებრივი იყო ლევასადმი სითბოც. იმიტომაც სიყვარულით შეეჩვია მათი ოჯახის წევრებს ცოტა არ იყოს გარეუღივით მფრთხალი ლევა.

მაგრამ უფრო ხშირად მასპინძლობა ლევას სასიხარულო წილი იყო. ტიტეს და გურის, რომელთაც სახლში ცალკე ოთახები არ ჰქონდათ, სამთა თავშესაყარ ადგილად ყველაზე მეტად ლევას ოთახი მოსწონდათ, სადაც თავს თავის გუნებისად გრძობდნენ. ეს იმის

გიორგი ბალაშვილი
გვიფარავს მრავალი ზმირი

წყალობითაც, რომ ბაადური, მათზე არც ძალიან უფროსი და არც იმდენად ცოტათი, რომ ბიჭები მას შესთამამებოდნენ, მათ მეგობრობას უწყევდა, თუმცა მთლად ნებაზე არ უშვებდა.

გური და ტიტე ახალი მეგობრის ეზოში ხშირად უკუღმართი, მხოლოდ მათთვის ხელმისაწვდომი გზით ჩნდებოდნენ. ვაშლებივით ცვივოდნენ ორი ეზოს გამყოფი სახიფათო კედლიდან მეორე მხარეს, როგორც ხიდან, რომელიც ერთ ეზოში დგას, ნაყოფს კი მეორეში იბერტყავს. ეს გზა ქუჩიდან შემოვლანზე არც მოკლე იყო, არც იოლი. მაგრამ ბიჭებს თავში ცოტა უქროდათ, უფრო თამამ და დაუდევარ გურის. მორჩილი, ოღონდ თავმოყვარე ტიტე კი მას მხარს უბამდა. რადგან თუ მეგობარს აკრძალულ ჯამბაზობაში ვერ გაჰყვებოდა, რაც ღალატსაც უდრიდა, მას ტოლებში თავი აღარ გამოეყოფოდა.

მაგრამ გური მარტო ონავრობით არ გამოირჩეოდა. მოხდენილი და ალღოიანი ბიჭიც იყო. არც კიდევ ტიტე იყო მხოლოდ მორჩილი და ბრმად თავმოყვარე. თვალციმციმა და ზედმიწევნით თავაზიან, მოკრძალებულ ბიჭს სათუთი გული ჰქონდა, მაგრამ ჩუმი ეშმაკობაც ახასიათებდა.

4

შინ, სკოლაში და გარეთ ბიჭები ყოფაქცევის ყველა წესს სანიმუშოდ ვერ იცავდნენ. იყო გაკვეთილების მიუფუჩეხება ან მოუშაადებლობა და გაცდენაც, გოგონების დარბევა, სხვა ბიჭებთან წაკინკლავება, მტკვარზე და ლისის ტბაზე საბანაოდ გაპარვა. ქუჩაში ზედმეტი ტანტალი, კინოში სეანსის სეანსზე გადაბმით ყურება. ყველაფერს ზუსტად ერთნაირად არ სცოდავდნენ, მაგრამ მეტნაკლებად შეთანაბრებული იყვნენ.

გურის და ტიტემ დარდი არ იცოდნენ. ლეგა კი გადატანილი სიდუხჭირის გავლენით ცხოვრებისადმი დაკ-

ვირვებულობით ხასიათდებოდა. შანმა, აგრეთვე პირდაპირობამ და სიბომ მას მეგობრებს შორის თანდათან ერთგვარი წინამძღოლის უპირატესობა მოუპოვეს. ეს პატივი ლეგას სამთა შორის მეტ-საერთო პასუხისმგებლობას აკისრებდა, მაგრამ ნორჩ ტოლთა უმწიფარი მეთაურის ნიჭსა და შეგნებაზე მთლიანად დანდობა მიიწცა არ შეიძლებოდა. ეს ნაადრევი დაარსებება გამოვიდოდა. მით უმეტეს, რომ თვით მეთაურსაც კიდევ ძალზე ბევრის გაგება და საკუთარი თავის აღზრდაც სჭირდებოდა. ამიტომ, ბაადური მათ სამივეს, პირველ რიგში კი ცხადია ლეგას, ყურადღებიდან არ უშვებდა თუმცა, ბაადურს ისიც ესმოდა, რომ ბავშვები გარემოს მიმართ მთლად დაძაბული და უნდობელი არ უნდა ყოფილიყვნენ და მათს ზოგ უწყინარ ცელქობას წაუყრებოდა. ხოლმე ან თავს ისე იტერდა, თითქოს ვერ ამჩნევდა. ისინი განუწყვეტელი ზედამხედველობის განცდას არ უნდა გაეღიზიანებინა.

ბიჭები ნიჭიერი იყვნენ. მათ სხვადასხვა გატაცება იპყრობდა. გატაცება კი — იგივე კეთილშობილური მიზანი, აუცილებელიცაა. ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ნორჩის გულში მიზნისა და მისწრაფების ჩასახვა ხდება თუმცა არა სავსებით შეუგნებლად, მაგრამ უცაბედი ატაცებით, გონების აზრშეწონილი მონაწილეობის გარეშე. ამავე დროს, ნიჭს მოზარდისა, რომელიც ჯერ სრულად უკუაღმჯდარი არ გამხდარა, მრავალ სხივოსნებასთან ერთად თან ახლავს უარყოფითისაკენ განუსჯელი მიდრეკილება.

ბაადური გრძნობდა, რომ აღმზრდელისა და მეურვის მოვალეობა ადვილი გასაძლოი არ იყო. ლეგა ისედაც იყო ბაადურის საზრუნავი, ხოლო პასუხისმგებლობა, რომელიც თავისთავად დაეკისრა გურისა და ტიტეზეც, უფრო გაუძლიერა მათი მშობლების ნდობამ. ტიტესა და გურის მშობლები ბაადურს



თითონ საგანგებოდ გაეცნენ, რათა შეეფასებინათ მათი შეილები სუბროსი მეგობარი, და დიდად კმაყოფილი დარჩნენ მისით. მშობლების ნდობა სასიამოვნო იყო, მაგრამ ბაადურს აფიქრებდა კიდევ, რადგან ბიჭები რაც ზრდაში შედიოდნენ, მათზე თვალყურის დევნება რთულდებოდა.

ბიჭები ამოხუზულნიც იყვნენ ხოლმე, კისრამდე ტალახით შეწვეწველნიც. ფეხსაცმლები ხომ მუდამ ბურთის თამაშისაგან ცხვირაქერცილივი ჰქონდათ. ლეგას სახლიდან სუფთად გასვლა უყვარდა, მაგრამ დილით ლოვინიდან დაფეთბული რომ წამოვარდებოდა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წესრიგზე მოყვანას ყოველთვის ვერ ასწრებდა. მას რამდენჯერმე ბაადურმა დაუფშვინტა შარვლის ტოტები და დაუწმინდა ფეხსაცმელი. ერთხელაც მასზე აღრე წამომხტარი ლეგაცა ბაადურის შარვალსა და ფეხსაცმელს. ბაადურმა ლეგას ამისთვის მადლობა უთხრა, სხვა დროს იგივეს გაკეთება კი აუტრქალა.

— ამიერიდან ასე მოექცეთ. შენ შენს ჩასაცმელ-დასახურს მოუარე, მე ჩემსას მოვუვლი.

გნ იმასაც ნიშნავდა, რომ ლეგა საერთოდაც უნდა მოფრთხილებოდა სამოსს. ამას ყაირათი მოითხოვდა. ბაადური ფულისადმი იმდენად იჩენდა ყურადღებას, რომდენადაც სკირდებოდა, და მაინც არავისგან ხელის წამართვა მან არ გაიკარა. თუმცა თითქმის ყველა მეგობარი შეეცადა მისთვის ფულადი დახმარება შეეპარებინა. ეგვევ რამდენჯერმე დააპირა ავთანდილ დარციმელიამაც. რომელსაც ცოლისძმა საკუთარ ძმასავე უყვარდა და ყოველთვის მზად იყო მას მხარში ამოსდგომოდა, მაგრამ ბაადურმა სიძეც გააწბილა. ბაადური მათს ალალ შესაწევარს არ ლებულობდა, ამავე დროს ისეთ მადლობას უხდოდა, თითქოს მიეღოს, თანაც ასჯერ მეტი თანხა, ვიდრე ისინი სთავაზობდნენ.

— აუჰ, რა კარგი ხალხი ხართ! რა გამაზარეთ! მაინც, რაც დაგიკროვებო-

ათ, თავს მოახმარეთ. არ მიჭირს და კრატომ გამოგართვათ? თუ გამიჭირდა თქვენს იქით ვისთან წავალ?

სინამდვილეში ბაადურს და ლეგას მომჭირნედ ცხოვრება უხდებოდათ. ხშირად მშრალ ბურსა და ყველზე ან მწკლარტე შეკამანდზე გადადიოდნენ და ჩასაცმელ-დასახურის მხრივაც იზღუდვოდნენ. მაგრამ მაინც მხოლოდ თავიანთ სახსრებში ეტეოდნენ. ბაადური არ დაუშვებდა, რომ ისე გამოსულიყო. თითქოს ლეგას პატრონობა სხვის იმედათ და საშადლოდ იყოსა. ლეგას იგი ასწავლიდა:

— გვიჭირს, მაგრამ შენ ფული მაინც არ შეიყვარო. როცა შეძლება მოგეცემა, იმაზე მეტი არ გაიჩერო, რამდენიც არსებობისთვის კმარა.

ფულის თაობაზე ბაადური ჭილაქებდა და დეკანოზიშვილებსაც შეედავა, როდესაც შეატყო, რომ ისინი გურისა და ტიტეს სახარჯოს ზედმეტს აქლევდნენ.

ჩემგან არ გესწავლებათ, ბავშვები ჯიბის ფულს არ უნდა შეეჩვიონ. ძალზე ცოტა იკმარონ. არა მგონია, რომ თავის დროს ფულით პირადად თქვენ ყოფილიყოთ განებივრებულნი. არ ცყოფილვარ განებივრებული მეც. და როგორც ხედავთ, არც თქვენ, არც მე არაფერი დაგვიშავდა. ეს მით უფრო მხედველობაში მიაღებია, რომ მე არ მაქვს საშუალება თქვენდარად მოვამარავო ლეგა. ხოლო, რაკი ბიჭები ყველაფერში თანაბრობას უმიზნებენ, თანაბარი უნდა იყვნენ თავიანთი კაპიკებითაც.

ჭილაქები და დეკანოზიშვილები ბაადურს მორჩილად უყვრებდნენ.

5

ასე უკვე ხშირად ხედავდნენ ახლო-მახლოში. ბაადური მიაბიჯებდა ქუჩაში და მის უკან მიცანცალეზდა სამი ბიჭი. ან, ბაადური იჯდა ბაღში და მის გვერდით იჯდა სამი ბიჭი, ასევე კინოში

ვიოგრი ბალაზილი
ვიოფარავს მრავალი ვიოი



დღის სიანსებზე და სტადიონზე ფეხ-
ბურთის დროს.

ბიჭები ბაადურს სამსახურშიც ეახ-
ლებოდნენ ხოლმე და მათ იქაც ყველა
იციანობდა.

გეოგრაფიული განათლების მქონე
ბაადური თავის განხრას ასცდა და
მხატვრული ჟურნალის რედაქციაში
მუშაობდა, სადაც იმ მთავარი ნიშნით
მოხვდა, რომ სკოლიდანვე წერა უყვარ-
და და ემარჯვებოდა. რედაქციაში
ბაადური განყოფილებას განაგებდა და
განყოფილების ერთადერთ ლიტერატუ-
რულ მუშაკთან ერთად იჯდა ნახევრად-
ბნელ პატარა ოთახში, რომელიც დღი-
სითაც კი განათებას საჭიროებდა.

ბაადურს წყნარი და სახალისო სა-
მუშაო, გარემო კი მყუდრო ჰქონდა.
ლიტერატურული მუშაკი ჯანო ვარსი-
მაშვილი უმეტესად თავისთვის გაბრუნ-
ჩული უჭდა მაგიდას და მას ხელს არ
უშლიდა. ბაადურზე რამდენიმე წლით
უფროსი ჯანო უკვე ცოლშვილიანიც
იყო და ხელგამართული ვერ ცხოვ-
რობდა. ჯანოს ოჯახზე ზრუნვასთან
ერთად ლექსების თხზვა აწვალებდა და
საათობით გატრუნვა და დაბნეულო-
ბაც შესჩვევოდა. მისი უსიტყვობა ბა-
ადურის ბუნებას ეთავსებოდა. ამიტომ
ჯანოს უყურადღებობით დედნებში
გაპარულ ცოდვებს განყოფილების
გამვე მოთმინებით ასწორებდა.

ბაადურს დიდი სამუშაო არ აწვა.
თავისას სწერდა თუ სხვის ნაწერს აშა-
ლაშინებდა, საქმეს მთელი გულსყუ-
რით ჩაჰკირკიტებდა და განყოფილე-
ბაც პირნათლად გამოდიოდა. ჟურნა-
ლისტობა მას საერთოდ ეგუნება, მხო-
ლოდ სარბიელი ეპატარავებოდა. არა
თანამდებობის მხრივ. მივლინებები უწ-
ევდა ძალზე იშვიათად და ასპარეზი არ
ჰყოფნიდა. ის კი, როდესაც უნივერსი-
ტეტს ამთავრებდა, ისეთ სამსახურზე
ოცნებობდა, რომელიც სმირად სამგზა-
ვრო ხელჩანთან ააღებინებდა.

ბაადურისა და ჯანოს კუქნა და
მდუმარე სამუშაო ოთახში ხალისი
ბიჭებს შეჰქონდათ. ისინი, როგორც წე-

სი, რედაქციაში მუშაობის დამთავრე-
ბამდე დაახლოებით ერთი საათით აღ-
რე მოდიოდნენ, მაგიდეზე დახვავე-
ბული ჟურნალების გადაფურცვლას
ასწრებდნენ, შემდეგ კი სახლისაკენ
ბაადურთან ერთად მიიბიჯებდნენ. ქუ-
ჩაში ბაადური მათ სახვალის გაკვეთი-
ლებს ჰკითხავდა და თუ კმაყოფილი
იყო ერთხანს გასართობად და საქაქა-
ნოდ კიდევ ერთად ყოფნას არ უშლიდა.

ბაადურს სახლში ძველებური ბუ-
ხარი ჰქონდა. ბუხარი უსაშველოდ
შთანთქავდა შეშას, მაგრამ იგი ძალზე
საყვარელი და მაცდური იყო, როცა გა-
რეთ ჟინქლავდა ან ჰყინავდა, და საწ-
ვავს მუდამ მოიპოვებდნენ. ასეთ დროს
ბუხართან, დარში კი შუშაბანდის ღია
ფანჯრებთან ან ეზოში თუთის ქვეშ,
საუბარს ბაადური წამოიწყებდა ხოლ-
მე, მაგრამ უცებ ისევ სდუმდებოდა.
ბიჭები მას ცოტას აცდიდნენ, კიდევ
რას იტყვისო, ბაადური კი ხმას აღარ
იღებდა. ახლა ბიჭები გადაიქცეოდნენ
ხოლმე ენად, ხოლო ბაადური გულის-
ყურით უსმენდა და მათ ფიქრებს
სწვდებოდა.

დროდადრო აწყობდნენ შეჯიბრს ჰად-
რაკში და თვითონაც იგონებდნენ სხვა-
დასხვა სამაგიდო თამაშებს ანდა მორი-
გეობით ხმამაღლა კითხულობდნენ რო-
მელიმე სათავგადასავლო წიგნს. ეჯიბ-
რებოდნენ თავსატეხის ამოხსნაში.
თხზავდნენ შარადებს. თამაშობდნენ
„სასლავო ბრძოლას“ უჯრედებიან რვე-
ულის ფურცლებზე. ყველაფერი ეს და
მათი ცხოვრების სხვა ყოველდღიურობ-
ა ისახებოდა ეგრეთწოდებულ საში-
ნაო კედლის გაზეთში, რომელსაც ბი-
ჭები ბაადურის თაოსნობით და შთაგო-
ნებით, მაგრამ მისი უშუალო მონაწი-
ლეობის გარეშე ყოველკვირა უშვებდ-
ნენ. კედლის გაზეთი იწერებოდა და
ინატებოდა დიდი გატაცებით, უმთავ-
რესად შეიცავდა იუმორს და საკმაოდ
მახვილსაც. კედლის გაზეთი იკიდებო-
და შუშაბანდში, სადაც ყველა სტუმარს
პირველადვე თვალში ეცემოდა. მისი
მთავარი მკითხველი მაინც ბაადური

იყო. ხოლო, როცა მთავარი მკითხველი გაზეთს სიამოვნების დიმილით კითხულობდა, მაშინვე გაზეთთან ჩნდებოდნენ ბიჭებიც და შეფასების მოლოდინში მოუსვენრად ცპუტავდნენ. მათი შემოქმედების გასაცნობად წინასწარ ვალიმებულო, ხელების ფშვინებით შემოდიოდნენ ხოლმე ბესო-პაპა და შოთა პაპიძე, აგრეთვე გურისა და ტიტეს მშობლების რომელიმე წარმომადგენელი, დედა ან მამა: ან, მუხრან ჭილაძე, მარჯვე და აღიარებული ქირურგი, ტან-მალალი და თმაშევერცხლილი, გულის-ხმიერი კაცი, ანდა მისი მეუღლე, ისიც ექიმი, ფერპკრთალი და სადად დეარცხნილი ქალბატონი ნელი; ან, ორმოცამდე წლის შავშავი და ლამაზულგაშინი გრიგოლ დეკანოზიშვილი, ჩარხმშენებელი ქარხნის პირველი ხელის ოსტატი, ანდა მისი მეუღლე, სათუთი და გალეული, დიასახლისი მადონა. კიდევ ერთი ძირითადი მკითხველი იყო ბედია და იყო ისე მხურვალე მკითხველი, რომ ნორჩ შემოქმედებს იგი გაზეთისათვის ხანგამოშვებით საკუთარი იუმორის ნიმუშებსაც აწვდიდა, რითაც გაზეთი დიდად იგებდა.

ერთის მაგიერ სამივე ბიჭი რომ შეუმჩნევლად ბაადურის საზრუნავი გახდა, ამას მოჰყვა ამხანაგებისაგან მისი რამდენადმე მოწყვეტა. ბაადური ამაზე ცოტას დარდობდა ხოლმე, მაგრამ ველარაფერს შესცვლიდა, რადგან უკვე ხელფეხშეკრული იყო.

6

დიდი სახელმწიფოებრივი და საკაცობრიო ძვრების დროს თავისთავად, მაგრამ ცხოვრებისეულ მოვლენათა მოთხოვნით ადამიანთა ადგილმონაცვლეობა ხდება არსებითად უდრტიწველ ყოველდღიურობაშიც. ხოლო თუ ეს არ იღებს საყოველთაო გარდუვალობის სახეს, ყოველშემთხვევაში ის მაინც არ გამოირიცხება, რომ ადამიანები, რომელთა ერთად ყოფნა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ყოველთვის ველარაფერს ხედებიან ერთმანეთს. პოლიტიქნი-

კური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ზურაბი და ემზარი სხვადასხვა შენებლო სამმართველოებში, ხოლო აბელი უშუალოდ მშენებლობაზე განაწილეს და ახალბედა ინჟინრები გართობასა და დასვენებას იკლებდნენ, რათა საქმეს ღრმად გასცნობოდნენ და მუშაობაში ტოლი არავისთვის დაედოთ. თანაც, ზურაბსა და ემზარს სასოფლო რაიონებში მოგზაურობა უხდებოდათ, სადაც მათი სამმართველოები სამუშაოებს აწარმოებდნენ, ხოლო აბელის მშენებლობა ისედაც ქალაქგარეთ იყო და ისინი ქალაქში ხშირად აღარც იყვნენ ხოლმე. თავისი გზა მონახეს ნაომარმა ვაჟაკებმაც. დიდიმი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, რამინი სამხატვრო აკადემიისა, გიგამ კი მუშაობა დაიწყო წარმოებაში, რადგან ოჯახი ხელმოკლედ დახვდა.

ძმობილთა და დობილთა ირგვლივ სხვაც ბევრია სამეგობრო, მაგრამ მეგობართა წრე უმთავრესად იმათ მოიცავს, ვისაც ეზო, სკოლა, შემდეგ კი უმაღლესი სწავლებელი და სამსახური, ხანაც განსაკუთრებული მოვლენა აახლოებს, რა თქმა უნდა, სულიერი სამყაროს თანაფარდობის ნიადაგზე. ამიტომ მეგობართა ნებისმიერი წრე რაოდენობრივ მეტად გაბერილი არასდროს არ არის. თუმცა, ერთმანეთი მხოლოდ მათ არ სწამთ, ვინც განუყრელად ერთად არიან. ბევრია ისეთიც, ვისაც იშვიათად ხედები, მაგრამ მუდამ გჯერა, რომ როცა არ უნდა გადაეყარო, გულს მთლიანად და უყოყმანოდ გადაუშული. ბევრი ასეთი ეგულებოდა ბაადურსაც და მათი უმეტესობა ახლა ისევ თბილისში ცხოვრობდა და სწავლობდა ან მუშაობდა. მაგრამ წლოვანებამ და მდგომარეობამ ყველას სხვადასხვა საზრუნავი გაუჩინა და თავისუფალი დრო ისე შეუქვეცა, რომ ისინი სურვილისამებრ ველარაფერს ხედებდნენ ერთმანეთს. თავისუფალი დროის მხრივ კიდევ უფ-

გიორგი ბელაშვილი
 გვიზარაზს მრავალი ჰერი

რო შეზღუდული იყო თავის ბიჭებზე დამოკიდებული ბაადური და მას რომ ამხანაგებისათვის ყოველთვის ვეღარ ეცალა, ისინიც თავის მხრივ ბაადურს ნაკლებად ეხმარებოდნენ.

მთავარი კი ის იყო, რომ თვალიდან დაიკარგა ბედია. ბედიას სამუდამო რჩეულ ნანის, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი, არაგვის ხეობის მაღალმთიან სოფელში საექიმო პუნქტის გამგეობა ხვდა. ნანის კი დანიშნულების ადგილზე, მასავით დასამკვიდრებლად, ოღონდ გაუნაწილებლივ, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე გაპყვა იმავე წელს ავად თუ კარგად უნივერსიტეტდამთავრებული ბედია, ისე რომ წინასწარ არც მოუსინჯავს იქაური შესაძლებლობანი მისი შრომითი მოწყობის თვალსაზრისით.

სამაგიეროდ, ბედიამ გამგზავრების წინ თავდაჯერებით თქვა: მე არსად არ დავიკარგები, ჩემისთანა ბიჭს ყველგან განძივით ჩაეჭიდებიან; თანაც, თუ ვითარება მოითხოვდა, ნანის ქვეყნის კიდემდიც უნდა წავყოლოდი და არაგვის ხეობაში ერთი მტკაველი რა გამიხდა!

ამ ერთი მტკაველის ნამდვილი სიგრიდე დაახლოებით ოცდათხუთმეტი კილომეტრი იყო, მართლაც არც თუ დიდი მანძილი, მაგრამ ტრანსპორტის სიმციროს პირობებში ხშირი მიმოსვლისთვის მაინც საწვალბელი. მით უფრო, როცა საქმით ხარ დაკავებული და მგზავრობაში ბევრი დრო გეკარგება.

ბედია კი სოფელში გეოგრაფიის მასწავლებელი და ჩასვლის დღიდანვე ყველასათვის აუცილებელი კაცი გახდა და როგორც თვითონ წერილებში თავს იფასებდა, თავისთავს აღარ ეკუთვნოდა. მისი მოუცლელობა რომ გაბუქვად არ სჩვენებოდათ, ბედია იმავე წერილში ნანის იმოწმებდა.

ტრანსპორტზე გაჭირვებას არად დაგიდევდათ ბაადური, მას ჯერ მტკვრისა და შემდეგ არაგვის წარმტაც ხეობათა ფეხით გავლა უფრო სასიამოვნოდ ეხატებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მა-

საც სამსახურისთვის დრო უნდა დავკლო, რასაც ერიდებოდა.

ამდენად, თუ წინათ ბაადური და ბედია თითქმის ყოველდღე ერთად იყვნენ, ახლა თვეობით ვეღარ ხვდებოდნენ და გულის ბუხარს ვრცელი წერილებით იოხებდნენ. ადრე, როცა მათ სასკოლო არდადეგების დროს ზოგჯერ კვირეებით დაშორება უწევდათ, ხშირი მიმოწერა არ უყვარდათ, ორივეს აზრი იყო: ჩვენ მთელი არსებით ისე ახლო ვართ ერთმანეთთან, რომ წერილები ღირსეულ მოციქულობას ვერ ვაგვიწვევენ; სხვა საქმეა თუ ჩვენ საბედისწერო ვითარებით ან კიდევ რომელიმე გარემოებით დიდი მანძილით ხანგრძლივ დაშორებული აღმოვჩნდებით.

ახლა მათი ერთ-ერთი დაახლოებით ასეთი დაშორება იყო. წერილებიც გარემოებამ მოითხოვა.

წერილები მარტო ერთურთ გახსენება არ არის. წერილის მიმოწერი თავს გამოცდაშიც აყენებს. ადვილია ნათესაური წერილების წერა. ასეთ წერილებს შინაური, უდაბლესი განათლების მქონე ბებიებიც კი რივიანად მართავენ. როგორც უბრალოდ საუბრობენ, ისევე წერენ და იმიტომ. უფრო უძნელდებით წერილების წერა იმ ადამიანებს, რომელთაც მაღალი განათლება აქვთ, რადგან წამოითხავნი მათგან ბევრს მოვლიან. მათ წერილებში აზრიც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მართლწერის წესებიც ზედმიწევნით დაცული. არადა, ვინც მათგან აჩაბაჩად დაწერილს მიიღებს, სახტად დაჩება და გულში სინანულს გაივლებს — რამისმაღლე წარმოდგენა მქონდა კაცზე და სინამდვილეში კი მხოლოდ საშუალო დონეზე მდგარაო; ხატვისაცემი კაცი რომ არ იყოს, ხოლო მე არ მრცხვენოდეს, ერთი რჯულზე ჩავუსწორებდი წერილს და უკან შეცდომების გასათვალისწინებლად დავუბრუნებდიო; როგორც თავის დროს საშუალო სკოლის მასწავლებლები წითელი მელნით აჭრელებულ საკონტროლო ნამუშევრის რვეულებს ჩვენ გვიბრუ-



ნებდნენო. ამიტომ განსწავლული ადამიანები ბებეიბზე მეტი გულისყურით უნდა წვრდნენ წერილებს. ბაადური წერილებს, ისე დაკვირვებით წერდა თითქოს მათ დასასტამბად ამზადებდა. ამიტომ, როგორც ალბათ ყველას, მასაც წერილების მიღება უფრო სიამოვნებდა, ვიდრე პასუხების წერა.

საერთოდ კი, თავისი აზრი, ხალისი და სარგებლობა აქვს წერილობითს საქმიან საუბარსაც, მით უფრო თუ შედეგად ღირსეული მეგობრული მიმოწერა გროვდება. თუმცა, წერილები იმას მიანც ვერ შეცვლის რაც მეგობრების ერთად ყოფნაა!

7

არაგვის ხეობიდან მოფრენილი წერილები სხარტულა მოთხრობებს ჰგავდა და სიამოვნებით იკითხებოდა. წერილებში არაფერი იყო ისეთი, რაც ბიჭებს უნდა დამალვოდა და ბაადური მათაც უკითხავდა ან წასაკითხად აძლევდა, რადგან მკაფიოდ ხედავდა ბედიას მათაყვანებელი ყმაწვილები ამისთვის როგორ მონდომებულნი ეციმფიავებოდნენ. ბიჭებს ამასთანავე ბედიას წერილებიდან ამოღებული განსაკუთრებით ელვარე ნაწყვეტები პირდაპირ თავის კედლის გაზეთში გადაჰქონდათ. მანამდე ბედიას წერილების წაკითხვაზე, ბიჭები სიცილისაგან იფხრიწებოდნენ, რადგან ყოველ მათგანში ბევრ კვიმატობას და ნაკვესებს პოულობდნენ. შემდეგ კი მათივე მონაწილეობით ან მათი ხელით იწერებოდა ერთობლივი პასუხი და ამას თავიდან ბოლომდე ახლდა ისევე სილაღე და ცხარე თათბირიც გამოთქმათა არჩევანის თაობაზე.

ბედიას მორიგი წერილი მათ აჩემებულ საბანაოზე წაიკითხეს და პასუხიც იქვე გამოაცხვეს.

ისინი ჩელიუსკინელთა სახელობის ხიდის მიდამოში ძველი მუშტაიდის ბაღის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის პიტალო ნაპირზე, ტრუსების ამარა იყვნენ და მზეს ეფიცებოდნენ. ბიჭები უკვე მერვე კლასში იყვნენ.

მათთვის, მარჯანიშვილის ქუჩაში მცხოვრებთათვის, მტკვარი იქ უფრო ახლო, მარჯვედ იყო, მაგრამ იმ ადგილებში ბანაობას ხიფათი სდევდა. ბაადურმა უკვე იცოდა, რომ ბიჭები მტკვარზე იპარებოდნენ და ჩადიოდნენ სწორედ ახლოებში, სადაც მდინარე გიჟურად მოგვლავდა და იყო საშიში მეჩეჩებიც. ბანაობის მთლად აღკვეთას კი იქნებ მათთვის უნდა უფრო გაეცხოველებინა და ბაადურმაც ბანაობა მთლად არ აღუკვეთა. ოღონდ, შედარებით უსაფრთხო ადგილისაკენ გამოაჩეია, სადაც აღრე ხშირად დადიოდნენ ხოლმე ის, სოსო და ბეღია. სადაც მას ხალხისაგან მოფარებულად შეეძლო ხოლმე ჩასვლა ახლაც.

ბედიასთვის გასაგზავნი წერილი გურიმ ტანსაცმლის ქვეშ ამოღო, რომ მდინარის შხეფებს არ დაესველებინა. თავიანთი გადაწყვეტილების გასაწართლებლად კი მან მოაგონა ის, რომ თავის დროზე მთლად თანაბარ ნიშნებზე არც ბაადურსა და ბედიას უსწავლიათ, რაც გურის საიდნლაც გაეგო. ამათ, თურმე, დაეთქვათ, რომ ერთმანეთზე მეტი ნიშანი არაფერში მიელოთ, ანუ ყველა საგანში თანაბარი ყოფილიყვნენ.

ბაადურს მათი გადაწყვეტილების შეფასება ეძნელა. ბიჭები მას ზოგჯერ ასეთი თავსატეხის წინაშე აყენებდნენ.

— მეგობრობას საქმით დამტკიცება უნდა, რასაკვირველია. — თქვა მან დაფიქრებით — რამდენიც არ უნდა იძახოთ და იფიცოთ მეგობრები ეართო, ცარიელ სიტყვას ფასი არ ექნება, თუ სიტყვა საქმით არ დადასტურდა. საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმარიტებას შეგახსენებთ. თქვენი გადაწყვეტილებაც მეგობრობის თავისებური გამოვლინებაა. ერთგვარ შესწორებას კი საუბრობს. კეთილი, ბატონო, ნუ მიიღებთ ერთიმეორეზე მეტ ნიშანს, როცა ყველა საგანში ზეუთიანები გექნებათ. ზევით სადღა წახვალთ!

გიორგი ბილაშვილი
გვიზარავს მრავალი ზერი

ბიჭებმა პასუხად მწყობრად გაიცი-
ნეს.

— სულ ხუთიანებზე მგონი თქვენც
არ გისწავლიათ, ძია ბაადურ.— თვალთ-
მაქცუხრად, თვალწაჭუტვით შენიშნა
გურამ. რამდენადაც გურის ბაადური
უყვარდა, იმდენადვე არ შეეძლო ცო-
ტა არ ახირობოდა ხოლმე. გური ამ
თვისებით ბედისა ცუდლუშტობისაკენ
იხრებოდა.

ტიტე და ლევა მეგობრის სითამამე-
ზე შეშფოთებული გაისუსნენ, მაგრამ
მშვიდობისმოყვარე ტიტემ საბრალო
სახე მიიღო და გურის ბოდის მოხა-
და.

— წამოსცდა, ძია ბაადურ... მერე
თვითონვე ინანებს.

— ბოდის ვიხდი, ძია ბაადურ. უკვე
ვნანობ. — დამნაშავედ თავდადუნული
წამოჯდა გური. წყლისა და მზის მეო-
ხებით გურის თმა გაფხოკვოდა და თა-
ვი დეკორატიული ბზის მრგვალად შე-
წვართულ ბუჩქს მიუგავდა.

— შეგახსენებთ ერთ აღიარებულ
ქეშმარიტებასაც. სიმართლის თქმაზე
ბოდის არ იხდიან. — სამივეს წუხი-
ლი გაუქარწყლა ბაადურმა. — ცუდად
არ ვსწავლობდი, მაგრამ ხუთოსანიც
არ ვიყავი. თავისი დაუდევრობით ხუ-
თოსანი არ იყო ბედიაც. სხვათაშორის,
მე არც თქვენთვის დამიძალებია ყო-
ველმისზეგარეშე ფრიადებზე ისწავ-
ლოთ. რაკი სიტყვამ მოიტანა, იმიტომ
წაგაქეხეთ. თუმცა, თუ თვითონ წარჩი-
ნებული მოწაფე არ ვიყავი, ეს არ ნიშ-
ნავს თითქოს უფლება მერთმეოდეს
სხვას ჩემზე უკეთესად სწავლისაკენ
მოვუწოდო. ამრიგად, მე ნამდვილად
არ ვბრწყინავდი ნიშნებით. საერთო-
დაც, გახლდით სრულიად ჩვეულებრივი
ბავშვი. სხვებისაგან შეიძლება გან-
ცხვადებოდა მხოლოდ იმით, რომ
ზოოპარკში სიარული არ მიყვარდა.
ხუთოსანი კი, მაგალითად, იყო თქვენ-
თვის კარგად ცნობილი ელდარ ლური-
ძე. მაგრამ მთელ კლასში მაინც ვერა-
ვინ შეედრებოდა სოსო მოლოდინს: სო-

სო ძალიან კეთილი ბიჭი იყო. ამ
თით ჩაეფიქრნა ერთხელ, ჩემდას-
გობრობა იმითაც დაემტკიცებინა, რომ
დაბალი ნიშნების მიღებას მიაღწევდა.
ამას მიეუხვდები, როდესაც მან ზედნიშედ
ორ საგანში წაიბოროძია, რომლებიც
ისევე ბრწყინვალედ იცოდა, როგორც
ყველა სხვა. მე კი სწორედ იმ ორ სა-
განში ჩამოვრჩებოდი. ამის გამო მოგვი-
ვიდა ჩვენ მთელი მეგობრობის მანძილ-
ზე ერთადერთი შელაპარაკება. ყველა-
ფერი იმით მოგვარდა, რომ იგივე საგ-
ნებში შემდეგ ორივემ მაღალი შეფასე-
ბა დავიმსახურეთ. ასე ცხადეყავით,
რომ სოსოს მხოლოდ დროებითი ჩა-
ვარდნა ჰქონდა, ხოლო თუ თავს მეტად
შევიწუხებდი, უკეთ სწავლა შემეძლო
მეც.

სოსო მოლოდინზე უკვე ბევრი იცო-
და არა მარტო ლევამ, არამედ ტიტემ
და გურიმაც. დაღუპული მეგობრის გა-
დიდებული სურათი სახლში თვალსაჩი-
ნო ადგილზე ეკიდა ბაადურს. ბიჭები კი
არაერთხელ შესწრებიან, რომ ბაადური
სევდიანი მისჩერებოდა სურათს, და
მისი შემხედვარე თვითონაც დანადლი-
ანებულან. ბაადური და ბიჭები ფიქ-
რით ახლაც სოსოს სურათზე გადავიდ-
ნენ და ბაადურმა მოხარდებს სევდა
გაუფანტა.

— სხვათაშორის, მე არც უნივერსი-
ტეტი დამიმთავრებია წარჩინებით.

— მე ნიშნის მოგებით კი არ შეგახ-
სენეთ, თუ როგორ სწავლობდით. —
ისევ გურამ გამოიღო თავი. — მხოლოდ
იმ აზრის გატარება მინდოდა, რომ კარ-
გი კაცი შეიძლება დადგე ყბადალებუ-
ლი ხუთოსნობის გარეშეც.

ტიტეს და ლევას ამჯერად აშკარად
მოეწონათ მეგობრის მოსაზრება. ბაა-
დურმაც სათანადოდ შეაფასა გურის
ქარაგმული დასკვნა და მზისაგან ატ-
ყავებულ წვეტიან ცხვირში მსუბუქად
წკიპურტი ჰკრა.

მზე უკვე ჩადიოდა.

ისინიც უკანასკნელად გაეცლნენ
წყალში.



ციცაბოზე დაკიდული ბილიკი, რომელიც ხიდის ყურთან იწყებოდა, მათ მოსავლელბივით მწყობრად აიარეს. უკვე ხიდზე კი ბიჭებმა ფეხი აითრიეს და წინ მიმავალ ბაადურს მათი ცხოველი ფუჩუნის ესმოდა.

— იცით, რაზე ვჩურობდებით, ძია ბაადურ? — მხოლოდ ხიდისგალმა მამართა მას გურობ.

ბაადურმა უკან არც მიიხედა და მუშტაიდის ბალისკენ გაუხვია.

— რახან ჩურობდებით, მამასადამე, საიდუმლო გაქვთ და სხვამ არ უნდა იცოდეს. თუმცა, მე შეიძლება მაინც გამოვიცნო, რაც გუნებაში გიდევთ. ბანაობის შემდეგ აღამიანი მძაფრ შიმშის გრძობს და გასაკვირი არ იქნება თუ თქვენც კუტი გეწვით. დანაყრებას კი ვფიქრობ, პაერზე ინებებთ.

უფროსი მეგობრის სასწაულებრივი მიხვედრილობა ბიჭებმა ერთსულოვანი აღტაცებული ტაშით დააჩილოდოეს და ბაადურს თავისი დაზოგვილი მანეთები გამოუჩინეს.

ბაადურმა ბიჭები მათი მანეთების დაუხმარებლად ბალის ღია პავილიონში ღვეზელებით გატიყნა და ლიმონათით გაპყირბა.

— ახლა რაღაზე ვჩურობდებით, ძია ბაადურ? — კვლავ გურობ ითამამა, როცა ისინი პლენანოვის პროსპექტით უკვე სახლისაკენ მიემართებოდნენ და ბაადური ჩვეულებრივ წინ მიიბიჯებდა.

— ახლა მე უფრო ადვილად გამოვიცნობ თქვენს სურვილს. — კვლავ შეუბრუნებლივ უპასუხა ბაადურმაც. — გატყობთ, მარტო დარჩენა ვინდათ. დაგტოვებთ კიდეც. მე იქნებ ამხანაგებს გავუარო. თქვენ კი დიდხანს არ იიალათო. ვიტრინებშიც საკუთარ გამოსახულებებს ხანგრძლივ არ ესაყვარულოთ. ჩემთან შეკითხვები გაქვთ?

ბაადურს გულთამხილობითა და მათთვის თავისუფლების მინიჭებით განარებულ ბიჭებს შეკითხვები არ აღმოაჩნდათ. მათ თავისი ჩანაფიქრი აიხდინეს და მეტიც არაფერი უნდოდათ.

ბიჭებს ახლახან საზაფხულო არდადეგები დაეწყათ. სულ მალე სამივე სოფლებში გაიხვეწებოდა და მანამდე მათი ცოტა ნებაზე მიშვება ცოდვა არ იყო.

თვითონ ბაადური რომელიმე ამხანაგს მართლაც სიამოვნებით გაუვლიდა სახლში, მაგრამ დიდი ხნის მიუსვლელი რომ იყო და აღარც მათ მოეკითხათ, იფიქრა იქნებ ერთმანეთს გადავჩვიეთო, და თავდაპირველ განზრახვაზე ხელი ჩაიქნია. ბიჭებს კი იმ იმედითაც დასცილდა, რომ საღამო იყო და მარჯანიშვილის მოედანზე შეიძლება შემთხვევით გადაპყროდა რომელიმე იმთგანს, ვისთანაც სახლში წასვლა გადაიფიქრა.

მარჯანიშვილის მოედანზე წლების განმავლობაში ახლო ამხანაგები დაუთქმელადაც ხედებოდნენ ხოლმე.

მოედნის ყველაზე ნიშნულ ადგილზე საკომისიო მალაზიის კუთხეში დაყენებული საათის ქვეშ დაბარებულებით იდგა ბედია და მეგობრები ერთმანეთს გახარებული ეძგერნენ, თუმცა ბედია გულში ცოტათი ნაწყენი იყო ბაადურზე იმის გამო, რომ სოფელში გადაბარებულ მეგობარს ის ჭერ ერთხელაც არ სწევოდა. ამ დანაშაულს გრძობდა ბაადურიც, რაც ეტყობოდა კიდეც. ამიტომ ბედია მის საყვედურებით არ აავსო, მაგრამ როცა ბაადურმა მოეკითხა, როგორ ცხოვრობთ, ნიშნის მოგებით მოუტრა.

— გავიწილს ნანახი სჯობს. — რა თქმა უნდა. ოღონდ ახლა შენებური ჩიჩინი არ დამიწყო. ცხადია, გესტუმრებთ. აი, როცა ჩემს მოწაფეს არდადეგებზე იღუმალში გავამგზავრებ.

— მეც ჩემი მოწაფის წასაყვანად ჩამოვედი მთიდან ბარში. დედაჩემიც მოწაფე არ არის! გაკვეთილებს ისიც ამზა-

გიორგი ველაშვილი
გვიწარავს მრავალი ჰერი

დღეს-ღეს მასაც არ დადავებზე ითხოვენ. საით გავიაროთ?

— არსაით. — თავს ზემოთ საათს ახელა ბაადურმა. — ლეგა თავის ამალით ქუჩაში დავტოვე, ოღონდ სახლში დროულად დაბრუნება დავუბარე. ახლა მინდა თვითონ შინ მისული დავხვდე, რომ სხვა დროს ჩემი დავგვიანების იმედით გარეთ დიდხანს არ დარჩეს.

— დავჯდეთ ჩვენც შენს ფანჯარასთან და ვიყუროთ ქუჩაში. მე, მაინც ბევრი ვიტანტალე დღეს შენს ძებნაში და წაქცევაზე ვარ. — ბედია ბაადურს ხელკავი გაუკეთა და მათ მოედანი გადაჭრეს.

— შენ ჩემი პონეა როგორ გაგიჭირდა! ტყვილად მაინც ჩამოგებედა ჩვენს ძველ საბანაოზე...

— მტკვარზე, ბიჭო? აბა, როგორღა წარმოგიდგენდი, რომ ამ ხნის კაცი შუაგულ ქალაქში ჰყუმბალს არ დაიშლიდი!

— ჩვენ ჩვენი ბავშვობის დროინდელი ყველა ჩვეულება უნდა დავივიწყოთ, რაკი პატარები აღარ ვართ? თუმცა, მართლაც აღარ შემფერის. მეშინია კიდევ ხალხი, რომ ვინმემ არ მიცნოს. მაგრამ ახლა მტკვარზე ბიჭების ხათრით დავდივარ.

— მივხვდი, რომ იმათ გულისთვის დადიხარ. იმიტომაც გეხუმრე.

— მეც მივხვდი, რომ იხუმრე. იმიტომ არ მეწყინა.

— ბიჭებს შენ ყველა სურვილს უსრულებ?

— ყველა სურვილის ასრულება საერთოდ მიუწვდომელია. ვუსრულებ იმას, რაც მიზანშეწონილად მიმაჩნია და ჩემს ძალას არ აღემატება. ზოგჯერ თვითონ ვძებნი, რაც მათ გაახარებთ. ცნობილია, რომ როდესაც ბავშვს მიუხვდები და აუცხადებ, რაც ესამოკნება, მისგან მეტ წესრიგიანობას უნდა მოელოდე.

— ლეგამ სწავლას უმატაო, იწერებოდი.

— საგრძნობად უმატა. თავდაარჩე-

ნეშული-მაინც არ ვარ. ბიჭი, ეგერი წოდებულ გარდამავალ ასაკს უმჯობესდება, რომელშიც არც მე და შენ ვიყავით უცოდველნი.

— ლეგა შენს ხელში მრუდე ნაბიჯს ვერ გადასდგამს. შენ ყოველთვის გიგონებდა ყველა შენი ტოლი. მით უმეტეს ვერ გაგიურჩდება ჯერ მაინც ბავშვი ლეგა. აი, პირადად მე და შენ კი, სახელდობრ, რა ცოდვა გვექონდა იმ ეგერითწოდებულ გარდამავალ ასაკში?

— ჩემი ცოდვები შენ გეხსოვება. შენი კი თუნდაც ის იყო, რომ უმიზეზოდ სახლიდან გაპარვის მაცდური აზრი ერთავად ტვინში გილიტინებდა.

— უფრო სწორედ, თავში მიჭროდა! მაგრამ არ გაუპარულვარ. ამიტომ განუხორციელებელ განზრახვას ცოდვად არ ვითვლი. მე ჩემს ერთ უწყინარ ცოდვას გაგახსენებ. ჩვენში რამდენადმე ჩუმ კმაყოფილებას იწვევს, როდესაც ვკითხულობთ სტრიქონებს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაზე და მათ სუსტ მხარეებში საკუთარ ნაკლოვანებებთან ნათესაობას დავინახავთ. შენ ყველაზე კარგად იცი, რომ წერა მეჯავრებოდა. ამის მიუხედავად, კეთილსინდისიერად მქონდა ამოწერილი სისუსტენი სახელოვანი პიროვნებებისა, რომელთა ცხოვრებას ვიცნობდი. გაურკვეველი ხელწერა. დაუღვერობა. დაბნეულობა. კვიპატობა. ვანსაკუთრებით მსიამოვნებდა, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლისა და შემოქმედების მანძილზე სასვენი ნიშნების განაწილებაში სცოდავდა თვით ბუმბერაზი გოეთე. მაშინ, როცა მე, იგუეესთვის, უღმობელი მასწავლებლები სიცოცხლეს მიმწარებდნენ.

— მასწავლებლებს თვითონაც საკმაოდ ამწარებდი.

— მასწავლებლებს მგონი მაინც ვეყვარდი. ისევე, როგორც ახლა თავათ მასწავლებელს მიყვარს ზომიერად ცელქი და ამავე დროს გონებაანათელი მოწაფეები. მგონი, მოწაფეებსაც ვეყვარვარ. თუმცა, მასწავლებლობა არ იყო ჩემი მოწოდება. მე შენი წამხელუ-



რობით შემოვრგვე თავი ფაკულტეტზე, რომელიც თვითონ შენ მგონი მთლად იღბლიანად ვერ აირჩიე. შემდეგლა გავერკვიე, რომ მასწავლებლობა მიწევდა. არც ამცდა. უვანე კო მასწავლებლობას შენ.

— მასწავლებლობაზე მეც არ მოცნება. ოღონდ მხოლოდ რიდით, რომ ძნელი მოვალეობაა და ვერ გავწევდობსე კო, გეოგრაფიული განათლება, რომელიც ორივემ მივიღეთ, გულით მინდობდა. შენის მხრივაც უკვე გვიანია წუწუნი.

— არც ვწუწუნებ და აღარც ვიწუნებ. მასწავლებლობასაც თანდათან შევიფერებ. მოცემულ ვითარებაში კი მე საშინლად მშობია. მოდი ძესვი და კონსერვები ვიყიდოთ.

— არაფრის ყიდვა არ გვჭირდება. მე უკვე მაქვს ხელფასი და ჰონორარიც. მასადაამე, უკვე მომეზობება ხოლმე სახლში ცოტ-ცოტა სასუნსაოც. ყოველშემთხვევაში ის, რაც ახლა კარადაში მეგულება, სამ აღამიანს თავისუფლად გვეყოფა.

— აი, ეს უკვე მომწონს! თადარიგანი გამხდარხარ და ვილოცავ.

— ეს შენს თავს მიულოცე. თადარიგანიანობა შენგან ვისწავლე.

— ვულოცავ ჩემს თავსაც, რომ ამავი წყალში არ გადაყრია. აბა, ვიჩქაროთ!

საჩქარო აღარსად იყო. ისინი უკვე მივიდნენ. ისე კი, მოედნიდან ბაადურის სახლამდე მოკლე მანძილის გავლას მათ ორჯერ მეტი დრო მოანდომეს, ვიდრე სჭირდებოდა, რადგან თავის ყოველი სიტყვისთვის განსაკუთრებული აზრის მისაცემად ხშირად ჩერდებოდა ბეღია და მის გამო ყოვნიდებოდა ბაადურიც.

10

შუშბანდში ლეგა მზარეულობდა. ბაადურის გარკვეული აღმზრდელი ბითო მოსაზრებით, ბეღიას ლეგასადმი ზედმეტი ყურადღება არ უნდა გამოეჩინა, მაგრამ რაც ხანი მათ ერთმანეთი

აღარ ენახათ, ლეგას ტანი აეყარა, დამშვენებულიყო, მას სიყვარულით შესცქეროდა, და ბეღიამ ბაადურის გაფრთხილება დაიფიქრა. ბეღიამ ლეგას ხელი მოხვია და მკლავის ძალა შეუქო. შემდეგ კი შეუქო კერძიც და სიამონებებით შეექცა.

მსუბუქი ვახშმით დანაყრებულმა ბეღიამ და ბაადურმა სკამები ფანჯარასთან დაიდგეს და პაპიროსს მოუკიდეს. უფროსების გვერდით შეეძლო მშვიდად ჯდომა ლეგასაც, რადგან გაკვეთილები აღარ აწუხებდა. მაგრამ ის უკვე აღვილად ხედებოდა, რომ თვეობით უნახავ მეგობრებს თავისთვის მყუდრო საუბარი ესურებოდათ და არ მიეტმასანა.

ცოტა ხნის მერე ბეღიამ სკამიდან გადახნივით პატარა ოთახში გაიხედა და დაინახა, რომ ლეგა უკვე ლოგინში იწვა და წიგნს კითხულობდა.

— წიგნებს შეეწყო? — შეთქმულის აღვზნებული ჩურჩულით ჰკითხა მან ბაადურს.

ბაადური კი დიდსა თუ პატარას წიგნისადმი დამოკიდებულებით აფასებდა და ბეღიას შეკითხვას თავმომწონედ შესვდა.

— ეს ერთი ხანია ძალიან სწყალობს.

— რას დაეტანა?

— იგივეს, რასაც ვეტანებოდით მის ასაკში ჩვენც. ცხადია, სათავგადასავლოს.

— რუსულად?

— იმიტომ რუსულად, რომ უცხოელი მეთავგადასავლე მწერლები ძირითადად რუსულადაა თარგმნილი. ქართულ ენაზე კი მათი წიგნები თითო-ოროლა გვაქვს. საერთოდ, მათი თარგმნა აღბათ მოგვარდება. აღბათ დაიწერება თვით ქართული სათავგადასავლოებიც. მაგრამ ლეგასთვის რუსულში კითხვაც ენის გასატეხად სასარგებლოა.

— ის დაქნძილი და სუნთქვისშემ-

ვიოვანი გელაზვილი
განიშნაბავს მრავალი ზიერი

კრელი წიგნები მე ახლაც მაშინდელი-
ვით თავდავიწყებით მიყვარს. წიგნების
მთავარი მშოვნელი კი შენ და სოსო
იყავით ხოლმე.

— ეჰ, სოსო! — ნაღვლიანად თქვა
ბადურმა საერთო მეგობრის მოგონე-
ბაზე.

— დადინარ სოსოს სახლში? — ხეა
კიდევ დაიდაბლა ბედიამ.

— სამჯერდა ვიყავი სოსოს დალუპ-
ვიდან. — თითქმის ჩურჩულზე გადავი-
და ბადურიც, თუმცა საჩუქართო არა-
ფერი იყო. უბრალოდ, მკვდარზე ლა-
პარაკმა მოითხოვა ხმის დაგუღვა. —
სოსოს სიკვდილს ხომ ვერ შეგვუბი-
ვარ და მისი დალუპვის საიდუმლოებაც
მაწვალებს. ჩემი ყოველი მისგლა კი,
დედას და დას მწუხარებას თუ უღრმა-
ვებდა, თორემ არ უნელებდა. გარინ-
დებულნი, უხედეელი თვალებით შემო-
მაჩერდებოდნენ და არაფერს მეუბნე-
ბოდნენ. ერთმანეთისადმი კი თითქოს
მტრულად განწყობილიყვნენ. სოსოსი
და სოსოს უფროსი ძმების წერილები
გაეყოთ, ჯიბეებში ჩაეკუჭათ და ერთი-
მეორეს არ ანდობდნენ. უკვე მიმიძის
მისგლა ჩვენი სხვა დალუპული ბიჭების
ოჯახებშიც.

— აფსუს, ჩვენი ბიჭები! — გრძნო-
ბით დაინანა ბედიამ.

ორივემ ჭაგრიანად მოუყიდა ახალ
პაპიროსს და დალუპული თანაკლასე-
ლების ხსენებას მათი ხსოვნის პატივსა-
ცემი ხანგრძლივი დუმილი ბუნებრი-
ვად მოჰყვა.

— არადა, არ მეპატიება მათ ოჯახებ-
ში ფეხის აღკვეთა. — სიჩუმე ბადურ-
მა დაარღვია, დანაშაული კი იწილადა
ბედიამაც.

— არც მე მეპატიება.

— არავის არ გვეპატიება. თავს კი
იმით ვიმართლებთ, რომ შინმოუ-
სვლელთა შინაურებს ჩვენმა სალად და-
ნახვამ გული არ მოუკლასო.

— ნაწილობრივ მართალიც ვართ,
ეგრე რომ ვფიქრობთ. შენ მაინც
თავს ძალიან იმართახებ. მაშინ როცა,

როგორც შეგეძლო, ყური ყველასკენ
გეჭირა. ქათინაურად არ გეუბნებოდა
— ქათინაური ნახევრად ყალბია და
არ მიყვარს. ვიზე რა ყური მეჭირა?
მიყვარდნენ და წერილებს ვწერდი.

— წერილების გზავნაც გულისხმიე-
რებაა, მიმღებისათვის კი — ნამდვილი
ბედნიერება. ამრიგად, შენ ცოტა ამა-
ვი მაინც ბევრზე გაქვს.

— უფრო მეტი კი, სჩანს პატივმო-
ყვარეობა მახასიათებს. შენ ეს-ეს არის
ამაგდარობა დამაბრალე. მე კი ეს სიტ-
ყვა შევიფერე, ყოველშემთხვევაში,
გულის კუნძულში მესიამოვნა. ასე
რომ, მე თუ ვინმეს მართლაც რაიმე
ვარგე, შემდეგ ალბათ ცხვირში უნდა
ამოვადინო, სიკეთე დამიფასე-თქო.

— შენ მაგას, რა თქმა უნდა, არ იკა-
დრებ. ისე კი, სიკეთეს მართლაც დანა-
ხვა უნდა. აღამიანები დაუნახავი არ
უნდა იყვნენ.

— არ უნდა იყვნენ. სამაგიეროდ, მა-
თი უმაღლესობა მათსავე სინდისზე იქ-
ნება.

— მერე, მაგათ შენ რა?

— მე ის, რომ თვითონ სინდისი
წმინდა მექნება.

— მაგრამ ამავე დროს არ მოგასვე-
ნებს გაწბილების გრძნობა.

— შევეცდები, გრძნობას არ ავყვე.

— ვერ შესძლებ. თუ უახლოესი აღა-
მიანი გაგაწბილებს, გრძნობას გინ-
და — არ გინდა, აპყვები.

— შენ ლევას გულისხმობ?

— დაუღუგათ.

— ლევა წამოიზრდება. თავის გზას
იპოვის. მაშასადამე, დავშორდებით.
დამორება მე, ცხადია, გამიმწელდება.
მაგრამ თავს გაწბილებულად არ ჩაე-
თვლი.

— თუ დამორდით და დაგივიწყა,
თავს სწორედაც გაწბილებულად ჩას-
თვლი. თუმცა, ლევამ რომ შენზე გული
აიყაროს, ეს ისევე წარმოუდგენელია,
როგორც არაგვის აღმა შებრუნება. შენ
ასეთ ვითარებაში გნებაეს მტკვარი ახ-
სენე, რომელშიც დღესაც გიდგაფუ-
ნია, გნებაეს იორი ან რიონი. მე არა-



გი ამიტომ ვახსენებ, რომ უკვე არაგვე-
ლი ვარ. ხვალდან გავაარაგველებ დე-
დაჩემსაც.

— გზა მშვიდობისა! მე კი, ხვალ დი-
ლითვე მიმავალ კაცთან ჩემი მიზეზით
მოსაწყენი საუბარი გამომივიდა! ამას
თავშესაქცევი საუბარი აჯობებდა. თუნ-
დაც იმაზე რაც ახლახან, ომის დროს,
მწვავედ განვიცადეთ, მაგრამ ისე აღარ
გვადონებს, რადგან უკვე წარსულია.
ვთქვით, ჩვენი ჯიბეცარიელობა, შიმ-
შილისაგან სულის კაწკაწი, თამბაქოს
ნაცვლად გაზეთის ნახევში ნაფშენი
ფოთლის გახვევა, რომელსაც მძალე
გემო დაჰკრავდა. მაინც დღევანდელ
კამათსაც წყლის ნაყვად ნუ ჩავთვლით.
რაკი რასაც შემთხვევით შევეხეთ, მაგ-
რამ ორივემ გულთან მივიტანეთ, მაშა-
სადამე, არსებითი ყოფილა. საერთო-
დაც, რაზეც მეგობრები საუბრობენ,
განა ყველაფერი წინასწარ დაგეგმი-
ლია? თუმცა, გამოგიტყდები, რაზე-
დაც არ უნდა გველაპარაკა ჩვენ
დღეს, მე სიტყვას ლევაზე მაინც გადა-
ვიტანდი. ძალიან მაფიქრებს, როგორი
კაცი გამოვა, როგორ ვაამართლებს.
შენ მიხედვრილად დამაყენე ჩემს სა-
გონებელზე, რისიც პირდაპირ გამო-
თქმა მიჭირდა, და კმაყოფილი ვარ,
რომ ჩემი შიში არ გაიზიარე.

— შენ, საერთოდ, უცნაური ფიქრე-
ბის აკვიტება იცი. ეჭვიანი არ ხარ,
მაგრამ რალც მოულოდნელ საქოთ-
ქოთოს კი გამოიტებ ხოლმე.

— არ უარყოფ. ფიქრებში მართ-
ლაც ღრმად შევტობავ ხოლმე. თუ-
ცა, ფიქრიც არის და ფიქრიც! ზოგი
ფიქრი რომ ძილს დაგაჯარგვინებს,
სხვა, სამაგიეროდ, ტკბილ ნანასავით
მოქმედებს.

— აი, ეგეთი ტკბილი ფიქრები კი
მიყვარს! ჩემს სოფელში ჩემი მძალე
სახლის აივანზე, საიდანაც ქვეყანა ხე-
ლის გულივით მოსჩანს, მთვარიან და-
მით კაცს სწორედ ეგეთი ძილისპირუ-
ლი ფიქრები იპყრობს.

ბედის სიტყვები ნართაული მიბა-
ტყება იყო და ბაადურს ჩემად გაე-

ცინა. ბედამ ეს ვერ შეამჩნია, თორემ
აფეთქდებოდა. ოთახში სინათლე არ
ენტო. მათ ხშირად ასე სიბნელეში
ჯდომა და საუბარი უყვარდათ. ასე,
ფანჯრიდან ქუჩა უკეთ სჩანდა და თვა-
ლი ხალისობდა. სიბნელეში კი ორი
პაპიროსი ბეუტავდა. ხოლო ფანჯარა
ღია იყო და ოთახში მსუბუქი სიგრილე
სცემდა.

11

ყოველ არდადეგებზე, აგრეთვე რო-
ცა კვირა და უქმე დღე ტყუპად გამო-
დიოდა, ბაადური ლეგას სოფელში ის-
ტუმრებდა, თვითონ კი არ მიჰყვებოდა,
რომ ძმებს შუა, რომელთაც თავის-
თვის მარტო ყოფნა ყოველთვის სწყუ-
როდათ, ზედმეტი არ ყოფილიყო. ასეთ
შემთხვევაში ლეგას გულისყური და-
თასა და ბაადურს შორის გაეყოფოდა
და ბიკი იწვალებდა. ამიტომ აუცილე-
ბელი იყო, რომ როცა ლეგა იღუმალ-
ში ჩადიოდა, მთელი არსებით ღვიძლ
ძმასთან ყოფილიყო.

სოფლიდან ლეგა მუდამ მოფერიანე-
ბული და მჩქეფარე ბრუნდებოდა და
სწავლასაც მეტრ მონდომებით ეწაფე-
ბოდა.

ლეგამ საერთოდ თვითგანათლება-
საც ბეჭითად მოჰკიდა ხელი. უკვე
თვითონაც იქნდა წიგნებს და ბევრს
კითხულობდა. წაკითხულს კი გულმო-
დგინედ არჩევდა და წიგნებიდან ამოკ-
რებილ გრნიერ გამონათქვამებთან ერ-
თად თავისი აზრებიც საამისოდ დაწე-
სებულ სქელ რვეულეებში შეჰქონდა.
ლეგას სკოლაში უცხო ენებიდან გერ-
მანულს ასწავლიდნენ, მაგრამ ამ ენას
მტრულად უბღვერდა, რადგან მას
უკავშირებდა მამისა და ძმის დაღუპ-
ვას. იგი დამატებით დამოუკიდებლად
მოეკიდა ფრანგულის დაუფლებას. მას
არც ერთ მოწადინებობაში არ ჩამორჩე-
ბოდნენ ტიტე და გური და ბიჭების მსგე-
ლობანი თანდათან თავისუფლდებოდა

გიორგი გელაშვილი
გვიზარავს მრავალი მირი

ასაკისათვის დამახასიათებელი უსახუ-
თობისაგან და იქნდა სიღრმეს. ყველა
ეს სიბუჯითე და სწრაფვა, ცხადია,
ვლინდებოდა ბაადურის წახედვით და
გავლენით, რომელიც ნამდვილი წიგნის
ჭია იყო, წიგნით ხელში იღვიძებდა და
წიგნზე იძინებდა.

წიგნებიდან ათვისებული სხვადასხვა
სიბრძნის გავლენით, ვნახოთ და შეუ-
საბამო მალაფარდონება შეეპარა
ბიჭების კედლის გაზეთს, რის გამოც
ისინი ბაადურმა დაამუხრუჭა.

— თქვენი გაზეთი დანიშნულებით
სალაღობო და წიკპურტის გამკრავია.
და, აი, თუ ის ამ სახეს შეიცვლის,
თქვენ გულს დასწყვეტთ და საბოლო-
ოდ დაკარგავთ ერთ თავგამოდებულ
მკითხველს, ბესო-პაპას. თქვენ, საერ-
თოდ, იცით რას ნიშნავს გაზეთისათვის
მკითხველის დაკარგვა! ბესო-პაპას კი
ცხოვრების სიბრძნე თქვენგან არ ეს-
წავლება! მას თქვენი ასაკის ტოლი
სულიერი სამყარო და გონების ხალი-
სი ჰქაჭკიჯი იზიდავს და არა თქვენივე
ბრძნად წარმოსახვა.

ბაადური გამოდიოდა იქიდან, რომ
ყოველად სასარგებლო ცოდნის შეძენას
მაინც არ უნდა შესწორებოდა ხალასი
იუმორის გრძობა, რომელიც მთელი
ცხოვრების მანძილზე სულის სიმტკი-
ცისათვის აუცილებელ საგზლად გამო-
ადგებოდათ.

ბიჭებმა განსაჯეს, რომ ბაადური
სწორს ამბობდა. რომ ბესო-პაპას, რო-
გორც მკითხველის დაკარგვა, მათი გა-
ზეთისათვის აუნაზღაურებელი დანაკ-
ლისი იქნებოდა. ამიტომ მათ წინმდებ-
არე ღრმავაროვანი გაზეთი, როცა ეს
ლაპარაკი ჩამოეარდა, ხელად გადაა-
კეთეს და ძველებურად გაამხიარულეს.
ამასთან მათ შთაავონებდა ბესო-პა-
პასა და, საერთოდ, ყველა მეზობლისა-
დმი პატივისცემა.

ბირიდად ლეგაზე კი თავისწილ
მზრუნველობას იჩენდა ყველა მეზო-
ბელი.

ბესო-პაპა მას სამშენებლო კანონებსა
და სხვადასხვა ხელმარჯვეობას უნერ-

გავდა. ბებია სოფიო ასწავლიდა
ხის ყვავილების მოვლას და რაც კი
რამ იღუნებოდა, ყველაფერი იმიდან
კალათებისა და სანამცხვრეების წგნას.
ცოლქმარი პაპიძეები გადასცემდნენ
თავიანთი მოსაქმეობის საფუძვლებს:
კატო — მანქანაზე ბეჭდვას, შოთა —
მარტივ ბულალტერიას. თვითელი სა-
კუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე-
ობდა. ჯამში კი ყველა ერთ კეთილშო-
ბილურ მიზანს ითვალისწინებდა: ყო-
ველგვარი გაცნობიერება ლეგას დამო-
უკიდებელ ცხოვრებაში გამოადგებოდა.
დაახლოებით ისე როგორც ზღაპარი
მოგვითხრობს, რომ მძიმე განსაცდელ-
ში ჩაეარდნილი ხელმწიფე დილეგი-
დან ხალიჩების ქსოვის ცოდნამ იხსნა.
ხელმწიფემ ხალიჩაზე ქარაგმულად
ამოქსოვა რამდენიმე სიტყვა, რომლი-
დანაც ერთგულმა აღამაინებმა შეი-
ტყვეს, თუ სად იყო გამომწყვდეული
მათი დაკარგული მეუფე და კიდევ გა-
მოიხსნეს.

ლეგა ყველა ამ „საშინაო საგანში“
ნიჭს იჩენდა. მარტო ბულალტერიას ვერ
უღებდა მთელ გულს, მაგრამ შოთა პა-
პიძე ძალიან გულთბილი და მოამაგე
კაცი იყო და ლეგა მისი ხათრით ცოდ-
ვილობდა ბულალტერიაშიც.

მხოლოდ ტასია და ნორჩი ციური
ვერ ასწავლიდნენ ლეგას ვერაფერს.
სამაგიეროდ, ტასია მას ხელიდან ვღეჯ-
და მოსარიგინებელ ტანსაცმელს და
ამით უთანაზომდებოდა სხვა მეზობ-
ლების გულისხმიერებას.

რჩებოდა ციურიდა, ვინც ლეგას
გულს ვერ ინადირებდა და გოგონა ამ-
ას საშინლად განიცდიდა. ციური იმი-
თაც იყო გულდაწყვეტილი, რომ ის და
ლეგა ერთ სკოლაში და მასადაამე,
კლასშიც ერთად არ სწავლობდნენ,
თუმცა ტოლები იყვნენ და ერთ სახლ-
ში ცხოვრობდნენ. მაშინ, როცა ერთ-
ეზოელი ტოლები უმეტეს შემთხვევაში
ერთ სკოლაში და კლასშიც ერთად
სწავლობდნენ. ლეგასა და ციურისაც
ერთად რომ ესწავლათ, ერთმანეთთან
საერთო მეტი გამოუჩნდებოდათ. ციუ-



რის შაინც თავგამოდებით ცდილობდა ლევასთან უფრო დაახლოებას, ლევა კი მას თითქმის გაუბრადა.

ამას ამჩნევდა ბაადურის და სწყინდა ლევას უცნაური უცხვირპირობა. მისი შეხედულებით, ბიჭებისათვის გოგონებთან მეგობრობაც სასარგებლო იყო. გოგონებმა ბიჭებთან გულთათვი მეგობრობა იციან. გოგონები ბიჭების გულის მესაიდუმლოენიც ხდებიან და გამტანნიც არიან. ბაადურმა ეს საკუთარი გამოცდილებით იცოდა. თუმცა გოგონების მადევარი არ ყოფილა, მაგრამ მათი ერთგულება ზევრჯერ გამოეცადა. მის კლასში გოგონების ყველაზე მეტი დამფასებელი მაინც გივი ლუტიძე იყო. გივის კინოს ფული უმეტესად გოგონებისაგან ჰქონდა ხოლმე.

ეს, მათი ეზოს ნორჩი ასულიც, ციურია, ისეთი სპეტაკი სულის, ამასთან ცქრიალა და თვალყუთუნა გოგონა იყო, როგორსაც სამეგობროდ ყველა ბიჭი ინატრებდა. ლევა კი მას ხან ამჩნევდა, ხან არა. სამაგიეროდ, გვერდიდან თითქმის არ იცილებდა თავის გურის და ტიტეს და ციური მათ ყოველ გამოჩენაზე ნაწყენი იკობებოდა.

12

თბილისში ბედიას უკანასკნელი ყოფნიდან სულ ორი კვირის შემდეგ ბეღია და ნანი უქორწილოდ შეუღლდნენ. სამაგიეროდ, ამიერიდან თითო სტუმრის მოსვლაზე კი სუფრის ყოველ განმასხვავებელს უწოდებდნენ. ერთი ასეთი ქორწილი გაიშალა ბაადურის სახელზე, როცა მან ლევა იღუმალში გაისტუმრა, თვითონ კი, შეპირების თანახმად, მაშინვე ხალისით მიამურა ჩერ უცნობ მაღალმთიან სოფელს სადაც ნანი გაანაწილეს, ხოლო ბედიამ თავი თვითონ გაიანაწილა. ბედიას უკვე თავისთან ჰყავდა დედაც და იქვე მკვიდრდებოდა ისიც, რადგან თბილისში მარტო ვერ გასძლებდა.

ისინი მდგმურად იდგნენ პენისიონერ კოლ-ქმართან, რომელთაც სოფლის შუაგულში კვარცხლბეკით ამა-

ღლებულ კორტოზზე კარგად შენახული კონტა სახლი ესკუპათ. ორსართულიანი და ღიაიენებიანი. იქვე სოფელში ცხოვრობდა მათი ოთხივე შვილიც, სამი ქალიშვილი და ნაბოლარა ვაჟი. მაგრამ ქალები ქმრებს თავის ჰერკვეშ წაეყვანათ, მშობლებთან კი დარჩენილიყო მხოლოდ ვაჟი, ისიც უკვე დაოჯახებული.

პენისაზე ვასელიდან საკარმიდამო ფუსფუსზე გადართულ ნაღვან მასწავლებლებს, ფაშვამა დედა მაროს და თერთფაფარ დაყრილ ძია ექვთიმეს მოკლე ხანშიც ისე შეეფიქრებინათ ენაწყლიანი და მოსიყვარული ბეღია, რომ მდგმურად აღარ სთვლიდნენ. მათ იგი, ცხადია, არც შვილად გამოეცხადებინათ, მაგრამ მთელ სახლში ღვიძლი შვილის თანაბარი განმგებლობა მიენდოთ, რასაც თითქმის არაფრის პატრონი ბეღია დარდიმანდულად უყურებდა. მთელ სახლში სასურველი გულითაღობა სუფევდა და ყველა ერთი ოჯახივით იყო.

ამ მთვარიან საღამოსაც ყველა ერთად შეკრებილიყო მეორე სართულის ხალვათ აივანზე და მასპინძლობდა საერთო სტუმრებს — სოფლის რამდენიმე ხნიერ ინტელიგენტს. ყველა ჩაბმული იყო ლოტოში, მართლაცდა თავშესაქცევ გართობაში, რომელიც ხროვანთა ხეფდრიცაა და მოთხოვნილებაც.

მაგრამ მაგიდასთან მბრძანებლობდა ახალგაზრდა, ბეღია. იგი სკამზე მოუსვენრად წრიალებდა, თან წითელი ჩითის ბარკში ლოტოს კოჭებს ამხრიალებდა და თამაშის მონაწილეებს მხიარულად ქირდავდა.

ყველა მის სულმოუთქმელ ხითხითსა და ტარტარს გაეოგნებინა. ისინი დაძაბული დასჩერებოდნენ წინ გაწყობილ მუყაოს ფირფიტებს, მაგრამ ჰრელი ლობიოს მარცვლებით უჭრედების მარჯვედ შევსებას ვერ ასწრებდნენ. ბეღია კი ნომერს ნომერზე იძახებდა,

გიორგი ველაშვილი
გიორგი ველაშვილი

განზრახ შეცდომებსაც უშვებდა, თვითეულს ყოველ ახლად შევსებულ უჯრედს ეჭვმიტანილად უმოწმებდა, უმიზნოდ ედავებოდა, ერთი სიტყვით — აწამებდა, და მათი საერთო ბუზღუნით ლაღობდა.

ახალგაზრდა სტუმრის გამოჩენაზე მათ ბევრგვრით დაიმორცხვეს, თავისთავს დასცინეს „კვიმატი ბიჭის“ ცდუნებას რომ აპყოლიყვნენ და ლობიოს მარცვლებით აჭრებულნი ფირფიტები შევებით შეშალეს.

თვითონ ბედიამ კი პარკი მაგიდაზე დაანარცხა და შეუტყობინებლივ მოეღვინებოდა ბაადურს აღტაცებული კისერზე ჩამოეკიდა.

ადგილობრივი სტუმრები კი წასასვლელად აიშალნენ. მეგობრის მოულოდნელი წვევით ფრთაშესხმულმა ბედიამ მათ მიანიც ყურადღება არ მოაკლო. ნანისა და ბაადურის თანხლებით ისინი სახლებამდე მიაცილა. თან გამცილებლობა განმარტა.

— მართალია, მთვარიანი ღამე ახალგაზრდებისათვის უფრო სახიფათოა, ვიდრე ხნიერთათვის, რადგან მიჯნურები უმეტესად ასეთ დროს ხვდებიან. მათ კი ხშირად მშობლები, მეურვენი, მეტოქენი, ხანაც ჭორიკანა ცნობისმოყვარენი გაფაციცებული უთვალთვალებენ და ძაღლები კი რატომღაც ავად უღრენენ. მაგრამ არც დედაბერნი და ბერიკაცნი არიან დაზღვეული ფათერაკისაგან. მათ, მოსალოდნელია, სწორედ მთვარიანი ღამისთვის დამახასიათებელმა მაცდურმა შეჭჩრდილმა შეამთხვიოს ოინი.

ბედიამ ყველა იმათი, ვისაც ხუმრობით დედაბრებდა და ბერიკაცებდა მოიხსენიებდა, მარტო ეზომდე მიცილებდა არ იკმარა, თვითეულს თვითონვე შეუღო სახლის კარიც, რომ ემანდ მართლაც ბრმა ფათერაკი არ შემთხვევოდო. შემდეგ კი ხელები გადახვია ნანის და ბაადურს და მათთან ერთად სახლისაკენ ღიღინით გასწია.

სახლის პატრონებმა მათ გემოვნებით განწყობილი პატარა მაგიდა დაახედრეს, იგივე აივანზე, სადაც ცოტა ხნის წინ ლოტოს თამაში იყო გამარჯვებული. იქვე, ტახტებზე უშლიდნენ ბედიასა და ბაადურს ლოგინსაც. მარჯვედ დაფუსფუსებდა მძიმე და მიანიც მკვირცხლი დეიდა მარო, მას კი მოუქნელად, მაგრამ გულმოდგინედ ეშველებოდნენ საოჯახო საქმეებში გაუწავავი მეუღლე, ექვთიმე, და ბედიას დედა. ქალბატონი მაკრინე თან გულწრფელად ბოდიშობდა. რომ მართლაც მარჯვე ვერ იყო. არ ჩანდნენ მხოლოდ მართსა და ექვთიმეს ვაჟი, მორცხვი და მორიდებული ნოდარი, კოლმეურნეობის აგრონომი, და ოჯახის რძალი, უსიტყვო ნინუცა, რომელსაც, სადაც მისი ქმარი არ იყო, იქ ძალითაც ვერ გაიყვანდით.

ვახშამი, რომელსაც მორიგი ქორწილი ეწოდა, დიდხანს არ გაგრძელდა, რადგან მასპინძელთა ერთსულოვანი აზრით, ნამგზავრ სტუმარს მოსვენება ესაჭიროებოდა.

სუფრა სწრაფად ალაგდა და ბაადურმა და ბედიამ ფაფუკ ლოგინებში მოინებვიერეს. მათთვის ტახტებს შორის მაღალი კალათით ნაირი ხილი ჩაედგათ, რომ ვინიცობაა პირი გაშრობოდათ, ყელი ვაშლით ან ატამით, მსხლით ან ალიბუხარით გაესველებინათ. აივანსა და არემარეს მთვარე ანათებდა, ხილი კი სასიამოვნო სურნელს ავრცელებდა.

— ბუნების ცქერით დავტყბეთ თუ გიმღეროთ? — თავქვემ ხელები ამოიწყო ბედიამ.

ბაადურმა ბალიში აიმაღლა და გაიცინა.

- მე, სიმღერა ვიცი?
- მე ხომ ვიცი.
- შენ გგონია, რომ იცი.
- შენ ვარსკვლავებს სთვლი?
- ვარსკვლავებს ვუყურებ, მაგრამ ვერ ვთვლი.



— ეგრე ფიქრით შეპყრობილ კაცს ემართება ხოლმე.

— მეც ვფიქრობ.

— იმაზე, რომ ზოგჯერ სოფელშიც კარგია?

— სოფელში მუდამ კარგია.

— სოფელი რაც არის, სოფელში მუდმივად მცხოვრებმა უკეთ იცის.

— შენ უკმაყოფილო ხარ სოფელში ცხოვრება რომ გერგო?

— უკმაყოფილო არა, მაგრამ არც აღტაცებული. სოფელში მოვალეობა მაძლებინებს. ხომ ნათქვამია, საქმისადმი სიყვარული შრომაში იბადებაო. ვძლუბ გარემოს ხელშეწყობითაც. თითქმის ჩემს ყაიდაშიც ვარ. მხოლოდ ის ვერ მომინებებია, შენ რომ დაიწუნე მასწავლებლობა.

— მე მასწავლებლობა კი არ დაეიწუნე, ვერ გავბედე. ეს შენთვის უკვე ნათქვამი მაქვს.

— მე გმირი ვარ?

— შენ, საერთოდ, ყოჩაღი ხარ. ამავე დროს, ჩემგან განსხვავებით — ხალისიანი, ენამართიანი, რაც მოზარდებთან მიდგომას აადვილებს. მასწავლებლობა უკეთილშობილესი მოვალეობაა. ოღონდ, რა მოსაქმეობასაც პატივს ვცემ, აუცილებლად იგივეს დაუფლება არ დამისახავს. მე ჩემი გეოგრაფიისობა სხვაგვარად წარმომედგინა: რუკა, კომპასი, გლობუსი და — მასხადამე მოგზაური. არც კოლუმბი, არც მაგელანი, მაგრამ მაინც მოგზაური, რომელიც ბევრს ნახავდა.

— დღეს ყურნალისტიც თითქმის მოგზაურია. ამიტომ შენ მაინც შემოიფლი ქვეყანას. მაგალითად, საქართველოს. პატარაა საქართველო, მაგრამ მისი შემოვლა, შესწავლა არ არის პატარა საქმე. შენ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დავლილიც გაქვს. არ ხელგყოფ შენი კოლუმბისა და მაგელანის დეაწუს, რომელთა უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენათა სახელი დამსახურებულად ეკუთვნით. ოღონდ, მგონი, მათ რაც აღმოაჩინეს და იხილეს, იმის შესაცნობად დრო არ ეყოთ.

შენ მთელი საქართველო მრავალჯერ დაგვევლოს და მისი ყოველი კუნძული ღრმად შეგვესწავლოს!

— ასე რომ, მოლაღატედაც აღარ მთვლი მასწავლებლობა რომ ვერ გავბედე...

— აი, ეგ გაუბედაობა კი არ მომწონს! პატივს სცემდე მავანთა მოღვაწეობას, მაგრამ ვერ ირჩიო იგივე გზა შიშით, რომ მათ ვერ გაუტოლდები (მე შენს პასუხში ეს ვიგრძენი), კანონად არ მიმაჩნია. მაშინ ქვეყანაზე იქნებოდა მარტო ერთი დიდი ექიმი, მარტო ერთი დიდი ინჟინერი, მარტო ერთი დიდი მწერალი, მარტო ერთი იაკობ გოგებაშვილი. არავინ საშუალო ან პატარა ნებისმიერ დარგს კი გამოჩინებულ მოღვაწეთა გვერდით რიგითი მუშაკებიც სჭირდება. მეც ვიცი, რომ მასწავლებლებს, რომლებიც პირადად ჩვენ გვასწავლიდნენ, ვერ გავუტოლდები. მაგრამ მასწავლებლობა მაინც გავბედე. ბოლოსდაბოლოს მასწავლებელი დედის შვილი ვარ. თუმცა ყველაზე მეტად სწორედ დედას არ სწამს ჩემი მასწავლებლობა. მე კი ვიცი, რომ ვივარგებ. ახლა, დავიძინოთ თუ ვიმღეროთ?

— დავიძინოთ. სიმღერა სახლში ხალხს ძილს დაუფრთხობს.

— შენ რომ არ მითხარი რას ფიქრობდი, როცა ვარსკვლავებს არ სთვლიდი?

— ვფიქრობდი უცნაურ სისულელეზე, როგორც საიდანღაც ჩაეჭიდება ხოლმე კაცს ტვინში. კერძოდ, რატომ არ არსებობს ოთხკაპიკიანი, საერთოდ ოთხეული ღირსების სახელმწიფო საბანკო ბილეთი? ახლა დავიძინოთ. თუმცა დასანანია, მაგრამ ძილი თავისას შერება. ძილი აუცილებელია, თორემ რა საყვარელია! ვინატრებთ, აიმ ქალაში ან ფერდობზე დამაძინაო! სინამდვილეში კი შეგუბულ ლამაზ გარემოში არა ძილი, არამედ გათენებამდე გულღმა გდება და თვალის ტკბო-

გიორგი ბელაშვილი
გვიზარავს მრავალი მინი

ბა გვიზიდავს. განუტრეყვალად იმისა, ვთვლით თუ არა ვარსკვლავებს. ბუნება ხომ სრული მდუმარების დროსაც უძინარია! ფრინველებსაც რომ ჩასთვლემთ, ტყე თუ ველობი, მთა, კიუხიც მაინც სულდგმულობს, ყოველშემთხვევაში — სუნთქავს. ანუ, უჩუმრად სასიამოვნოდ ჩურჩულებს. ამიტომ, მოხიბლავ გარემოცვაში უძილობა განცხრომით ძილს სჯობს. თანაც, ყოველგვარ ამინდში. „ყოველგვარ ამინდში“, ამ გამოთქმას ჭერ კიდევ ბავშვობაში გავეცანით, როდესაც აფიშაზე პირველად გამოცხადდა, შეხვედრა ფეხბურთში შედგება ყოველგვარ ამინდშიო. მას შემდეგ პატივს ვცემ ამ კანონს. თუმცა, გსურს თუ არა, როგორი წარმტაცი ბუნებაც არ უნდა გვერტყას, ძალი ბოლოს მაინც გვიმორჩილებს. სამაგიეროდ, დანაკლისი დილით ათმავე გვინაზღაურდება. გავახელთ თვალს და ის არე, სადაც ვვეძინა, უფრო მიმზიდველ, ცოცხალ სურათად დაგვეჩვენება.

ბედიას უკვე ჩასძინებოდა. შემდეგ, სრულ მდუმარებაში ძილმა სძლია ბაადურსაც.

გარემო დილის გამკვირვალეებაში დაუჩერებლად მკაფიოდ გამოისახა. თითქოს ყველაფერი, რაც მაღლიან შემოგარენზე ჩანდა, ეს-ეს არის ახლად შექმნილიყო, ისე გარკვეულად ხილვადი იყო ბუნების ყოველი ნაწილის შემონახვაში.

მოხუცი მასპინძლები ფარდით ხელში აივნის დაჩრდილებასზე წვლობდნენ, რომ ბედია და ბაადური მზეს არ შეეწყუხებინა. მაგრამ ისინი თვალის გახელისთანავე შეიმოსნენ, თუმცა ბედიას მეტისმეტად ადრე ადგომა აღრინდელივით ეზარებოდა. ახლა უთენია ლოგინს ბაადურის ხათრით შეელოა, რადგან ბაადური თბილისში საღამოსვე ბრუნდებოდა, მათ კი სოფლის გარშემო ბევრის ნახვა უნდა მოესწროთ. ბაადურს წესად ჰქონდა, ყოველი სოფელი, სა-

დაც კი ფეხს დადგამდა, საფუძვლანად მოეთვალეირებინა.

სოფელი კრამიტით დახურული, მეტნაკლები სიდიდის და იერის სახლებითა და კარმიდამოებით ერთ განუყოფელ მაღლობ ვაკეზე მოკრებილიყო. წინ, დაბალში კი, მას კირნახულის ტევადი კალთა გასშობდა პურისა და სიმინდის ყანებით, ვენახებით, ბოსტნებით. ხოლო მთელ მოოქროვილ ველს, რომელიც ბილიკებით, ნარბილი საურმე გზებითა და წყალსავსე რუებით იყო დაქსელილი, ცისკიდურზე ზღვარად ქოჩორა ტყე გავლებოდა.

ბედიამ და ბაადურმა სოფლის ორღობეებიც დაიარეს და მისი სანახებიც. ბოლოს ისინი შეჩერდნენ მაღალი სიბიკლიდან მომჩქეფ ჩანჩქერთან, საიდანაც სოფელი ხელისგულივით მოსჩანდა.

ბაადურმა სოფელს დიდხანს უყურა.

— შენ ამ შენს სოფელს ალბათ ახალი სახელი შეარქვი.

— სოფელს ახალი სახელი უკვე ჩემი მოსვლით დაერქვა — ბედიას სოფელი.

— მეც ამიერიდან ეგრე დავუძახებ. ისე კი, ჩვენი იღუმალი უკეთესია თუ ეს შენი სოფელი?

— იღუმალი და ბედიას სოფელი მე ერთმანეთისათვის არ გამოიჭიბრება. სოფელი ხალხით ფასდება. იერთათ. გახსომდება კი მასთან დაკავშირებული მოვლენებით. ხალხით და იერით ჩემთვის ორივე საყვარელია. მოვლენებიც ორივესთან მაკავშირებს.

— იღუმალმა ნანი გაპოვნინა.

— ბედიას სოფელში კი მამა გავხდები. აღამიანს პირველი შეილის ყოლიდან ახალი ცხოვრება ეწყება. იღუმალს იმიტომაც ვცემ პატივს, რომ შენ ახლა ჩემი სტუმარი ხარ. ცხადია ლევა იქ გაამგზავრე და ჩემთან ამოსვლის საშუალება მერედა მოგვცა.

— ცოტა დამაგვიანდა ლევას გამგზავრება. იმიტომ, რომ დაავადიანა ხელფასმა. ფული კი საქირო იყო, რომ ბიჭი დარჩეულად სჩვენებოდა



სოფელს. ხოლო, როცა გავამგზავრე, კინაღამ თვითონაც დავემგზავრე. მოგ-
ლენები იღუმალთან მეც მაკავშირებენ.

— უგ მე ვითომც არ ვიცი?

— როგორ არ იცი! მაგრამ შენ არ
იცი; რატომ არ დავემგზავრე.

— იმიტომ, რომ მე მოგენატრე და
ჩემს ნახვას დაეშურე.

— ეგ თავისთავად. აგრეთვე იმიტომ,
რომ დათასა და ლევასთვის ძმური მყუ-
დროება არ დამერღვია. ასეთი შეხვედ-
რის დღეებში ძმებმა გარეშე პირი შესა-
ძლოა იხამულონ.

— შენ დათასა და ლევასათვის გარე-
შე პირი ხარ?

— ყოველშემთხვევაში, მესამე ანუ
ხედმეტი პირი ვიქნებოდი.

— შენს უსაფუძვლო ეჭვებს ჩემს სა-
სარგებლოდ უშუშავნია.

— რომ იღუმალში წასვლა გადავიფი-
ქრე და შენ გესტუმრე? მართლაც, რა
დიდი პატივი დავდე, ბიჭო!

— შენ ხუმრობ, ჩემთვის კი შენი
სტუმრობა ნამდვილი პატივია. საერ-
თოდ კი, თუ ვინმეს შენთან ყოფნა
უხარია, შენც მას თავი არ უნდა დაა-
მადლო.

— შენ მართალი ხარ. მაგრამ კაცი
უნდა იყოს იმდენად შეგნებულცი და
ისე აუცილებელი არ უნდა გახდეს
ადამიანისათვის, რომ მისი სიკვდილის
შემდეგ მათ უიმისობა გაუძნელდეთ.

— სიკვდილი რა სახსენებელი იყო?
სიკვდილი შორს ჩვენგან! მე შენი ნახ-
ვა რომ დამგვიანებია, იმასაც კი ავუ-
შლივარ.

— მე კიდევ უშენობა თბილისში
ძალზე მაკლია. მაგრამ, მოდი, გულს
ნუ ავუჩუყებთ ერთმანეთს.

— შენ კი დღეს როგორღაც უცნა-
ური მეჩვენები, როგორღაც უგრძნო-
ბოდ მელაპარაკები.

— ნამდვილად! მაგრამ, ამით ვცდი-
ლობ ახლავე დავიკლო შენს თვალში,
რომ ვინიცობაა ბედისწერას ავუტანი-
ვარ, ძალიან აღარ დაგენანო.

— ვითომც, მართალი ხარ? მე თუ
მკითხავ, ხშირად კაცი ერთს განეც-

ნებს, სინამდვილეში კი სხვას ცხედ-
ლობს. მაგალითად, ხელოვნური თავ-
მდაბლობით, ცუდად შენიღბულ კუ-
დაბზიკობას ამჟღავნებს. თითქოსდა,
შემომხედეთ, რამხელა ვარ და რა უბ-
რალოდ კი ვიქცევით.

— მეც, ალბათ, დაახლოებით ეგრე
ვიქცევი. შენთან ვითომცდა თავს ვი-
ცირებ, სინამდვილეში კი მიწდა თავი
უფრო შეგაყვარო. აბა, ვინ არის ისე-
თი, რომ ცდილობდეს ვინმეს სძულ-
დეს?

— მე ვარ! მე, მაგალითად, გავგიჟ-
დები ვინმე გულშეკაცს რომ ვუყ-
ვარდე.

— მაგ აზრით მართალი ხარ. რაც
შეეხება ჩემს ბედისწერას, იმიტომ ვა-
ხსენე, რომ ჩვენ ახლა მშვენიერი სა-
ნახაობის წინაშე ვდგავართ და ნაღვე-
ლი მომერია.

— შენ მე ჭკუას დამაკარგვინებ!
ბუნებაზე საერთოდ ირევი და ახლა
სამდურავს ეუბნები?

— ბუნებას სამდურავს როგორ ვე-
ტყვი! მუდამ ვაღმერთებ! ნაღველი კი,
იმის წინასწარ დანანებაა, რომ რო-
დისმე აღარ შემეძლება შევხაროდე
ბუნებას. ხომ ასეა, როდესაც სიამოე-
ნებას განვიცდით, მაშინვე გვახსენდე-
ბა, რომ ის სიამოენება ერთ დროს წა-
გვეერთმედა. სწორედ მაშინ, განსაკუთ-
რებში ამაზრუნენია ჩვენი გარდუვალი
გარდასახვის წარმოდგენა.

— არ მომწონს შენი დღევანდელი
ბნელეთიდან ლაპარაკი და გინდა მო-
მკალი, ბაადურ! ასეთ უგემურ საუ-
ბარს ისევ ჩვენი უხეირო სიმღერა
ავობებდა... — მართლაც მომეამაგი
აზრების მოსაკვეთად ღამინდელი ახი-
რება გაიხსენა ბედიამ. ბადურს კი
მოულოდნელად გაუეღვა, რაც შეიძ-
ლებოდა გაეფიქრნა მის ტვინის ჭყლე-
ტაზე ბედიას. ბედიას შეიძლება ეფ-
იქრნა, რომ ბაადური ცდილობდა მის-
თვის თავი განზრახ ამ გუნების მომშ-
ლელი ქადაგებით დამახსოვრებინა,

გიორგი ბელაშვილი
გვიწარავს მრავალი ზერი



რთაც იგი გაწვილებულ მეგობართან კვლავაც ამოსვლის დასაზარ ტვირთს იხსნიდა. ანუ, თითქოს ბაადურს სოფელში დამკვიდრებულ მეგობართან მალევე სტუმრობა ჰქონდა გაუხდებოდა და ამ ვალს თავიდან ასაცილებელ საბაბს თავათვე ჩმახავდა. ბაადური იმასაც არ უარყოფდა, რომ მისთვის ასეთი ბრალის დადება შეიძლება აზრადაც არ მოსვლოდა ბედიას, მაგრამ ექვეში გაახვია თავისივე დაბლანდულმა ლაპარაკმა. საბედნიეროდ, თავს იმით იმართლებდა, რომ ყველაზე წარმოუდგენელი ექვი ახალგაზრდა ადამიანს მეგობრის მიმართ უღვივდება.

ბაადურმა ფიქრები არ გახსნა, მაგრამ გულში აღიარებული დანაშაული იმით გამოაკეთა, რომ უცებ მოიმხიარულა.

— მართლაც ვიმღეროთ. ახლოს კაციშვილი არ არის და ჩვენ ხმებზე ვერავინ დაფრთხება.

ბეღია ცოტა მართლაც ვარგობდა სიმღერაში. ბაადურს კი სმენა ძალზე დალატობდა. მათ ძველებური სიმღერები გაიხსენეს, რომლებსაც სხვა ამხანაგებთან ერთად ჯაფარიძის ბაღში აგუგუნიებდნენ ხოლმე, და მოწოდებით იბოხბოხეს.

— ახლა ჩანჩქერის ქვეშ შედგომაც მოგვიხსენება. — მოისურვა ბედიამ. — მზემ მაგრად დააპირა, ჩვენ კი თავი უკუღმართი აზრებითაც გვიხურს. ახლოს მართლაც არავინ ჩანს. თუმცა, უკაცრიელობაში ჩანჩქერზე გაგრილება რა არის! მე ერთ ჩემი ხნის კაცს ვიცნობ, ის ახლაც, შუაგულ თბილისში, მტკვარზე სახალხოვრე უკუშპალსაც არ ერიდება.

ბაადურმა გადაკრული სიტყვა ლმობიერი ღიმილით მიიღო და ბედიას წადილი სიამოვნებით იკუნება.

15

ქაფიან ჩანჩქერში მოცოცხლებს შემდეგ ბაადურმა და ბედიამ სოფლისკენ გასწიეს.

სოფელში კვირა დღის რიგად დადგინდა ხი ფუტკარით ირეოდა და ბედიას ყოველი მხრიდან პატივისცემითა და სიამოვნების ღიმილით ესალმებოდა ქალი და კაცი. სჩანდა, საკმაოდ მოზრდილ სოფელში ბეღია უკვე შინაურ კაცად იყო მიღებული. განსაკუთრებულ სიხარულს მისი დანახვა ბავშვებს ჰკვირდა. პატარები მას განზრახვაც უყარდებოდნენ თვალში და ყოველ ნაბიჯზე ისმოდა მოკრძალებული თბილი „სალამი მასწავლებლო“.

აი, ეს მასწავლებელი კი ის გუშინდელი მოუხეცნარი ბიჭი იყო, რომლის მერხი კლასში რაღაც მანქანებით სულ ერთთავად დგანდებოდა, ხოლო გაცვეთალის დამთავრებისთანავე ჯერ ისევ ცარკით აჭრებულ დაფას მისი ხელიდან ნატყორცი კალამი დანასავით ესობოდა. ეს ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში მიღებულ წამებაზე დროებითი წერტილის დასმა ნიშნავდა. დიად, ის მაკვილავი ბიჭი იყო, რომელმაც უკვე გამოსაშვები გამოცდის დროს, როცა ბილეთი აიღო, შეკითხვებზე პასუხის ვასახსენებლად არხეინად გადაშალა შესაბამისი სახელმძღვანელო, რის გამო მასწავლებლის აღშფოთებაზე — „რა არის ეს?“, აუღელვებლივ და შთავგონებით თქვა: „წიგნი ჩვენი მეგობარია. ჰუმარობი მეგობარი კი ის არის, ვინც გაჭირვების დროს გვერდში გვიდგას. მე ახლა მიჭირს და წიგნიც, როგორც ერთგული მეგობარი, ჩემთან არის.“

არც თუ ძლიერ შორეული ამბის ვახსენებზე ბაადურს თავისთვის ჩუმად ჩაეცინა, მაგრამ ბეღია აღვილად მიუხედა.

— ნამდვილად ჩემი რომელიმე აღრიანდელი ოინი ვაგახსენდა.

— ნამდვილად. აი, ის ვამახსენდა, წიგნი მეგობრად რომ დასახელო.

— ახლა კი მიყურებ და არ გჯერა, რომ თვითონ მასწავლებელი ვარ?

— მასწავლებელი ხარ და უთუოდ კარგიც, რაკი სოფელში ყველა პატივს გცემს.

—სოფელს მე უკვე ვუყვარვარ კიდევ. რომ დავთანხმდე, კოლმეურნეობის თავმჯდომარეთაც გამიყვანენ.

ბედის თავისი ღირსების შეფერვბაც უყვარდა.

კომკარში მათ ცეცხლთან ტრიალით სახელანძული და მხიარული ნანი გამოეგებათ და მის დანახვაზე ბაადურს ბედისა შედარებით გვიანდელი ხიმიანკლობაც გაახსენდა.

როცა ბედია ნანის ეწონებოდა და მის თვალში აღმეტებას ცდილობდა, იგი ერთად სეირნობისას ქალიშვილს ვითომც შემთხვევით გაატარებდა ხოლმე თავისი სახლის წინაც, სადაც წინასწარ გაფრთხილებული თანაზოელი ტოლები ჯგუფად ხვდებოდნენ და მას კრძალვით სალამს აძლევდნენ. ბედია მათ ოდნავ თავის დაკვირვით პასუხობდა და გზას თავმომწონედ განაგრძობდა. თუმცა, ნანი ისედაც იმთავითვე უკვე ქვეყნად ყველაზე ღირსეულ ვაჟად მიიჩნევდა ბედისა, ხოლო კიდევ უფრო ბეჯითად იღვა ამ რწმენაზე ახლა.

ჩუმი და ჰაეროვანი, ბედნიერი ნანი მეუღლესა და ძვირფას სტუმარს ეზოში ლედვის ქვეშ გამოიღო სუფრასთან მიუძღვა, სადაც მათ უკვე ელოდებოდნენ სახემზიანი დანარჩენი მასპინძლები. გაიბა ხალისიანი მუსაიფი, მაგრამ ჩამოზინდდა თუ არა კაკლის ხეებით დაბურულ შუკაში თუხთუხით შემოაშუქა ბრეზენტის ჩარდახიანმა, გრძელმა და დანჯარულმა აეტობუსმა, რომელმაც ბაადური წინა საღამოს ამოიყვანა.

გულდაწყვეტილ მასპინძლებს ეჩვენათ, რომ მანქანა დროზე ბევრად ადრე ჩამოდვა.

ლამაზი სოფლისა და იქაური გულღია ადამიანების გაცნობამ ბაადურს გზაზევე აფიქრებინა მათ შესახებ ნარკვევის დაწერა. უკვე თბილისში კი აზრი გაუღრმავდა და მან რამდენიმე დღე გულმოდგინედ იკაფა.

ბაადური ადრეც ხანგრძლივ არ უშვებდა ხოლმე კალამს ხელიდან. მაგრამ ეს უმეტესად შემოსული წერილების სწორება ანდა უმნიშვნელო საყურნალო მასალის თხზვა იყო. ახლა კი ხორცი ესხმოდა მიმოხილვითი ხასიათის ვრცელ თხრობას და მან ნამდვილი შემოქმედებითი წვა პირველად განიცადა. ოღონდ, ნარკვევი გარემოსა და ადამიანებზე თვალის თითქმის ერთი გადავლების ნაყოფი იყო, ამიტომ გამოვიდა ზოგადი, რამდენადმე ზედაპირულიც. თუმცა, შეიცავდა დიდ სითბოს, ნანახისადმი მოკრძალებულ პატივისცემას და საკმაო შთაბეჭდილებას ახდენდა. ყოველშემთხვევაში, ნაწერმა რედაქციაში მეტი მოწონება ჰპოვა, ვიდრე ბაადური მოელოდა. ნარკვევი ჟურნალის მორიგსავე ნომერში დაიბეჭდა. ბაადური კმაყოფილი იყო იმდენად არა შექებით, რამდენადაც იმის შეგნებით, რომ პირველი წარმატება შემთხვევითმა მოწადინებამ შვა. მაშასადამე, საგანგებოდ სანარკვევე მასალის მოკვლევა უკეთეს შედეგს მოუტანდა.

როგორც კითხვის მოყვარულს ერთხანობა უპირატესად სათავგადასავლო რომანები ან მემუარები იტაცებს, შემდეგ კი უკვე ნოველები თუ იუმორი, დაახლოებით ასევეა ისიც, ვისაც ხელში კალამი აუღია. ჯერ მას, ვთქვათ, ლექსების თხზვა ყველაფერს ურჩევნია, შემდეგ ლექსებს მინიატურებს შეუნაცვლებს, გავა დრო და მოთხრობების წერასლა დაიკანონებს.

ბაადური ნარკვევებმა გაიტაცა, და ერთხელაც მოთხროვილება აღეძრა სწორედ ნარკვევში გაეცოცხლებინა დაუფიქრარი სოსო მოლოდინი. მართლაც გააცოცხლა! თვითონაც არ ეგონა თუ ასე ზედმიწევნით სცნობოდა სოსო და ესოდენ ნიშანდობლივ დახატავდა მის სახეს, აღწერდა მის შინაგან ბუნებას. მაგრამ დაასრულა ნარკვევი და

გიორგი გალავნილი
გვიფარავს მრავალი ზიადი

მაშინ მიუვალი დაბრკოლება გამოესახა. თუ ნარკვევი გამოქვეყნდებოდა, მის შესახებ შეიძლება გაეგოთ სოსოს დედას და დას, რომლებსაც რაკი დელუბერს შეტყობინება არ მიეღოთ, იქნებ სოსო კიდევ ცოცხალი ეგონათ. ბაადურის ნათხრობი კი, რომელშიც მეგობარი დატირებული იყო, მათ თავზარს დასცემდა და საბოლოოდ დაანელებდა. ბაადურს თვალწინ მძაფრად წარმოუდგა უბედური ქალების დაფრთხილობა და მწველი სირცხვილი იგრძნო, რომ მათთან დიდი ხანია ფეხიც აღარ დაედგა. მისგლა კი ევალებოდა. გაბედა და წავიდა.

— დედა ერთი თვეა დავსაფლავებო. ჯანსერყეული და კი სოფელში გაიხვეწა. — ნაღვლიანად აცნობეს მას მეზობლებმა. ბაადურმა მათ სიტყვებში სოსოს ყველა მეგობრისა და უპირველესად, პირადად მისი გაკილეა იგრძნო.

სახლში მძიმე ფიქრებით დაბრუნებულმა ბაადურმა მაგიდაზე დატოვებული ნარკვევი გულნაკლულად გადაათვალიერა. დასრულებულად ვეღარ ჩათვალა. იფიქრა, ძალაც არ ეყოფოდა კვლავ ხელი გაეკარებინა და უჯრაში შეინახა.

ბაადურმა უცებ ცივი მარტოობა და სულის მშფოთვარე ფორიაკი იგრძნო, რასაც მხოლოდ გულთბილ ადამიანთან საუბარი გაუქარებდა. მაგრამ ბაადური სახლში არავის ელოდა, გარეთ კი წუნწუნი ღამე იყო და კიდევ რომ გასულიყო ალბათ ვერავის გადაეყრებოდა. ამიტომ ხელმა თავისთავად მოძებნა ტელეფონის ყურმილი. აიკრიბა თითქმის დაეწეებული ნომერიც.

— თინა, ბაადური ვარ.

— ბაადური? ჩემი ერთადერთი ბაადური? — უპასუხა აღელვებულმა ხმაში. — შენს მოსახელეს ვინმეს რომ ვიცნობდე, ასე არ ვადავირეოდი. მაგრამ ბაადური შენ ერთი ხარ. რატომ დამირეკე, ბაადური? რისთვისღა ამაფორიაქე? მე ფრონტი მარტო ომით არ მივლია და

შენი ღირსი აღარა ვარ... შენ გეწავლება, ბაადურ...

ეს ის თავდაქერილი და მგრძობიარე, კალმით დახატული თინა იყო, ვიზეც ბაადურისაღმი ჩუმ ტრფობაზე ჩურჩულდნენ ხოლმე კლასში. მაგრამ ფრონტიდან დაბრუნებული თინა ქალწული აღარ იყო და ერთხელაც არ სჩვენებია ბაადურს. ასლა, ტელეფონით ამ ერთადერთი და მღელვარე შეხვედრების შემდეგ, ბაადური მიხვდა, რომ მათ შორის საერთო აღარაფერი იყო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს საერთო ორთავ მხრივ არც თავის დროს აომიციენებულა.

ბაადურმა ყურმილი მძიმედ დააკვიდრა ადგილზე.

17

თუ კაცს მშობლიური მხარის რომელიმე უცნობ კუთხეში ახლობელთა სანახავად ან გასაველელად გული მიუწევს, შემდეგ კი სწევები და კიდევ მოხიბულა ნანახით, იქ ყოფნის სურვილი კვლავაც დაებადება.

უკვე ასე იზიდავდა ბედისას სოფელი ბაადურსაც. მაგრამ მის ყურამდე მრადწია, რომ სოფელში ბაადურ ამირიძის ნარკვევმა დიდი მადლიერება გამოიწვიაო. დეიდა მაროსა და ძია ექვთიმეს კი, რომელთა სახეები ნარკვევში განსაკუთრებით მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, გულიც აუჩუყდათო. ნარკვევის დაბეჭდიდან მალევე, მასში გამოყვანილი მთავარი პირების სახლში ხელახლა გამოჩენა ბაადურს ეუხერხულეზოდა. ის, შესაძლოა, სამადლობელი ქათინაურის მაძიებლად დანახულიყო.

თბილისში კი, სიტყვების გამო ხალხი საგრძნობლად შეთხელდა და ნაკლებად სჩანდნენ ნაცნობებიც.

სამსახურის შემდეგ ბაადური მარჯანიშვილის მოედანზე ხანდახან მარტო ელდარს შენიშნავდა ხოლმე, მაგრამ არ უჩერდებოდა, მხოლოდ თავდაქერით ესალმებოდა. ეს, ეტყობა, ელდარს აღიზიანებდა, მაგრამ ვისაც ახ



გეგმიანობდა, მას თვითონაც კისერზე არ ეკიდებოდა.

უკვე მიწურული ზაფხულის საღამოს, უცბადი შხაპუნა წვიმის შემდეგ, როდესაც გაღვრევილ, მოცოცხლებულ ქუჩებში ახლობელ ადამიანთან წყნარი საუბრით სეირნობას არაფერი აჯობებდა, ელდარმა მაინც შეაჩერა ბაადურმა.

— მთელი ზაფხული ჩვენ ორი ცხედავით ერთმანეთს და მაინც ცალცალკე დავწოწილობდით.

— სჩანს, მესამეც ყოფილა საჭირო.

— სახელდობრ ვინ?

— უბრალოდ ვინმე.

— მესამე პირის გამოჩენას ორთა საზოგადოებაში მეტი ხალისი შეაქვს. ერთმანეთს შორის გასარკვევის გარკვევას და ის არის, რომ ვინც არ უნდა გამოჩენილიყო მესამე, შენ იმას იჩევი და ჩემსკენ სალამის მოსაცემად აღარ გამოიხედავდი.

— მე სალამს არავის ვამადლი. თუმცა, ჩემი სალამი ძალიან ფასებულა.

— მე პირადად შენ გაფასებ.

— როდის შემდეგ?

— როდესაც დავრწმუნდი, რომ შენ პირში მასაგებ.

— პირთუკან კი თურმე გაქებ?

— ასეა თუ ისე, შენს პატარა მეგობრებთან კეთილი სიტყვით გიხსენებვიარ.

— მე მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ელდარ ლურბიძე სკოლაში ბეჯითად სწავლობდა-მეთქი.

— მაგრამ ნათქვამისათვის შეგეძლო დაგემატებინა შენი ახირებული შეხედულება ჩემზე — ოღონდ კაცად არ ვარკობაო. რაც შენ არ გააკეთე.

— ბავშვებმა თავისი შეხედულება შენზე თვითონ უნდა შეიქმნან.

— პირადად შენ კი ჩემზე ჩახვეული გაქვს ბავშვობიდან აკვირებული აზრი, აგრეთვე ჩვენი კახინისწინააღდელი უაზრო დავა.

— შეგეშვათ ჩვენს ორიოდგერ პირში შეზმას! მე გულში ყველაზე დასანანი ნაღეკი ჩვენი ომგადახდილი

ბიჭების შენგან გაქირდვამ დამიტოვა.

— ის ამხანაგური ხუმრობა იყო. მაგრამ თქვენ ყველა ისე ხართ ალესილი ჩემზე, რომ ჩემი ხუმრობა უკულმა გესმით. მაინც ვნანობ, რომ უნებლიეთ გული ვატყინე დიდმის, ამით კი ვაწყენიე გიგისაც და რამინსაც. მაშასადამე, თქვენც, შენ და ბედიას. ეს თითქმის ბოდიშის მოხდაა. მაგრამ მე მათ იქნებ მალე ვერ შევხვდეთ ისეთ ვითარებაში, რომ ბოდიში მოვუხადო. ამიტომ თუ საშუალება მოგეცეს, ჩემი მონანიება ბიჭებს შენ გადაეცი. საერთოდაც, ამოიგდე თავიდან, რაც მეხსიერებისათვის უკვე ზედმეტია და მხოლოდ გულს ამღვრევს.

— ვაი თუ ვერ მოვახერხო! რაც თავში თავისთავად ჩაგვიტელება კაცს, ის თავისთავადვე უნდა გაქრეს. ანუ ადამიანი იმის საპირისპირო თვისებებით უნდა გამდიდრდეს, რისთვისაც იგი დაგმეს. დამგმობნი დანახავენ მის გამოსწორებას და თვითონაც ვერ შეამჩნევენ, მასზე შეხედულებას როგორ შეიცვლიან.

— დამაკვირდით და დანახავთ, რომ მეც უკვე შკუა მოვიკრიბე. მე უკვე აღარ შემიძლია უმეგობროდ.

— თავს ისაწყლებ, ელდარ.

— არა, ბაადურ. ნამდვილად განვიცდი და ვიტანჯები. მეტსაც გეტყვი. შენ რომ ჩემი ყველა მანკი უფრო აღრე გეშხილნა პირში, მეც სულში აღრე ჩავიხედავდი. ახლა ყველაფერი განვსაჯე. ამიტომ აი, ბოდიშის მოხდაც არ ვიუკადრისე. ხოლო, რაკი თითქმის დაჩოქილს მხედავ, შენც ჩემზე გულს მოიბრუნებ.

— ეს მოვლენა იქნება?

— რაც გინდა ის დაარქვი. მთავარია დაეზავდეთ. მერე შენ სხვები მოგბაძვენ და სოფელში დაეიწყებულებით აღარ ვიქნები.

— შენ სოფელში გადაყავხართ?

— ვის ვახსოვარ, რომ მიმართულე-

ვიორგი გელაშვილი
ბვიზარაშ მრავალი ბერი



ბებით მაგზავნონ! მდგომარეობამ მოითხოვა, რომ სოფელში ჩემით წავიდე. ჩემს სოფელში. სადაც დავბადებულვარ, ოღონდ არ მიცხოვრია. სადაც შარშან, წამოსვლიდან მრავალი წლის შემდეგ დაბრუნდნენ ჩემი მოხუცეპა. იქნებ წლოვანებით ძალიან მოხუცეპა არ არიან დედა და მამა, მაგრამ, გეხსოვება მაგარი ჯანისა აღრევაც არ იყენენ. ახლა სულ მოტყდნენ. პატრონი სჭირდებათ. ეს მოვალეობა კი, ცხადია, ჩემზე, ერთადერთი შვილის კისერზეა. სოფელში უკვე სამსახურიც მელოდება, რომელიც ადგილობრივმა მესვეურებმა მაღლიერებით შემომთავაზეს. ასე ვხდები სოფლის მოქალაქე.

— გატყობ გეძნელება, ეგ სოფლის მოქალაქედ ვახდომი. მაგრამ, ხომ ცხოვრობს სოფელში ბედია და არც ჩივის. შენ კი მშობლების თხოვნის წინაშე ხარ, რაც კანონს უტოლდება.

— მშობლების თხოვნა, ბაადურ? ჩემი ძალადინტელიგენტი საბრალო მშობლები მე ისევ მეაზიზებებიან და აი, რომ უჭირთ, ასეთი წინადადება მაინც არ შემოუბედნიათ. თვითონ მივხვდი, მდგომარეობამ მაჩვენა, რომ სხვა გამოსავალი არ მაქვს.

— სწორედაც ვფიქრია. და აი ახლა რომ შენ მეუღლე ისევ გვერდში გდგავს და თან მიგყავდეს, შენს მოხუცეებზე და სახლკარზე ზრუნვა უფრო გაგიადვილებოდა.

— ყუყუნა ჩემ მშობლებს ძალიან უყვარდათ. მაგრამ, როცა ცოლ-ქმარი ველარ მოვრიგდით, მათ ულაპარაკოდ ჩემი მხარე დაიჭირეს. ჩემი ბეწვის-ოღენდაც კი გამტყუნება როგორ შეიძლებოდა! მე ხომ ვიყავი და ვარ ყველაფერში მართალი, ყველაზე ნიჟიერი და საერთოდ გამორჩეული პიროვნება, ცხადია, მხოლოდ ჩემი მშობლების ღრმა რწმენით. ოღონდ, უმადურობაა თუ ჭკუაში ჩავარდნა, როდესაც იმ შეგნებს ვაღწევთ, რომ თუ არა მშობლების მიერ ჩვენი განუხებება, ზედმეტი დამთმობლობა, ჩვენ უკეთესი აღვიზრდებოდით? ეს, ჯერ,

მგონი ახალგაზრდა მშობელთა ნაშვირისათვის კეთილი, მაგრამ თავდავიწყებული ზრუნვა და ამდენად სინამდვილეში ბავშვის ზნეობრივი დამახინჯებაა. ხოლო შემდეგ — იგივეთა, უკვე ხნეირი მშობლებისა და შეღერებული შვილის გვიანდა შეგნებული სინანული. მშობელი მაშინდა, როცა დაბრძენდება, ხედება, რომ აღზრდაში შეცდომა დაუშვა, რასაც მისდამი ჩემი საყვედურით აღიარებს დამოუკიდებელ ცხოვრებაში გასული შვილი, რომელმაც თავს ნაკლოვანებანი აღმოუჩინა. ახლა ვგრძნობ, ჩემი მადმერთებელი მშობლები გულისტკივილით განიცდიან თავიანთ შეცდომებს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მე ცაზე ვარსკვლავებს არ ვკრებ. იმიტომაც, რომ მე მათი საყვარელი რძალი ვერ შევიშნოვე, რის გამოც, რაღა დავგიშალო, თვითონაც ენანობ.

— შენც ადექი და შეირიგე ყუყუნა.

— ქმრიანად?

— გათხოვდა?

— როგორ გეპატიება, რომ ყველას ავან-ჩავანის მცოდნეს ეგ ამბავი გამოვრჩენია! იქნებ არც ის იცი, რომ ცოტა ხნის წინ მას მიბაძა შენმა თინამაც. ოღონდ, თინა ჭერჭერობით პირველად გათხოვდა.

— არ ვიცოდი. სამაგიეროდ, მე პირველად არ გეუბნები, რომ თინას უსაფუძვლოდ მომაწერდით. მე ყუყუნა მომწონდა. პირველად არც ამას გეუბნები.

— შენ ყუყუნათი ნულა მაგულიანებ. კიდევ რომ მეფიქრა შერიგებაზე, უკვე გვიანაა. ნურც თავს ისე დაისაიდუმლოებ, რომ რასაც თინაზე სიმართლეს ამბობ (თინაზე ყველაფერს გასაბრაზებლად ვიგონებდით ხოლმე), მე იმის საპირისპირო ვჭვი ჩამეწვეითოს. ყუყუნაზე კი უკვე ჩემ გასაბრაზებლად შენ უგონებ შენს თავს. ისე კი, შეიძლება ორივე მოგწონდა, მაგრამ ეს გასაკვირი არც იქნებოდა. კონტა ქალიშვილი ყველას თავის უხარებს. ხოლო, კიდევ რომ გულში არ-



სებითი გაგველო ერთზე ან მეორეზე, გულის გადაშლას მაინც ვერ მოახერხებდი. ასე რომ, არავის წაურთმევია ან ხელიდან გამოუცლია შენთვის არც ერთი, არც მეორე. ამდენად, ბრალი არც მე მიმიძღვის შენს წინაშე. აი, ჩვენს შორის ძველთაგან აღევნებულ გაუგებრობათა ერთ მიზეზს ჯვარი გადაესვა. ამიტომ, თბილისი თუმცა ვერ მეთობა, შენ მაინც გულშემსუბუქებული დაგემშვიდობები.

ელდარი ღამის მატარებლით მიემგზავრებოდა ქართლისაკენ. ბარგი კი სადგურში წინასწარ გაეტანა, რომ ბაადურთან დაუთქმელი, მაგრამ მოსალოდნელი შეხვედრის შემთხვევაში, მასთან მეტი სალაპარაკო დრო ჰქონოდა. ელდარი შეხვედრით და საუბრით კმაყოფილი იყო. ბაადურმაც მოულოდნელად იგრძნო, რომ დამორება ძველ ნაცნობთან, რომელთანაც შეხვედრას მუდამ ერიდებოდა, ახლა თითქოს გულს სწყვეტდა.

ბაადური აღამიანებთან ურთიერთობაში კეკემალულობას ვერ იტანდა. აიცილდა კარგიც პირდაპირ უნდა თქმულიყო. თუმცა ვინმესთან ნამდურავად ყოფნაც არ ასვენებდა. ამიტომ ელდარის გაცილების შემდეგ მან სასიამოვნო მოდუნებულობა იგრძნო. იყო სასურველი ნიშნები, რომ მათ შორის დაძაბულობა მოიშლებოდა.

18

მატარებლის წასვლის შემდეგ ბაადური ბაქანზე კიდევ დაყოვნდა. სადაცაა უნდა ჩამომდგარიყო კახეთის მატარებელი, რომელსაც შეიძლება ლევა ჩამოჰყოლოდა, რადგან სკოლაში უკვე სწავლის განახლების წინააღმდეგობა იყო. მაგრამ ბაადურს იმედი არ გაუშვართლდა.

ლევა მეორე საღამოს თვითონ შემოტრინდა შუშაბანდში და შუბლგახსნინო ბაადურს კისერზე ჩამოეკიდა.

თითქოს მერცხალი საყვარელ ბუდეში დაბრუნდა!

ლევა ჰგავდა კიდევ მერცხალს —

სწრაფი, მოხდენილი, მზედაკრული, კონტაქტად დაეარცხნო და თეთრ პერანგსა და შავ შარვალში გამოიწყებოლი.

ბიჭი უმაღლესე გარეთ გასხლტა ბარგის შემოსატანად, ხოლო როცა კალათებით ხელში დაბრუნდა, მას გაუბედავად შემოჰყვა მოულოდნელი სტუმარიც.

ბაადურს ქეთევანი მხოლოდ ნახევრად გაჟურ ჩაცმულობაში ენახა.

ახლა კი ქეთევანი თავისი ნამდვილი დიდებული ქალური იერით წარუდგა, ეშხიანი და აღნაგი, მშვიდი, ნაზიკი. ქეთევანს გრძელი იასამინისფერი კაბა ეცვა მკერდზე ღამაზად ჩაწიკწიკებული ბრჭყვილა საღაფის დილებით, ბრტყელი ქაშრითა და წელს ქვემოთ ირბად გაჭრილი ჯიბეებით.

ბაადური და ქეთევანი შეხვედრამ გაახარა, მაგრამ შეიბოჰნენ კიდევ.

ისანი რინდიდან ლევამ გამოიყვანა.

— იცი, ძია ბაადურ, ვინ გვესტუმრენ ახლახან იდუმალში? რომ გაიგებ, გაგიკვირდება. ვინადა, აბელი, ზურაბი და ეშხარი. სოფელი მოინახულეს და თავისებური კონცერტიც გავემართეს. სოფელმაც ძალიან გაიხარა, რომ არ დაუვიწყრიათ. მაგრამ სოფელი მაინც სულერთავად შენს ხსენებაშია. ყველამ გულთადი მოკითხვაც შემოგითვალა. რალა თქმა უნდა, მოკითხეს ძია ბედიაც.

— ყოჩაღ, ბიჭებო! მშენებლები გახდნენ, მაგრამ თავიანთ ძველ გატაცებასაც არ ღალატობენ. რაც მთავარია, იდუმალიც გულიდან არ ამოუვლექათ. — სტუდენტთა რაზმის ყოფილი ბრიგადირები შეაქო ბაადურმა, მოკითხვისთვის კი მადლობა უთხრა, თან თავის მხრივ მოკითხა. — შენ ის გამაგებინე, დათა როგორა გვყავს?

— აი, დათამ კი შენთან მოკითხვასთან ერთად სამდურავიც დამაბარა. შენც უმცროს ძმად მეგულები და სოფელში რატომ აღარ მეკარებიო.

გიორგი ვალაშვილი
გიორგი ვალაშვილი ზირი



— მეკუთვნის კიდევ სამდურავი. მაგრამ ბოლოსდაბოლოს გამოვისყიდო დანაშაულს.

— ჰოდა, აი ეგრე! დათა ძალიან გელოდება.

ლევა უჩვეულოდ აღგზნებული და ხალისიანი იყო. ბიჭს გული ისედაც თანდათან უშუშდებოდა. ამჯერად კი სოფელს მასზე მეტი კეთილშეგონება გავლენა მოეხდინა. ლევამ წუთში ლაღად მოინაგარდა მთელი ბინა. გაუცინა მის საწერ მაგიდაზე დახედვრებულ ახალ სახელმძღვანელოებს და ისევ ბაადურის წინ დაერქო საიდუმლო დიმილით.

— წადი, წადი. — აღვილად გამოიცნო ბაადურმა, რასაც უსიტყვოდ სთხოვდა ლევა, და გაიცინა.

უკვე ჩამოსული იქნებოდნენ გურიც და ტიტეც და ლევას ერთი სული ჰქონდა, სანამ მათ სახლში მიეჭრებოდა.

19

ქეთევანი და ბაადური სახლში მართო დარჩნენ და პირველად კიდევ უფრო შეიბორკნენ. ორივე დღეაღდა და მორცხვობდა. ბოლოს ბაადურმა დაიმორჩილა ენა.

— ისევ ძველებურად დიდებული რომ არ იყო, ვედარც გიცნობდი, იმდენი ხანია არ მინახისარ.

— გახსოვდი კი? — რაკი გაბედვაზე მიდგა, გაბელა ქეთევანმაც.

— როგორ დამავიწყდებოდი! ახალი ამბები სოფელში?

— რომელი ერთი გითხრა? ძალიან ბევრი. რაც შენთვის ყველაზე საგულისხმოა, დათამ ცოლი შეიერთო.

— რას ლაპარაკობ! თქვენებურივე?

— ჩემი ერთი დობილი.

— შენ ორი დობილი გყავდა.

— დათამ ნუცა შეიერთო. წყნარი და მუყაითი, ძალიან ლამაზი არა, მაგრამ მეტად სათნო რომელიც იყო. ნუცაც ძმა ომში დაედღა.

— მახსოვს. მეორეს, მოხდენილსა და

ყაჩაღანას, ფანდურს რომ არ იშორებოდა, მგონი თებრო ერქვა.

— თებროს ჩემზე ერთი წლით აღრე მოუხერხდა თბილისში ჩამოსვლა და უნივერსიტეტში მოწყობა. ახლა ნაჭირავებ ბინაზე მე მისი თანამდგმური ვიქნები.

— შენც სასწავლებლად ჩამოხვედი, ქეთევან?

— მეც უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი მე და თებროს შორის განსხვავება მართო კურსებით არ არის. თებრო ფილოლოგიურ ფაკულტეტზეა, მე ისტორიულზე.

ბაადურმა ქეთევანი ოთახში მიიწვია. ხოლო როცა მრგვალ მაგიდასთან ერთმანეთის პირდაპირ დაჯდნენ, თითქმის დაინახა, რომ ქეთევანი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გადაამდგარიყო.

ქეთევანს ოდნავ გაელიმა.

— შენ სთვლიდი, რომ მე მართლა ღირსეულ თავმჯდომარე ვიყავი?

— რატომაც არ იყავი! მთელი სოფელი გიჭერებდა და მოგყვებოდა.

— ის სხვა დრო იყო. მაშინ ვაჭაკები არ იყვნენ სოფელში და ხალხი ჩემ თავს იმიტომ სჯერდებოდა. ახლა დათამ სწიოს ქაპანი.

— დათაა ახალი თავმჯდომარე?

— ახალიც და ნამდვილიც. დათამ ისე შეუტია საქმეს, რომ სოფელს უკვე დაეტყო.

— დათა ვაჭაკია და მეტს შესძლებს. მაინც შენი დამსახურება წყალში გადასაყრელი არ არის. შენ, როგორც მხედართუფროსი, ბევრად მცირე ლაშქარს უძღვოდი და ყველაფერს ვერ დანსძლევდი. ისიც საკითხავია, სოფელმა აღვილად დაგთმო?

— შენ წარმოიდგინე, რომ არა. სწავლის გაგრძელება რომ არ ამეხიბებინა, იქნებ ისევ თავმჯდომარე ვყოფილიყავი.

— მეც ეგრე ვფიქრობდი! შენსა და სოფელს შორის შენი თავმჯდომარეობის შეფასებაში სოფელი უფრო სწორი გამოამდგარა.

— სოფელი მართალი იმაში იყო, რომ საერთოდ ქალაქისათვის ვერ მიმეტებდა. ყოველ შემთხვევაში, მე კინალამ უკან გავიქეცი, როცა მისაღებ გამოცდებზე გამიქირდა.

— მერედა, გამოცდებზე რომ სულ ახლახან თბილისში ყოფილხარ, რატომ ერთხელ მაინც არ მეჩვენე ან არ შემეხმინან? არ მიკადრე?

— მეშინოდა, რომ შენ არ გეუკადრისნე. ჩემი დანახვა იქნებ არ გეყენოდა, მაგრამ რაიმე ცხოვრებისეულის გამო რომ უგუნებოდ დამხვედროდი, ამას მე ჩემ დაუბატიყებელ სტუმრობას დავაბრალებდი. ვიფიქრებდი, რომ სოფელი ქალი მითაკიდე. ეს კი გულს ჩამეწყვეტდა. თანაც, ვიდრე ჩავირიცხებოდი, გული საგულეში არ მქონდა. არ დავიმაღავ იმასაც, რომ თუ არა ლევას ესოდენი შეხვეწნა, მე იქნებ ახლაც ვერ მოვდგომოდი კარზე.

— რატომ ქეთევან? მე, მგონი, არამზადა არა ვარ...

— არამზადობა რა შუაშია! კარგი რომ ხარ, იმიტომ ამეყვიატა ამდენი შიში. კარგისაგან მეწყინებოდა უგულო მიღება, თორემ არამზადისაგან არაფერი გამიკვირდებოდა.

— ისე რომ, ახლაც ლევას რომ არ მოეყვანე, მე შენს შესახებ ისევე ბაიბურშიც არ ვიქნებოდი. აი, თვითონ ლევა კი ასე სასიამოვნოდ მოვლილი რომ არის, ეს ალბათ შენი დამსახურებაა.

— ეგ ჯერ ნუცას ხელია. ცოტა ჩემიც.

მაგიდის შუაში მოხატული ქაშანურის ღრმა ლანგარი იდგა და სიცარიელე არ უხდებოდა.

ქეთევანმა შუშაბანდიდან ფაქიზად თავმოკრული წნული კალათი შემოიტანა და ლანგარი სურნელოვანი ხილით აავსო.

— ეს ვარიანკამ და ლექსიამ შენ გამოგიგზავნეს. — სიყვარულით შინაური სახელებით მოიხსენია ქეთევანმა მშობლები.

— აუჰ, რატომ სწუხდებოდნენ! მა-

დლობელი ვარ. აი, სწორედ ვარიანკა და ლექსია როგორ გასძლებენ ერთი შეილი რომ სახლში აღარ ვერ-ლებით.

— ნამდვილად ინალღლებენ. მაგრამ შეძლებისდაგვარად ჩავხედავ ხოლმე. სხვათაშორის, ვარიანკას და ლექსიას შენი სტუმრობაც ეამებათ, თუ საერთოდ ჩვენს სოფელს გაიხსენებ. დათას ჯერ ახალი სახლი არ დაუმთავრებია. და თვითონაც არა აქვს ხეირიანი სადგომი. დათამ დიდი სახლი წამოიწყო. ამის თაობაზე მან ლევას უთხრა: ჩვენ ბევრნი არ ვიყავით, მაგრამ არც ცოტანი, და ვასაც ჭალაბობით დაიტევდა საერთო სახლი, იზოდენა უნდა გექონდესო. ყოველ შემთხვევაში, ჩემს გარდა, შენი და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ახალი ძმის ბაადურის წილიცაო. ბაადური წერაჯითხვის კაცია და სახლს საგანგებოდ მისთვის კოშკური უნდა დავადგა, სადაც თავისთვის სიამოვნებით იმუშავებს და დაისვენებსო. დათა ბევრს კი არავის იხმარებს და შენებაზე უმეტესად მარტო თვითონ და ნუცა ირჯებიან. ისიც საღამოთი, როცა კოლმეურნეობიდან მოცულა აქვთ. ამიტომ დაუგვიანდება სახლის დამთავრება. ამიტომ, კიდევ რომ გაახარო შენი სტუმრობით, საკადრისად ვერ მიგიღებს და შეეუბდება. დანარჩენ ოჯახებს შორის კი ყველაზე ახლობელი შენთვის, მგონი ჩვენი ოჯახი იყო. შენთვის ჩვენი სახლის კარი კიდევაც მუდამ ღიაა.

— ჩემთვისაც ეს დიდი დაფასებაა. მაგრამ მე იმ კარის გადაბიჯებას უშენოდ მაინც ვერ გავებდავ.

— მარტოს მე არც გავიშვებ ჩემს სოფელში. ყველა თავს შემოგვევლება, მაგრამ ჩემსავით ვერავინ. მე კი მინდა, რომ რაც შენ იქ გაჭირვება გინახავს, იმის სანაცვლოდ ახლა მხოლოდ სიამოვნება მიიღო. ხოლო ქალაქში მე შენ ჯერჯერობით მაინც მოგერიდები, სანამ უნივერსიტეტს არ შეგეჩვენებ.

გიორგი ბელაშვილი
გამიზარაპს მრავალი ზმობი



სანამ ქალაქელობას არ დავიმჩნევ, რომ ძალზე სოფელური იერით შენს გვერდით მართლაც საჩოთირო არ ვიყო, განსაკუთრებით ქუჩაში. თუმცა, კერძოდ ამ საღამოს ქუჩაშიც ერთად ყოფნა გვიწვეს, რომ სახლამდე მიმაცვალო. მე გზებში ჯერ კარგად ვერ ვერკვევი. ხოლო გარეთ სიბნელეა და მგონი თვალში არავის მოვედებით, რომ შენ ჩემ გამო უხერხულობა არ იგრძნო.

— გაცალეხა თავისთავად! საერთოდ კი, თუ მართლაც მოამერიდები, ყველგან თვითონ მოგძებნი. უნივერსიტეტის გზა, ცხადია, არ შემეშლება. ახლა კი ვნახავ სახლსაც, სადაც თებროსთან ერთად იბინადრებ.

ბაადურმა ლეგას ოთახში ტანთ გამოიცვალა, ხოლო როცა ქეთევანთან მალევე გამოვიდა, ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ღია სარკმლის მინაში ძველებურად შუღლოდ ჩამოშლილ თმას ისწორებდა.

უანჯრის წინ ვიწრო ტროტუარზე სწორედ იმ დროს ძმურად გადახვეულმა სამმა ბიჭმა ჩაიარა. გურის და ტიტეს ლეგა შუაში ეყენათ და სამივე ხარობდა.

ქეთევანსა და ბაადურს ბიჭები ქიშკარში შემოხვდნენ. ჯერ ლეგამ, ალბათ, ტიტესა და გურის ჩამოტანილი ხილი იგემა, ახლა კი მას ისინი თავის ხილის გასასინჯად მიყავდა. ვაშლი ვაშლია, მსხალი მსხალია, კომპიც — კომპი, მაგრამ სხვადასხვა სოფლისა ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდება.

ისევე, როგორც ლეგა, ზაფხულის მანძილზე უცებ მომატებულიყვენ სიმაღლეში გურიც და ტიტეც. გურიმ და ტიტემ მწყობრი მხიარული სალაში მისცეს ბაადურს, ამასთანავე თავაზიანი ცნობისმოყვარეობით გაიცნეს ქეთევანა.

თებრო როდენის ქუჩის წყნარ ვიწრობაში, აგურის ორსართულიან სახლში ცხოვრობდა, სადაც ამიერიდან დაი-

ღებდა ბინას ქეთევანიც. ნაქვეშაში იყო პირველი სართულის პატარა ცალკე ოთახი, რომელშიც მოხვედრა შეიძლებოდა პირდაპირ ქუჩიდან, საღარბაზო შესასვლელის მაგვარი კარით.

ოთახს თავისი ზომის შესატყვისი ერთადერთი სარკმელი ჰქონდა, რომელიც აგრეთვე ქუჩაში იხედებოდა. რაც ოთახში ავეჯი იდგა, ეტყობა ყველა ბინის პატრონისა იყო, საკმაოდ ძველი და შელახული. სამაგიეროდ, უდაოდ დობილები კეთენილება იყო სხვადასხვა სამკაული და სოჯახო წვრილმანიც, რომელთაც ახლის ხალისიანი ელფერი დაკრავდა.

თებრო ქეთევანთან და ლეგასთან ერთად ამ საღამოთი იყო ჩამოსული. სადგურიდან კი თავისი და ქეთევანის ბარგი სახლში მას წაეღო და უკვე სუფრის გაშლაც მოესწრო. ბაადურს მან თამამად გაუცინა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ოთახში ფეხის მოსანაცვლებელი ადგილი თითქმის არ იყო და დობილებმა იგი წამსვე მაგიდას მიუსვეს. თვითონ მას მხარი დაუშვეწენს და ყველა საქმელო მიუშარჯვეს.

სუფრა სავესე იყო სოფელური გემრიელი ხორავით, მაგრამ ყველაზე მაცდურად გამოიყურებოდა მახლობლიანი ნედლი შოთები, რომლებიც მაჯაზე წნელებით დაიხვეოდა.

ხვავრიელმა სუფრამ, უპირველესად კი შოთებმა ბაადურს თვალწინ დაუყენა ომის გაჭირება, როდესაც ხშირად ცარიელა პური ენატრებოდათ.

— გახსოვს ქეთევან, იღუმალში მე და ბედიას ერთ ყუა პურს ყოველ მიზეზვარეშე რომ გავვიჩენდი ხოლმე?

ქეთევანს სოფლის გაჭირებაც ახსოვდა და სოფელში დასასმარებლად ჩასული, თოხის ტარისაგან ხელმძღვანელებული, ნახევრადმშვიტი სტუდენტების ძალღუმადური ყოფაც. მაგრამ აწ უკვე წარსული იმ სურათების ხელახლა დანახვამ, მას მძაფრი-სიცხადით წარმოუდგინა მრისხანე ომის-

უფრო მკაცრი და არსებითი ნაკვალევი.

— სახლში სამხედრო ეაყის სურათი რომ გიციდია, ის არას სოსო მოლოდინი?

— ის არის.

— ახლა ბევრ სახლში ნახავ ასეთ ფოტოსურათებს.

— ძალიან ბევრში.

— ყველა სურათიდან კი აუცილებელი ღიმილით იცქირება შინმოუსვლელი და ეს განსაკუთრებით გულისშემძვრელია. შენი სოსოც იცინის.

— სოსოსი და სხვების სურათებიც ფრონტიდან თავისიანების გასამხნეებლად არის გამოგზავნილი, თორემ სინამდვილეში ალბათ არ ეცინებოდათ.

— ფანდურს დაეუკრავ, თუ უადგილოდ არ მიმიჩნევთ. — მოულოდნელად შესთავაზა დანადგოიანებულ სტუმარსა და ქეთევანს თებრომ. თუმცა, ახლა არც მას, ჩვეულებრივ ხალისიანსა და დაუდეგარ ქალიშვილს, უნათოდა სახე. — დაეუკრავ! — თვითონვე ბეჯითად გადაწყვიტა მან და კედლის ხალიჩაზე ძვირფასი ქინძისთავივით მიბნეული ტურფად თლილი ფანდური კალთაში ჩამოიფრინა.

ფანდურმა წყნარად და ტკბლად გაიხშირნა და ჰანგმა სოფლური ღამე წარმოსახა. თითქოს ამ წარმოდგენის შესავსებად კი გარეთ სადღაც ძალღმა დაიწკავწკავა და ქათამმა დაიკრაახა.

21.

ღობილებთან პირველი ყოფნის შემდეგ ბაადურმა კიდევ რამდენჯერმე შეიძლო მათი ოთახის კარი. მათთან ბაადურს ყოველთვის სასურველი გულითაღობა და მყუდროება ხვდებოდა. ამიტომ მისელა ეხალისებოდა. სიამოვნებდა აგრეთვე, რომ ქალიშვილები მას, როგორც კი გამოჩნდებოდა, მოსმენილი ლექციების ირგვლივ შეკითხვებს აყრიდნენ და ისიც გულისხმიერად პასუხობდა. მაგრამ ბაადურს სურდა მათთვის უფრო არსებითი სამსახური გაე-

წია. ისინი კი სხვა არაფერზე აწუხებდნენ.

თვითონ ქეთევანი ბაადურთან მისვლას ვერ თითქოს კიდევ არ აპირებდა, მაგრამ ის ალექსიდან უფრო ადრე გადასულიყო, ვიდრე ბაადური ვარაუდობდა. ბაადურმა სიხარულით გაიფიქრა, რომ ღობილებს მისი არსებითი დახმარება დასჭირდათ და ქეთევანიც მასთან ამ გარემოებამ მიიყვანა. არადა, თუ ქეთევანი უბრალოდ მის სახანავად გამოჩნდა, ბაადურს ეს ქეთევანის მოვლინების ყველა სხვა მიზეზს ერჩივნა.

ქეთევანმა ყასიდათაც არაფერი მოიმიზეზა.

— ძნელი ყოფილა გაქალაქელება. მაგრამ რამდენადმე მგონი მაინც უკვე ვადმოვილე ქალაქელი ახალგაზრდა ქალების ჩვევები, თავის დაჭერა. ამიტომაც მოვედი.

ქეთევანი თავს მხიარულად დასცინოდა.

ბაადური კი მის მიმოხვრასა თუ ლაპარაკში ვერავითარ ცვლილებას ვერ ამჩნევდა და დარწმუნებული იყო, რომ ქეთევანს ამაზე არც ეზრუნა. ბაადური ამავე დროს ფიქრობდა, რომ ქეთევანის თავდაპირვანს მეტი დახვეწა არც სჭირდებოდა. ასევე ჩაცმულობას. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი კი, რომელსაც ქეთევანი ახლა ეჩვევოდა, მას უფრო მოხდენილს აჩნდა.

ბაადური ქეთევანს გაუბედავად შეხაროდა.

— ქეთევან, ნუბნს რომ მომცემდე, გადაგეხვეთლი...

— ჩემთვის კი მარტო ისიც საამაყოა, რომ შენ ეგ სურვილი მოგვიდა. — ორაზროვნად მთუგო ქეთევანმა და სიტყვა ბანზე აუგდო. — ლუგას ვერ ვხედავ. ჩვეულებრივად თავის ტიტესთან და გურისთან თუა.

ბაადურს წყენა დაეტყო, რომ უცაბედ ამგვრებაზე ქეთევანმა თითქოს დასცინა. ჯავრი მოუფიდა თავზეც, რომ

გიორგი გელაშვილი
გვიწარამს მრავალ ბიძი

ეს აძგერება სიტყვით მეტად გულუბ-
რყვილოდ გამოხატა. მაგრამ ზრდილო-
ბა მოითხოვდა ქალი უპასუხოდ არ
დაეტოვებინა.

— ლევა ტიტესთან და გურისთან
ერთად ამჯერად დედამისის სტუმარია.
უფრო სწორედ, ჩემი დისშვილები.
ლევა ნათელასთან და ავთოსთან ძმა-
სავით არის და ასე თავისი მეგობრებით
დროდადრო აურბენს ხოლმე სახლში.

ქეთევანს ბაადურისთვის თვალღებში
რომ არც ეცქირნა, ისედაც მიხვდებო-
და ბაადური რაზე აიძვრა. ეს ქეთე-
ვანს სიხარულით აჩქროლებდა, მაგრამ
განაცდევინებდა სინანულსაც, რომ ბა-
ადურის გულისთქმას მხურვალედ არ
უპასუხა. ამიტომ მეორედ მან უკვე
თბილის ღიმილით შეხედა ამრეზილ ბა-
ადურს.

— რაც შენ ახლა მოულოდნელად
მოიწადინე, იმაზე ჩემი პასუხი და მა-
ნასაღამე თანხმობაც, ის იქნება, თუ მე
შენთან კიდევ მოვალ. მე მგონი, მო-
ვალ, ოღონდ ახლა ნუ გადავრევთ ერთ-
მანეთს. შენ მაინც წამსვლელი სიჩანხარ.

ქეთევანის ბოდიშურმა სიღბომაეც
უცებ იმოქმედა ბაადურზე.

— ისეთი საქმეა, რომ ჩემი წაუსვლე-
ლობა არ შეიძლება. ლევას კლასის
მშობელთა კრებაა. მაგრამ შენი გაშვე-
ბაც არ მინდა. თუმცა, არც გაგოშვებ.
შენ აქ დარჩი და მეც კრების დამთავ-
რებისთანავე შენ გავჩნდები. მანამდე
კი გამოჩნდება ლევა.

— უიმე, ბაადურ! სანამ თქვენ გა-
მოჩნდებით ვინმემ რომ გიკითხოთ, ვი-
ნა ვარ-მეთქი, რა ვუთხრა? მისმინე, რა
დაშავდება, რომ კრებაზე მეც წა-
მოვყვე?

ბაადურს იოლად მოძებნილი გამო-
სავალი ძალიან მოეწონა. კრება არ გა-
უცდებოდა და ქეთევანიც გვერდით
ეყოლებოდა.

22.

კრების დაწყებამდე ცოტა დრო
რჩებოდა და მათ ძალიან უნდა ეჩქა-

რათ. თუ არ დაიგვიანებდნენ, ბაადურ-
ის თანმხლებს უფელა ერთად ეტყობოდა
ამჩნევდა და ახალგაზრდა ქალიც ბარემ
ორმოცი წყვილი ცნობისმოყვარე თვა-
ლის წინაშე სიბრცხვილასაგან არ აიღან-
ებოდა. მაგრამ კრება ის იყო დაწყე-
ბულიყო და ორასსანთლიანი ნათურით
გაბრღდვიალებულ, მშობლებით გაკე-
დილ საკლასო ოთახში ისინი სანახაო-
ბითად წარსდგნენ.

ბაადურმა მკაცრი შესახედაობის ტან-
მორჩილ მანდილოსანს, მის ყოფილ
მასწავლებელს და ლევას კლასის აწინ-
დელ დამრიგებელს, რომელიც კრებას
ხელმძღვანელობდა, დაბნეულად ბო-
დიში მოუხადა. ხოლო, როცა აღმოჩ-
ნდა ავარდნილ ქეთევანთან ერთად იგი
ერთ-ერთ ბოლო მერხზე ვიწროდ მო-
ეწყო, ოთახში ერთობლივი ზუსტნი
გაიბა. არანაკლები ზუსტნი, ვიდრე
დღისით, გაკვეთილების დროს, თვი-
თონ მოწაფეებისა, რომელიმე ონავ-
რდა ოინის გამო. ზუსტნი მით უფრო
გულმოღვინე იყო, რომ დაშსწრეთა
შორის დედები და ბებები სჭარბობ-
დნენ.

ბაადური მშობელთა კრებებს არ
აცდენდა და მას ლევას თანაკლასელებ-
ის მშობლების წარმომადგენლები კარ-
გად იცნობდნენ. პატყსაც სტუმდნენ.
ისინი მის გამოჩენას ახლაც სიამოვნე-
ბის ღიმილით შეხვდნენ. ამავე დროს
მათ აისახეს მოუთმენელი ცნობისწა-
დილი ბაადურის თანამგზავრი მოხდე-
ნილი ახალგაზრდა ქალის მიმართ, რომ
მელსაც პირველად ხედავდნენ.

ბაადურსა და ქეთევანს მათდამი გა-
ფაციტებულმა ყურადღებამ გონება
დაუფანტა და კრება ისე გათავდა, რომ
მათ მსჯელობიდან ბევრი არაფერი
გამოუტანიათ.

კრების შემდეგ, როდესაც ისინი კრე-
ბაზე დასჯილებივით თავჩალუნული
მიამბივდნენ ქუჩაში, ბაადურს და ქე-
თევანს წამოეწიენ მუხრან კილლაძე და
მადონა დეკანოზიშვილი.

კრებებს, რომლებიც ყოველთვის სა-

ლამობით ტარდებოდა, გურის მშობ-
ლებიდან მამა ესწრებოდა, რადგან
შესტად ამ დროს ეწყებოდა მუშაობა
საავადმყოფოში ქალბატონ ნელის, თა-
ვისუფალი კი იყო მუხრანი, რომელ-
საც თუ არა სასწრაფო გამოძახება სა-
ოპერაციოდ, დღის საათების შემდეგ
პოლიკლინიკაში მოვალეობა აღარ აკა-
ვებდა. ამ მხრივ პირკუ იყო დეკანო-
ზიშვილებთან. გრიგოლი ქარხნიდან
გვიანობამდე ვერ გამოდიოდა, ამიტომ
კრებებზე ტიტეს მშობლებს მუდამ
წარმოადგენდა მკვირცხლი ქალბატონი
მადონა, რომელსაც სახლში ბევრი მო-
საველეი ჰყავდა, სხვა საოჯახო საზ-
რუნაეც აწვა, მაგრამ მაინც ყველა-
ფერს ასწრებდა. ზოგჯერ კი, თუ გუ-
რისა და ტიტეს მშობლები ყოვლად
მოუტყელნი იყვნენ, კრებებზე მათ მა-
გივრობასაც ბაადურმა სწევდა. სამივე
ბიჭზე პასუხს ავებდა.

მუხრან ჭილაძემ ბაადურს მკლავში
ხელი გაუყარა, ხოლო მადონამ ქეთე-
ვანი ძველი ნაცნობივით ცალკე სასა-
უბროდ ჩამოიტოვა. მუხრან ჭილაძემ
თავისუფალი ხელი მოკლედ შეკრეჭილ,
შეჭალარავებულ უღვაშზე მსუბუქად
გაიტარა და ბაადურს მეგობრულად გა-
უღიმა.

— კლასის დამრიგებელმა ჩვენი ბი-
ჭები ტყუპებივით ერთნაირად დაახა-
სიათა. კარგი ბიჭები არიანო. გონიერე-
ბიცო. ოღონდ კიდევ უკეთ სწავლა შე-
უძლიათო.

მუხრანი თითქოს მიხვედრილი იყო,
რომ ბაადურმა კრებას გულისყურით
ვერ უსმინა. ბაადურმა მას თავი და-
ფიქრებით დაუქნა.

— სწავლას ნამდვილად უნდა უმა-
ტონ.

— ნამდვილად. ალბათ ასეც იქნება
შენი. მზრუნველობით. თავათ როგორ
ბრძანდები, ბაადურ ჩემო? ახალი ხომ
არაფერია შენს პირად ცხოვრებაში?

— არაფერი, ბატონო მუხრან.

— აღდგომა და ხვალეო! ეგეც მალე
იქნება.

— რა იქნება?
— მნიშვნელოვანი ცვლილება
ცხოვრებაში.

— ალბათ.
ბაადურმა საუბარი გაწყვიტა, ხოლო
მუხრანმა იგი ვერ გადააბა.

ბაადური და ქეთევანი გურის მამას
და ტიტეს დედას მათი სახლის წინ და-
ემშვიდობნენ, თვითონ კი როდენის
ქუჩისკენ გაემართნენ. მიდიოდნენ და
ხმას არ იღებდნენ. ერთიც და მეორეც
თავთავის ეს-ეს არის დამშვიდობებულ
თანამგზავრზე ფიქრობდა. ელბაქიძის
ხილზე მათ ნოემბრის ღამის ცივი ქარი
ეტაკათ. ბაადურმა მაშინვე მოაჯირის-
კენ ინაცვლა და ქეთევანს ქარის მხრი-
დან ჩამოეთარა.

დამანაშვესავით ტურნებმოკუმულმა
ქეთევანმა ბაადურს მკლავი გაუკეთა
და სისხარულით შესცინა.

— მე კი მეგონა მიწყრებოდი.

— მე მგონია, გაბრაზებული შენ ხარ.
კრებაზე რომ წაგარბენიე და ორმოცი
წყვილი თვალის წინ გაგაწითლე.

— კრება მე ავიტეხე და შენ ჩემს
გამო გაუგებმურდი. ოღონდ, მგონი ბო-
როტად არ გაგვეკორავენ. თუმცა, სა-
კურკურო გაუქინეთ.

— იკურკურონ და ისამოვნონ. ჩვენ
ვერ დაეუშლით.

— სამაგიეროდ, თუ ჩვენ შემდეგ
კრებაზეც ერთად მივალთ, კურკურს
თავს დაანებებენ. იფიქრებენ, რომ ტვი-
ნიც ტყვილად დაგვიღლია და ენაცო.
თუმცა, ენაპარტლობა იქნებ სულაც
უსაფუძვლოდ დავწამეთ იმდენ პატიო-
სან ხალხს.

— იქნებ. რომ შემოგვაცქერდნენ და
ფუჩუნიც გააბეს, მერე-რა? დაგვიან-
ბულს ყველა აკვირდება. მადონამ კი,
ცხადია, გკითხა ბაადურისა რა ხარო.

— ვატყობდი სწორედ ეგ ეკიდა ენის
წვერზე, მაგრამ მე საშუალება არ მი-
ვეცი, რომ ეკითხა. შენ მუხრანმა ჩემ-
ზე გკითხა?



— უნდა და ეკითხნა, მაგრამ თავი ვერ მოაბა. ყოველწემთხვევაში, მუსრანი თავის ამ ცნობის მოყვარეობას ამდამდე გადასდებს ნელის, ისევე, როგორც მადონა გრიგოლს. კრებაზე დასწრე სხვა იმდენი პატიოსანი ადამიანიც თავისიანებს. ამიტომ შეგებრალოთ ადამიანები, თავსატეხით ნულა დაეტანჯათ. საერთოდ ყველგან და ყველას თამამად ვეჩვენოთ ასე ერთად, რომ ჩვენი ურთიერთობა საყოველთაოდ ნათელი იყოს.

ბაადური უკვე ხუმრობის კილოზე ლაპარაკობდა, მაგრამ ამ შემაქცივარი საუბრით მხოლოდ ნამდვილი სურვილის გამოთქმას იადვილებდა.

23.

ბაადურს დაეკვება, რომ ყოფილ სკოლასთანაც ისევ ჰქონოდა კავშირი, რადგან იქ ლევა სწავლობდა, კვლავ ხშირად ყოფილიყო უნივერსიტეტშიც, რომელიც დაამთავრა, აქ უკვე ქეთევანის გულისთვის.

ქეთევანი უნივერსიტეტში თავიდანვე ცნობილი პიროვნება გახდა. სწავლობდა მეცადინე სტუდენტის გულმოდგინებით, კრებებზე კი მგზნებარე სატყვეებით არ გამოდიოდა, საერთოდაც თავს მორიდებულად იჭერდა, ასე რომ, ხალხი მას ვარსკვლავისებური გამოხრწყინებით არ აულაპარაკებია. იგი საყოველთაო ყურადღების შუაგულში თავისი წარსულის წყალობით მოექცა. მთელ უნივერსიტეტს სწრაფად მოეფინა ხმა, რომ ისტორიის ფაკულტეტის ახალი სტუდენტი ქეთევან ლიაშვილი, ჯერ კიდევ ოც-ოცდაორი წლის ქალიშვილი იყო, როცა ომის მრისხანე წლებში კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა და ვაჟკაცური შეტევრებით ეწეოდა მძიმე ჰაპანს. ეს არ იყო წმინდა მეომრული გმირობა, მაგრამ იყო ის, რაც ყველა მის ტოლს არ ხვდა და არც შეეძლო. ამიტომაც იყო ქეთევანი გარემოსილი განსაკუთრებული პატივისცემით. თუმცა, სტუდენტთა შორის

კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც ერთიანი თებიც, რომელთაც ჩვეულებათ ჰქონდათ ვისიც გნებავთ გაკენწლვა და არ ერიდებოდათ ქეთევანის დაკორტნაც. თავათ მათ კიდევ გადასარეე გონება-მახვილობად მიანდათ: ლიზლი ოხუნჯობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყოფილი თავმჯდომარე იქნება თეთრ რაშხე ამხედრებული შემოგლეჯებულიყო უნივერსიტეტის ბაღში, სადაც ცხენს გამოაბამდა ბოტანიკური თვალსაზრისით უიშვიათეს მცენარეზე, თვითონ კი შემდეგ აუდიტორიაში ქალამნებითა და ხილაბანდით შეიჭრებოდა. საბედნიეროდ, ასეთები ერთეულნი იყვნენ, ქეთევანის გულწრფელი ქომავნი კი ძალზე ბევრნი, რომლებიც ხებრეებისგან ყოფილი თავმჯდომარის დაცინვას მის ყურამდე არ უშვებდნენ. თუმცა, სხვებიც რომ არა, ქეთევანს ფარად და მახვილად მარტო თებროც ეყოფოდა, რომელიც დობილს თავგამოდებით უფრთხილდებოდა.

ახალბედა სტუდენტი ქეთევანი უამრავი სამეცადინოთი დაიტვირთა და ფიცქლავ ჩააბეს საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, როგორც წინამძღოლობაში უკვე საიმედოდ გამოცდილი ახალგაზრდა მოღვაწე. ამიტომ ქეთევანი თანდათან სულ უფრო მოუცლელი ხდებოდა და ბაადურიც მას ყოველთვის ველარ იბელთებდა.

ბაადური ამის გამო გულნაკლული იყო, მაგრამ ქეთევანს მოუცლელობა ბრალად არ წაეყენებოდა, და ისიც არ ედავებოდა. მით უმეტეს, რომ ზედავდა, ქეთევანს ერთხელაც ვერ მოუხერხდა იღუმალში ჩარბენა, არადა ძალიან ენატრებოდა უმისოდ ყურებზამოყრელი თავისი ვარინკა და ლექსია და მთელი სოფელიც.

24.

უამიდობის დროს ბაადურს სახლში ფანჯრის რაფაზე წერა უყვარდა. განიერი რაფა თავისუფლად იტედა ყველაფერს — უბის წიგნაკს, დასტან ქა-



ღალღს, კალმებს, ფანქრებს, ზოგი-
ნერთ ცნობარს, აგრეთვე პაპიროსს,
ასანთს, საფერფლეს.

თუ ასეთ ვითარებაში მას ბედია შე-
ესწრებოდა, ის პირველადვე პაპიროსს
უყიდებდა და იგივე ვეება მარმარილოს
საფერფლით სარგებლობდა, რომლი-
თაც ბაადღური. მავრამ ბედია პაპიროსს
დაუდევრად ბერტყავდა, ფერფლი ნა-
წერ ფურცლებსაც აცვიოდა და ბაადღუ-
რი ბუზღუნებდა. მაშინ ვაწყრომის წი-
მით სღდია პაპიროსს ახლა საყვავილე
ქოთნისკენ აქნედა, რომელიც ასევე
რაფაზე იდგა. ბედია თან ირწმუნებო-
და, რომ ეს გამართლებულიც იყო,
რადგან ფერფლი იგივე ნაცარი, ნაცარი
კი სასუქი, და მამასადამე, მცენარისათ-
ვის სასარგებლო.

ფანჯრის რაფას ბაადღური წვიმასა და
თოვლში იმიტომ ირჩევდა, რომ ასეთ
დროს ქუჩაში ყველა იჩქაროდა და ის
გამგლეღთა ყურადღებას შეუმჩნეველი
რჩებოდა. მაშინ როცა დარიაწში, თუ
ფანჯარაც ღია ექნებოდა, ცნობისმოყ-
ვარეთა უმიზნოდ დაცეცებულ თვა-
ლებს არ გამოეპარებოდა. ფანჯარა
ტროტუარიდან მხოლოდ კაცის სიმაღ-
ლეზე იყო. ქუჩაში კი ბევრი სულწა-
სული მოსეირნეა, განსაკუთრებით ახ-
ალგაზრდები, მათ შორის ოხუნჯებიც,
ვისაც შემოქმედებითი წვით შეპყრო-
ბილი ადამიანის ენაზე წამოგება სას-
მელსა და საკმელს ურჩევნიათ.

წვიმის ან თოვლის დროს ბაადღურს
ფანჯრის რაფაზე მუშაობა იმიტომაც
უჯდებოდა ჭკუაში, რომ ერთიც და მე-
ორიც შემოქმედებით ნაყოფიერებაში
შველოდა. ჯერ ერთი, თუ ჭკაბი იყო,
გული გარეთ არ მიუწევდა და რაკი
სახლში იქნებოდა, უსაწერკალმოდ არ
იჯდებოდა. მეორეც, ის თავს აჯერებ-
და, რომ წვიმის წვეთებისა თუ თოვ-
ლის ფანეტლებისათვის, აგრეთვე ფანჯ-
რის მინებზე მათი მხატვრული ნაკვა-
ლენისთვის დროდადრო თვალის მიჩე-
რება, მას აზრის ჩამოყალიბებას უაღ-
ვილებდა.

თუმცა, ყველაზე უფრო მძიი გუნ-
ბის ამინდიც ყოველთვის ვერ შველს
შემოქმედს. უცებ შეიბორკება, წინ
ძვრა ველარ უხერხდება, კალამი კი,
რომელსაც ჯიუტად არ ეხსნება, ვინძ-
ლო საჭირო სიტყვა მაპოვინოსო, ქა-
ღალღზე გარეშე რალაცეებსლა ჩხაანის.
მას წერა ვეალება, ხანაც თავად უტ-
ვირთნია, ქაღალღზე კი ნახატები გა-
მოსდის, მარტივი, მიახლოებითი ნახა-
ტები. ხატავს, შეიძლება, განწყობილე-
ბის გასამძაფრებლად, შემდეგ მის მი-
ხედვით წინადადების უკეთ ჩამოსაქნე-
ლად, დასახვეწად. მაგალითად, წვიმს
და ისიც წვიმის სურათებს ბლაცინს,
რათა მერე იგივეს ირგვლივ უკვე წე-
რამი იმარჯვოს. მაგრამ, წვიმის დროს
ხომ მარტო ჟინჯელის, თავსხმის თუ
წვიმის სხვა ნაირსახეობის შესახებ არ
იწერება!

მთელი კვირა დღე და საღამოც გა-
დაუღებლივ წმინდად სტრიდა. ბაადღუ-
რის ნაწერს კი სტრიქონიც აღარ ემა-
ტებოდა. ქაღალღზე მხოლოდ წვრილ-
მანი ნახატები ჩნდებოდა — ქოლგიანი
ქალები, საყელოაწეული მამაკაცები,
აივნის ქვეშ შეფარებული ქალ-ვაჟი,
გუბებში მტოპავი ბავშვები, გაზუნზ-
ლული ძაღლები. ბაადღურის წინმდება-
რე ნარკვევის არე კი მზით მოოქროვი-
ლი გარემო უნდა ყოფილიყო! როცა
კალმის უმიზნოდ წვალეზაც ბეზრდე-
ბოდა, ბაადღური ფანჯრიდან წვიმას გა-
სტქეროდა და დაფიქრებული პაპიროსს
ეწეოდა.

25.

კვამლში განგეულმა ბაადღურმა უცებ
ვერ გაარჩია ქეთევანი, რომელსაც კა-
რის კაცუნზე შუშაბანდიდან დიდ ოთახ-
ში იღვა შემოაქვდა.

— შეგიშალე?

— პირიქით — მიშველე. საჭირო
სიტყვა მაინც ვერ დაევირეე პაერში
და ახლა გადავებე საწერს.

გიორგი ბელაშვილი
პირფარავს მრავალი მხრი

ბაადურმა წმინდა ხელწერით და გარემო მინახატებით აჭრელებული ფურცლები ააწყო და ოთახის გასანავებლად ფანჯარა ვალო ლეგამ კი მის გვერდით სკამი დაუდგა ქეთევანს, როგორც ხშირად მიუერთმეგვია ბედიასთვის ხანაც ბაადურის სხვა სტუმრისათვის.

პერმა კარგად გაწმენდა ვერ მოასწრო, მაგრამ ბაადურმა ფანჯარა უკვე მიხურა, რადგან ოთახში სუსხი შემოიჭრა. უქოლგოდ მოსულ დაძებულ და გაცრეცილ ქეთევანს კი სითბო უფრო არგებდა, ვიდრე კვამლი აენებდა.

ლეგამ მათ სრულიად დროულად რაფაზე ქაფქაფა და სურნელოვანი ჩაი მოართვა.

— წერის დროს ხშირად ერთ სტრიქონზე გავიყინები და პაპიროსსა და გეძალები ხოლმე. თითქოს ეს მიშველის. — ხუმრობის კილოზე სინამდვილე დაინივლა ბაადურმა.

ლეგა თავის ოთახში გავდა. მაგრამ შუა კარი, როგორც ყოველთვის, ღია იყო და ბაადური ქეთევანს ვერ გადაეხვეოდა. სამაგიეროდ, ბაადურს ამის უფლება უკვე ჰქონდა. მას კარგად ახსოვდა, რაც ქეთევანმა წინა სტუმრობაზე აღუთქვა, რომ მისი შემდეგი მოსვლა ბაადურისადმი სრული ნდობის აღიარებაც იქნებოდა. ვერ გადაეხვეოდა ახლა ბაადური ქეთევანს, მაგრამ ის უკვე იყო ბედნიერი სასურველი ქალის გულისპაუხითაც, რომელიც მან ასე უბრალოდ და ლამაზად გამოხატა. ქეთევანს კი გულის კუნძულში ჰქინკა ეჭვა, ვერ ეჭვებოდა, რომ ეს-ეს არის სოფლიდან ჩამოსული ქალი შეიძლება ბოდა გულისტოლად ეცნო სულით და ხორციით ქალაქელ თვალტანად და ჰქუადამჯდარ ახალგაზრდა კაცს.

— მისმინე, შენ, ალბათ, მეტად მკაცრად სთხოვ თავს და იმიტომ თვითონვე იძნელებ წერას. — უსიამო ეჭვის მოსაცილებლად ბაადურს დაჩვილებაზე უპასუხა ქეთევანმა. — მე შენი ყველა ნარკვევი წაგიკითხე თქვენს ჟურნალში, და თუ ჩემს აზრს ანგარიში გაეწევა, იგი-

ვე თემაზე უკეთესად დაწერა ვერა წარმომიდგენია.

— შენი შეფასება ჩემთვის ძალიანაც ბევრს ნიშნავს. მაგრამ, შენ ხომ არ იცი ნაწერებში კიდევ რის თქმა მინდოდა და ვერ კი მოვახერხე.

— თავისი უფლაზე სრულყოფილი ნაწარმოებითაც კი, როგორც გამიგია, სავსებით კმაყოფილი არც ერთი მწერალი არ ყოფილა. — გულისხმიერად შეასხენა ქეთევანმა ბაადურს, მან კი ძალდატანებით გაიღიმა.

— ხოლო, როცა კალამს ტყველბრალოდღა ვაწვალებ, გამივლევს ხოლმე წერაზე ხელი ავიღო და სხვა საქმეს მოვეკიდო. მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარეობას რომ მომანდობდნენ, ხალისით წავიდოდი. სახელდობრ, კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა იმიტომ ვახსენე, რომ თავმჯდომარე შენ იყავი. ამას წინათ კი ბედიამ იხუმრა, ოღონდ კი დავთანხმდე და ხალხი კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც დამაყენებს, მთელ ჩემს სოფელს ისე ვუყვარვარო.

— ბედიამ თავის დაფასება იცის. ჰკვიან და მუყაით ახალგაზრდა კაცს თავმჯდომარედ შენც ხელგამლით მიგიღებენ. მაგრამ ნამდვილი თავმჯდომარე უცებ ვერ ვახდები. შენ არდადეგებზე სოფელში რომ მარჯვობდი, ეგ არ ნიშნავს თითქოს თავმჯდომარეობასაც აღვილად შესძლებ. დღეს უკვე ჩემზე და, ნუ გეწყინება, მით უმეტეს შენზე სოფლისმცოდნე გამძლოლნი ჰყავს ჩვენი სოფლების უმრავლესობას.

— აკი გითხარი, ყოფილი თავმჯდომარე რომ წინ მყავხარ, თავმჯდომარეობა ენაზე იმიტომ მომადგა. ისე კი, იმის თქმა მინდოდა, რომ არანაირ სამუშაოს არ შეგუშინდები. მაგრამ, რაკი სიტყვამ მოიტანა, ისიც ხომ ვიცით, რომ ახლა ბევრი ქალაქელიც ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას და არც ურიგოდ.

— სწორია. მაგრამ მათ, ვისაც შენ გულისხმობ, სოფელთან უთუოდ რაიმე არსებითი აკავშირებთ. შენ კი ძალზე

ქალიქელი ხარ. შენ შეგიძლია იჯდე თან-
ჯარასთან და წვიმას უყურო. როგორც
ახლაც. მოგწონს თუ არ მოგწონს, მა-
ინც უყურო. სოფლის მკვიდრს კი, მით
უმეტეს, რომ კაცს ეჩვენება თითქოს
სოფელში უფრო ხშირად წვიმს, წვიმის
საწყურებლად არ სცალია. ევრც წარმო-
უდგენია, რომ წვიმის ყურება შეიძ-
ლება.

ბადღური ისევ წვიმას გასცქეროდა და
პასუხის გაცემას აღარ აპირებდა, იმდე-
ნად დამაჯერებელი ეჩვენა ქეთევანის
უბრალო განმარტება, რომელიც მის
ნაუტუბათევ მოწადინებას პირწმინდად
აბათილებდა.

— მე აქ მსჯელობას მოგყევი. მოვედი
კი საქმის გასაქეთებლად. — თავს უსაყ-
ვედურა ქეთევანმა. იგი მარჯვედ კიდევ
დატრიალდა ჯერ ლეგას ოთახში. შემ-
დეგ შუშაბანდში, ბოლოს კი გამოჩნდა
ისევ დიდ ოთახში, სადაც ბადღური
კვლავ თანჯარასთან იჯდა, ოღონდ გა-
რეთ აღარ იყურებოდა, თითქოს წვიმის
ცქერა აკრძალვოდა.

ბადღური წესრიგისა და სისუფთავის
მოყვარული კაცი იყო, იგივეს აჩვენდა
ლეგასაც, და ბინა მათ ყოველთვის მოვ-
ლილი ჰქონდათ. ჭურჭელს ისინი გაუ-
რეტხავს არ ტოვებდნენ, ნაგავს არ იფ-

როვებდნენ, მტვერს ყოველდღე სწიბ-
დნენ. ქეთევანმა მაინც გამოინახა საქმე
და მისი ხელმადლიანი დავლის შემდეგ,
თუმცა არსად არაფერი შესხეაფერე-
ბულა, მაგრამ იერი ყველაფერმა იცეა-
ლა და ახლებურად გამოიხედა. დალა-
გებას როცა მორჩა, ქეთევანმა კარადის
მაღალ სარკეში ჩაიხედა და გაიცინა.

— აქ რომ დედამენმა მნახოს ასე მო-
შინაურებული, რას იტყვის!

— სხვათაშორის, მართლაც საგული-
სხმოა დედაჩემი რას იტყვის. იმიტომ,
რომ როდესაც მშობლები დიდ სიზა-
რულს განიცდიან, იმ დროს ხშირად ეე-
რაფერს ამბობენ.

— შენ დარწმუნებული ხარ, რომ დე-
დამენს ჩემი დანახვა გაეხარდება?

— თავისი უცოლო ვაჟის გვერდით
მშვენიერი ასულის დანახვა რომელ დე-
დის არ გაეხარდება!

— მე ვიძინებ! — გამოესმათ მათ მე-
ორე ოთახიდან ლეგას ხმა.

სარკეში მოკობტავეებული ქეთევანი
ისევ ბადღურის გვერდით დაჯდა და
გაუთავებელ წვიმას ახლა უკვე ორივე
მიაჩერდა. უკვე საკმაოდ გაქალაქებუ-
ლიყო ქეთევანიც, რაკი ეხალისებოდა
თუ არა, წვიმის ცქერა მაინც შესძლო.

წვიმა კი არ იქნა და არ დაიღალა.

გაგრძელება იქნება



ა მ ო ვ ხ ა პ ო თ ო ...

ბაოლო იაშვილს

— არ დავდუმდები,
როგორც ქვევრი ამოხაპული! —
ვთქვი და
ბეტებზე ნინის ტოლა დამარტყი ხელი;
შენ გაგიჟებდა
პოხიერი სიტყვა კახური, —
და იმიტომაც
დამილოცე ყაბახი ვრცელი...
შემდეგ, როდესაც
შეგვდებოდით სადმე ქუჩაში,
— ამოვხაპოთო! —
დამქუხებდი სალმის მაგიერ;

გაიღიმებდი,
ვიღიმოდა თვითონ უღვაშიც, —
და მაგ ღიმილით
დაუძლეველს ვძლევედი ბარიერს...
— არ დავდუმდები
როგორც ქვევრი ამოხაპული! —
მითქვამს და ვამბობ,
მერეც ვიტყვი, ვიტყვი ნამდვილად,
მაგრამ მითხარი,
პოხიერი სიტყვა კახური,
სალმის მაგიერ
ვინ დამტყუებს პოეტს მაღლიდან?!

ქუჩიუხილის ქუჩაზე

ქუჩიუხილს ქუჩა უყვარდა,
ქუჩათა თავშესაყარიც.
ვერ შეიჩვია ბუხარმა
რევოლუციის მაყარი.

სიტყვას იტყოდა ლექსადა,
ცის დაქუხებას უდრიდა.
ელვას ელვაზე ჰკვესავდა
ჩაკარგულ თვალთა ბუდიდან.

ა რ ყ ი ს ს ე

ხიდიქვეშ მდინარე
გაცოცხლებულა,
დაუმსხვრევია
ყინვის ჯავშანი, —
და ამწვანებულ
გორაკებს შორის
სიმღერასავით
მიიტყორცნება...
ხევაღმა
ხეებს მიმოჟანტულებს

აჭყავებიათ
რტონი ფართონი, —
და მხოლოდ ერთგან
ერთი არყის ხე
დგას ჯერაც
კვირტებ-აუფეთქებლად...
აღზათ ჰგონია
ფერმკრთალ დედოფალს,
რომ იგი
ისევ ჩრდილოეთშია...



ი ყ ო ს დ ლ ე გ რ ქ ე ლ ი !

ძღვევამოსილნი, კვლავაც ვპოვებთ რასაც ვინატრებთ,
კომუნისზმია, რაც ოდესმე ჩვენ გვინატრია;
ახდეს ოცნება, ის ვადიდოთ, ვინც გზას გვინათებს,
იყოს დღეგრძელი — საყვარელი ჩვენი პარტია!..

სიკეთის ძალით ყველგან ამსხვრევს მონობის უღელს,
ერთგულების და თავდადების ანდამატია;
კაცობრიობას გზას უნათებს და თვალებს უხელს,
ჩვენი სინდისი, ჩვენი სიბრძნე არის პარტია.

მისი ნათელი მიწას გასცდა, ეწვია კოსმოსს,
მისი ალამი მთვარეზედაც ალად ანთია;
შეუპოვარი მისი წინსვლა ვერაფერს მოსპოს,
ჩვენი იმედი და სიცოცხლე — არის პარტია.

თანასწორობა, მეგობრობა მოძმე ხალხების
მზიურ ფერებში მის დროშაზე დაგვისატია;
თუმცა ზღვებიდან გვეხეთქება შმაგი ტალღები,
როგორც სალი კლდე — შეუდრეკი არის პარტია.

იცავს მშვიდობას, მთელს მსოფლიოს გადასწვდენია,
ადიდებს შრომას, ჩვენი შრომის ია-ვარდია,
მასში ბობოქრობს ხალხის ნება, ხალხის გენია,
წმინდა გრძნობით და წრფელი გულით გვიყვარს პარტია.

ვინც გადუხვია მის ნათელ გზას — გადაჰყვა წყვედიადს,
ანგარება და თავკერძობა არ ეპატია;
ვაშენებთ ახალს — კომუნისტურ მომავალს დიადს,
ხალხის გული და ხალხის სული არის პარტია...





მთვლემარე ფიქრებს აქ ზეცა აშლის,
 აქ ეკარგება სურვილებს მიჯნა,
 თუნდაც ერთი დღით დარჩენა ფშავში
 ათასი ლექსის დასაწყისს ნიშნავს.

აქ უნდა იყო, როდესაც გტკივა,
 როდესაც ვეჭვი იქცევა შიშად.
 ერთი ფშაური წყვედიადის ხილვა
 ბედნიერების სინათლეს ნიშნავს.



მაშინ,
 როდესაც შენს სხეულზე
 და სულზე ვფიქრობ,
 მახსენდება უბრალო სურა,
 რომელშიც სუნთქავს
 უანგარესი
 და კამკამა
 მდინარის წვალი.

ქ ა ლ ა ქ ბ ა რ ე თ

ძილგატეხილმა ვიარე დიდხანს,
 ქუჩებს ვყარა
 შემოდგომის ყვითელი ფერფლი.
 ასფალტიანი გზა მივატოვე,
 ბალახიან ველზე გავედი
 და ტერფებიდან
 შემოვიდა
 ტანში სინათლე.



ზოგჯერ ისეთი ნეტარია
 სიზმარი ჩემი,
 ზოგჯერ ისეთი მსუბუქია
 სიზმარი ჩემი,
 თითქოს სივრცეში
 მოქანავე რტოებზე ვწევიარ
 და მაფენია
 თბილი ნისლი აყვავებული.

ქ ა ლ ლ ი

რომელი მუზა გადარჩა ნაღდი,
რომელი მგოსნის ხმა გაპყვა დაფნარს,
რომ არ ეწამა ბელადის მადლით
გაჩაღებული ნათელი ნათლად.

რომელი ჰანგი ამოპყვა ცისკარს,
რომელი სიმი დაირხა მთა-მთა,
რომ არ შეეხო სიმაღლეს მისას
და არ ჩამოქნა სიმღერა სანთლად.

მეც ჩემი გზა მაქვს,
მეც ჩემი დრო მწამს,
მაძაღლებს ფრენას აპრილის ფრთები...
და მის გაჩენის დღეს ლოცავს, ლოცავს
მორიდებული სიმღერა ჩემი.

აქ რატომ უნდა დამძიმდეს ფიქრი,
როცა ყველაფერს მზისფერი ადევს;
ან რატომ უნდა დაერქვას ტვირთი
ზღვის სილურჯეზე განფენილ ნათელს?

ან უშენობა რად უნდა ერქვას
ამ უწყინარ და ღვთისნიერ ქალაქს?

აქ რატომ უნდა გახსოვდეს ხევდა,
როცა დარდს ტალღის ჩურჩული ჩქმალავს;

აქ სივრცე ისე ციმციმებს, თითქოს
ზღაპრების სული ზღვამ აამბოხა...
მაგრამ უფრო მეტ სატანჯველს ითხოვს
ამ დიდ ნათელში უშენოდ ყოფნა.

მე რა მერგება შენი მიწიდან? —
ერთი პატარა, ფხვიერი ბორცვი,
მაგრამ გიმღერებ გულის სიღრმიდან,
შენს სიყვარულში საშველს თუ მომცემ.

მე რა მერგება
ანკი რა მინდა —
ით მოლობილ კარავში ვცხთვრობ
და იმს სუნთქვით გვედრი:
— დაძინდე,
შენს სიყვარულში დაძინდე მხოლოდ.

გ ვ ა ბ ო კ ა ლ ე ბ ი

გზაბოძალები!
 გზაბოძალები! —
 ჩემი ბავშვობა მორბის, ღმერთმანი,
 არდავიწყების რეკენ ზარები,
 დიდიხნის შემდეგ ვხვდებით ერთმანეთს
 აქ ჩემი სიყრმის მთელი დღე არის,
 ვისთვის მართალი,
 ვისთვის ტყუილი:
 გობზე სიმინდის კაკლის ჩხრიალი,
 კრუნის კრიახი,
 მოზერის ზმუილი.

სულ უბრალოზე გაბრაზებული
 ბებიაჩემის გული ბებრული
 და დაბეგვილი სხვისი მამალი,
 ღობის გადაღმა გადაგდებული.
 სოფელში ისევ იმ დღეებს ვეძებ,
 ფიქრი ეკლებს და
 ბარდებს ედებ...
 შენს წყველა-კრულვას
 მოჰყავდა ეს მზე,
 მიკვირს, უშენოდ როგორ თენდება.

ე ტ ლ ი

დღეს შენი წილი აპრილი მოაქვს —
 შენი სიზმრების
 აეთრი შრიალი.
 წერტილს უსვამენ შენს განზე დგომას,
 გეფერებიან —
 შენი დღე არი.
 იმღერე,
 როგორც გაზაფხულზე იციან ჩვენში
 დიდოვლობის და
 ჭარბის შემდეგ...
 შენი ბავშვობა,
 უცოდველი,
 ჩამჯდარა ეტლში...
 მშვიდობა ამ გზას
 და ლოდინით გადაღლილ ედემს.
 მე ჩემი წილი სიყვარულით დაგედვენები, —
 ბედნიერი ხარ,
 ამიტომაც არაფერს გეტყვი.
 შენ რომ გგონია,

წკრიალებენ თითქოს ევენები,
 ეს ჩემი სიყრმის ღამაზ დღეებს
 მიაფრენს ეტლი.
 მშვიდობით,
 რადგან სიყვარულმა ასე ინება,
 მშვიდობით,
 რახან სიყვარულმა არ იცის მეტი...
 ქვეყნად
 ყველაფერს გადუაროს ეტლმა იქნება.
 პირველ სიყვარულს
 ვერასოდეს გადუვლის ეტლი.
 დღეს
 ჩემი წილი აპრილი მოაქვს —
 ჩემი სიზმრების
 ჩუმი შრიალი...
 წერტილს უსვამენ
 შენს განზე დგომას —
 გეფერებიან —
 შენი დღე არი.

●
 მზე იწევს მაღლა,
 კაკლის ტვერში ჭახჭახებს შაშვი,
 ეს როცა შენს ძველ საბუდაროან
 დადიხარ მაშინ.
 ვინა თქვა,
 თითქოს საესე სკაში დუმილი მღერის, —

მარჩენალ ძრთხას ალაყაფთან
ბოჩოლა ელის.
გადაშლილ სუფრას
ჩრდილი ადგას ლედვის და შინდის.
საწუთრო ისევ ბორძიკ-ბორძიკ
და ფრენით მიდის.
დედის თვალები
ამომავალ სხივებში მიმზერს,

მარგელით,
მოროდით მატყობინებს ჩამოსვლის მიზეზს.
ამ ჩემი ქვეყნის შეუმჩნეველ პატარა წერტილს
სიწმრად თუ ცხადში აყვავებულ ოცნებით ველტვის.
თუ სხვებმა მამულს უკვდავების სიმღერა უთხრეს,
მე მუდამ უკვდავ მზეს ვუნატრი საყვარელ კუთხეს.

ჩემს სოფელში, სტუმრის გასაგონად

კარლო კალაძეს

იქნებ ისე ვერ დაგიხვდა,
ისე ვერ გიმასპინძლა
ჩემს სოფელსაც აქვს თავისი
მარაბდა და ასპინძა.
ომი იყო, დარდი იყო,
(ხსოვნა გადაკარგულებს...
მაშინდელი ცრემლის ღვლე
წისქვილს დღესაც აბრუნებს.
წასულან და მოლოდინის
დამსხვრეულან ზარები...

ისეთი თქვი, სანუგეშო,
დაუბრუნდეს დარები.
ისეც ბევრი ცრემლი იყო,
ბევრი წვა და ავდარი,
დედას შვილად ჩაუთვალე
მისი ოთხი ჭადარი.
იქნებ ისე ვერ დაგიხვდა,
ისე ვერ გიმასპინძლა,
ჩემს სოფელსაც აქვს თავისი
მარაბდა და ასპინძა.

მინაწერი ალექსანდრე კალანდაძის წიგნზე „მეაჰიგარებთან“

მესიზმრება ალბის ალი,
შემტვრეული კარები,
იმ როდეზის ტულუზა თუ
კარმოს შემოგარენი.
იქნებ ესეც ლამაზია,
მაგრამ ცეცხლში არა ჩანს,
შენი კუთხეც გადარჩება,
თუ ეს მხარე გადარჩა.
და გაქვებებს შენი ჯიში, —
არსად მარტო არა ხარ,
ერთი მუჭა ქართველობა
ებრძვის „ალამაჰმადხანს“

სისხლზე სისხლი, სისხლზე სისხლი
გმინავს მეგრდი ქართველის,
რას მიქვია ყრმობის წლები,
თითზე ჩამოსათვლელი.
და როდესაც შენი მკლავი
მტერს ქლექტდა და ზარავდა,
აქაც ზეცა ეხსნებოდა
შამქორსა და მარაბდას.
მესიზმრება ალბის ალი,
შემტვრეული კარები,
იმ ლოდების ტულუზა თუ
კარმოს შემოგარენი.

მომავალ შაბათამდე

ერთი და იგივე შეკითხვით თავმო-
ბეზრებული აგიბალა ახლა უკვე მექა-
ნიკურად იღრეცდა კისერს და გვამშვი-
დებდა:

„უჟე ბლისკო და, პისოთ მეთრა ას-
თალოს!“

მეტი რა ვზა გვექონდა, გამგელებული
ვებრძოდით ქანგიან ქვიშნარს, რათა
რაც შეიძლება ჩქარა გავგეღოთ ეს დაუ-
სრულებელი „პისოთ მეთრა“.

უკან, კარგა მოშორებით, ქანცვამო-
ლეული — კურტანიებით ზურგჩანთამოგ-
დებული ვიას ქოთქოთი და „ლოცვა-
კურთხევა“ ისმოდა, — საბარგო მანქა-
ნის მძღოლს ამკობდა, რომელმაც ასე
უღვთოდ მოგვატყუა და თითქმის შუა
გზაზე ჩამოგვყარა. ლაპარაკის არაქათი
სადღა იყო, თორემ ერთ-ორ ყუათიანს
მეც შევაწივდი. თან, უნდა გამოგიტყ-
დეთ, ცოტა კიდეც მეცინებოდა, რომ
არც ჩვენს გამობრძმედილ შალვასა და
მირიანს ადგათ კაი დღე, ბოდმისაგან
დაოსებულებს სული კბილით ეჭირათ.
მაგრამ, თავიანთი მონადირული ღირსე-
ბის ღრმა შეგნებით, მაინც მოთმინებისა
და დიდსულოვნების მაგალითს გვიჩვენ-
ებდნენ.

მთლად იოლი ჩასაყლაპავი კი არ
იყო ამისთანა გაბამბულება — საცაა,
მეოთხე საათი დაიწყებოდა, რაც მოვ-
ჩერჩეტობდით, და მუხანათი შოფრის

დანატოვარ „სამ კილომეტრს“ ბოლო
არ უჩანდა.

კიდეც კარგი, რომ ოცნებით მაინც
ქოთოვანზე დაენაგარდობდი, იმ დალო-
ცილ ტბაზე, სადაც, ლელიანის კუნძუ-
ლებში, ასე ბარაქიანად ბუდობს ნის-
კარტარეხილი, თავკერძა ბატები, რი-
ხიანად მოყიყინე, ჭრელა-ჭრულა იხვები
და, აგრეთვე, საკუთარ თავზე დიდი წა-
რმოდგენისაგან გასიებული, ქაობის
სნობღ გომბეშოები...

სწორედ მაშინ, როცა აგიბალაც აღ-
არ მოელოდა, ლაქაშებს შორის გატრუ-
ნული წყლის ზედაპირი გამოკრთა. არ
ვიცი, რა ელდა ეცათ, ბიჭები ერთბაშად
გამოყოჩაღდნენ და, სანამ რასმე მოვი-
ფიქრებდი, თოფმოლერებულნი ტბის
ნაპირზე მიმოიფანტნენ.

მე იქვე, ლელიანში, ჩავიმალე და ნაც-
რისფერ სივრცეს ჩავაშტერდი. დიდხანს
არ გაუღვია, რომ ზედიზედ რამდენიმე
გასროლა გაისმა. ეტყობა, გუნდმა მალ-
ლა გადაიფრინა და ბიჭებმა თავი მაინც
ვერ შეიკავეს.

„აჯდა!“ — აღუღებით გაიფიქრე
და პიჯაკის ჭიბიდან სიგარეტი ამოვა-
ცოცე. ვუღლიანად ექაჩავდი და განაბუ-
ლი ველოდი ახალ გასროლას.

ხმაური მიწყდა და რაღაც გარინდე-
ბამ შემიაყრო. აღბაო, თორივე მზარე
ფრთხილობდა — ჩვენც და ნადირ-

ფრინველიც. მაგრამ ტბას დიდხანს დუმილი არ შეუძლია. მოულოდნელად წამოწვიმა, ქარმაც დაუბერა და ლაქაშები ააჭრიალა; შამში მიშალ-მოშალა და... სივარეტი კბილებიდან გამომივარდა... თვალებს არ ვუჭერებ! თხუთმეტიოდენ ნაბიჯზე ლაქაშებიდან იხევის მთელი გუნდი გამოცურდა ყვირტყვიტით. წყლის ზედაპირზე წვრილ-წვრილი ზეპრები ათამაშდა და, უთუოდ, ვერ გაუძლეს ცდუნებას, იქვე, ჩემს ცხვირწინ მოპყენენ სრიალსა და ჰყუშპალაობას.

არ დამინახონ-მეთქი, გვერდი მოვინანაცვლე და, უცებ, წელამდე წყალში ჩავჯექი. სისველე არც კი მიგრძენია, ვაეისუსე... „ესეც ასე! ახლა ცოტა უფრო მოქუბდით და მე ვიცი თქვენი პატივისცემა!“ გულისცემას ძლივს ვიკავებდი: ნელ-ნელა თოფის გასწორება დაეიწყე და ლულები იმ ორი იხვისკენ მიემართე, რომლებიც გუნდის შუაში, ერთმანეთის გვერდით ნებეგრობდნენ. თითქოს სურვილს მიმხედნენ, მეგობრებს საშველად მიაშურესო, იმ ადგილზე კიდევ რამდენიმე იხვი გაჩნდა. „არა, ამდენი მოთმენა კი აღარ შემძლია!“ ერთბაშად ორივე ლულიდან დაეახალე და წყლიდან წამოვიწიე. უგონოდ მივტოპავ, ვეძებ, მაგრამ არაფრისგან არაფერი. ალბათ, ძალიან ახლოდან ვესროლე და საფანტი არ ვაიშალა.

გაწილებული ნაპირზე გამოვედო, ჩემებიდან წყალი ჩამოვწურე და კოცონი გავაჩაღე.

„ჰოოო! ჰოოო!“ — მიახლოვდება აგიბალას თავგამოდებული ყვირილი.

„ჰოოო! ჰოოო!“ — თავგამოდებით ვეხმიანები მეც.

მალე ჩვენს ყვირნას შალიკოს, მირიანისა და გიას გადაძახალიც უერთდება. ყველანი გალუმბული მამლებივით გამოვიყურებით, მაგრამ ერთმანეთის დახახაზე მაინც ვერ ვიკავებთ სიცილს. შალიკომ იხეებით დახუნძლული ჩანთა გიას ფეხებთან მიავდო და კმაყოფილებით გაიზმორა. რას იზამ — ნაცად ებერს ნავის გაბერვაც მოუხწრია და

შთამბეჭდავი ნადავლიც გამოუტანია ტბიდან. მირიანს კი ისეთი სიფათი აქვს, თითქოს, ეუბნება, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შექამოსო; პირში განუშორებელი „პრიმა“ გაურჭვია და ისედაც მზრჩოლავ სივარეტს წამდაუწუმ დიდი სამოვენებით და მონდომებით უსგელებს თავს. ვსორჩოცობთ, შესაწვავი გოპებივით ცეცხლზე ვტრიალებთ და სველი ტანსაცმლიდან ოხშივარი ბოლქვებად ავდღის.

გია ცოტა განზე გამდგარა და თავისი „აზერბაიჯანული რუსულით“, ჩვენს ვასავონად, აგიბალას ეჩიჩინება: „წელან, არ, გაიგე? დმერთმანი, აი, ინდაურისხელა იხვს რომ ვუმზინებდი, გაიგე?.. ზურგს უკან რადაცამ გაიშლივინა... ჰუუ, ჰუუ, ჰუუ!.. არ გჯერამს? შენმა მზემ და ჩემმა მზემ, ტახი იყო, აი, ამოთელა, ამოთელა ღორი! თუ ძმა ხარ, მითხარი, ამათსავეთ დამზრჩვალი იხევისთვის მეცალა?“

აგიბალა, ვითომ ვაიგო, რას ნიშნავს — „ინდაურისხელა დამზრჩვალი იხვი“, სინანულით თავს უკანტურებს და ცეცხლს ფიჩხის ახალ-ახალ ულუფას უმატებს. ალი ხან მისუსტდება, ხანაც განრისხებულნი ავარდება და ხახადაჩენილი ნთქავს წვიმის წვეთებს.

ოდნავ იცრიატა თუ არა, გემრიელად დაენაყრდით, მერე მოგუშვით თავი გუდას და წამოვიდა მონადირული აბდაუბდა... ზოგი მონკავშირის მალაზიასთან გაგონილი, ზოგიც „ტარტარენ ტორასკონელისთანა“ წიგნებში წაკითხული.

შალიკო ავტორიტეტულად გვიყვება. მისმა მეზობელმა ერთი გასროლით როგორ გაჟლიტა ღორების მთელი კოლტი, და აღარც კი ავონდება, რომ სულ რაღაც ორიოდ კვირის წინ მე თვითონ ვათხოვე ანეკდოტების წიგნი, რომელშიც ეს საოცარი ამბავი წერია.

— აბა, თემო, გახსოვს, კურდღელზე სანადიროდ მიმავალს რომ ავური და

თეიმურ ჯღარაკავა
მონაგვალ შაბათაშაღე



პუღარი წამოვალდებინეთ? — გამო-
ცოცხლდა გია.

— აგური და პუღარი? — გაიკვირვა
მირიანმა.

— ჰო, აგური და პუღარი! ნადირობის
ახალი ხერხია-მეთქი, დავარწმუნე. აგუ-
რის ნახვრეტები პუღრით უნდა ამოაე-
სო, მინდორში, შერჩეულ ადგილზე
მოათავსო და შენც იქვე ახლოს ჩაცუც-
ქდე. ცნობისმოყვარე ყურცქვიტა რომ
მოიბრუნეს, აგურს დაყნოსავს, ნესტობე-
ში პუღარი შეეყრება და დააცემინებს.
რალა თქმა უნდა, თავს აგურს მიასლის
და სულს განუტევებს. აიღებ და ზურგ-
ჩანთაში გადაუქახებ-მეთქი.

— მიირთვია, მერე ამისთანა სისულე-
ლე?

— მიირთვია რომელია, მთელი გზა კი
არ ვათრევიანეთ აგურები?!
ბინდი ჩამოწვა. ცეცხლი უკვე ვეღარ
უშავრდებია მომძლავრებულ ქარს. აჰ
ლამეს, აგურ, მეზობელ სოფელში, აგი-
ბალას სახლიკაცთან გავათვეთ, დილა-
ბნელზე კი ალიყენტიკენ გამოვწევთ.
ბარე, ორმოცდაათი კილომეტრი იქნე-
ბა, მაგრამ არა უშავს, გზადაგზა ნადი-
რობით გავერთობით.

მართალია, წინ არც ვეფხვებითა და
ავაზებით სავსე ინდოეთის ჭუნგლები
გველოდებია, არც მარტორქებითა და ან-
ტილოპებით გადაჭრელებული კალაპა-
რის სავანე, მაგრამ ჩვენ თავმდაბალი
ხალხი ვართ და კურდღელ-ფრინველის
სიუხვეთ განთქმულ შირვანის ველსაც
არ დავიწყებთ.

სოფელს რომ მივუახლოვდით და
შორიდან ძაღლების ყეფაც შემოგვეს-
მა, ერთ, სასაფლაოსავით ჩაბნელებულ
უღრანში, აგიბალა გაინაბა და ხელით
გვანიშნა, შეჩერდითო.

— აჰ ნადირ-ფრინველთა ბატონის
სული ბინადრობს. — მოწიწებით წა-
იჩურჩულა მან. — შეევედრეთ, რომ
ხვალ ბედნიერად გვანადიროს!

— ერთი მაგის!.. — უკანმოუხედავად
შეუყურებდა გიამ ახერხაიჯანელ ოჩო-
პინტრეს.

— შეჩერდი! — მიაყვია შალკო
— ხომ ხედავ, მასპინძელი რა სასოებით
ვედრება.

აგიბალა, მართლაც, ამ ქვეყანას ალა-
იყო, თავგამოდებით ბუტბუტებდა რა-
ღაცას.

— თუ კარგად არ მიეკარე და დავუ-
მიზნე, ოჩოპინტრე კი არა, მამადმერ-
თიც ვერ მიშველის! — წაიფრუტუნა
გიამ.

— შე ცუცურაკო! — აღარ ეშვებოდა
შალიკო. — საქმე ის კი არ არის, ოჩო-
პინტრე მართლა არსებობს თუ არა. თუ
დაიჯერებ და ირწმუნებ, რომ ნამდვი-
ლად არსებობს, შენთვისვე იქნება სა-
სარგებლო; გული მოგეცემა, იმედი შე-
გემატება, მაშინ უფრო ზუსტად,
მკლავაუჩქარებლად დაუმიზნებ. ოჩო-
პინტრეც სწორედ ამისთვისაა გამოგო-
ნებულნი.

— მახლას, რაც იქნება, იქნება! —
ორჭოფულად ამბობს მირიანი. — რას
ვკარგავთ: თუ მართლა არსებობს, ხომ
შეგვისმენს და გავეხარებს, თუ არადა,
აგიბალას გულს მაინც მოვიგებთ!

— ჰო, რას ვკარგავთ! — გაუბედა-
ვად დავეთანხმე და ბუტბუტით აგი-
ბალას გვერდით ამოვუდექი.

მარტო გია იჯდა გაქირზე და ერეტი-
კოსივით ხითხითებდა.

აგიბალას ნათესავეები დიდი სიყვა-
რულით შეგვხვდნენ და გულუხვად გაგ-
ვიმასპინძლდნენ.

ერბოში მოხარშულმა ფლავმა მშვე-
ნიერ გუნებაზე დაგვაყენა, ხოლო ჩაის
ნულარ გვეითხავთ, — მკედარსაც კი გა-
აცოცხლებდა, იმისთანა გემრიელი და
სურნელოვანი ჩაი მოგვართვეს. ესეც
არაფერი, ყველაზე ძვირფასი სიურპრი-
ზი ის იყო, როცა შირხანმა (ასე ეძახ-
დნენ ოჯახის უფროსს) ტელევიზორი
გამოიტანა და ჩართო. მერე ლოტოც გა-
შალეს. შალიკომ კარტი ამოაქვრინა ჯი-
ბიდან და გაჩაღდა თამაში და მხიარუ-
ლებდა. ვთამაშობდით და ცალი თვალი
ტელევიზორისკენ გვქონდა. ვიდაც უც-
ნობი მსახიობი ბაიათებს ახვევდა.

— თეიმურ, სმათრი და! — ენის წლაკუნით მეტუნება ეშხისაგან თვალბმონწერული აგებალა. — აზერბაიჯანსკი ქრასავიც, სთო ქილოგრამ ბუღით!“

თვალი მოვატყუეთ და უთენია გამოვედით სანადიროდ.

გაშლილად მივედივართ. ყოველ წამს კურდღლის წამოხტომას ველი. ფხიზელი ძილი იცის ყურცქვიტამ, მაგრამ მოხდება ხოლმე — რამდენიმე ნაბიჯზე წაადგები მძინარეს. მაშინ კი, თავის ყოფნა-არყოფნას წვივმაგარ ფეხებს მიანდობს და შურდულივით გაიჭრება ტრამალზე.

დილა უხეიროდ დაიწყო: ორჯერ წამომიხტა კურდღელი და ორჯერვე დავაცილე. გამახსენდა ცხონებული ბიძაჩემის დარიგება: „შვილო, რა გაჩქარება? წყნარად, ყურებშუა დაუმიზნე!“

მხარმარჯენივ მობიზინე კორდი დავინახე. იქნებ, წყაროს წავაწყდემეთქი: სიარულისაგან ოფლში გახვითქულს, გულმა იქით გამიწია. ნატვრა ამისრულდა — ფერდობზე კამკამა რუ მოსჩქეფდა. მაშინვე ზურგჩანთა მოუხსენი და, იხიო, წყალს უნდა დაეწაფებოდე, რომ, უცებ, ჩემკენ მომავალი კურდღელი შეენიშნე. ყურები ჩამოეყარა და ძლივს მოლასლასებდა — უთუოდ, დევნით იყო ქანცგამოლულელი. დამინახა თუ არა, ადგილზე გაშეშდა.

ერთხანს, სულ რაღაც რამდენიმე ნაბიჯზე, ასე უძრავად ვიდექით და ერთმანეთს შეეყურებდით.

— მობილო! — თითქოს მეტუნებოდნენ სიმწრით გათანგული მისი თვალეზბი.

უცებ, ზურგი მომიბრუნა და რაც ძალა შერჩენოდა, მოკურცხლა. ასეთმა «ვერაგობამ» ყოველგვარი თანაგრძნობა გამიქარწყლა. არ ვიცი, რანაირად მოვასწარი თოფის შემართვა და გასროლა, ისღა დამამახსოვრდა, როგორ ამოტრიალდა და მიწას დაენარცხა.

როცა მივირბინე და ასადებად დაეწედი, მოულოდნელი ტკივილისაგან ვიღრიალე. გაფატრული ხელიდან სისხლი

თქრილით მდიოდა. განწირულს სიკვდილის წინ მაინც მოესწრო ბრწყალეზის ჩამოსმა. გაავებულმა თოფი მოვეტყინე, ქვებზე ყრუ ქახანი გაისმა და გულმა რეჩხი მიყო — გუშანიო ვიგრძენი, რაც მოხდა... გამწარებული დავყურებდი ჩემს გატეხილ „ტულკას“, ბებერ, ჭილარალულებიან სიყრმის მეგობარს, მამიჩემის სტუდენტობისდროინდელ თოფს.

ხელი ცხვირსახოცით გადავიხვიე, კოლბოხებზე ჩაიმიზხლე და კონდახის შეკოწიწებას შევუდექი. გადატეხილი ნაწილების წიბურები მკეიღრად ჯდებოდნენ ერთმანეთში. ვარდიგადრმო, გასამაგრებლად, ხის ტოტებისაგან გამოჩოკნილი ჯოხები დავუდე და სანადირო თასმეზით შევკარი.

„არა უშვავ! ჩაეალ თბილისში და ისეთ კაკლის ხის კონდახს გავაკეთებ, რომ გაის და შალიკოს „იევეკებს“ შურით თვალები დასცივიდეს.“

— ჰა, როგორაა საქმე? — ფიხლად მივაძახე ჩემკენ მომავალ მირიანსა და შალიკოს, რათა ჩემი გასაჭირი არ შეემჩნიათ.

— გენიალურად! ეს როგორც მოგეხსენებათ, კურდღელი გახლავს, ახლა კი, ერთი ამსაც შეხედე! — ახორბოცდა მირიანი და თასმებზე ჩამოკონწიანლებული ათიოდე მწყერი დამანახვა.

— მაგი კურდღელი კი არა, კატის ცინდალია! — ჩაიქირქილა შალიკო.

კურდღელი ამას ჰქვია! იცოდეთ, არ მომატყუოთ: გინახავთ ჯერ ამისთანა ბოხვერა და ბამბურა?! ზაქია, ზაქი, ამას ვენაცვალე!

— ჰმ! მართლაც რომ კაი მოსული ვაეკაცია, ხო იცი! — ცოტა გულნაკულულად, მაგრამ ავტორიტეტულად გავაცხადე მე. — ექვსი კილო მაინც იქნება. ბიძაჩემი ამისთანა კურდღლებზე იტყოდა, ჭოვლიარისა არისო. იქ, თურმე, იმისთანა ეგზემულარებიც გვხვდება, რომ რვა-ცხრა კილოგრამს იწონის.

თეიმურ ჯღარაბაზა
მომავალ შაბათამდე



— ვაა! — გაუკვირდა მირიანს.

— აბა!

— შენ, ცუცურაკი უნდა ნახო, რა დღეშია, — ჩაიხიბითა შალვამ, როცა აგიბალას და გიას მოჰკრა თვალი. — ამისთანა ხელმოცარულის მნახველი არა ვარ. გინახავს, ბიჭო, დილიდან ერთი პატრონაც არ გაუსვრია ამ გაჭირვებულს!

— გოგორილ და, ფაფრასი! — სინანულით თავს აქნევდა გიას გვერდით მომავალი აგიბალა: — შენ ვააბრაზე, გული მოაყვანინე ნადირ-ფრინველთა ბატონს!

— რას მომშტერებხართ? — შემოგვიღრონა აძმარებულმა გიამ. — არ მინდოდა და არ მისვრია- მე სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად წამოვედი აქ და არა ამ საცოდავი ბაჭიების გასაყუყად.

ამის გავონებაზე ყველანი ჩაებყირდით.

— „საცოდავი ბაჭია“ — გამოაჯავრა შალიკომ და „ბომბორა“ დემონსტრატულად მადლა ასწია.

გიამ ნერწყვი ძლივს გადაყლაბა.

— ვახ, ვახ ეს რა მამაძაღლობაა! — დაიყვირა მან და თვალბგადმოქაჩული „ბომბორას“ მიუახლოვდა.

— ჰა, ხელი ფაფას! არ მიეკარო! — წამოხტა შალიკო. — შენ, ჩემო ძამია, ისე ბედდამწვარი ხარ, რომ ჩვენც დაგეთარსავ!

— ვახ, ამათ ოჩობინტრეს რა ვუთხრა, რომ თქვენს ყბაში ჩამავდო! — ამოიხვნეშა გიამ...

— ისე, ცოტა შორს ხომ არ მოგიწია „სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად“ გამოსვ- ირნება? — ჩაუნისკარტა მირიანმა.

— მოეშვით! — ვედარ მოვითმინე მე. — ვერ ხედავთ, რომ ამდენმა დარღმა ბიჭი კურდღელივით დააჩიავა?!

ალიკენტამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილი გვქონდა, იქ კი, უსათუოდ, დაღამებამდე უნდა ჩავსულიყავით. ცა ისევ საწვიმრად ემზადებოდა და ძალიან კარვად ეციოდით, რასაც ნიშნავს ქვიშნარ-

ში წვიმა და სიბნელე. სახელდებით წაიხიბნენ და გზას გაუღვიქით.

სტეპი თანდათან გაბუჩქიანდა და, შემჩნეულად, გაუვლი ეკალბარდებით დაბურულ, ფოთლოვან ტყეში აღმოჩნდით. წელში მოკაკულები ხელით მივკვლევდით გზას მაყვლიანში. ეკალბარდებში ძრომილისაგან ტანსაცმელი სულ შემოგვეფხრიწა; ეკლით დასერილებს სისხლი გვდიოდა, გარშემო კი სისხლის სუნით გაბრუებული კოლოსა და ქინქლის ღრუბლები გვეხვია. ევრძნობდი, უამრავი ნაკბენისაგან თავპირი როგორ მისივდებოდა. გამოვედით თუ არა მინდორზე, არაქათავარდნილუბი, მიწაზე მივეყარეთ და რამდენიმე სანს ასე უგრძობლად ვიწექით.

ბურანიდან წვიმის წვეთებმა გამოგვაფხიზლა; ზღაზვნით წამოვდექით და ტაბით განვაგრძე გზა.

შორს, პორიზონტზე, ნათურები აციციმდა.

— სოფელი! — გადავულაპარაკე მირიანს, რომელიც მხარდამხარ მომყვებოდა.

მაგრამ სოფელი შორს იყო, წვიმამ კი კოკისპირულად წამოუშინა, დაბამბული ჯუბა გაიფლინთა და დაამძიმა. დამბალ ქვიშაში ფეხის გადადგმა სულ უფრო გვიჭირდა. კუს ნაბიჯით მივყვებოდით ერთმანეთის ნაკვალევს. რეზინის- ლანჩიანი ჩქემები გადაგლეხილ ქვიშაზე გვიცურდებოდა და ტყაპატყუბით ვეცემოდით. თითქოს ჯიბრზე, იმ მოციმციმე წერტილებამდე მანძილი არა და არ მოკლდებოდა, ან, თუ მცირდებოდა, ისე უმნიშვნელოდ, რომ თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი იყო. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ისინი სადღაც ღამასეულ უსასრულობაში ციმციმებდნენ და მათი ციავი მიუწვდომელ მირაჟს წარმოადგენდა.

ასე მივდიოდით და მივდიოდით, სანამ ერთ მიწაყრილს არ მივადექით. მიწაყრილი ბამბის პლანტაციების კარგა განიერი და ღრმა სარწყავი არხი უნდა ყოფილიყო. აგიბალა დაიხარა და შეფი-

ქრიანებული ჩააშტერდა არხს, რომლის სიღრმეშიც, წყლის ზედაპირზე, კუბრით წაყამებული ღრუბლებიდან ძლივს მბჟუტავი მთვარის სხივები ირეკლებოდნენ.

ავიბალას სიბნელეში გზა არეოდა. მართალია, აქედან სოფლამდე ორიოდე კილომეტრითა დავერჩინოდა, მაგრამ არხი გვექონდა ვადასასვლელი, ხიდი კი თვითონაც არ იცოდა, სად იყო. სხვა რა ჩარა იყო, არხს უნდა მივყოლოდით ნაპირ-ნაპირ, სანამ რაიმე ვადასასვლელს არ ვიპოვიდით.

კიდევ კარგა ხანს ვიარეთ, ხიდი კი არა და არ ჩანდა. სუსხიანმა ქარმა წამოუბერა. სიცივემ ძვალში გაატანა. ამასობაში არხმა განზე გახვევა დაწყობსარი თუ გვექცა — მოციმიციმე ნათურები თანდათან გაქრა. ჰორიზონტზე რომ თვალი ვეღარ მოვკარი მათ, უნებურად შევედქვი...

— შალვა! გია! მირიანი! — დავივიციე და ჩემი ხმა მეუცხოვა.

შალვა და ავიბალა მაშინვე მომიახლოვდნენ, მალე, მირიანიც გვერდში ამოგვიდგა. ახლალა შევამჩნიეთ, რომ წვიმას გადაეღო, ღრუბლები გაფანტულიყვნენ და თავზე ბადრი მთვარე დაგნათოდა.

სულ ბოლოს, გიაც გამოჩნდა, კოჭლობით და ბუზღუნ-ბუზღუნით:

— ესაა ნადირობა?! ესაა კულტურული დასვენება?! იდიოტობაა ეს! კრეტიანები ვართ, რაქიტეანები ვართ ჩვენ. რას მოეთრევი, სად მოეთრევი, შე დეგენერატო?! დემეტო, მშვიდობით ჩამიყვანე და თუ კიდევ სანადიროდ ფეხი გამოვდგა, კისერი მომტეხე! — ზურგჩანთა მიწაზე დაახეთქა და ზედ მიესვენა. — არა, გამაგებინეთ მაინც: რატომ? რისი გულისთვის?! რა გინდა, რა დაგვარგვია, რას დაექმბ ამ ტყე-ღრეში! სახლი არ გაქვს, თუ კარი? საკმეელი ვაკლია თუ სასმელი?! ვერ დაეტევი, შე კაი დედა-მამაშვილო, შენს საჯდომზე!

— ფეხზე რაღა მოგივიდა? — თანაგრძნობით ჰკითხა მირიანმა.

— რა ვიცი, რა მომივიდა, იმ სტრუქტურულ ლეში, მგონი, ვამხმარ ფუნას წამოვკარი ფეხი და ცუდად დავიციე.

დაცინვა ფაქრად აღარ გვექონია, ის კი არა, მისი საყვედურები ჩვენც კი მაგრად მოგვხვდა გულზე, მაგრამ ახლა მაინც ვეღარ შევიკავეთ ხარხარი...

— ბიჭებო! — გავთამამდი მე. — რაც არის, არის — არხი უნდა გადავცუროთ!

— შე კაცო, ამდენ ხანს ვერ თქვი?! — გამოხალისდა მირიანი.

— გადავცუროთ და გადავცუროთ! მაშ, აქ ხომ არ გავათევთ ღამეს?! — დინჯად მეთანხმება შალვაც და ხაკის პერანგს წურავს, თან, ვიას ვასავონად, მირიანს ებუტბუტება:

— აზრზე ხარ, ბიჭო, მაინც რამოდენა უნდა ყოფილიყო ის ნეხვი, ამხელა ვაკეცო რომ წააქცია, ჰა!

— აბა, აბა! — კვერს უკრავს ისიც და ორივენი კვიციბვიით ჰისვიინებენ.

— ვაი, თქვე დეფექტურებო! — წამოიძახა აქამდე გაყუჩებულმა გიამ და ზურგჩანთიდან წამოსტა. — თქვენი ყურება არ მარგია, წავალ, ფონს მოვნახავ! — ბოტფორტები აიკაპიწა და ნელ-ნელა არხის ნაპირს მიუახლოვდა:

ავიბალა კი დგას თავისთვის და ხმას არ იღებს. რასაც ვეტყვით, ყველაფერზე თანახმაა. ისე გადაცურვის დიდი მომხრე არ უნდა იყოს, მაგრამ რა ქნას, უზა რომ არ არეოდა, არც არხი ვაგვიხდებოდა ვადასაცური.

შალვა და მირიანი, ტრუსების ამარა, არხის ნაპირზე აქეთ-იქით დარბოდნენ, ბუქნაობდნენ — ცივ წყალში ჩასახტომად ემზადებოდნენ და ჩვენც გვაქვებდნენ:

— აბა, ჰე! აბა, ჰო!

— შენ, ეი, ნეხვებთან ნაჭიდაგებო, ცოტა ცოცხლად! — დაუყვირა შალიკომ ისე, რომ ერთ ადგილზე ხტუნვა არ შეუწყვეტია. — აბა, მიყურე! აი, ასე! — იშვირა ფეხი და გადახტა.

ყრუ ჭურღმულიდან ჭერ უცნაური

თიშურ ჯღარაკავა
გოხავალ შავათამად

ტყავანი შემოგვესმა, მერე ვაი დე-
ლაო, გარკვევით გავიგონეთ და ერთბა-
შად ყოველგვარი ხმაური მიწყდა.

— არიქა, შალიკო დაიხრჩო, შალიკო!
— იღრიალა ვიამ და ჩექმეზიანად ის-
კუპა.

იმ წამს ჩვენც უხოქა-გლეჯით დაბ-
ლა გადავეშვიტ

შევიგრძნე თუ არა წყალი, მაშინვე
მკლავური მოეუსვი, რათა დროზე მიე-
შველებოდი ვანსაცდელში მყოფ ბა-
ქებს.

ფუჰ, წავიწყდა გამჩენი! მარჯვენა
მუხლი ლაფში არ ჩამეფლო! ფეხი გა-
ვიქნიე და ისე მაგრად მივახეთქე ქვას,
რომ კინალამ მომტყუდა. ოდნავ წამოწვევა
რომ ვცადე, მკერდამდე ლაფში ჩავიძი-
რე.

წყალი?! რა წყალი! რის წყალი!.. წვი-
მისაგან დაშლამულ ფსკერზე აქა-იქ ე-
თი მტკაველა სიღრმის გუბურები ჩამდ-
გარიყო და იმ ჩაქამებულ შუქზე მის
ლიცლის მოვეტყუებინეთ.

როგორც გიქირდეს, ისე გიღირდესო.
— დიდი ვაივაგლახით ზურგზე გადამოვ-
ტრიალდი და ნელ-ნელა ნაპირისკენ გავ-
ხობდი. სანამ მე ტახის აბანოში ასე სა-
ცოდავად ვიგანგლებოდი, გიასა და მი-
რიანს წუმბედან თავი ამოეყოთ და შა-
ლიკოს აბრუნებდნენ:

— შალო, მოგვხედე, ბიჭო! — ექაჩე-
ბოდა მირიანი.

— კაცო, ერთი ხმა გაამე, რა!

— ვაიმე, დავიღუბე! მგონი, აღარ
სუნთქავს, ხიხინებს...

— ჰამაგიტეე!..

ამ კვილზე, არ ვიცი, რა ძალა მომე-
ცა, ლაფიდან ვაყკატურად წამოვფრინ-
დი და მათთან გავჩნდი.

— შალვა! შალიკო! გელუპავ? აწი ვი-
ლა გამოგვიშვებს ჩვენ სანადიროდ?! —
თან გამწარებით ვაჩანჭლარებდი.

— ვაი, დედა! ცოტა ნელა, რა! —
ამოიგმინა დაზარალებულმა და პირიდან
ტალახი გამოაპურტყა.

— გაცოცხლდა! გაცოცხლდა!..

— ყველანი ჩაეთვალით? — ამოშაქრა,

ერთი ხნის დუმლის შემდეგ, საიტიო-
დან დაბრუნებულმა.

— მაშა, ბიჭო, ყველანი — მეც, თე-
მოც, მირიანიც, ავიბალაც!

— მაშ, ყველანი?

— ჰო, ყველანი! — მოფერებით იმე-
ორებდა ვია.

— მაშ, წყალი არ ყოფილა, არა?

— აბა, მაგის დედა ვატირე, როგორ
გვაქვამ იმ თქვენმა ოჩოპინტრემ! — ქო-
ქოლა მიაყარა ნადირ-ფრინველთა ბა-
ტონს ვიამ და პატარა გუბურა ააქყაუ-
ნა.

— ვაა, შაითან-ქოფოიოლლი! — თავს
აქანქალვებდა ავიბალა.

— შენ რომელი ხარ?

— მე?

— ჰო, შენა!

— გია ვარ, ბიჭო, ველარ მცნობ?

— რომელი გია?

— ვაიმე, გავიებულა ეს უბედური!
— ჩაიმუხლა ვიამ და ლოყაზე ხელი
მოუთათუნა. — ცუცურაკი ვარ, ჩემი
შალო, შენი ცუცურაკი!.. გაგახსენდი?!

— ააა, ცუ-ცუ-რა-კი! ნეხვმა რომ წა-
აქცია, იმისი ხომ არაფერი ბრძანდები?
— გადაიხარხარა შალიკომ და მარდად
წამოხტა.

ცუცურაკი გაშტერებული შემოგვეყუ-
რებდა. მერე მიხვდა, რომ ისევ გააცუ-
რეს, გაგულსებული, პერანგისამარა
მეორე ნაპირზე ახობდა და მოუსვა.

— რას ვადაეკიდე? — საყვედურით
უთხრა მირიანმა და გიას გამოენთო.

— ვა, რა მოხდა, ვითომ? — შეწუხ-
და შალიკო, — მე რომ იმ ტახის აბანო-
ში გადავეშვი, კარგად მხიარულობდით!
წყალია, წყალიაო, მაჭამეთ, და ახლა გა-
ხუმრებასაც აღარ კადრულობთ!

— მალჩი, და, სოვესტ ტოყე ნადო
იმეტ! — მიაყვირა ავიბალამ, ჩემი ავ-
ლადიღება მომაწოდა და ორივენი გია-
სა და მირიანს გამოვედევნეთ.

— მოიცათ, მოიცათ! გიას ზურგჩან-
თა მაინც წამომადებინეთ! — შემოგვე-
სმა შალიკოს ხეყნა, მაგრამ უკან აღარ
მიგვიხედავს.

გისა და მირიანს სოფლის მისაველ-
თან წამოვეწიეთ, — მირიანის მოსასხ-
მი მოეხურათ და ხელგადახვეული მი-
დიოდნენ. თრად მოკაყული შალკოს
სილუეტი კი კარგა მოგვიანებით გაჟონ-
და ღამის მნათობის ცივი სხივებით გა-
ცისკროვნებულ პორფიონტზე. მართ-
ლაც, იოლი საქმე როდია, დალილზე
ორმაგი ტვირთის ზიდვა... მოგვიახლოვ-
და თუ არა, ბარგი-ბარხანა ფეხებში მო-
გვყარა და გულაღმა გაიშოტა.

ვამ მშვიდად შემოხსნა თოფ-იარაღი,
გუშინდელი ნანადირევით სავსე ზურგ-
ჩანთა, შეიკაშმა, კისერზე „ბომბორა“
ჩამოიკიდა და წინ გამოექიმა:

— ახლა ხომ მიცანი, ვინცა ვარ! ცუ-
ცურაკი გახლავარ, ჩემო ლურჯავ, ცუ-
ცურაკი! აი, ის, ნეხვმა რომ წააქცია!..

ავიბალას ოჯახში სული მოვიბრუნეთ,
ბუხართან ტანსაცმელი გავიშრეთ, ცხე-
ლი მქადითა და კამეჩის რძით პირი ჩა-
ვიგემრიელეთ, დავემშვიდობეთ ჩვენს
ძვირფას აზერბაიჯანელ ძმას, მის სტუ-
მართმოყვარე ოჯახს და რკინიგზის სა-
დგურისკენ გავწიეთ.

სადგური-მეთქი, ვამბობ, თორემ სი-
ნამდვილეში, ალიკენტი მინებჩალეწი-
ლი, ცივი და ჩაბნელებული, ერთი პატა-
რა მოსაცდელი ოთახია, სადაც რამდე-
ნიმე მოფაშვალებული სკამი დგას. აქ
დღე-ღამეში ორჯერ, თითო წუთით,
სამგზავრო მატარებელი ჩერდება —
ალიონზე ბაქოსკენ, ხოლო შუადამისას
— თბილისისკენ მიმავალი.

მოსაცდელ „დარბაზში“ მოთარეშე
ქარისაგან შედარებით მოფარებული
კუთხე მოვნახეთ, ხის იატაკზე მივეყა-
რეთ და ერთმანეთს ჩავეხუტეთ, რათა
ცოტა მაინც შევემთხაროყავით. ბედად,
მირიანს რაღაც სასწაულით დასველებას
გადარჩენილი ერთი ღერი სივარეტი
აღმოაჩინდა და ამან დიდი აღტაცება გა-
მოიწვია. შალიკომაც კი, რომელიც
სპორტსმენობაზე დებს თავს და ამი-
ტომ, აქამდე არასოდეს ერთი ნაფაზიც
არ დაუტრყამს, ახლა თავისი წილი ისე

ხარბად აითვისა, რომ კინაღამ ხეველი
საგან დაგვეხრჩო.

როცა ყველა მიწყნარდა, სიცივით
აცახცახებულს, რწყილებიდან დაკბე-
ნაღს, არხის ამბავი გამასხენდა და კი-
დევე უფრო ცუდ გუნებაზე დავდექი.

„თუ მშვიდობით ჩავალწიე და ფილ-
ტრების ანთებასაც გადაეურჩი, ფეხს აღ-
არ გამოვდგამ აქეთ! ათასჯერ და ასო-
ათასჯერ მართალი იყო გია.. მას რომ არ
ეთქვა, სულ ერთია, რომელიმე ჩვენგანი
მაინც იტყოდა ამ სიტყვებს: რა დაგი-
კარგავს და რას დაექვ ამ დასაწევში?
სახლი არა გაქვს თუ კარი?! საქმელი
გაკლია თუ სასმელი? თბილი ლოგინი
მოგძულებია თუ მშრალი წინდები?!“

თავი დამიმძიმდა ფიქრით. რული მო-
მეკიდა... ხელზე ხელის შეხება ვიგრ-
ძენი. ჩემს წინ აღმასივით წამახულ ეშ-
ვებთან ტახზე ამხედრებული ბერიკაცო
იდგა. მოხუცმა ხელით მანიშნა, წყნარად
იყავიო და გვერდით მძინარე მეგობრებს
გადახედა. პირვანდელმა შიშმა ნელ-ნელ-
ლა გამიარა და უცნაურ მხედარს ცნო-
ბისმოყვარედ დავაცქერდი... სასიამოვ-
ნო მოხუცი გახლდათ, თოვლივით თე-
თრი წვერ-ულვაში მუხლებამღის სცე-
მდა: თავს ძეწნის გვირგვინი ებურა,
ტანზე კი, სამოსის ნაცვლად, სურო ებ-
ვია. გუმანით მივხვდი, ოჩოპინტრე იქ-
ნება-მეთქი, და სმენად ვიქეცი. მან მძი-
მედ ჩაახველა და დაიწყო

— ყრმავ! ყურად მესმა, რომელ მიხ-
მობდი, და აჰა, მოვედი, რათა მოგისმი-
ნო!

მოვეყვი მწარე-მწარე საყვედურები,
აღარაფერი დამიმალავს..

მოხუცი ერთხანს მდუმარედ მისმენ-
და, მერე გვირგვინოსანი თავი ზეასწია
და დამცინავად ჩაიქიჩილა:

— მთქმელი ბევრი მინახავს, შვილო
ჩემო, და...

უეცრად, უეცნი სიბნელიდან რაღა-
ცამ საზარლად დაიკვილა და უჩინარი
ურჩხული ბრწყალებით ჩამაფრინდა:

თემაზ ჯღარაკაძე
მოთავაშე შაბათამდე



— თემო, გაიღვიძე, ბიჭო, გაიღვიძე! რეტდასხმული წამოვხტი, ურჩხულს დაეტყაე და... შალიყოლა შემრჩა ხელში, ჩამტვრეული ფანჯრიდან მოახლოებული მატარებლის გაბმული კვილი ისმოდა, თვალბდაქყეტილი ბიჭები სიცილით შემომყურებდნენ.

სასწრაფოდ სველ ბაქანზე გავცვივდით და, ხაფანგში გაბმულ თავგებივით, აქეთ-იქით სირბილი დავიწყეთ, — ხან თავში, ხან—ბოლოში, მაგრამ საქმე გაქვთ? ვაგონის კარები მაგრად იყო ჩაკეტილი და სახელურზე ძლივს ჩამოგვკონწიალეთ.

როცა ორთქლმავალმა ნელ-ნელა სელას უმატა და ბორბლების რიტმული რაკარუცი გაისმა, გამცილებელთან ორმხრევი მოლაპარაკება წარმატებით დაეგვირგვინეთ და საერთო ვაგონის კარიც გაიღო...

ოფლისა და თამბაქოს სუნით აშმოვრებულ ვაგონში საამურად თბილოდა. ერთგან, მესამე თაროზე, შედარებით თავისუფალი ადგილი შევამჩნიე, გასაყიდად მოძულებული ქათმების ჯგრო მივწი-მოვწიე, ხეიბარი „ტულკა“ გულში ჩავიკარი და ზურგჩანთაზე მივეგდე. გათენება ჩემმა ყურის მეზობელმა მამალმა მამცნო. ფანჯარაში გავიხედე, მატარებელი თბილისს უახლოვდებოდა და საჩქაროდ დაბლა ჩამოვხტი.

შალვა და მირიანი უძილობისაგან ჩაწითლებულ თვალებს იფშენებდნენ, გააახლახან გათავისუფლებულ მეორე ხარისზე მოკალათებულყო და ნაღვლიანად ამთქნარებდა. საწყლებს მთელი დამე თეთრად გაეტარებინათ. ვაგონის იატაკზე ზურგჩანთებიდან ამოყრილი ნანადირევი ეხვავა.

— გერაფერს იტყვი, ნადავლს არა უშავს, მაგრამ, ცოტას ვიაც რომ წამოგვშველებოდა!.. — ენაკვიმატობდა შალიყო და ნანადირევს ჯიშისა და სიდილის მისედვით ახარისხებდა.

ჩემი ზურგჩანთაც მივაწოდე.

— თუ ძმა ხარ, თავი გამანებე! იმოღენა წვალეზად, რაც ჩვენ გამოვიარეთ,

მაინც არა ღირდა. ხო მართალს ემართა ცუცურაკ! — ეშმაკურად ჩიურია მირიანი ვიას გასაქილიკებელ ინტრიგაში.

მაგრამ თქვენც ნუ მომიკვდებით — პასუხის ნაცვლად, ცუცურაკმა თავი მოიმძინარა და კედლის მხარეს გადაარტუნდა.

— ვერაა საცოდავი გუნებაზე! — ვითომ ხმას დაუდაბლა შალიყომ. — რაც მაგას ვიცნობ, ასეთი იაღლიში ჯერ არ მოსვლია.

— ვითომ, მართლა ოჩოპინტრეს ბრალაა?!

— არა, კაცო, სიბანდია! მაგრამ, რა ვიცი, ეშმაკმა დასწყევლოს, რა მოუვიდა. კურდღლების იმოღენა დოღში ერთი ბაჭია მაინც უნდა წამოხტომოდა?

— აბა, აბა, კაცო, მეც ეს არ მაკვირვებს?!

—ჰმ! ვისი თუ რისი ბრალაა, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ამას რომ აწი მონკავშირის მალაზიასთან ვედარ იხალავთ, ეს კი ნაღვზე უნაღვლია. — თითქოს თავისთვის წაიდუღღუნა მირიანმა და წარბეზბიმულმა ვიას გადახედა. — ნეტავ, თოფს და ბოტფორტებს თავის ფასად მაინც დაგვითმობდეს!

— სწორი ხარ, ამას სახანდოდ ვედარაფერი გამოიტყუებს. ტარანა, ბიჭო, ანგარიშითაა, ამას კი რა ხეირი აქვს, ამ გაჭირვებულს! — კვერი დაუკრა შალიყომ და ფერდებზე ხელი იტაცა. — წელი გაკავებული მაქვს. იმ დაწყევლილი არხის შემდეგ, ჯოჯოხეთურად მტეხავს ე ოხერი!

— კაი, კაი, კმარა ვიშვიში! თუ ვყოფთ, გავყოთ, თორემ საცაა ქალაქშიც შევალთ! — დავეყვირე მე.

— თემო, — ჩურჩულთ მომიბრუნდა მირიანი, — მოდი, ცუცურაკს ყველაზე ზორბა წილი ვარგუნოთ! კარგი ოინიც იქნება და ეგებ, ცოტა ხასიათზე მოღვებს, თორემ ისეთი დაძმარებულია, მაგის ყურებით, ლამის ჩვენც უქმური შეგვეყაროს!

— ოქრო იღეა! — დავეთანხმე მე.

— გინდა, ჩემი „ბომბორა“ ვუწოდო? — აღტაცებით მოგვაცახა შალვამ და კურდღლების ფალაფანი ხელში მომაჩვენა.

— მაშ, ასე: გიას წილი მესამე იქნება! — შეაჯამა შეთქმულების შედეგი მირიანმა და გიას ფეხზე დაეჯაჯგურა.

— ე, ცუცურაჲ! არ გეყურება? ერთი წუთით, დაბლა ჩამობრძანდი, ნანადირევს ვინაწილებთ!

— კარგი, ნუ მაპაპულებთ! მე არაფერი მერგება და არც გთხოვთ! — თავიც არ წამოუწვევია, ისე წიაბუხლუნა გაიპ.

— ჩამო, ჩამო რო გეუბნებიან! — თითქმის ძალისძალად ჩამოათრია მირიანმა ჩვენი გაბუტული ძმაკაცი და გვერდით მოგვისვა.

ცუცურაჲკმა, ვითომდა გულგრილად, გადაავლო მოკუტული თვალი ნანადირევთა ზვინებს, „ბომბორას“ უნებლიეთ წაეთამაშა და ისეთი პოზა მიიღო, თითქოს, არც აინტერესებდა, რა უნდა მომხდარიყო.

— აბა, ჰე, ვიწყებთ! — გამხიარულდა მირიანი. — შალო, მიბრუნდი და მოემზადე გასანაწილებლად!

— ეს ვის? — ყველას გასაგონად ვეკითხები შალიკოს და საჩვენებელ თითს ერთ-ერთ გროვას ვუშვერ.

- მირიანს!
- ესა?
- ეგ შენი!
- მა, ეს ვილას?!
- ცუცურაჲს!

გიას, ჯერ, თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ, მერე უნდობლად შეგვეათვალიერა და პროტესტი განაცხადა:

- არა, არ მინდა! ეს „ბომბორა“ შალიკოს მოკლულია და მას ეკუთვნის!
- ერიპა! შენ რა კაცი ყოფილხარ, მართლა და მართლა!?. შეგზენა? აიღე!.. რაც ბედმა გარგუნა, ალალი! დამილოცნია! — შალვამ მხიარულად ჩაუკრა ცუცურაჲს თვალი და თავის წილ ნანადირევს ზურგჩანთაში გადაუძახა.
- ბიჭებო, გინახავთ როდისმე ასეთი

მშვენიერი კურდღელი? — გამოცოცხლდა უცებ ცუცურაჲკი. — უყურეთ, რა გოლიათი და რა ლამაზია! რა ჭკვიანური თვალები და ფუმფულა ბეწვი აქვს! ხავერდით ბზინავს. ახ, ნეტავი ცოცხლად დაგვექირა!

„ბომბორას“ თვალები და ბეწვი ჩვეულებრივი ნაცარა კურდღლის გაშტერებული თვალებისა და გაქუცული ბეწვისაგან არაფრით განსხვავდებოდა, მაგრამ დასტურის ნიშნად, გამხიარულებულ მეგობარს მაინც სიამოვნებით ვუკრავდით თავს.

ამსახარში მატარებელი გაჩერდა. სადგურის მოედანზე აურაცხელი ხალხი ფუსფუსებდა — წამსვლელ-დამჩრომნი აქეთ-იქით გარბი-გამორბოდნენ. ჩვენ ტაქსების გაჩერებას მივაშურეთ. წინ გია გარბოდა და გზადაგზა წელზე ჩამოკონწიალებულ კურდღელს ისწორებდა.

— ეა, შეხედეთ, მაგდანას ლურჯა არ მოუტლავს?!

— აბა, აბა, კაცო, ვერ გაიგებ, კვიცია თუ კურდღელი!

— აი, მონადირე! ყოჩაღ! ისმოდა აქეთ-იქიდან აღტაცებული შეძახილები.

ამის გავონებაზე, ცუცურაჲკი სულ უფრო და უფრო იზადრებოდა.

ტაქსების გაჩერებასთან რიგი წაგრძელებულიყო, ჩვენს ბარგი-ბარხანას წამდაუწუმ წინ მივათრევდით და ნელ-ნელა მივიწვედით.

— გოგოებო, გია, ჩვენი ცუცურაჲკი გია, ჩვენი გულადი მონადირე! — და გია წამში ლაპლაპა ჩექმებიანი ქალიშვილების რაზმმა მოგვეტაცა.

...ჰო, ჰო, ბლომად დაეხოცე... ოთხნი ვართ... ბიჭებისთვისაც...

...როგორ? ძმაკაცებს ვაწყენინებდი?..

...რას ამბობ, გოგო? გინდა, ღორებმა დაგგლიჯონ?..

...აბა, აბა, დაჭრილი გამექცა!..

თეიმურ ჯღარაკაძე
მოთხრობა

„...არა ერთი ასკილოიანი იქნებოდა...“

„...აუცილებლად... უთქვენოდ, აბა, როგორ?...“

„...ჰო, ჰო, კვირა სალამოს... ტახის მწვადები... პირველია...“

„...აბა, კარგად!...“

შემოგვიერთდა თუ არა, გაა მე მომიბრუნდა:

— თემო, მომავალ შაბათს რომ არ წავიდეთ სანადიროდ, გავგვიტყვი! აი, იქ, ტბასთან, ღორებისაგან გადათხრილი მინდორი რომ ვნახეთ, ღამე ჩავუსაფრდეთ. ნაღდად მოვკლავთ ტახს.

— ვაჰ, ერთი ორასკილოიანი რომ დავაგროთ! რა წამოიღებს, ჰა! — ტუჩების ცმაცუნით ამბობს მირიანი.

— ორ ლიტრა სამწვადსაც მე წამოვიღებ, თათარიანად სუკები დავატრიალოთ და ჩვენ რომ გვიყვარს, ისეთი,

მოკუდული მონადირული დავძახოთ.

— ვაშა! მრავალყამიერ! — ცინიკურად წაიმღერა შალიკომაც.

ალბათ ყველაფერი, რაც გუშინ გადაგვხდა, სიზმარი იყო-მეთქი, გავიფიქრე... უმალ წარმოვიდგინე, თუ როგორ ეცემოდა ჩემი ტყვიით განგმირული უზარმაზარი ეშვებიანი შავი ტახი, და ხმის ამოუღებლად, დასტურის ნიშნად, თავი დავუქნიე.

...ალარ წამოვალთო!... რა დავვიკარგავსო!.. ჰა... ჰა... ჰა... — ჩამესმა ყურში შორეული, მხოლოდ ჩემთვის ნაცნობი, ბებრული ხიანხითი.

— ვაკე! ვაკე! — ისმის მძლოლის ყვირილი. მე და ცუცუტრაკი მანქანისკენ გავრბივართ.

— მაშ, ნახვამდის, ბიჭებო!... ნახვამდის! მომავალ შაბათამდე!



სოფელში

კარგახანს გვპირდებოდა ჯონი, ბებია-ჩემთან უნდა წაგიყვანოთო, სოფელში. ერთ დღეს თევზებით ჩაგვაწყო მანქანაში და გავვაქანა თავისი სოფლისაკენ.

საყვირის ხმაზე ჭიშკარს ძალი მოასკდა, აივანზე მოხუცებული ქალი გამოჩნდა, ხელი მოიჩრდილა და მერე ჯონი მოიძებნა. ჯონიმ მანქანა შეგვატოვა, ჭიშკარი შეალო, ძალს შევთამაშა და კიბეზე ჩამომავალი ბებია ხელში აიტაცა.

გხედავდი, მოხუცი სახეს უკონიდა ჯონის.

მერე სათითაოდ გამოვეცხადეთ ბებიას.

ბებია, ეს ტყბილები ამან დააცხო, — ჩემზე ანიშნა მოხუცს. — ეს ამათგან მიიღე, — და ბიჭებზე მიუთითა, — ეს თაიგული კი დედაქემმა გიყიდა;

— ამაში რაღა გადაყარეთ ფული! ამისთანა ყვავილების მეტი რა ჩვენს მინდორში, — თქვა ტყბილად მოხუცმა.

ჯონიმ ჭას მიაშურა.

ჩვენ ტალავერში ჩამოვეჭექით, მზეს დავემალეთ.

— თქვენ იცოცხლეთ, რომ მოღით! ცოტა ხანს მაინც გამომიცოცხლებთ კარმიდამოს, გამოყრუებული ვარ მარტო. — ამბობდა ბებია და დაფაცურობდა.

— ბებია, მოისვენე, დაბრძანდი. — ვეპატიყებით ჩვენ.

— რა ჯაფა მე მადგას, შვილო? დასვენებული არ ვარ? მთელი დღე ამ გზისა და ცის ცქერა მავალია. — ამბობს მოხუცი და რაღაცა უხარია. ერთ აღგილზე ვერ ჩერდება, წრიალებს.

მერე ჯონის ცივი წყალი მოაქვს. ბიჭები იგრილებენ სახეს.

მე ჭის წყალს ვსვამ და თან მათ ვუცქერი.

ეალერსება მოხუცი შვილიშვილს.

— წინა კვირასაც გელოდი, ბებია!

— წინა კვირას გასვენებაში ვიყავით, ბებია!

— ვინ დეეთხუა სიცოცხლეს? — კითხულობს შეწუხებული მოხუცი.

— არ იცნობ შენ! — ისმის პასუხად.

— მაინც ცოდოა, შვილო! — და ისევ ეალერსება შვილიშვილს.

მერე უცებ განზე გადავა და ღონიჯი შემოიყარა:

— მე რო მამაშენს ვემდური, თუ იცის იმან? — ეკითხება ჯონის.

— შეგირიგებს მაინც, — იცინის ჯონი.

— ბიძაშენი მაინც ვერ შემირიგებს, — ამბობს მოხუცი.

— რაშია საქმე? — ჩავერიეთ საუბარში.

— რა იყო ბებია და ჩემი უმცროსი

ბიჭის ცოლიდამ ქალიშვილი გაათხუა, გასულ შაბათს იყო ქორწილი. ეიყარა თელი ნათესაობა ქორწილისთვის. ჩემმა ბიჭებმა, ჩვენ გამოგივლით და წაგიყვანთო, შემობირენ. მეც ხელდასამშვენებლად გამოვივადე გოდორში ინდოური და ორი დედალი, კიდე ვადავინახე რაღაც-რაღაცეები. გამოვეწყე და ვუტლი ჩემს ბიჭებს. თელი დღე ველოდე, მზის გადახრამდე ველოდე, მარა, შენც არ მომიკვდე, ვინ შეიწუხათაი?!

გამოიარეს ნაქორწილევს. ისე იყვნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ, ხონის ვერ იმაგრებდნენ, ერთი ორჯერ დამკრეს კიდეც ბეჭებზე და კინალამ მხარი ამომიგდეს. შერე გონს რომ მოვიდნენ, იცოცხლე, მე მათ დღე ვაყარე! სულ ეს ჯოხი ვაბაკუნე ძირს. ერთმანეთს აბრალებდნენ, მე შეგონა, შენ გამოუვლიდიო; ვუსაყვედურე მაგრად ორივეს. ჩემი შვილები არიან და რაც მინდოდა, ის ვუთხარი, მარა არ იკითხავთ ბოლოს რა თქვეს?

— რაო? — ვკითხვთ დიდი ინტერესით.

— შენ, დედაჩემო, სულ არ იყავი დაბატიყებულიო. — დაასრულა მონოლოგი.

ერთმანეთს გადავხედეთ.

ბიჭები სერიოზულად უსმენდნენ.

ჯონი სიცილით კვდებოდა.

— რაია სასაცილო? ეს შეკუთვნოდა მე ჩემი ბიჭის ცოლიდიდან?

— როგორ? თქვენ არ დაგვაბიჯეს? — შევიცხაღე.

— არა, ვინ მახსენა თურმე.

— ნეტა, რომელს დაავიწყდით? — ჩავეძიე.

— რა ვიცი, შვილო! ცოცხლად კი ჩამაწვინეს მიწაში და გამომწყვიტეს მოყვრებში. ვითომ არც დევიარები ამ ქვეყანაზედ.

— რა ეკუთვნით ახლა? — ვკითხე ისევ მე.

— ბებია, ხომ არ დაგვპირდება რამე?

— ჰკითხა მოხუცს ჯონიმ და მე მანიშნა, დაანებე თავიო.

— ყველაფერი კი მაქვს, შვილო! —

თქვა და ჯოხი მოიმარჯვა, წამოდგომა დააპირა.

— რითი იმართლებს ახლა თავს ის თქვენი ბიჭის ცოლისდა? — არ მოვეშვი.

— იგი ველარ დამენახებდა მე, — ამბობს მოხუცი.

— რას ეტყვი, ბებია? — ჩაეცვიდი. ახლა ბიჭები იცინიან. იცინის ჯონიც და ასე სიცილით უყვირის ბებიას.

— არ უხასუხო, ბებია, მაგას!

— ხელიდან მაცლი დამლაპარაკებელს, ხომ? — საყვედურობს მოხუცი.

— საქმეს მივხედოთ, — ეუბნება შვილიშვილი.

— ახლავე ბებია, — და დატოილდა ჯონის ბებია, თან არც საუბარს წყვეტს. — ვიცი, ასე კვირაობით თუ შემოირბენს ჩემი შვილიერება, თორემ ისე არ ცალიათ, მაგათ შემოევლოთ ჩემი სიცოცხლე, უმაგათოდ ქალაქის საქმე არ გაკეთდება. ჰოდა, ორი-სამი ქათამი სულ კი მყავს გოდორში გამომწყვდეული კვირიდან კვირემდე. მოდით ბებია, თქვენ ღვინოს მიხედეთ და მე...

— მე მოგეხმარებით, — წამოვდექი.

— არა ბებია, შენ რაეა გავარჯი!

— როგორ გეკადრებათ! — და ბუხარში ცეცხლი შევუმატე, კეცები დავდვი.

— ბებია, მე ხილს მივხედავ, არ წახდეს ხეზე დაუქრეფავი! — ეუბნება ერთი და იცინის.

— მიხედე, შვილო, ოღონდ ჩქარა დაგვიკრიფე, არ დაბერდე ხეზე. — მასუხობს ისიც სიცილით.

შერე ხელი დავიბანე და გობზე მკადის ფქვილი დავყარე.

— იცი, ჭადის გამოცხობა? — მკითხა მოხუცმა.

— თუ არ დამიწუნებთ?..

— რაეა დაგეწუნება, შვილო! რა გქვია?

მე ვუთხარი ჩემი სახელი.

— სად მუშაობ, ბებია?

— თეატრში!

— აჰა! კაი დაგემართოს! — ამბობს მოხუცი და ჯოხით მიწას ჩიჩქნის.

მერე თვალს მისწორებს და ისე მე-
კითხება!

— შენც პაშას ხომ არ თამაშობ?

— პაშას? არა.

— ჩემი შვილიშვილიც თამაშობდა
სცენაზე, ინსტიტუტში. ერთხელ წამიყ-
ვანა. ვკითხე, შენ თამაშობ, ბებია-
თქო? მე პაშას ვთამაშობო.

გვეკითხე სათვალე და ვუყურე ცე-
ნას. პაშა სულ არ გამოჩენილა იქ. ბო-
ლოს ერთმა არტისტმა თქვა, პაშას ღე-
დასო. მე ვთქვი, ამას შემოჰყვება ჩემი
შვილიშვილი-მეთქი, მარა თქვენც არ მო-
მიკვდეთ! დამთავრდა ყოველისფერი და
ჩემი შვილიშვილი მაინც მიმტკიცებდა:
პაშა ვიყავიო.

მე ვიცინე მის სიტყვებზე.

— ჰოდა... შენც პაშას ხომ არ თა-
მაშობ? — ისევ შემეკითხა.

— არა, ბებია!

— აჰა, კაი დაგემართოს! — ამბობს
ისევ მოხუცი და კბილით ქვედა
ტუჩს აწვალებს.

მერე ჩემს ამხანაგს დიდი ჯამით მოკ-
რეფილი ხილი მოაქვს და ჩვენთან ჩერ-
დება.

— ერთი ეს მიბრძანე, ამგენში რო-
მელს უყვარხარ, ბებია?

მეტიწება და ისე ვპასუხობ:

— ყველას ვუყვარვარ.

— შენ რას მოგვჩერებხარ ქალებს
ბირში? წაი, შვილო, კიდეც კია დასა-
კრეფი ხილი...

ჩემი ამხანაგი იცინის და ისე გვტო-
ვებს.

მოხუცი ვერ ისვენებს. ახლო მოსწია
ჯორჯო და უფრო ხმაღაბლა მეკითხება:

— რომელი გიყვარს ამგენში, ბებია?

ისევ მეტიწება და ვპასუხობ:

— ყველა, ბებია.

— უფრო, ა?

— უფრო? უფრო სხვა, მაგრამ...

— რა მარა?

— რამდენი ხანია არც ვუნახივარ. —
და დავნაღვლიანდი.

— მერე რითი უნდა იმართლოს
თავი?

— ალბათ ვერ მოიცალა! —
ხეწეშე.

— შენ ნუ ამართლებ! — მიჯავრდება
ბებია. — რას ჰქვია თავს ანატრებს
ამისთანა გოგოს! — წყრება მოხუცი
და ვხედავ, თვალეები უნაღვლიანდე-
ბა.

— ჩამომიყვანეთ ერთი და მაჩვენ-
ეთ! — ამბობს ბებია.

— კი, ჩამოგიყვანთ.

— ჩამომიყვანეთ და თუ ჩარევაა
საჭირო, მე ჩავერევი.

მერე ეზოში გავვდი.

ბიჭებს ნარდიც მოეძებნათ და ღვი-
ნოც.

ნეშო მოვიძებნე, გავასუფთავე და
გახურებულ კეცებზე მქადები დეაყარი.
მერე დაკლული ქათმები გავპუტე, ბე-
ბია ისევ თავზე მადვას. არ მშორდება.

— ახლა რას იზამ, ხომ იცი?

— გავკვირტავ, ხომ? — ვეკითხები
და ისიც მეთანხმება. ვატყობ, კმაყო-
ფილია იმით, რომ მას ვეკითხები და
ისევ ვსაქმიანობ.

— ახლა რა უნდა გავაკეთოთ, თუ
იცი?

— ა, შევასუქე უკვე და ახლა გავა-
შრობ.

— კაი დაგემართოს! იღოს მაგ ჯამ-
ზე, გაშრება, ბებია, მე ვუყურებ, კატამ
არ აგვაცალოს.

— ახლა რაღა საკეთებელი? — მე-
კითხება ისევ მოხუცი.

— ახლა? — ვეუბნები და ვრუჯავ
ქათამს.

ცეცხლის აღზე ქონი წვეთავს.

მერე გაუშუშლ, გასუფთაებულ ქა-
თმებს კეცებში ვწვავ.

ბიჭებმა სუფრის გაშლა ეზოში მთხო-
ვეს.

მეც დავტრიალდი. ბებია ისევ არ
მშორდება.

— მაინც, რატომ არ დაგპატიყეს იმ
ქორწილში? — შევახსენე თავიდან.

ბიჭები იცინიან.

ჯონი იცინის და თან მსაყვედურობს, რას შეახსენეო.

სუფრას ვწლი.

ბებია დამყვება და თან ისევ გულდაწყვეტილი იმ ქორწილის ამბავს იგონებს.

— პოდა, ის იყო, ეიყარა თელი ნათესაობა ქორწილისთვის. ჩემმა ბიჭებმა, გამოგივლითო, შემიპირეს. მეც ხელდასამშვენებლად გამოგვუდე თელი კვირა ვოდორში ინდოური და ორი დედალი. მზის გადახრამდე ველოდი, მარა, ვინ შეიწუხა ჩემთვის თავი!

— რა პირით უნდა შეგხვდეთ ის ცოლისდა.

— ვერ გაბედავს ჩემს შეხედვას, — ამბობს გაბრაზებული ბებია.

ცხელი მკალები, ყველი, ახალი მწვანელი; შებრაწული ქათმები ნიორწყალში ჩაეწყვე, ხილით ავავსე სუფრა და ყველა ერთად მივუსხედით მაგიდას.

ბიჭებმა ღვინო ჩამოასხეს.

ჯონი მეხვეწება, შენ დაილოცე პირველად, ბებიაჩემს უყვარს ვაჟ-კაცური ქალები, ნახე რა თქვასო.

— ჰე, დეილოცეთ, შეილებო! — გვეუბნება მოხუცი.

მეც ვიღებ სასმისს ხელში და ვლოცავ ჯონის ბებიას.

— თქვენ გაგიმარჯოთ, ბებია! არ მოშლილიყოს ეს ფუქი! თქვენს შვილიერებას სიცოცხლე. კიდევ თქვენს მოლოდინს გაუმარჯოს! იმ მოლოდინს, კვირიდან კვირემდე რომ გაცოცხლებთ.

— იცოცხლე, შვილო! საუფროსო ქალი ყოფილხარ, შენ! შენც გაგიმარჯოს, სირცხვილი რომ არ მაქაამე სტუმრებთან და ასე იოჯახე, — მიხდის მადლობას. მერე ბიჭებიც დალოცა და ღვინო შესვა.

მარტო ჯონი არიდებს თავს ღვინოს. ჩვენ და საუე მის ხელში ვართ და ღვინოს გაეკარება?!

ახლა ბებია იღებს ხელში ჭიქას.

— თქვენი სიცოცხლე, შეილებო!

თქვენს სიყვარულს და კაი ბიჭებს უმარჯოს! — გვლოცავს მოხუცი და თვალს თვალში გვიყრის, — ერთმანეთის ნდობას გაუმარჯოს! იმ ნდობას, ამ გოგონას რომ აქვს თქვენს მიმართ!

— გაუმარჯოს! — ემოწმებიან ბიჭები და ჩემს ნახელავს მიერთმევენ.

ჯონი ბებიაშისს აქებს, ვაჟკაცური ქალი იყო თავის დროზეო.

ბებიაშისი ჩემს ქებაშია. — ყველაფერს ვიფიქრებდი, შვილებო, და არტიტი ქალი თუ კეცებში მკაღს დააყენდა, ან ქათამს გააგემრიელებდა, ნამდვილად არ მეგონა! ჩვენ გვეცინება.

მერე ბებია მველი ამბები მოგონა. ხანდახან აუტრემლდება თვალები.

ჩვენ ახალი ამბები ვუამბეთ. ვაცინეთ ბევრი...

— თქვენ იცოცხლეთ, რომ მოდით და გამიცოცხლეთ კარ-მიდამო დღეს!

— გვლოცავს ბებია და ხან ერთს გადაუსვამს თავზე ხელს და ხან მეორეს მოეფერება.

— თუ ჭკვიანად იქნები, ბებია, კიდევ გასტუმრებ ამათ, — პირდება ჯონი სიცილით.

— თქვენ იყავით ჭკვიანად! — შეიფერეთ ერთმანეთის სიყვარული, თორემ მე რომ გავხელდე კიდევ, აქაურობას მაინც არ გავცდები, — ამბობს მოხუცი და გზედავ, ისევ უწყლიანდება თვალები.

— რა დროა? — კითხულობს ჯონი. — არ დაგვაგვიანდეს, — ამბობს ერთი.

— ჯერ ადრეა, — ისმის პასუხად.

— არიქა, არ დამიყენო ერთ წუთს არაფერს. გამომაცალე დამლაპარაკებელი ხელიდან. — ბრაზდება მოხუცი.

— რომელზეა გადაცემა ტელევიზორში? — კითხულობს ჯონი.

— ნუ წახვალთ, ჯერ მზეა ცაზე, — გვეუბნება ბებია.

— მაკალეთ. მივაღაგო აქაურობა, — ეამბობ მე.

— არა, ბებია, არა! თქვენ არ დაგაგვიანდეთ! ამის ძალა მეც კი შემწევს. თლად შელამებულში მეც არ მინდა რომ წახვიდეთ. გული ვერ მეისვენებს, ღამე რო ვაგიშვათ.

ბიჭები აიშალნენ.

— ჯონი, შვილო! ერთი-ორი ქათამი შესხი გოლორში, თორემ რომ ჩამოხვალ კვირას, ასე ქონიანი კი აღარ დაგხვდება. — ეუბნება შვილიშვილს.

ბიჭები იქერენ ქათმებს და გოლორს აფარებენ ზემოდან.

მერე კიდან ვედროთი წყალი მოაქვთ და ტოვებენ სახლში.

— შტოებით წაიღეთ, შვილო! — გვიყვირის მოხუცი. ხილით, ჯანჯუხებითა და ტბილი კვერით გვასაჩუქრებს და თან გვლოცავს. მერე იხრება და მეჩურჩულება:

— ის ჩამოიყვანე.

— ვისზე გეუბნება? — მეკითხებიან ბიჭები.

— ეს ჩვენ ვიცით! — პასუხობს მათ და მერე მე მეუბნება:

— ჩამოიყვანე და მე ვიცი, წავუკითხავ ნატაცის.

— კი, ბებია! ჩამოიყვანთ! — რდები და ვსხდებით მანქანაში.

— არ დაგავიწყდეს! — მეუბნება მოხუცი.

— იმ ქორწილმა უთქვენოდ ჩაიარა ბებია, მაგრამ ჩვენ არ გამოგაპარებთ, ვეუბნები მე.

— მაინც შეახსენე, ხომ? — მეუბნება ჯონი და იცინის.

ბიჭებიც იცინიან.

— შემახსენე, თორემ დევევიწყე! მაგი არ ამოვა ჩემი გულიდან, შვილო! მე რომ მამაშენს ვემდური, თუ იცის იმან? — ეკითხება შვილიშვილს.

— შეგირიგებს მაინც! — იცინის ჯონი.

— ბიძაშენი ვერ შემირიგებს! — ამბობს მოხუცი.

...მერე ვხედავთ, სახეს უკონის შვილიშვილს.

— აბა, მშვიდობის გზა გქონდეთ! — გვლოცავს ბებია.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — ვემშვიდობებით ჩვენ.

ვზოდან გასულ მანქანას მოხუცი ხელს უქნევს და ძალი ყვეფეფით მოსდევს.



პური ჩვენი პრსობისა

მინდა გაგანდო საიდუმლო
 გაგესაუბრო პურზე,
 რომელიც გამყიდველმა მოშვიდა დილით.
 მე გავიგონე,
 რაღაც შორი მუსიკის ხმები,
 მე დავადწიე თავი ქალაქს
 და მოვისმინე,
 როგორ ამოდის მიწიდან
 თავთავის ღერი.
 ჩემს წინ რუსეთის ტრამალები გადაიშალა
 და მე უსაზღვროდ შემიყვარდა ჯეჯილის ფერი.
 მწვანე ბალახში
 გაივლევს ლურჯა ცხენებმა,
 ქუქუნა წვიმა დავაკურა გათელილ მიწას
 და სულში
 რაღაც ჩამელვარა.
 ვინ არის იგი,
 ვინც ეს მიწა გადასნა ჩემთვის,
 მერე დათესა, დაამწიფა და მოიყვანა!
 მე გავიგონე
 გაოფლილი მკლავების ჰიმნი
 და როცა ყვითელ სორბლის მარცვალს
 შევაგლე ხელი,
 ჩემს წინ აღმოჩნდა
 გარდასული
 თაობა ძველი,
 ვინც სიყვარული მიანდერძა
 ზეცის და მიწის,
 ბედნიერია, საიდუმლო ვინც მათი იცის.



პ ბ რ ი ლ ი

აპრილებს შერჩათ შენი ბაღღობის
მღერა,
სიცილი და საქციელი,
იქ, სადაც ახლა თოვლის გაღღობას
და ჩქერთა გუგუნს ჭალა მიელის.
მთებში ხმაურით შედის აპრილი,
შეაქვს ათასი სახე და ფერი,
მისდევს ყრმასავით ასის ნაპირებს,
დაბურულ ტყეში უსტვენს და მღერის.

მონოლოგი დის საფლაკთან

გავყიდე ფერით ათასგვარით
შენგან ნაქარგი ქათიბები,
პერანგი,
ჭრელი თავსაფარი,
როგორც არხოტის სათიბები.
წლებს შენი ხსოვნაც შევასყიდე,
თვალს შენი თმები გაუხუნდა,
დღე გაფრენილი შევარცხვინე —
შენი საფლავიც გაუქურდავს...



ფუაჟური მოტივი

მზეც კი შედგება გორის პირს,
შენ გზას რად აუჩქარდები?
თვალებს სხვა წყარო წაგართმევს,
მე თანთან გაგიმქაფრდები!
დამკეტა შენმა სურვილმა,
ზედ დამაფარა თათები...

ვინც მოკვდა, თავსა მოუკვდა,
ან მე ვის გაგუმწარდები?!
ჩაფერფლილია ნატარი,
ჩანახშირულა მწვადები...

გულში ალს ვიქრობ ღვინითლა,
ცეცხლს რომ არ ჩავებუგვინო,
თუ ძმა ხარ, გემოს ნუ მკითხავ,
ეჭ, ამისთანა, პურ-ღვინოს!



საქართველო

თაოლილ გოგია

(1811—1872)

უ ა უ ვ ი

ხან მხიარული გალობით ირთობს
თავს და არ იცის, რაა ნაღველი,
ხან ფრაკიანი ჭირსლიან მინდორს
შენის ყვითელი ფერის წაღებით.

ის არის შაშვი. იგი კაღენდარს
არ ეკითხება, მეოცნებეა,
როგორც აპრილში გაიხარებდა,
იმ სიხარულით ხვდება თებერვალს.

ღე, რონას ყვითლად შეერთოს არვი,
ღე, იყოს ქარი და იყოს თავსხმა,
როცა ცისფერი სალონი თავის
სასურველ სტუმრებს ბუხართან დასხამს.

ღე, მთები ჰგავდნენ მოსამართლეებს,
არჩევდნენ საქმეს: რახან ზამთარმა
ღღე გაიგრძელა, მამულს ართმევდნენ, —
მეფობა დროზე ვერ დაამთავრა.

ფრთებს ისუფთავენს მამაცი შაშვი,
მაინც დასტის და უსტვენს ჯიუტად,
იქნება თოვლში, ნისლში და ქარში,
სულს გადარჩენილს აპრილს მიუტანს.

იგი განთიადს ეძახის ზარმაცს:
ადექ, საწოლში დიდხანს ნებევრობ,
ეტყობა, თბილმა დაბერა ქარმა,
რახან მოსულან ვნძელეზიო.

ის ბნელში მაინც სინათლეს ელტვის...
ალბათ სასწაულს ასე განიცდის
და ასეთია ტაძარში ღმერთის
გამოცხადება ქრისტიანისთვის.

შაშვის გუმანი შეუცდომელი
გაცრუებული როდის ყოფილა
და უგნურია კაცი, რომელიც
დასცინის შაშვის ფილოსოფიას.

წ ყ ა რ ო

სულ აქვე, ტბასთან ჩუხჩუხებს წყარო,
ორ ქვასთან იმის მხიარულ ლიკლიკს
აქვს დასაბამი და ისე ჩქარობს,
თითქოს შორს უნდა გაიქცეს იგი.

ჩურჩულებს: ღმერთო, რა სინათლეა!
რა ბალახია უსპეტაკესი!

ქვესკნელში ღამე დიდხანს ვათიე,
ღღეს იხედება ცა ჩემს სარკეში.

სულ გახსოვდეთ, — მინდვრის ნაპირას
ლურჯი კესანე მთოვს და მომელის,
კუდიო მესება ნემსიყლაპია,
ადის და ჩადის დაუდგრომელი.

ზოგჯერ ჩიტებიც მეწაფებიან...
მერე მდინარედ თუ გადმოუსკდები,
ავატივტივებ, რაც კი მთებია,
რაც ტყეებია ანდა კოშკები.

და მერე იქნებ ქაფიც მომადგეს
და დავეჯახო გრანიტს მდინარე,
გავიქცე ზღვისკენ, სადაც ხომალდებს
უსასრულობა აუჩინარებს.

ასე ოცნებობს ანკარა წყარო
და რასაც ელტვის, რაც ენატრება,
სურს აისრულოს, მირბის და ჩქარობს,
არ ენალღება ქვებზე დამტვრევა.

მაგრამ ასლოა კუბო აკვანთან
და ჩანასასშიც კვდება გიგანტი,
სანამ მდინარედ ზღვისკენ გაქანდა,
ტბამ ფეხადგმული შთანთქა იქამდის.

სიმქვეყნიო კოვწიაოგა

როცა მოვკვდები, ვიდრე მიმავალს
დამიჭედებდეთ კუბოს ლურსმანით,
კარგი იქნება, ფერმკრთალ ყვრიმალებს
თუ ცოტაოდენ ფერს წაუსუამდით.

მე მსურს, ისეთი, შენ რომ გამიცან,
ვიყო, მიწაში როცა ჩავწვები,
წარბზე ფანქარი რომ გადამისუან
და ვარდისფერი მქონდეს ღაწვები.

ვიცი, სუდარა მელის უხეში,
მაგრამ მე მინდა, უსპეტაკესი
რომ დამეფინოს შიმველ მუხლებზე
მუსლინის კაბის ყველა ნაკეცი.

გამორჩეული ვიყავი იმით
და მიმზიდველი, როგორც ნახატი,
როცა პირველად მაჩუქე დიმი...
აქამდე მქონდა და ვინახავდი.

ვიტყოდი უარს დიდი ხალისით
თვით ყვავილებზეც, ცრემლიც მაკმარეთ,
მხოლოდ დამიდეთ თავქვეშ ბალიში
და ჩემი თავი ანდეთ მაქმანებს.

ვერვინ მიხვდება ვერც ვარაუდით,
სიგიჟეს შუბლი ვით შევაგებეთ
და გონდოლების გრძნობდა მუდი,
რომ მიკოცნიდი მკერდს და ბაგეებს.

და ბოლოს, მინდა, ვით მეგობარი
ჩემს გაყვითლებულ ხელებს საკუთრად
კრიალოსანი ანდოთ თბალის,
რომელიც რომის პაპმა აკურთხა.

მე, ბინადარი ცივი სასახლის
იმ კრიალოსანს ვიხმარ მოცლილი
და გავიხსენებ თუ ლოცვასავით
როგორ ითვლიდი, როცა მკოცნიდი.

Rondalla*

გშვენის ბავშვური სახე დედოფალს,
მტრედს გამოხედვა გაქვს შევარდენის,
შენს აივანთან უიმედობა
მტანჯავს და შენ კი არ გედარდები.

არსად გიტარით არ წავბრძანდები,
არც დავადუმებ იმას არასგზით,
სანამდე ლამის შარავანდელი
არ დაგადგება შენს ფანჯარაში.

აკრძალულია აქ სხვა გიტარის
ჩხაკუნი, რადგან ჩემია ჩისი,
დაყუვლებულვარ, ვით საკიდარი
და ჩემს სიყვარულს ეუმღერი რიხით.

პირობას გაძლევთ, რომ ყურს ორივეს,
ვინც აქ იმღერებს და გამარისხებს,
მე ჩამოვაჭრი იმას ლორივით,
არ ამალელებს ლექსის ხარისხი.

* ლინტაზია

რომ ბნელ ბუდეში ნადები დანით
დღე შეგიმოკლოთ, ვის გსურთ, გამოდით,
ვის ავუყვავო ალისფრად ტანი
და დავუშვენიო ძოწის ჟაბოთი?

აქ, ხანამ ლამპის სინათლეს ველი,
მომიდუნდება სისხლი ძარღვებში.
იწვიმებს, ღამე იქნება ბნელი.
მოდით, ლაჩრებო, ნუთუ არ გესმით?

აქეთ, ყოჩებო და ძველებიჭებო!
პლაშჩი იფარეთ, გელით სიფათი!
მსურს, სამახსოვროდ რომ აგიჭრელოთ
და დაგისეროთ დანით სიფათი!

დაწინაურდით! აქვე, ახლავე
მისვდება ყველა თუ სად შესტოპეს,
შენს სადიდებლად ამ სალახანებს
მე დაეუხეთქავ აქვე ნესტოებს.

რომ ნაკადულზე ასეთი წმინდა
არ დაგესვაროს ფეხი ღვთისმშობლის,
ხიღს გადაგიდებ, ძვირფასო, ხიდად
აუარებელ ნეკნებს ვიშოვო.

ჩემს სიკვდილს ბევრი არა უნდა რა,
რომ ჩემს სიყვარულს მისვდე, მზადა ვარ!
შენი ნაქსოვი მინდა სულდარაც,
წავართმევ ბრძოლით თვითონ სატანას.

ბრმაა ფანჯარა! ყრუ არის კარი!
რად ვოცნებობდი შენს დანახავაზე!
ასე დაჭრილი ღრიალებს სარი,
გაცოფებული მისდევს ნაგავებს!

შენს კარზე ერთი ლურსმანი დასვი:
სხვა გზა არა მაქვს, ზედ დავევები.
გულგანგმირულის რა არის ფასი,
ვარ ცოფიანი ერთი რეგვენი!..

ღამის გავანჯალები

როცა სძინავს ქალაქს დაღლილს,
შუადამის ზარის რეკვა
ვიგინდარას, ქურდს და თაღლითს
ხვრელებიდან ამორეკავს.

ჩაუვლიან პირქუშ სასლებს
ბნელში დანის რაინდები
და ბურჯუას აცასცახებს
თბილ საბანში გარინდებულს.

ღრიანცელით და გინებით
ფანრის შუქზე იბრძვის ბანდა,
ტავერნების მაგიდები
ლაწა-ლუწით გადაქანდა.

მაგრამ ქუჩებს განაბულეებს
პატრულების აფრთხობს ლანდი,
წყვედიადიდან მზეს აბრუნებს
გულუბრყვილო განთიადი!

პ ა რ ბ ი ს ა ლ ა მ ი

ქუჩაში ძალღი არ გაიგდება,
მოგვიღო ბოლო ამ ამინდებმა, —
მეეტლეები სწუხან.
სჯობს მოდრეკილმა ზამთრის წინაშე,
მოიკალათო მყუდრო ბინაში
და მიეფიცხო ბუსარს.

ცეცხლთან დაჯექ და ასე გასძელი,
იქ გადაკრული დგას სავარძელი,
იგი დეკემბრის დარში, —
ეით ეუბნება სტუმარს წასვლის წინ
თავაზიანი ღიასახლისი,
გემუდარება: „დარჩი!“

როცა აბაყურს გადააქანებს, —
როგორც უსხლტება ზოგჯერ მაქმანებს
ქალის შორთოლვარე მკვრდი, —
ჭერში იმისი შუქი ნახევრად
თავდაღწეული აცასცახდება
გაცოცხლებული ჩემთვის.

ოთახის დუმილს გმირულად ებრძვის
მოუსვენარი საათის ღერძი,
ისმის სმაური მიხი
და კიდევ ქარი ვიწრო დერეფანს
გაივლის, მაგრამ კარს ვერ ერევა
და ეჯახება რისხევით.

დღეს მეჯლისის მართავს ინგლისის ელჩი,
რომც მსურდეს, ვედარ მოვასწრებ, შვერჩი,
სკამზე ჰკიდია ფრაკი,
გაუშვერია სახელო განზე,
ბინდში მოელის პერანგის მანქეტს
და მკაცრად შეკრულ საკინძს.

აქ ფეხსაცმელი შავად მბზინავი,
გაშუქებული ბუსრის სინათლით
ლამეს კუთხეში მითევს
და ხელთათმანიც დევს და ისვენებს,
დარწმუნებული, რომ სვალ ისევე
დაუბრუნდება თითებს.

მეყო ფუსფუსი და ფორიაქი:
იქ ასლა ფიაკრს მისდევს ფიაკრი
და ქედმაღლობის გარდა
იქ ინტრიგაა და ლაქლაქია
და მოხდენილად მიდის ლაქია
ეტლის ღერბიან კართან.

არ მსურს, იმისი პატივი მჭონდეს,
რომ შევეგებო წვეულთა კორტეჟს,
სადაც მრავალი ღენდი
ან საქმოსანთა მესვევეა გუნდი
და ენაცვლება ჩინიან მუნდირს
დეკორტიანი მკერდი.

კაბის ბურუსით სადაც ქალები
მაღავენ, მაგრამ არ იმაღენა
მუწუკიანი ზურგი
და დიპლომატთა რკინის შუბლები
ქვეყნად არაფერს არ მეუბნება,
ვუმზერ ცივსა და გულგრილს.

ვერ გადადიან მიჯნას ქვრივები,
იმზირებიან, ვით არწივები,
თვალეებით ჭამენ დარბაზს,
მე მართალია, ძალიან მსურდა,
მაგრამ პატარა სადაფის ყურთან
ვერ დავისრები ალბათ!

ვერ წავალ ვერსად ახლა ვერასგზით,
მასთან თაიგულს დღეს ოპერაში
მოკლე წერილთან ერთად
გავგზავნი, უყვარს პარმის იები
და რომ გამხადოს კვლავ თვინიერი,
გამოიქცევა ჩემთან!

დროს კი მანამდე ალბათ ჰაინე
ან კიდევ ტენი გამაყვანინებს,
ან გონკურების წიგნი,
ვიდრე ძლიერი ვნების ქარიშხლით
გადავარდება ბნელში ბალიში
და შეჩერდება ფიქრი.

შრანგულიდან თარგმან ზივი ჰაგვაბაორგა.



ეს ჟურნალს რჩეული

მოდერნი ჭიფილი

იყო ერთი პატარა ჭადარი

ბიჭი მოულოდნელობისაგან გაოცებული იყო. ღია ფანჯრის რაფას მიყრდნობილი თავლისფერ, გრძელწამწამებიან თვალებს ახამხამებდა, იფშენებდა, ხან ხუჭავდა, ხან ახელდა და დაძაბული იცქირებოდა ეზოს შუაგულში მოთავსებული წყლით სავსე აუზის იქით ჩამწკრივებული გარაყებისაკენ. მეჩვენება თუ სინამდვილეა, რასაც ვხედავო, ფიქრობდა და ისევ თავიდან იწყებდა ყველაფერს: თვალების ხამხამს, ფშენებას, დახუჭვას, გახელას და გარაყებისკენ ცქერას. რასაც იქ ხედავდა წარმოუდგენლად მიაჩნდა, მაგრამ საოცარი კიდევ სხვა რამეც იყო: სამზარეულოში მოფუსფუსე დედის, აბაზანაში, სარკის წინ მდგომი, ალიღინებული მამის ელექტროსაპარსით რომ წვერს იპარსავდა, ქუჩაში მიმავალთა ხმები, სახეები, ღიმილი შეცვლილი, აქამდე უნახავი, რაღაც საოცარი სითბოთი და სიკეთით სავსე ეჩვენებოდა სექტემბრის დღე, გუშინდელივით, მზიანი გათენდა, მაგრამ ახლა ყველაფერს სხვა ფერი ედო — ბალახს, ხეებს, ქუჩებს და მოპირდაპირედ, გამზირის გასწვრივ წამომართულ უხარმარ თეთრ შენობებს — ათჯერ უფრო ნათელი და კაშკაშა ფერი. ტრანსპორტიც თითქოს უფრო ლაღად, უფრო ძლიერი ხმაურით მოძრაობდა, ჩიტებიც უფრო მხიარულად, ლამაზად ჭიკჭიკებდნენ. ორი დღის წინ კი, გუშინ და გუშინწინ, ასე არ იყო, ასე არ ეჩვენებოდა, ამ ორ დღეში, უფრო სწორედ, ამ დილით იგრძნო და დაინახა სხვანაირად ყველაფერი. რა

მობდა ვერ გარკვეულიყო, მაგრამ ეს ყველაფერი, განსაკუთრებით კი, რასაც ახლა გარაყის უკან ხედავდა, მართალია, აოცებდა, ამავე დროს რაღაც ისეთ შეუცნობელ, აქამდე განუცდელ სიხარულს ჰგვრიდა, მთელ სხეულში სიამოვნების ნიაღვარი უვლიდა, თმა და მკლავებზე და ფეხებზე ამოწვერილი პატარა ბუსუსები ყალყზე ედგა...

ბიჭს, ყველა მისი ტოლი ყმაწვილივით, როგორც იტყვიან, ფეხბურთზე ჰქონდა ჭიბი, მიჭრილი და გაკვეთილების სწავლას რომ მორჩებოდა, იქვე, სახლთან ახლოს, მვეთულის ბადეებით შემოღობილ სტადიონზე შებინდებამდე თამაშობდა ხოლმე. იმ დღესაც, ვიდრე არ ჩამოხვდებოდა, მოედანი არ მიუტოვებია. მერე დაღლილი და გამტვერიანებული თავისი ბინის ფანჯრის წინ, მინდორში წამოწვა სუფთა ჰაერზე და ბურთი თავკეშე ამოიღო. ცოტა ხანს ვიქნები და მერე სახლში ავალო, გაიფიქრა და თავლისფერი, გრძელწამწამებიანი თვალები დამეულ ცას მიაბყრო. ვარსკვლავებს თანდათან ემატებოდათ სიკაშკაშე...

უეტრად ყრუ ქვითინი შემოესმა. ბიჭი არ განძრეულა, ეზოში ბავშვები თამაშობდნენ და რომელიმე მათგანი დაეცა ან ბურთებზე ფეხი გაიკაწრაო, გაიფიქრა და ისევ ცას ახედა. „დიდი დათვის“ თანავარსკვლავედის ძებნა განაგრძო.

მაღე ქვითინი ისევ განმეორდა, ამჯერად იქვე, სულ ახლოს, თავთან, ბურთზე რომ ედო და ისე მოეჩვენა, თითქოს



ხმა მიწიდან მოისმოდა, თითქოს მიწა ქვითინებდა. ბიჭი ერთხანს დაძაბული იწვა. ქვითინი რომ ხელახლა მოესმა, წამოჯდა. ბუჩქები მოათვალიერა, მერე ვიწრო, მოასფალტებულ გზასაც მოავლო თვალი, რომელიც გაზონს მაღალი ფიჭვებით, ქადრებით სავსე ეზოს შუა ვადიოდა. ბიჭმა ვერავენ შენიშნა და მხრები აიწურა.

— აქ არის ვინმე?
— მე ვარ, ბიჭიკო... — მოგვიანებით, ჩურჩულით გაეპასუხა ვიღაც.

— ვინ შენ?
— მე... ვერ მხედავ ხომ? — გაბზარული ხმით წაიხურჩულა და აქვითინდა.

ბიჭს შეაერყოლა, წამოდგა. ისევ მიმოიხედა ირგვლივ. მერე იქვე, ელემტრონის ბოძის გვერდით რომ გაღმუხლი, ნაადრევად ფოთლებგამხმარი ქაღალცი იდგა, თვალი შეავლო და თქვა:

— ქადარი?
— ჰო, ქადარი... კარგი ბიჭი ხარ... რომ გაიგონე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაიხურჩულა ქადარმა.

— მე არაფერი გამიგონია, რა თქვი?
— კარგი ბიჭი ხარ, ჩემი ხმა რომ გაიგონე-მეთქი...

— ააა, სხვებს არ ესმით?
— არა... არ ვიცი...
— რა გატირებს?
— მე სულ ვტირი... რაც აქ მოგვიღი, სულ ვტირი...

— რატომ?
— როგორ თუ რატომ...
— ჰო, რატომ?
— ხედავ იმ ხეებს?
— ვხედავ.
— ერთი ხნისა ვართ... ყოველდღე ემატებათ სისქე, სიმაღლე...

— მერე-და, შენ რა მოგივიდა, რატომ ხარ ასე პატარა?

— მე... ვერ გავიხარე აქ... მე... ვითვლი...

— რას ითვლი?
— ვითვლი...
— არაფერი მესმის! ასე უცნაურად რატომ სუნთქავ?

— ჰაერი აღარ მყოფნის... სხეული მეწვის... მიშრება...

— ახლავე მოვიტან წყალს და ფეხებს დაგილობობ. უწყლობითა ხარ ამ დღეში.

— არა, არა!.. წყალი არასოდეს არ მაკლდა... აჰ... აჰ... ძალა აღარა მაქვს... მეტი ლაპარაკი აღარ შემიძლია... მაპატიე, ბიჭიკო... მეძინება...

— დაიძინე, დაიძინე, მე ხელს არ შეგიშლი, — თქვა ბიჭმა და წამოდგა, — დაიძინე.

— ნახვამდის... ჩემო ბიჭიკო...
— ნახვამდის.

ბიჭი დიდხანს ტრიალებდა ლოკინში. შუალამისას ადგა, ორთხილად მივიდა ფანჯარასთან და ჩუმად დაუძახა:

— გძინავს?
ქადარი არ გამოპასუხებია. სძინავსო, დაასკვნა ბიჭმა და გამობრუნდა.

მეორე დღით, სკოლაში რომ მიდიოდა, ქადართან შეჩერდა.

— გამარჯობა.

იგი კვლავ სდუმდა.

ისევ სძინავსო, გაიფიქრა ბიჭმა და გზა განაგრძო. სკოლაში არავისთვის არაფერი უთქვამს. იმდენად უცნაური ეჩვენებოდა ეს ამბავი, რომ გავამხილო, სიცილიდაც არ ეყოფათო, და პირში წყალი ჩაიკუბა... შინ ამხანაგებთან ერთად დაბრუნდა და ქადართან აღარ შეჩერებულა, ისე კი, ერთი სული ჰქონდა როდის დაელაპარაკებოდა. მთელი დღე მოუსვენრად გაატარა. ვერა და ვერ იპოვა ხელსაყრელი შემთხვევა, მისულიყო და არავის დაენახა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ ისევ ღამეს დალოდებოდა.

გაკვეთილების სწავლას რომ მორჩა, ჯერ ისევ ადრე იყო. ბურთი აიღო და მოედანზე წავიდა. უბანში საუკეთესო მეკარედ ითვლებოდა და ამხანაგებმა დაინახეს თუ არა, გაეხარდათ, მაშინვე კარში დააყენეს. ბიჭი ერთხანს მშვენივრად თამაშობდა, მერე ისევ ქადარზე ფიქრმა მოიცვა მისი გონება და ორჯერ ისე იოლი ბურთი გაუშვა, პატარა ბავშვიც კი დაიჭერდა. პირველი გოლი



ამხანაგებმა შემთხვევითობის მიწვევას,
 მაგრამ მეორედაც რომ თვალი გააყო-
 ლა ხტუნვა-ხტუნვით მიმავალ ბურთს,
 მაშინვე შეცვალეს და მის მაგიერ სხვა
 ჩააყენეს კარში. ბიჭს არ სწყენია, მო-
 ედნიდან გავიდა და კარს უკან ბალახზე
 წამოწვა... ქუჩებში და ბინებში რომ
 ნათურები ანთეს, ახლა კი დროაო,
 გაიფიქრა, წამოდგა, მოედანი გადასჭრა
 და პირდაპირ ჭადარს მიაშურა. იქვე,
 მის გვერდით ბურთზე ჩამოჯდა და
 თავდახრილმა, თიქოს თავის თავს
 ელაპარაკებო, თქვა:

- სალამო მშვიდობისა.
- სალამო მშვიდობისა... ბიჭუნა,—
 ჩაიჩურჩულა ჭადარმა.
- მთელი დღე გეძინა?
- ჰო... ბოლო ხანებში დღისით მძი-
 ნავს და მხოლოდ ღამით ვახელ სოლმე
 თვალებს, ისიც ცოტა ხნით... ვიდრე ძა-
 ლა მეყოფა...
- რატომ?
- მრცხვენია.
- რისი?
- არ მინდა დავინახო...
- რა?
- როგორ მიცქერნიან... გაიგონე, წე-
 დან რა თქვა?
- ვინ?
- სახლმმართველმა.
- არა, არ გამიგონია, რაო?
- ხვალ დილით იმ ხეებს ტოტები
 უნდა შეასხებონ... მანქანებს გავლას
 უშლიან... კიდევ...
- კიდევ რა?
- მე კი, უნდა ამომთხარონ...
- მერე?
- რა მერე, ამომთხრიან და გადა-
 მაგდებენ... — მიუგო ჭადარმა და მერე
 თავისთვის ჩურჩული დაიწყო...
- რა თქვი?
- არაფერი... ვითვლი...
- რას ითვლი?
- რამდენი საათი დარჩა გათენებამ-
 დე?...
- ახლა რვა საათია. მგონი ათი...
 ჰო, ათ საათში გათენდება.

- ათი საათი... რა ცოტაა და თანაც
 რა ბევრი... ჭკამ მომიღო ბოლო...
- რომელმა ჭკამ?
- ჭკვ...
- ცუდად ხარ?
- ჰო... მეძინება...
- დაიძინე, დაიძინე, მაგრამ... რა
 ექნა, როგორ ვუშველო?!
- მშვიდობით... ჩემო ბიჭიკო...
 მშვიდობით... — წაიჩურჩულა ჭადარ-
 მა და გაჩუმდა.

ბიჭს გული მოეწურა. კარგა ხანს
 იჯდა და ცრემლიან თვალებს არ აშო-
 რებდა ბატარა, ფოთლებშემკვანარ ჭა-
 დარს.

- დაგეძინა? — ჰკითხა მერე.
 დუმილი.
- „რა ექნა, როგორ ვუშველო?!”
 ბიჭი ადგა და გამობრუნდა. გულდამ-
 ძიმებული აუყვა კიბეს და შინ შევიდა.
 გაბრუნებული იყო. ვერ დაეჯერებინა,
 რომ ამიერიდან ვეღარ შეძლებდა მას-
 თან საუბარს, მის დანახვას, ვერ ეგუე-
 ბოდა იმის გაფიქრებასაც კი, რომ ხვალ
 დილით მოთხრიდნენ და გადააგდებდ-
 ნენ, დაწვავდნენ ან სანაგვე მანქანაზე
 მიაგდებდნენ ათას ნაგავთან ერთად და
 გზას გაუყენებდნენ...

ლოგინში რომ წებოდა, მისი სიტ-
 ყვები გაახსენდა... ჭკამ მომიღო ბო-
 ლოო. საბანი ამოიკეცა, ხელები თავ-
 ქვეშ ამოიღო და ჭერს მიაშტერდა.
 „როგორ მოუღო ბოლო, რა უყო იმ
 ჭკამ? ან სად იყო, სად არის ის ჭკვა?“ —
 ფიქრობდა ბიჭი, — როგორ მინდა ვე-
 საუბრო! ისე შევეჩვიე, თითქოს ადამი-
 ანი იყოს. საოცარია, სულ ორჯერ ვისა-
 უბრეთ და მგონია, დიდი ხანია, დიდი
 ხანია ერთადა ვართ... როგორ სუნთქავ-
 და! ადამიანივით... ბაბუაჩემი სიკვდი-
 ლის წინა დღეს სწორედ ასე ითქვამდა
 სულს, ასე აჩქარებულად... მერე დე-
 დამ აღარ მომცა ნება, მის ოთახში შევ-
 სულიყავი... რა ექნა, როგორ ვუშვე-
 ლო? რომ გადავრგო? სულერთია, ნახა-

ზოღვიძი ზვიზვილი
 ცხოვეთი პატარა ბიჭი

ენა და მინც მოთხრან. არა, არა, უნდა გადავრგო, ისეთი ადგილი უნდა გამოვუძებნო, რომ ვერ დაინახონ. მაგრამ სად, სად შეიძლება? ხეებს შორის? დილით გასხვლას დაიწყებენ და ნახავენ... სახლის წინა მხარეს, აუზთან რომ დავრგო? სისულელეა, რაღა ეგ და რაღა ვიტრინა, როგორც კი გამოვვა მეზოვე, მაშინვე თვალში ეცემა... მაშ სად, სად? გარაჟებთან? ჩვენი გარაჟის უკან! დიდებულია! იქ ხომ ასეთივე პატარა ხეები დგას! რაც მთავარია, მოფარებული ადგილია, გზიდან მოშორებული და ჯერ-ჯერობით ვერაფერი შენიშნავს, მერე კი, მერე ყველას ჩამოსცვივა ფოთლები და ერთნაირად გაიქუცებიან... გაზაფხულზე კი, გაზაფხულზე ვინ იცის, იქნებ ამანაც გაიხაროს... ოჰ, ეს რა კარგად მოვიფიქრე! ახლა ბარი ვგინდა და მორჩა, შეეუდგები კიდევ საქმეს!..."

ბიჭი ფეხაკრფით გამოვიდა ოთახიდან, შემოსასვლელში, ტანსაცმლის ჩამოსაკიდის ზემო თაროზე მოთავსებული სარდაფის კარის გასაღები ჩამოიღო და ფრთხილადვე შებრუნდა ოთახში. ფანჯრის რაფაზე შეხტა და ეზოში ისკუბა.

სარდაფში ჩასასვლელი სადარბაზოდან იყო. კიბე ჩაირბინა, გრძელ, ვანათებულ ღერეფანში შევიდა და სარდაფის კარი გააღო, ბარი აიღო და სირბილით გამობრუნდა უკან. აუზს გვერდით ჩაუარა და გარაჟთან შეჩერდა. თავისი ბინის ფანჯრებს მოავლო თვალი, დედაჩემი ან მამაჩემი ხომ არ იყურებიანო, მაგრამ უშალ გაახსენდა, რომ ახლა ორივე დიდ ოთახში, ტელევიზორის პირდაპირ იჯდა, თექვსმეტ წლამდე ბავშვებისათვის აკრძალულ რომელიღაც საზღვარგარეთულ ფილმს უცქეროდნენ და მისთვის არ ეცალათ.

მიწა რბილი იყო და ბიჭს არ გასჭირვებია, ათიოდე წუთში ამოთხარა კარგა მოზრდილი ორმო. მერე იქვე ნაპოვნი მანქანის შუაზე გაჭრილი საბურავით ორგზობად აუზიდან წყალი მოიტანა, ორმოში ჩაასხა, ბარს ხელი

დასტაცა და ჰადრისკენ მოუსვია

ბიჭმა ბარის პირით ჰადრის ირგვლივ წრე შემოხაზა და მერე ფრთხილად დაიწყო მიწის თხრა, რომ ფესვები არ გადაეჭრა. შეუსვენებლივ მუშაობდა. მიწა მაგარი იყო. ქვიანი, კლდინი და უჭირდა. მკლავები დაეღალა, მაგრამ შეჩერება არც უფიქრია. ნახევარი საათის შემდეგ, ხე რომ ნელ-ნელა ამოსწია და ორმოს ჩახედა, კედელივით ჩაწოლილი გლუვი ქვა დაინახა. „აი თურმე სად ყოფილა ეს წყეული!“ — გაიფიქრა ბიჭმა, ჰადარი აიღლია და ორმოსკენ გაარბენინა.

მერე ფეხებით და ხელებით კარგა ხანს ტყეპნიდა ჰადრის ირგვლივ მიწას. მერე საბურავით ისევ ორგზობად მოიტანა წყალი, დაასხა და წამოვიდა. ბარი სარდაფში შეინახა, ისევ ფანჯრიდან გადაძვრა ოთახში, გაიხადა, დაწვა და მაშინვე ჩაეძინა...

ბიჭი ფანჯრის რაფას მიყრდნობოდა და თავლისფერი, გრძელწამწამებიანი თვალებით უცქეროდა გარაჟის უკან ცადაწვდილ, მზის სხივებით ფოთლებ-ალაპლაპებულ ჰადარს და უცვირდა, მეჩვენება. თუ სინამდვილეა, რასაც ვხედავო. სჯეროდა და არც სჯეროდა ეს ამბავი. სჯეროდა, რადგან კარგად ახსოვდა წუხანდელი ღამე, არ სჯეროდა, რადგან წარმოუდგენლად მიაჩნდა ერთ ღამეში მომხდარი ასეთი რამ — გალეული, სანახევროდ გამმზარი ჰადარი რომ უზარმაზარ ხედ იქცა...

ბიჭმა კიდევ კარგა ხანს უცქირა ჰადარს, რომელიც ცისკენ აფრენილი წეროს ფრთებივით ლალად გაშლილი ტოტების რხევით უხმობდა, ეძახდა გარეთ გამოსულიყო. უცქირა, უცქირა და ბოლოს ყველაფერი დაიჯერა...

კედლის საათმა რეაჯერ დარეკა და დედის ხმაც მოესმა: სკოლაში არ დაგავიანდეს, შეილო. რას უყურებ? არაფერსო, მხიარულად მიუგო ბიჭმა, ჩანთა აიღო, კარი გაიხურა და კიბეზე დაეშვა იმ გადაწყვეტილებით, ვიდრე სკოლიდან არ დაბრუნდებოდა, არავისთვის არაფერი არ გაემზილა.



— 70 —

ნ ი კ ა აბიაშვილი



თქვენს წლოვანებაზე იშვიათად გვიფიქრია, მუდამ მეგობრად და თითქმის თანატოლად გვეგულებოდით, მაგრამ ყოველთვის ჩვენი ბატონი ნიკა ყოფილხართ და იქნებით.

მეგობრობა და რაინდობაც ისეთი უნდა, თქვენ რომ გაუწიეთ „ადრე წასული“ ბიჭების სახელსა და დანატოვარს, მათ, რომელნიც „ჭაბუკები დარჩნენ მარად“: სათაყვანო უმცროს ძმებს — თქვენს ლაღო ასათიანს, მირზა გელოვანს, ალექსანდრე საჭაიას... ყოველი თათბა ინატრებდა — ჰყოლოდა თქვენნაირი მესიტყვე და მემატთანე.

ყველანაირი განსაცდელი და ხიფათი გადაგიტანიათ, რაც თქვენი ბიოგრაფიის კაცს შეიძლებოდა გადახდომოდა. მრისხანე ომში წმინდად გიტარებით ქართული მწერლის სახელი. თქვენს თანამოკალმეებს ძალან მატებდა ის გასათოცარი სულიერი მხნეობა და სიმტკიცე, ნაღმებით გადათხრილ ქერჩის მიწაზე რომ იჩენდით. ეს მათი მონათხრობიდან ვიცით, თორემ თქვენ ძვირად თუ დაგცდებათ სიტყვა საკუთარ ნამოქმედარზე.

ცნობილია, თუ რა დიდი ჭირისუფლობა და მეგზურობა გაუწიეთ ნ. ავალი-შვილის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილ „დონ კიხოტს“. მრავალ სხვა დამსახურებაზე რომ არაფერი ვთქვათ, თავად თქვენ დიდი შთაგონებითა და ოსტატობით თარგმნეთ „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარობობა“ — ბოლო რომანი უკვდავი სერვანტესისა. ქართული წიგნის ბედზე და ქართულ მწერლობაზე სრუნვა ცხოვრების მთავარ აზრად გაიხადეთ და ახალგაზრდობასაც მუდამ ამ რწმენას უნერგავთ. ყოველდღიურ გარჯასა და ფუსფუსში მოვიდა სიჭარბავე; არ შემკრთალხართ, გაუტეხელი დახვდით.

თქვენი წილი ღზინი მიგიღიათ, კუთვნილი ჭირი არ ავირიდებიათ. წინ ვრცელი გზაა, ცხოვრება შეუპოვრობას, ახალ თავგანწირვას ითხოვს. კეთილი საქმისათვის ძალა და ცოდნა არასოდეს დაგიშურებიათ, არც მომავალში დაიშურებთ. თქვენი უმცროსი მეგობრები, ეურნალი „ცისკარი“, რომელსაც დაარსების დღიდან მხარში უდგებხართ, გისტრეებენ, რომ კვლავაც მრავალი წელი გავეტარებინოთ ქართული სიტყვის, ქართული კულტურის სამსახურში.



ზ ა ზ ა ა ზ ზ ი ა ნ ი ძ ე

ლილოზი გარაღისოგასთან

გალაქტიონ ტაბიძის პოეტურმა ბედმა განსაცვიფრებელი სიზუსტით აირეკლა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების შექ-ჩრდილი. ეს ანარეკლი სინამდვილის უბრალო პოეტური ილუსტრაცია, ასლი ან ეჭო კი არ იყო, არამედ გენიოსის დიალოგი მარადისობასთან. და რაც უფრო მაღალი იყო პოეტის ესთეტიკური და მოქალაქეობრივი პოზიცია, მით უფრო მაღალსა და თავისუფალს ხედავდა იგი ადამიანს, მით მეტი უფლება ჰქონდა ეპასუხა ეპოქის უმნიშვნელოვანეს კითხვებზე.

მხოლოდ დიდი პოეტის ზეედრია საკუთარი სულის მოძრაობა დაამთხიოს ეპოქის ინტერესებს, ხოლო თავისი თანამედროვის, თავისი ერის ბედი თუ უბედობა განიცადოს, გაიზიაროს ისეთივე სიმამფრთხით, როგორც ადამიანი ჩვეულებრივ მხოლოდ თავის ტკივილსა და სიხარულს განიცდის. სწორედ ისეთი თანაგანცდით არის გამსჭვალული გალაქტიონ ტაბიძის პოეზია.

„არტისტული ყვაილები“ ავტორის სახით ქართულ ლიტერატურას მოეცილია ფენომენალური პოეტური სმენითა და სამყაროს ფაქიზი შეგრძნებით დაჯადოებული შემოქმედი. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, გალაქტიონის ეს ზებუნებრივი ნიჭი (შთამომავლობა გენიალურს რომ უწოდებს), განსაკუთრებით მკაფიოდ მის ინტიმურ ლირიკულ დღიურში გამოვლინდა. მაგრამ გალაქტიონისათვის მომადლებული ტრანტის მასშტაბი არ იყო გათვალისწინებულა მხოლოდამა ამ დღიურისათვის. „არტისტულ ყვაილებში“ უკვე იგრძნობა, რომ პოეტური მონოლოგის დრამატიზმი შორს სცილდება სასიყვარულო წარმატება-წარუმატებლობის ფარგლებს. გალაქტიონს არ შეეძლო ამ კამერულ სასყაროთი შეზღუდვა, საკუთარი ჩანგის ხმოვანებით ტყბობა, ანდა ოლიმპოს ვულდამშვიდებულ ბინადრად თავის წარმოსახვა

იმ დროს, როდესაც ქართველი ჯაციის ეროვნული და ადამიანური ღირსება შელახული და შელანძლული იყო.

გალაქტიონის ადრეულ ლირიაში უკვე გამოიკვეთა ის მოქალაქეობრივი იდეალი, რომლის ერთგულიც პოეტი სიცოცხლის ბოლო დღემდე დარჩა. 1917 წელს არ შეუტყველია გალაქტიონის წარმოდგენა ადამიანისა და შემოქმედის ჰუმანიტ მოვალეობაზე. პირიქით, სწორედ რევოლუციისაგან მოვლოდა პოეტი თავისი ჰუმანიტური და მოქალაქეობრივი იდეალების განხორციელებას.

გალაქტიონ ტაბიძის პირველსავე ლირიკულ რეველს ემსხვევა უკმარობის გრძობა, ამ ნათელი იდეალებისა და რევოლუციამდელი საქართველოს სინამდვილის შეუთავსებლობით გამოწვეული. ისევე, როგორც თითქმის ერთი საუკუნით ადრე ნაყოლოზ ბარათაშვილის, გალაქტიონ ტაბიძეს არ შეეძლო უცხოოდ არ ეგრძნო თავი ჩაგვრის, უსამართლობის, მერკანტილიზმის კანონებით წარმართულ საზოგადოებაში. არაა ვასაკვირი, რომ იგი ბევრ ადრეულ ლექსში გზმონებოდა თავის დიდ წინაპარს.

თავგანწირულად მინდორ-ველად მიმართენს ცხენი.

— იწყებს გალაქტიონი თავის „მზავრის სიმღერას“ (დაწერილია 1914 წლამდე), რომელშიც სწორედ ბარათაშვილისეულ ტრადიციას ავითარებს და „არემილამოს ღვათებრივ სიმშვიდეს“ შემოქმედის მემამოზე სულს უპირისპირებს:

ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე ვერც სიტბოება, ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო და სანეტარო... მე არ მსყვარს დაპქორღე, ქარო... მე არ მსყვარს



ებ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შეხმა მინდა,
დაპქროლე, ქარო!

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების პირველი წლები — მისი ჰუმანისტური მსოფლგანების გამოკვეთის წლებია. სტიქიურია გალაკტიონის ძიებანი პოეტური დებიუტისას (გაეხსენათ „მოამკვდევინ“ მიამიტური ანიმიზმი, უთუოდ ვეას პოეზიით შთაგონებული, „ფიქრის“ ილა-სეული პათეტიკა, ბარათაშვილის განწყობილუ-ბებისა და პოეტიკის უშუალო გამოძახილა — „სასაფლაოზე“. ყველა ეს ლექსი 1909 წლითაა დათარიღებული). მაგრამ რაც უფრო დამოუ-კიდებელი ხდება გალაკტიონის პოეტური ხმა, მით უფრო იშვიათია ამგვარი ზედპირული მსგავსება კლასიკოს წინაპრებთან. სინამდვილის აღქმა ახალი, მხოლოდ გალაკტიონისათვის და-მსახისათებელი ფორმით გლინდება:

მას აქეთია იალქანი ზღვაზე
მიფრინავს,
მისთვის ერთია, საღ დახუკავს
ოცნება თვალებს,
მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს
და ბრწყინავს,
როგორ მავონებს ეს სანთლები
ჩემს იფელალებს!
(„სანთლები“).²

— წერდა გალაკტიონი 1914 წელს.

ამ წლებში პოეტის შემოქმედებითი სამყა-რო ტრავიკული სულის ტყვეობაშია მოქცეული: „სალ კლდისკენ მიმართული იღუპება რწმენის გემი“ („ღღღღ — გარდასულთა“), არსადან შეველა არ არის, ამათა ვედრება და სასოწარკ-ვეთლი წამოძახილი: „ზღვაზე კაცი იღუპება, შეველა უნდა, ნაეი, ჩქარა!“ („ამოა ძახილი“). არავის არ აინტერესებს დიხრობა თუ გაღარ-ჩება ცხოვრების მორევეში მოყოლილი ადამიანი, არავის არ შეამჩნევენ მისი სიკვდილი, რადგან ადამიანის სიცოცხლე ისევეა გაუფასურებულა, როგორც საყოველთაო ღირსება, ტრადიციები, იდეალები. ყველა საუთარი საქმიანა ვართუ-ლი და ენმეს მშველელის ხელი რომ დასკირ-დეს, თავს ისევე მარტოდმარტო იგრძნობს, რო-გორც უღაბნოში ან უკიდევანო ოკეანეში (ამი-ტომაა, რომ ბარათაშვილისა და ლეოპარდის მსგავსად გალაკტიონის პოეზიაში ასე ხშირად გვხვდება უღაბნოსა და ოკეანის სიმბოლური სახეები). თუკი მოხდა ისე, რომ ოკეანეში იმე-დის სანთელი — მსხნელი შუქურა აკაფდება, სინამდვილის უღმობელი ტალღა უმაღ ვადე-ფარება ამ მიამედებულ სხივს და ადამიანი, ეს მიუსაფარი მეზღვაური, კვლავ განწირულია ამა-ოგბის ოკეანის სამუდამო ტყვედ დარჩეს. სამ-ყაროს ასეთი ხედვა ჰქმნის გალაკტიონის „სან-თლებს“.

გაპქრა რწმენა, რომელსაც რელიგია გუ-გებადა რწმენა იმქვეყნიური ცხოვრების, აღ-მანის სულის მარადიულობის. იმ წუთებში რო-დესაც პოეტი ვერაფერს უპირისპირებს თავის არწმენას, — მისი შემოფთებული წარმოსა-ხვა ყოფნას არყოფნასთან აიკვებს და ცხოვ-რების ამაოებისაგან დაღლის, უმიზნობის, ტრა-გიზმის გამოსახატავად ჰქმნის „ორი ზარის“ სიმბოლოს. ამ ორი ზარით ამაოდ მოუხშობენ ერთმანეთს „იმ ქვეყნისა და იმ სოფლის“ მკვიდ-რნი. თუმცა გალაკტიონის ლექსში ზესხენლ-ქვესკნელი მხოლოდ ტრავიკულის აღნიშვნელია სიმბოლიკა, დულისტური კონცეფცია — ორი სოფლის, კეთილისა და ბოროტის, ნათელი-სა და ბნელის, სწორედ ქრისტიანული მსოფლ-გაგებისთვისაა დამახასიათებელი. სინტერესოა რომ ეს კონცეფცია ქრისტიანობას ნასესხება აქვს იფელაზმისაგან, რომელშიც თავის მზრივ აღინიშნებოდა ზოროასტრეს დულისტური ქა-დავების გავლენა. ზოროასტრეს მიხედვით კი სამყაროს ორი საწყისი ძალა იყო აღიარებულა: სინათლის ღვთაება ორმუზდი და ბოროტების ღმერთი არიმიანი. იმ ასეთი რთული გზით უერ-თედებთან დღევანდელი წარმოდგენები, სახეები, კაცობრიობის უშორესს წარსულს.

„ლურჯა ცხენების“ სიმბოლიკა კიდევ უფ-რო ძნელად ამოსაცნობია. ამ ლექსის გვირი, სამყაროს უსასრულობაში გზაბნეული მონა-და, სიერცისა და დროის მიღმა მდგარი, ფან-ტეასმაგორიული ჩვენებების ტყვეობაშია. მაკ-რამ გალაკტიონთან. „მართლმორწმუნე“ სიმ-ბოლისტებისაგან განსხვავებით სამყაროს ირა-ციონალური წარმოსახვა არის არა მიზანი, არამედ საშუალება საგნებისა და მოვლენებ-ისათვის ჩვეულებრივობის ვარისის შემოსაცლე-ლადა. უჩვეულო, ფანტასმაგორიულმა სახემ, სიმბოლომ უნდა გამოხატოს პოეტის სულის ასევე არჩვეულებრივი მდგომარეობა. მქრო-ლავი რაშების „სიზმარიანი ჩვენება“ უპირის-პირდება არწმენას და სიკვდილს, იმედგაცრუ-ებებს და განტრეხვლობას... ყოველივეს, რაც ბორკავს შემოქმედის სწრაფვას, რაც ფრთებს უკვეცავს მას. გალაკტიონს კოსმაურ სიერცეში გატყორცნილი გვირის არსებობის ერთადერთ გამართლებად, ცხოვრების ერთადერთ აზრად ესახება მაგეური იმპულსი, რომელსაც იგი ჩვეულებრივი სახელით ვერ მონათლავს, ვერ ჩაატებს ვერც ერთ უკვე არსებულ ტერმინის ფარგლებში და „ლურჯა ცხენების“ სახელს არქმევს.

გალაკტიონი შინაგანად არასოდეს შეირცებაა უსასოლო, დამარცხებული ადამიანის კონცეფცია-ს. ამიტომაა, რომ მისი პოეზიის წიაღში წარ-მოშობილი სულიერი შემართება კვლავ „მერა-

ზაზა ბაზიანიძე
დინალკიზი მარადისოგასთან



ნის“ ავტორს მოგვაგონებს. არც ლურჯა ცხენების მხედარს შეუძლია იყოს უსიტყვო, დაბეჩავებული მასის ერთი ნაწილაკთაგანი, სხვისი აზრით, ნებით, სხვისი ხელით ათამაშებული თოჯინა, უფუფლებით დაღვინებული მონა. გულსტყვილითა და სიმწრით წარმოსთქვამს პოეტს:

მომბეზრდა ყოფნა... სულს შეეთვისა
 აზრი: დაფარვა ქარბოხლის ფუქით,
 ვით ურთ ძაბილი უკვდავებისა:
 დროთ საზღვარს იქით,
 დროთ საზღვარს იქით!
 („შემოდგომა“, 1910)პ.

ან კიდევ:

მე ამ მონებში ცხოვრება არ მსურს
 არ მსურს, რომ მათში მეც ვიფუფუნებოდე...
 („სამშობლოში“, 1914)პ

რაც უფრო უძნელდება პოეტს თავისუფალი ადამიანი ნახოს თავის სამშობლოში, რაც უფრო დაცილებულია სინამდვილისაგან მისი ჰუმანისტური იდეალი, მით უფრო მეტი სასოებით მიაპყრობს იგი მზერას შორეულ ველადს:

ელადა, ელადა!
 აქ სული ატარებს თავის მსუბუქ სამოსელს...
 („შოშველი“, 1915)პ

აბრთოლებული ხმით ლაპარაკობს გალაკტიონი იმ უკვდავ მსგავსებაზე, იმ სულიერ ნათესაობაზე, რომელიც მას, დღევანდელ ადამიანს ელინელ წინაპრებთან აკავშირებს:

— აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს
 და აჰყვე ისე,
 რომ შენს წინ სხივზე ლანდელ იდგეს
 ყრამა დიონისე;
 გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია
 თქვენი მსგავსება:
 ერთგვარია სასე, ერთი ცეცხლი
 და სითამამე...
 ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი რამე!
 („მარმარილო“, 1915)პ

უძველესი ქალაქი-რესპუბლიკა, ქალაქი, რომელშიც ოლიმპიური ჩემპიონების ქანდაკებაც კი ადამიანზე მაღალი არ უნდა ყოფილაყო, ქალაქი, რომლის შუაგულ მოედანზეც მარმარილოს დაფაზე იყო ამოტივთრული ათენის მოქალაქეთა ხელშეუხებელი უფლებები — პოეტისათვის კაცობრიობის „ბედნიერი ბავშვობის“ დღეებს ასახიერებდა.

რაც უფრო მშფოთავრ ხდებოდა დრო, რაც უფრო მეტად იპყრობდა გალაკტიონს ეპოქალური გარდატეხების წინათგრძნობა, მით უფრო ხშირად ფიქრობდა იგი ადამიანის ადგილზე ისტორიასა და საზოგადოებაში, სიყვარულს,

ბედნიერების, კეთილისა და გემრიელის კეშმარით არსზე. ახლა მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პასუხი ამ მარადიულ კითხვებზე.

რომენ როლანი წერდა თავის ჟან-კრისტოფზე: „მას აღარ სურდა ისეთი მუსიკა, რომელიც მისთვისაც განუთვნილი მონოლოგი იქნებოდა და კიდევ უფრო ნაკლებად — მხოლოდ კოლეგებისათვის მისაწევლომი მეცნიერული ნაკებობა. მას სურდა, რომ მუსიკა გამზლარიყო ადამიანებთან კავშირის საშუალებად“. გალაკტიონს ტაბიტემ მსგავსი მეტამორფოზა განიცადა. მისი ლირიკა თანდათან თავისუფლდებოდა სტიქიური „ვეჯისტინეალიზმისაგან და სულ უფრო და უფრო მკაფიოდ გამოხატავდა ერის ნაციონალურ და სოციალურ იდეალებს.

გალაკტიონის ჰუმანისტური მრწამსი ერთი ბერძენი ბრძენაკაცის სიტყვებით თუ გამოიხატება: „ადამიანი ღირებულების საყოველთაო საზომია“. თავის მხრივ ადამიანის ზნებობრივი არსებობის აუცილებელი პირობა — თავისუფლებაა. დამონებულ ქვეყანაში არ შეიძლება თავისუფალი ადამიანი ცხოვრობდეს: „საზოგადოება ვერ გაითავისუფლებს თავის თავს, თუ მან ყოველი ცალკეული ადამიანი არ გაათავისუფლა“ — წერდა ენგელსი. გალაკტიონს სწამდა, რომ თუკი ადამიანმა შინაგანი თავისუფლება მოიპოვა, თუკი ინდივიდუალ იქცა, თუკი სწორად განეკრიტა თავისი ხალხის ეროვნული და სოციალური ინტერესები და, ბოლოს, თუკი ეს ადამიანი მარტოღმარტო არაა — მის სამშობლოს აღარაფერი ეშუქრება, მისი ქვეყნის დამონება მხოლოდ ფიქცია იქნება. სინამდვილეში კი სისხლსავსე ეროვნული ცხოვრება თავისი კოლაპოტით წარმირათება. მაგრამ თუ დამონებული ქვეყნის მკვიდრთა უმრავლესობას მოინაბა ცხოვრების ნორმალურ გულს აღქმს მაჩნეული, თუკი ადამიანების შეუღლი და გონება ოჯახის კეთილდღეობის ფარგლებითაა შემოზღუდული — მაშინ ეს ერი ისტორიას მიერ თავისუფლების მოსაპოვებლად მიცეპულ ერთადერთ შანსაც კი ვერ გამოიყენებს სწორედ ასეთ უსახბო, უსიტყვო, პირს ლაგამოადებულ მასაზე წერდა ილია ჭავჭავაძე:

ჩვენსთანა ბედნიერი
 განა არის სადმე ერი?!
 ყველა უნცი
 ყველა მუნჯი,
 გულჩვილი და ლმობიერი;
 თვალაბმული
 თავკართლი
 პირს ლაგამა ზომიერი.
 („ბედნიერი ერი“)?

როდესაც გალაკტიონი სასოწარკვეთილი ამბობდა, რომ მას „ამ მონებში... ცხოვრება არ სურს“, რომ „სამშობლო არ გააჩნია“, იგი



თავისუფალი ადამიანის სწორედ ამ, ილიასეულ კონცეფციას იზიარებდა. ვის, თუ არ მწერალს უნდა ეთქვა თანამემამულეთათვის, თუ რა საფრთხეში იყო იმპერატორის წარმოგზავნილი „ნამესტნიკების“, ავგილობრივი დროძეებისა და მოსე მწერლების, მიკირტუმ გასპარჩების თარეშით გვერანებული, მიზანდაკარგული, გათიშული და აღრული ერი. არაა გასაკვირი, რომ ამ სურათების შემუშვებ ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძე ალტაელებით შეხვდა რომანოვების იმპერიის კრახს.

გალაკტიონ ტაბიძისათვის რევოლუცია მოასწავებდა პიროვნების განათლებულებას და აღზევებას ეპოქის დაბადებას. მასების ეს უღრმესი ამბოხი ეხმარებოდა მისი პოეზიის წილში დაგროვილ პოტენციას, ესიტყვებოდა სამყაროს მის ხედვასა და შეფასებას. პოეტის სამშობლოს დამოწმებელი იმპერიის არსებობა შეუთავსებელი იყო იმ ნათელ კანონებთან, რომლებშითაც გალაკტიონის პოეზია იყო აგებული. ამიტომაც მიიგება იგი ასეთი სიხარულით ამ „თიხისფერება კოლოსის“ პირველ დამხობას — თებერვალს პეტროგრადში:

ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,
ტახტი დაცვა და იმედად ქოსზე დგება:
თანსწრობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!
(„ათრობდა ხალხთა მწუხარება“, 1917)8

რევოლუციის დღეები ალისფერ ზოლად გასდევნა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პირიზონტს. ამავე დროს, ეს მისი შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი დღეებიცაა. ამ პერიოდში იქმნება „დროშები ჩქარა!“, „ათრობდა ხალხთა მწუხარება“, „რა საჭიროა სიტყვები?, მჭერა“, „ქალაქი წყალზე“, „გემი „დალანდი“, „დაბრუნება“.

რევოლუციამ უეცრად შესცვალა სამყაროს სურათი. ურთულესი საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი სისხლისმღვრელი, თავისუფლებისამყვირებელი ბრძოლის ფორმით გაქცავენდნენ. მაგრამ ოქტომბრიდან კიდევ კარგა ხანი უნდა გასულიყო, რომ რევოლუციის ნაყლა გავმენდილიყო ყველა ჭრის ყვარყვარე თუთახებრებისაგან, დაღუპილიყო შლამი, რომელსაც ყოველი ამბოხი მოიღებს ზოლმე და სამყაროს ახალ სურათში ადამიანს ახალი კანონზომიერების, თავისი ახალი ადგილის, ახალი ეთიკური პოზიციის დადგენა შესძლებოდა ასეთ ეპოს ადამიანი ზნორად გაორების, გაურკვევლობის ტყვე ხდება. მის შემეცნებაში მერ თავსდება ერთმანეთის გამოშრიცხავი მოვლენები. მწერლობამ ამნაირი სულიერი კონფლიქტის არაერთი მაგალითი იცის. ნიშანდობლივია ისავე ბაბელის მოთხრობების ერთობელისათვის წამძღვარებულა წინასიტყვაობის ერთი ადგილი: «Бабель хотел решить, дать ответ на самый волнующий, самый больнои во-

прос для него, писателя интеллигентна, вопрос о праве на насилие во имя высшей правды, жестокости во имя высшей правды человечности, о необходимости пролития крови во имя бескровного будущего»9.

მოვლენათა დაღმტკივა ზნირად არ ესადაგება მხატვართა წარმოდგენებს, გალაკტიონის მტკივნეულად განიცდიდა ამ არღამთხვევას. სულითხორცადმე პოეტური ნატურა, იგი პოლიტიკოსის გულდამშვიდებით ვერასოდეს გაიზიარებდა რევოლუციის უღმობელ ხასიათს. იგი შიშობდა, რომ „კიდევებს მომსყდარი, ნაპირებს გამძღვარი ზვირთი“, რომელმაც ძველა სამყარო წაღეკა, ასე ადვილად როდი ჩადგებოდა ახალ კალაპოტში. („ასე ებრძოდნენ ზარებს ზარები“, 1918 წ.); შიშობდა იმასაც, რომ მსოფლიო თუ სამოქალაქო ომის „მძაფრი ქარტხილი“ არ დაინდობდა მის სამშობლოს და ასეთ წაშლ მხსნელ, სასწაულმოქმედ კიდობანზე ოცნებობდა, („...მზევო თიბათისა“, 1917, წ.); იმ წარღვნისა ეშინოდა, რომლიდანაც მისივე რწმენით დღემიწა განახლებული უნდა გამოსულიყო. გალაკტიონი ალბათ თავის თავს უღალატებდა, რომ ლექსში არ გამოეთქვა ეს სულიერი შეშფოთება და გაორება:

დატვირთული მრავალ უამინდობით
კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით,
სულთხორცადმე სიყმაწვილის დროისა,
სამუღამოდ, სამუღამოდ მშვიდობით!
ის ირღვევა, ის ოცნება ბერღება
და ზომადი ნაპირებთან ჩერღება,
საიდანაც მარად ესმის მსოფლიოს
ზეცის ნვრევა, მიწის გადაფერღება.
(„მეოცნებე აფრებით“, 1922)10.

გალაკტიონ ტაბიძე ადამიანის სულიერი სამყაროს ყველა გამოვლინებას საკაცობრიო იდეალებს უსადაგებდა, პიროვნული ცხოვრებისათვის უფრო დიდსა და ზოგად მასშტაბს ეძებდა; მეორეს მხრივ, მას უდიდესი, ეპოქალური მოვლენები ადამიანის სულიერი მიკროკოსმამდე დაპყავდა და რადგან მოწოდებით არა ტრიბუნი, არამედ ფაქეზი ლირიკოსი იყო, „დღემიწის ლერქის რყევის“ დროსაც არ ავიწყდებოდა ეს უხილავი სამყარო.

გალაკტიონის ლირიკული გენიის ეს თვისება განსაკუთრებით მკაფიოდ „ეფემერასა“ (1922 წ.) გამოიხატა. კარგა ხანი იყო უქვე გასული მას შემდეგ, რაც გალაკტიონი მოწაფის გულმოდგინებით იმეორებდა ბარათაშვილის პოეტურ სახეებსა და მოღდეებს. „ეფემერას“ „მერანთან“ უფრო მაღალი რანგის მსგავსება აკავშირებს: სამყარო აქაც გამოუცნობი ძალე

წაზა აზზინანიძე
დიპლომი მარადისოპასტანა



ბის ქაოსადაა წარმოდგენილი, პოეტის წარმოსახვას აქაც დანტასმავორიული ჩვენებები ემუქრება, და მანუხლავად ყოველივე ამისა, „ეფემერა“ „მერანის“ მსგავსად უმიწოდ აქორღით არ მთავრდება.

ეპოქალური ძვრების ვაშს, ღირებულებათა საყოველთაო გადაფასებისას პოეტს უძნელდება ზუსტად მიუჩინოს აღამიანს თავისი ადგილი სამყაროში, შეუთვმოლად განსაზღვროს თავისი შემოქმედებითი პოზიცია. „ეფემერას“ ავტორი თითქოს განზრახ ვაუზროდა პირდაპირ პასუხს მის მიერვე დასმულ შეკითხვებზე. იგი მკითხველს თავისი შთაგონების, წარმოსახვის თანამონაწილედ ხდიდა და მას ანდობდა თვითონვე გაეშვირა „ზენიტზე მდგარი შორი ბალმებისა“ თუ „ჯერის და გვიანი მტყუნების“ ადგილზე გაჩენილა „უკუდავი მკაცის მარმარილოს“ სიმბოლიკა.

იღუმალის გრძნობა მთელ „ეფემერას“ გასდევს: აღამიანის ცსოვრება, სული, შემოქმედება, ის მომავალიც, რომლისკენაც „ეფემერას“ გმირი მისწრაფვის, იღუმალის კითხვის ნიშნებითაა დასერილი. პოეტს, ამ ლექსში ხაზგასმით გამოიჩნულს „ამქვეყნიური გუგუნისაგან“ თითქოს სურდა რაღაც დიდი საიდუმლოს „წმინდა ემბაზისათვის“ ეზიარებინა მკითხველს.

ასერივად რთული მიმართება ახლ სამყაროსთან, „წყლულდებით დასერილი მსოფლიოს“ ტყვიანობაზე იღუმ, ასევე რთული ესთეტიკური ფორმით გამოვლენდა. ამიტომაც, რომ „ეფემერას“ პოეტკაც და რაც მთავარია, მსოფლშეგრძნებაც მეტყველებს იმაზე, თუ რადღეს პირობითია გალაკტიონ ტაბაძის შემოქმედების ამა თუ იმ პერიოდის კალენდარული სიზუსტით ერთმანეთისაგან გამოყვანა.

1921-25 წლები გალაკტიონ ტაბაძის პოეზიაში მოქალაქეობრივი იდეალის, მყარი შემოქმედებითი პოზიციის დაუტყრობელი ძიების ნიშნით წარმართა. ამ წლებში გალაკტიონის ლირიკული რვეული ურთიერთგამომრიცხავი განწყობილებითაა აღსავსე. ზოგჯერ პოეტი ეკვივობს, რომ მისი თავისუფლებისმამკვიდრებელი იდეალები ვერ განხორციელდა, რომ მან ყველავ „ქვეყნიურ გუგუნს“ მიღმა უნდა ემოს შთაგონება, რადგან ამ, ახალი სინამდვილის მომდგარალი იგი ვერასდროს ვერ განდებდა. ამ ეკვივების ანარქლია: „ბრმა ცალი თვალით“ (1921 წ.), „სამშობლო შეი ლიუციფერის“ (1922), „ზღვის ეფემერა“ (1922), „მშობლიური ეფემერა“ (1923); არის დღევანდელი როდესაც პოეტი რწმენით უტყუარის აწმყოსა და მომავალს: მაშინ იგი წერს: „რევილუციონერის სსოვნას“ (1922), „მღვრე ქარს“ (1924), „გრივალს“ (1923), „ქარი ამწვეი ფარდის“ (1921), „ოქტომბრის გამარჯვებისათვის“ (1924), „ლენინის“ (1924), „ღრთის უარმყოფელს“ (1924).

შემოქმედების ამოუსნელო პარადოქსული ლობით პოეტის ეს, რწმენით აღვისილი სხეულე წრფელია, როგორც მასი იმედგაცრუებული, შეშეთებული მონოლოგი.

როდესაც იქვი და რწმენა ერთმანეთს უპირისპირდებიან, ერთ-ერთი აუცილებლად სსლუეს ხოლმე: გამუდმებული წონასწორობა მათ შორის პრაქტიკულად შეუძლებელია. გალაკტიონი უთუოდ გრძნობდა, რომ მას მოუწყვედა რწმენა-იქვის ლაბირინტიდან თავის დაღწევა, თუნდაც გზის ეს არჩევანა მისთვის სახედისწერა ყოფილიყო. ამიტომაც სწვეავს იგი ყველა უუნდასაზე ხიღს და მებრძოლური კინით შეკურობილი წამოიძახებს:

იქ სასიკვდილო მახვილებს იქნევს ყველა ჩონჩხები, ყველა ცხედრები, მაგრამ არც კენესა, არც დაუყდრება: წინ, გაბეღულად! რაც იქნეს, იქნეს!

(„რაც იქნეს — იქნეს“, 1925)!

ეს არჩევანი საბოლოოა, პოეტი გრძნობს, რომ მისთვის უპატივებელი ფუფუნება იქნება გულხელდაკრედილი იდეგს მაშინ, როდესაც წყდება სამშობლოს ბედილბალი. შესაძლოა ბევრი მისი იდეალი ვერ განხორციელდა, ან დასეთი ფორმით არ განხორციელდა, როგორც მას წარმოედგინა, მაგრამ ამ მღელვარე დღეებში, პირველ ყოვლისა, სწორედ მისი თაობისაგან არის დამოკიდებული თუ მომავლის როგორი საბირველი ჩაყრება, როგორი გამოიმერწება საქართველოს ახალი სახე.

გალაკტიონს, ბუნებით სიტყვაძუნწს, პოეზიაში გაჩუმება ვერ წარმოედგინა, ამ გაჩუმებას სიყდილს უღარებდა. ხორცშესხმას, გამოთქმას თხოულობდა მისი ტალანტი. გამოსავლს ეტებდა სულში დაგუბებული ლექსების ნიღვარი:

ძვირფასა შსამით საეც ფილა მე გამოვცალე ქვეყნად, მეგონა. სულში გრივალმა გადიგრიალა, სამუშს სამუში გადაეკონა.

ვერ დაგვჯეე მერანს სადაეე. გულმა ხალისი ეელარ დამალა. მოვიდა გრძნობა და სისადაეე! ისეე დაბრუნდა ჩენი ამალა!

(„დაბრუნდა გრძნობა და სისადაეე“ 1925)!

ოცინა წლებს მუორე ნახევრის მოქალაქეობრივ ლირიაში გალაკტიონ ტაბაძემ ახალი აღამიანის პრობლემას ორგანულად დაუკავშირა რვეოლუციის რომანტიული ელფერი, უთუღებთ მსისს აშბობის პერიოცა. პოეტისათვის წარსულის ყველა მსხვერპლი გამართლებული იქნებოდა, თუკი აღამიანთა ცხოვრებას აწწარმართადა „ნების ნაკადი თავისუფალი“ „სამშობლოს სანახაეიდან“ მშობიარლს, მას



სურდა ადამიანი „თავისუფალი და ძლიერი“ დენახს, სურდა ადამიანის ახლადშექმნილ სოციალურ ტიპში ყველა ის კეთილშობილი თვისება ამოეცნო, რომელზეც კი ოდესმე უოცნებია. გალაკტიონს სჭეროდა, რომ ამ ახალ ადამიანს შესაძლებლობა ჰქონდა თავის მშობლურ მიწაზე დაემკვიდრებინა:

ღრმა სიყვარული შრომისადმი,
თავისუფლება, —
მეგობრობაში და მტრობაში
ძლიერად სრული.

(„სარდალი საუკუნეთა გაქროლების“, 1928)13

— ამ სიტყვებში პოეტის ზნეობრივი მრწამსი იყო ჩამოყალიბებული.

გალაკტიონი, ახალი სინამდვილის მაიმედებელი ნიშნებით როგორღაც ბავშურად, მიამიტურად აღტაცებული მომავალსაც ვარდისფერად სახავდა: „ო, მომავალზე მომდევნო ფიქრო, რა წარმტაცია ხარ, რა დიდებულო!“ იმედოვნებდა რომ მომავალს საყოველთაო ბედნიერება მოჰქონდა („ო, ეს მშვიდობა შორით ნთებულო, ადამიანურ ძლიერებით მოპოვებულო“).

ასეთ ოცნებებში წასული, გალაკტიონი მაინც ჭეშმარიტ რეალისტად რჩებოდა, მაინც ორავე ფეხით იდგა მიწაზე. როდესაც ვარსკვლავი მოიხედავდა და მონობის ინერციით დასაკუთრებულ კაცუნებს შეამჩნევდა, მონებს, რომელთაც ვერაფერსაც არეულციამ ვერ უშვებდა, რადგან მონებად იყენენ დაბადებულნი და ახლა გააზატება ადარც უნდოდათ, გესლიანად იღიმებოდა:

ის მონა არის, მონა საბრალო,
თვალმაქცი მონა და უბედური,
ამაოდ უძებ მასში თანაბარს,
ან ამაოდ გსურს იძიო შური.

(1928)14

პოეტის მოქალაქეობრივი მრწამსი უპირისპირდებოდა ობოეტელებისა და მეშხანების მიერ დადგენილ კანონებს, უპირისპირდებოდა მათ იდეალს უშფოთველი, უზრუნველი, ცხოველური არსებობისა.

რევოლუციის უპირველეს მიზნად გალაკტიონი ადამიანის გათავისუფლებას სახავდა. მუშაინური წარმოდგენებით, დრომოკმული ტრადიციებით, ცრურწმენებითა და საყოველთაო დოგმებით უშეზოცილო ადამიანის თავისუფალ პიროვნებად წარმოსახვა მას არ შეეძლო. არ შეეძლო შეგნებულ მსოფლმხედველურ პოზიციად ჩაეთვალა, ამგვარი ადამიანების მიერ ახალი სინამდვილის არმიღება, რადგან ამ არმიღებაში ან ქონებაწართმეული ბურჟუას დეარძლს ხედავდა:

დღის სინათლეზე გამოსული დამეთა ქოტი
მას ეშინია სინათლის, და მაინც გამოდის!

ცივი კვიელი ისმის მისი, ვით ყალბი
შფოთი,
ტრუმორწმენებს რომ აშინებს დღით
სალამოდის,
(„პოტი“, 1927)15

ანდა გონებაშეზღუდული „გიმნაზისტების“
სალონურ საყვედურებს:

მრავალს აშფოთებს რაღაც მონობა:
ვით ავტანთ უღეთისმშობლობა?
ვით ავტანთ უმადლონობა?

(„თუ ბრძოლა არ არის“, 1925)16

წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ გალაკტიონს „მარალი ზიზღის“ გრძნობა არ ჰქონდა ამ ნასუქი, ნალოლიავები ქალბატონებისა და ვეზბატონებისადმი. ამ ჭურის ხალხი მას სძავდა, რადგან მწერალი იყო და მათ თვითმყოფილებაში, მათი გრძნობების მოუხეშავობაში, მათ უმეტყველო თვლებში, მათი ცხოვრების მთელ ნიროში ადამიანის გადაგვარებას ხედავდა. სძავდა იმიტომაც, რომ ტანჯვის, სიღარიბის, შიმშილისა და სიცოცხლის არაერთი დღე ჰქონია და ყოფის ამ შეპირისპირებაში ბედის მწარე, უსამართლო დაცინვას ხედავდა.

მეშხანური თვითმყოფილების გამოძახილი გალაკტიონს ძველი, რაფინირებული ინტელიგენტების სალონებიდანაც მოესმოდა ხოლმე. ოციანი წლების დამლევს, მილიონთა აფორიაქებული ცხოვრების შემყურეს, თვით აფორიაქებული სულისა და გონების პატრონს — გალაკტიონს ვერ წარმოედგინა, როგორ ახერხებდა ასეთ დროს ადამიანი ოდნავდაც არ შეეცვალა თავისი ცხოვრების ნირო. ამ განცდილობითა და ირონიით წერდა:

თქვენს ცხოვრებაში
ყველაფერი ისევ მშვიდია,
თქვენს ცხოვრებაში
ყველაფერი ისევ ისეა —
წივნის შრილი,
ლურჯი მთვარის გზებით მიდიან,
რაც კი ამ ქვეყნად
ოცნება და სისხლისეცა.
ო, მეგობარო!
ყველაფერი ისევ როდია,
როგორც სიმშვიდის
და სისწრაფის ავტორს ჰკონია...
შეხედე: იქნებ
მთვარის შუქზე ეხლა მოდიან
სულ სხვანაირი
გამაძაფრება და ავონია!

(„სალამონხანად, მთაწმინდის რომ
დაფარავს ნისლი“, 1928)17

ზაზა აზვიანიძე
დიალოგი მარალისოგასტონს



რა უნდა დაეპირისპირებინა პოეტს ამ მცო-
ნარე არსებობისათვის, თუ არ თავისი მშო-
თვარე ცხოვრება:

გულო ჩემო მღვლეარე,
სულო, ჩემო მყივარო —
ერთი დღეც არ გქონიათ
მშვიდი, უსატყვარო

„P. S.“, 1933)18

— წერდა ერთ მინიატურაში. აქ ბედს არც
საყვედურობდა, თითქოს და თავისთავად ნა-
გულისხმევ კემპარტებზე ჰყევაოდა, მშვიდი
და აუღლებელი ტონით. რა განაჩემბულაც
არ უნდა ყოფილიყო გალაკტიონი-ადამიანი
აწეწილი ყოფისაკან, ბედის უქუღმართო-
ბისაგან, გალაკტიონი-პოეტი უღრტყენე-
ლად სწირავდა ზეცით მომადლებულ ტალანტს
მშვიდ და აუღლებელ ცხოვრებას. თუკ
ბედისადმი საყვედური დასცდებოდა, თუკ
ტანჯულად წარმოისახვდა თავს, ეს საყვედუ-
რიც და ტყვილიც ისევ სამშობლოსა და პოე-
ზიის სამსხერპლოზე მიჰქონდა:

არის ცხოვრების უსამართლობა
შენთან მოსული მწარე ფიალით,
ის ეკლის გვირგვინს შუბლზე დაგადგამს
და შეუბლი ელავს სისხლის სიალით.
ნუ დაუშალავ ხალხს ამ იარას,
დადექ იქ, სადაც შექი ინთება:
ეკლიან შუბლზე უფრო ჰლიერი
და მშვენიერი მზე გაბრწყინდება.

(„ნუ დაუშალავ ხალხს შენს იარებს“,
1928)19

ადამიანის თანდაყოლილი სწორადეა — შეიც-
ნოს თავისი სულის საიდუმლოება („იციან თა-
ვი შენი“) შემოქმედების მაგიერ აქტივი გა-
მოიხატა. სულის მოძრაობის გარდასახვა სიტ-
ყეაში, ბეგრამში, ან ფერში — არამატერიალუ-
რის მატერიალად გადაქცევა, წამიერის უკვდავ-
ყოფა. ხელოვანი შეუძლებელია არ გრძნობ-
დეს თავის ამ არაჩვეულებრივ უნარს და არ
ყოფილა ისეთი კემპარტი პოეტი, რომელიც
შემცდარეის მისი მომავალი ხედრის განქე-
რეტაში. ჯერ კიდევ 1916 წელს მისწერა წი-
ნათგრძნობით წერდა გალაკტიონი: „ჩემთვის
დღესათვის არის ნათელი რას იტყვის ჩემზე
შთანამაველობა“. შემდეგ, ცხოვრების შეადგენს
კიდევ არაერთხელ დაბრუნებია ამ თემას. გა-
ლაკტიონმა იცოდა, რომ მისი პირთენული ტრა-
გედიის საზღაურად ქართველი კაცი დიდ ხე-
ლოვნებას ეზიარა, რომ მან ამ ქართველი კა-
ცისათვის საცნაური გახადა, თუ რას ნიშნავს
სიტყვები „თანამედროვეობის თეორიალური პოე-
ტი“. დღევანდელიობის ერთი კენიალური პოე-
ტი მართლაც მეტყველებდა ქართულ ენაზე.
გალაკტიონი არ ცდილობდა საიდუმლო შე-

ეჭმნა ამ თავისი რწმენისაგან. მას მარტო
ნათელილვის ჟამს გამართლებულად შიანდა
ხელოვნებისათვის გაღებული ხარკი. შესაძლოა
ახსენდებოდა, თოხი საუკუნის წინად ერთი
ფრანგი არისტოკრატი რომ დაყრუედა და ამ
უღბლობამ კი ფრანგ ერს რომსარის ლექსე-
ბის რვეული შესძინა.

გალაკტიონს შეეძლო ცხოვრება ყოფითი მზა-
რისადმი სრული განურჩევლობით. შეეძლო კი
არა, ცხოვრობდა კიდევ ასე. მას, როგორც ადამი-
ანს და როგორც პოეტს, ვერ წარმოედგინა
მხოლოდ გარკვეული მოქალაქეობრივი მარწამ-
სის გარეშე ცხოვრება. ამიტომ იყო, რომ ჩაე-
ტიდებოდა ხოლმე ყოველ ახალ მიმედებულ ნი-
შანს, სულერთია, გარედან მოდიოდა ეს მი-
ნიშნება, თუ მისი შინაგანი საყაროდან: აღსაე-
სე რწმენით, რომ აწ მისთვის ნათელია სინა-
მდელი. სედვის მთავარი პრინციპი, მიმარ-
თავდა გალაკტიონი თავის ერთგულ მსაენელს,
თავისივე თავს, შთავიანების წამს, ზღვაუ რომ
წარმოესახა:

სხვას თუ არ უნდა ამის გაგება,
შენი ვაიგებს ნაჭი და ფეკვი, —
რომ ქეა არა ვარ და ქანდაკება,
არამედ კაცი რწმენით და ივეით.
რომ მომავალშიც ავიტან მრავალს
უამინდობას, წუურვილს, სიცივეს,
ოლონდ ვხედავდე ჩვენ წინ მიმავალს —
ერთი იმედის შექმნ მოციმციმეს.
დაბრკოლებათა ათსგვარ საკანს,
შურტაცყოფის სუსსაეც ავიტან,
ოლონდ ვხედავდე სიციცხლის სავანს
ჩემი სამშობლოს სანახავიდან.

(„ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“,
1934)20

სწორედ იმ დროს, როდესაც პოეტის მო-
ქალაქეობრივი იდეალი უკვე სრულიად გარკ-
ვეული და ჩამოყალიბებული იყო, ცხოვრებას
კიდევ ერთი სასტიკი გამოცდა უნდა მოეწყო
მისი რწმენისათვის.

„ადამიანურ ძლიერების“ მადამრთებელი გა-
ლაკტიონი ძნელად იჯერებდა, რომ ადამიანე-
ში ჯერ კიდევ ამდენი გესლი, შური, ბოროტე-
ბა, სიმხალე, გაუტანლობა და ვერაგობა იყო
შემორჩენილი; ბოროტებასთან ყოველი შეყრა,
უღირსი კაცისათვის მიცემული ყოველი სალა-
მა მას ცხოვრების ერთ დღედ, ტანჯვისა და
სულიერი ტრაგედიის ფასად უჯდებოდა. რა
გასაკვირია, რომ ასეთ დროს კაცის გულში
იქვმა, იმედგაცრუებამ, სასოწარკვეთამ დისიდ-
გურობს. მიუხედავად ამისა, ან იქნებ სწორედ
ამიტომ, გალაკტიონი ბევრს წერდა, თითქოს
სურდა წერისათვის გადაეყოლებინა გუ-
ლი. სულ უფრო და უფრო მატუ-
ლობდა მის რვეულში ხადღისი, სა-



ამწუთიერო, დაკვეთით დაწერილი ლექსები. ამ ლექსებს შეფარულ, არასერიოზულ ელფერს აძლევდა, თითქოს ჩქარობდა ირონიული დიმილით მოემთავრებინა, ჩაეჭირქილებინა უმნიშვნელო საუბარი. ამ დალღასმით, რაღაც განსაცვიფრებლად მოახლოა განეცალკეებინა „სადღესისო“ ლექსები მარადისობისათვის განკუთვნილი სტრიქონებისაგან. იმ სადღესისო ლექსებშიც, თავისი თავისათვის არასოდეს უღალატნია, მხოლოდ ნათელ იდეალებს ჰქადავებდა და ყვავილებით არ შეუთქვია გილიოტინა. ამ წლებში გალაკტიონი იშვიათად ხდიდა მკითხველს თავისი სულეერი ღრამის თანაზიარად, მაგრამ ხანდახან მაინც არღვევდა თვითგამონატავზე მის მიერვე დადებულ ვეტოს: „უქანასკნელი მატარებელი“ (1937), „ერთხელ შენ დახვენი ჩემგან კარები“ (1934-1937), „შეცდომიან ქვეყნად რაოდენია“ (1940), „ქალაქისაკენ“ (1940). რაც უფრო ცოტაა ასეთი ვერტებები გალაკტიონის იმდროინდელ რეპერტუარში, მით უფრო ღირსშესანიშნავია ისინი:

მივიდოდი და გამწარებით
ვიმტერებდი თათებს,
ვინ გავიგონებს, ვინ მოგხედავს,
ვინ დაგამშვიდებს.
მაინც აღმომხდა. დედამიწაჲ,
ო, მერამდენაჲკერ
უნდა დაეშობო, გეამბორო,
რომ ასე შემკერ
ჩემთვის უცნობა და მიუღებელ
ცხოვრებას ზეგვამი —
ოღესმე ნაზი, ზამზახვიით
უღრუბლო ბავშვაჲ.

(„ქალაქისაკენ“, 1940) 21

ასე რთულად, ტყვილისა და ტვბობის შერჩეული გრძნობით აღიქვამდა პოეტი სინამდვილეს. მაგრამ ამ ტყვილისა მიუხედავად „რწმენა ფაქტიურად არ შეუცვლია, არ შეუცვლია, თავისი „ხაზი“. შეეკვდებოდა ხოლმე საკუთარ თავში, მოიძულებოდა ხოლმე მტრებს (ნამდვილს თუ წარმოსახულს), მაგრამ ურყევად სწამდა, რომ ეს იყო ოღენ მისი პირადი ტრაგედია, ხოლო ცხოვრებაში უქველად გამარჯვებდა კვშმარტება და სიკეთე, რომ ამ პირიველი ტრაგედისი მძღმა თავის მარადიულ გზას მიუყვებოდა მისი სალოცავი სამშობლო, თავისსავე მომავალს სქედდა ხალხი და რომ, დასასრულ, რაც თვითონ შექმნა, ან რასაც ქმნიდა, არ უნდა გაეცდებოდა იყო ამ მომავლის წინაშე“ 22.

გალაკტიონის ეს რწმენა განსაკუთრებით მკაფიოდ მის ომისდროინდელ ლირიკაში გამოიხატა. გალაკტიონი პოეტი-ტრიბუნი არ იყო მოწოდებით. ის პოეტი-თანამესაუბრე, თანამესაუბრე უფრო იყო, ვიდრე მგზნებარე ორა-

ტორი. მაგრამ მისთვის სანუქვარი იდეალებს უფდა-არყოფნის წუთებში „ხაზში“ ატყობდა „ერეოდა“ და ასეთ წამს მისი მონოლოგი მათურად და მუქარედ გაისმოდა. ასე იყო მაშინაც, ერს რომ მოუწოდებდა „დროშები ჩქარა!“, ასე იყო 1941 წელსაც, როდესაც წრფელი მოქალაქეობრივი და პატრიოტული პათოსით შეპყრობილი მიმართავდა თანამემამულეებს:

თასს სადღეგრძელოს ხელში ვიღებ
ასა და ათასს.
დაე, ესმოდეთ: ერთმანეთის
გატანა ვიცი,
შეხედეთ ამ თასს, მეომრებო,
შეხედეთ ამ თასს,
იგა საესეა არა ღვინით,
არამედ ფიცით.

(„თასი“, 1941) 23

ერთიმეორის მიყოლებით იქმნება გალაკტიონის ომისდროინდელი ლირიკის ღირსშესანიშნავი ნიმუშები: „მამულო, სიცოცხლეო!“ (1941), „ჰე, მამულო!“ (1941), „მე კავკასიის ქედები მოხოვენ“ (1943).

ომისდროინდელი „საალყო წესები“ პოეზიაზეც „ვრცელდებოდა“ და ეხლა გალაკტიონისათვის მისი „სავაზეთო“ ლექსების მსოფლმხედველობრივი, მოქალაქეობრივი მნიშვნელობა უფრო ღირებული იყო, ვიდრე მათი მხატვრული ღონე. ამ წლებში დაწერა ლექსებს გალაკტიონის 30-იანი წლების ლირიკას თუ შევადარებთ, იმასაც შევნიშნავთ, რომ მათ გაცილებით ნაკლებად აღწევდათ უქმარობის კვალი.

ომმა მილიონობით ადამიანის ცხოვრება არიდარია. უოვალავი ტრაგედია, ცრემლი და სიკვდილი მოიტანა. მაგრამ ამყერადაც, ისევე როგორც ყოველ კრიზისულ სიტუაციაში, უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ადამიანთა პირიველი თვისებები. დიდი სამამულო ომის წლები ამავე ღროს ერთგვარი სულთერი განწმენდის, კატარისის წლებიც იყო. თითქოს და საბოლოოდ გაევიწინა ერთმანეთს ბნელი და ნათელი, მთავარი და მეორეხარისხოვანი, მარადიული და წუთიერი, გალაკტიონმა, მძაფრი მოქალაქეობრივი აღდოთი დაქილდოვებულმა პოეტმა, ერთ-ერთმა პირველმა იგარნო ეს განწმენდა:

იმ გავაფხულის საესე ფილა
გადმოიტოპა.
რა ნიაღვარის იყო გრიალი,
რა წყალიდობა!
მაგრამ დარჩა იმ გარემოიდან
რამე ნიშანი?

ზაზა ზაზიანიძე
ღიპლოზმი მარადისობასთან



**წყალნი წაიღინენ და წამოვიდინენ
დარჩინენ ქეიშანი!**
(„დარჩინენ, ქეიშანი“, 1945)21

გალაკტიონი იმედოვნებდა, რომ თუ კი ქვეყანა გამარჯვებული გამოვიდა „მსოფლიოს ნგრევის“ ანოქალიზისიდან, ადამიანიც ასეთივე გამარჯვებული, ფერშეცვლილი, განწყობილი უნდა შეეგებებოდა მშვიდობიან ცხოვრებას. პოეტს ისიც სჭარბოდა, რომ რაიხსტაგის კედლებიდან დაბრუნებული მეომარი, რომელმაც უკვე იტოვა სიკვდილ-სიცოცხლის, მეგობრობისა და ურთიერთვატანის, სიმხილვისა და სიყვარულის შემშარბიტი ფასი, გაცილებით მეტად, ვიდრე რომელიმე ზღვა, გაიზიარებდა „თავისუფალი და ძლიერი ადამიანის“ მის იდეალს.

და, რაც მთავარია, თავის ისერივად დაღლილ სულში გალაკტიონი პოულობდა საკმარის სიმხნევებს იმისათვის, რომ ამ ახალი იმედების სიხარული არ გაეწლებინა. გარემოს გულთმისინი მსმენელა, ასეთივე ყურადღებით აყვირდებოდა საკუთარი სულის მოძრაობას და გამძაფრებული სმენით დაჭერილ ყრუ ხმაურის სიტყვაში გარდასახავდა:

არა ჩემს ვარეთ,
არა რამე სხვა —
არამედ ჩემში
ახმაურდა ზღვა,
ზღვა ახმაურდა.

(„ზღვა ახმაურდა“, 1946)25

გალაკტიონი პოეტობა-პეიზაჟისტი არ არის. პეიზაჟი მას მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც სამყაროს მრავალფეროვნების ყოველი გამოვლინება სურს სულის მოძრაობას დაამთხვიოს, თანახლოს. ასეთი თვალთახედვითაა შექმნილი „ზღვა ხმაურობდა“, ასეთივე თვალთახედვითაა გალაკტიონის გვიანდელი ლირიკის მეორე ბრწყინვალე ნიმუშიც — „სღუმს ნეკერჩხალა“:

სღუმს ნეკერჩხალი,
მან ახალ-ახალ
მოვლენების წინ
ბევრი იცადა.
ამ ქვეყანაზე მან რა არ ნახა.
რა გარდატეხა არ განიცადა
თრთის ნეკერჩხალი.
ქვეყნად არვის არ
შეენის ცა მისებრ
ზღაპრული გზებით,
ის სისწორის გზა
აჰავდა ისარს —
ბეთანიიდან
საბადლოს გზებით.26

— წერდა გალაკტიონი 1957 წელს.
ყოფაცხოვრებაში ყოველგვარ პრაქტიციზმს

მოკლებული, ზშირად მტერ-მოყვრის გამრჩევი, გალაკტიონი იმეფით გამპროსტობას იჩენდა სინამდვილის ზოგადი და პრინციპული მოვლენების შეფასებისას. იგი შეუცდომლად აცალკევებდა ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ტენდენციებს მოდერნი, ან დღემოკლე განწყობილებებისაგან. ამ არაჩვეულებრივ უნარს უნდა უმაღლოდეს ქართული მეითხეული, რომ ორმოცდაათიანი წლების შუაგულში გალაკტიონმა, კვლავ ერთ-ერთმა პირველმა ქართველ პოეტთაგან, იგრძნო საზოგადოებრივი ცხოვრებაში აღძრული ახალი, მაგრამ ჭერ კიდევ ფარული ტენდენცია, ეს ტენდენცია გააცნობიერა და ლიტერატურის ფაქტად აქცია.

გალაკტიონს ჰქონდა ზნეობრივი უფლება: პირველი შეხმინებოდა „ახალი სიმაართის ხმას“. მას არ შეეძლო სიამაყით არ ეთქვა, რომ არ გამრტდებულა მისი გზა, რომ ერთი ლქაც კი არ აშჩნევია მის სინდისს, რომ შურს, ანგარების, თაყვარლობას არასოდეს დაუსადგურებია მის გულში და არ განუღვინია იქიდან მომშისადმი თანაგრძნობა და სიყვარული. მას არ შეეძლო სიამაყით არ ეთქვა, რომ თავისი რწმენის ერთგული დარჩა იმ წლებშიც, როდესაც თანაგრძნობაც, ერთგულებაც, მოუსყიდველი სინდისიც უპატიებელ ფუფუნებად ითვლებოდა და ადამიანს ღირსების გრძნობა სიცოცხლის ფასად უჭდებოდა ხოლმე. პოეზიის უხილავ მუზას თითქოს ხელჩაყიდებული გაჰყავდა ეს დიდი ბავშვი ცხოვრების ბეწვის ხილზე:

სინდისის ქენჯნა! არასოდეს
არ განმიცდია.
რაა მრტდე გზით სიარული?
არც კი მიცდია.
რომ სამარცხენო მოგონების მკლავდეს
გენია,
მე არაფერი ისეთი არ
ჩამიდგინა.
(„ასის წლისანი“, 1949)27

ამ პიროვნულ სიმაართეს, ღირსებას, პატიოსნებას, ზნეობრივ სიწმინდეს გალაკტიონმა განუყრელად უკავშირებდა მხატვრის მოქალაქეობრივ სინდისს, პოეტის წმინდა მრწამსს. და არასოდეს, — „ოცნებისა და სინამდვილის მწარე გათიშვის“ დროსაც კი, ერთმანეთისაგან არ თიშავდა პოეტსა და მოქალაქეს. თავის ჩანგს ასე მიმართავდა:

ავთან სასტიკად
იყავი ავი,
არ ჩამოავდო
უღროო ზავი,
არ დავინახო
თვალბზე ცრემლი,

განწირულებას
არ მისცე თავი.
ბევრზე ბევრია
გზები სავალი,
ხალხთ სამსახური —
უფრო მრავალი.
დამლოცოს წენმა,
კეთილმა ჩრდილმა,
მამემ, ეკლიან
გზით მიმავალი.

(...ერთხელ შენ დაპხვენ ჩემვან
კარები, 1934-37)23

გალაკტიონს სწამდა თავისი ჩანვის, სწამდა,
რომ თუ მის სამშობლოში „იმარჯვებს ძმობა,
სიყვარული, მზე ერთი პირი და მეგობრობა
განუყრელი, განუყოფელი — იგი ამ გამარჯვე-
ბის პირველი მესიტყვე იყო. გალაკტიონს

სწამდა თავისი ბედნიერი პოეტური ხემდრის,
სწამდა, რომ იგი პირნათელი წარუდგება მა-
რადისობას. მას შეეძლო თავისი თავისათვის
უფლება მიეცა „ჩემი სიმღერით“ — ვალმოხ-
დილი ოლიმპიელის მაღლიერებითა და ღირ-
სებით აღსაყვ ევსტათ მიემართა სამშობლო-
სათვის:

სამშობლოე, მარად მსასოფარი,
პა, ჩემი ჩანვი, სწორუბოვარი,
პა, ჩემი გულაც, თანამგზოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.29

გალაკტიონ ტაბიძემ სამშობლოს თავისი ჩან-
ვი — გენია, შთავონება, თავისი წრფელი,
უანგარო სიცოცხლე უძღვნა. ეს ყველაზე დო-
დი საჩუქარია, რომელიც კი ერთ ადამიანს შე-
უძლია ერს უსახსოვროს.

შ ა ნ ი უ ვ ე ნ ა ი :

- 1 გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ
ტომად, ტომი 1, თბილისი, 1965 წ., გვ. 193
(მემდგომშიც ეს გამოცემაა მითითებული).
- 2 იქვე, გვ. 166.
- 3 იქვე, გვ. 104.
- 4 იქვე, გვ. 207.
- 5 იქვე, გვ. 279.
- 6 იქვე, გვ. 277.
- 7 რ. ჰავეაძე, თხზულებანი, ათ ტომად, ტო-
მი 1, თბილისი, 1961, გვ. 83.
- 8 გ. ტაბიძე, ტომი მე-2, გვ. 8.
- 9 Л. Поляк, И. Бабель წიგნში И. Бабель,
Избранное, Москва, 1966, გვ. 8.
- 10 გ. ტაბიძე, ტომი მე-2, გვ. 113.
- 11 იქვე, გვ. 161.
- 12 იქვე, გვ. 153.
- 13 გ. ტაბიძე, ტომი მე 3, გვ. 56.

- 14 იქვე, გვ. 17.
- 15 გ. ტაბიძე, ტომი მე-2, გვ. 285.
- 16 იქვე, გვ. 167.
- 17 გ. ტაბიძე, ტომი მე-3, გვ. 10.
- 18 გ. ტაბიძე, ტომი მე-4, გვ. 18.
- 19 გ. ტაბიძე, ტომი მე-3, გვ. 33.
- 20 გ. ტაბიძე, ტომი მე-4, გვ. 21.
- 21 იქვე, გვ. 212.
- 22 რ. თვარაძე, გალაკტიონი, თბილისი, „ნა-
კადული“, 1972 წ., გვ. 194.
- 23 გ. ტაბიძე, ტომი მე-5, გვ. 22.
- 24 იქვე, გვ. 249.
- 25 გ. ტაბიძე, ტომი მე-6, გვ. 22.
- 26 იქვე, გვ. 282.
- 27 გ. ტაბიძე, ტომი მე-5, გვ. 158.
- 28 გ. ტაბიძე, ტომი მე-4, გვ. 141-142.
- 29 იქვე, გვ. 22.



თბილისი გალაკტიონის პოეზიაში

მეოცე საუკუნის ქართულ პოეტთაგან გალაკტიონმა ყველაზე მეტად გამოხატა ჩვენი დღეაქალაქი — თბილისი. თბილისს მიუძღვნა მან ისეთი ბრწყინვალე ლექსები, როგორცაა: „საღღერძელო“, „თბილისის მთანი“, „მთაწმინდის იქით“, „თბილისი“, „ოერის თეატრთან“, „ტფილისს სძინავს შიში ძილით“, „ტფილისი ღამით“, „ზაქესთან“, „მთაწმინდის მთარზე“, „ტივები მტკვარზე“, „წყნეთის ქუჩით“, „ვარაზისხევის სიზმრები“, „აყვება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს“, „ძველი და ახალი ხილი“, „ფიქრი შეითან ბაზარზე“, „ახალი თბილისის დაფუძნება“ და სხვა.

საერთოდ ცნობილია, რომ გალაკტიონისათვის ყველაზე უფრო მაღალი, პირველი და ძლიერი სიყვარული სამშობლოს სიყვარულია, რომ მსოფლიოს მთელი სამდიდრე „სამშობლო მხარეში ერთ გაქროლებად არ ღირს“. გალაკტიონი განავითარებდა ქართული კლასიკური პოეზიის დიდ პატრიოტულ ტრადიციას. საქართველო იყო მისი „მშუფთვარე სულის სამყოფელი და სიმღერის სავანი“ საქართველოს წიაღში დაქმნდა იგი ამირანის ნაყვალეც. ის ხომ თავად იყო ქართული პოეზიის ამირანი, ქართველი ხალხის სიყვარულის შთამავონებელი მომღერალი, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ განშორებია პოეზიას.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ, თავისუფლების დეკარგვამ, რეაქციული ძალების გამარჯვებამ და სამშობლოს უნებულო მდგომარეობამ პოეტი მწუხარების გრძნობით გამსჭვალა. ხედავს იგი, რომ მასი მშენიერი სამშობლო „სისხლით ირწყვება და იღებება“. ლექსში „მთაწმინდის იქით“ გალაკტიონმა რეაქციული ძალების გაბატონება და აოხრებელი საქართველოს, კერძოდ თბილისის, მწარე ბედო გამოხატა:

მთაწმინდის იქით დასისხლულმა მზემ ბინა
პოეცა.

არ არის შველა.

ზნელი ჩრდილები მრავლდება, როცორც
სიბნელეში ღინგებას გროვია.

სამშობლოს უკუღმართა მდგომარეობით გამოწვეულ პოეტის სევდას თან ახლავს პროტესტი არსებული წყობილების წინააღმდეგ. ხედავს იგი, რომ მშრომელ აღამიანს უსინდისოდ სღვენინან, აღამიანები უმიელოდ ცხოვრობენ, მაგრამ პოეტის გზას „ერთაღერთი“ იმედი ასხივოსნებს. ამ იმედს იგი გემზე მჭდომი, შორიდან ხედავს და, „მიწა გამოჩნდა, მეგობრებო, ახალი მიწა“ო, გაიძახის. პოეტი აშკარად გრძნობს, რომ ახლოდება ნამუევილი სიმღერის ხანა და მოუწოდებს თავის თავს, გაბედულად იაროს წინ. ყველა ის საკითხი, რაც დაკავშირებულია თავის ხალხის ბედთან, მის წინაშე ისახება, როგორც პირადი საკითხები. თავის მოწოდებას იგი ხალხის სამსახურში ხედავს. გალაკტიონს შესანიშნავად ესმის, რომ პოეზია უპირველესი ძალაა ცხოვრებაში, თუ ის თავისი ხალხის სულსაყვეთების გამომატევილი, სექტაი სულის გამოწაფუქი და ბრძოლის სურვილის აღმჭერელია. ლექსი მაშინაა კარგი და ძლიერი, თუ იგი „ნათელი და ხალხური“ა. ყურადღების ღირსი მაშინაა პოეზია, როცა ის მასების ცხოვრებას გამოხატავს.

ქართველ პოეტთაგან გალაკტიონს ხედა წილად, მოწმე ყოფილიყო ოქტომბრის რევოლუციის „მოვარდნილ დღეთა რკინების კვეთისა“ და ამ ბრწყინვალე დღეებმა მას წრფელი სიხარული განაცდევინეს. იგი ხომ ადრეც ეძებდა და ოცნებობდა ხედავდა ისეთ ქვეანას, სადაც სული არ სწუხდა და ედგმი ჰყვოდა. ის ხომ მედამ მზად იყო, ყველაფერი შეეწირა საქართველოს თავისუფლებისათვის. სავსებით ბუნებრივია პოეტის აღტაცება იმის გამო, რომ „უსასობას და სასოწარკვეთას ბოლო მოედო“. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა.

იყო შიშვლი, სიცივე და წყალდიდობა, ყირიმს მიწისძვრა ანადვლებდა და საქართველოს უამინდობა.

რევოლუციის შემდეგ ვალაქტიონის ლექსებში ნათლად გამოჩნდა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ შეუქცელებელი მისწრაფება. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვალაქტიონის წინაშე არ წამოჭრა კითხვა: რევოლუციის მხარეზე, თუ რევოლუციის წინააღმდეგ? მან მამიყვე მონახა თავისი ადგილი რევოლუციასა, როგორც მებრძოლმა პოეტმა, ჯარისკაცმა. ოქტომბრის რევოლუციის განადიდებულმა დღეებმა მხატვრული განზორციელება პოევის მის საუკეთესო ლექსებში: „მრავალს ჰქონდა წინათგანზობა“, „დროშები ჩქარა“, „ოქტომბრის სიმღონია“, „ურიცხვი დროშები“, „ვემა დალანდა“ და სხვ. რევოლუციური რუსეთიდან დასრულებულმა პოეტმა თან მოიტანა საქართველოში „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“. მას სწამს, რომ რევოლუციის გრივალი საქართველოზე გადაივლის, ვერც კი წარმოუდგენია, რომ ისეთ ქვეყანას, „როგორიც ჩვენი საქართველოა, რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს“. ასრულდა პოეტის ნატივია. საქართველოშიც გაიმარჯვა რევოლუციამ და იგი უყოყმანოდ დადგა რევოლუციური საქართველოს მხარეზე. მაშინვე ჩაება „რევოლუციით გამშვენიერებელი“ საქართველოს მშენებლობის ფერხებულში. ის დარწმუნდა, რომ „აღარ ვარბა როგორც წინათ, ძველი გულით სიარული“. მგოსანი თავის თანამოქალაქეებსაც მოუწოდებს, რომ დადგნენ გამარჯვებული პროლეტარიატის იდეურ პოზიციებზე, რომ პოეტა ახალ ცხოვრებას უნდა სწავლდეს. ამ დროს იგი მთელ საქართველოში მოგზაურობს და ამით თავის შთაბეჭდილებებს აწვდის. ის თავის თვალთ ხედვს იმ უდიდეს ძვრებსა და ცვლილებებს, რაც სოციალისტურ მშენებლობას მოჰყვა. რწმუნდება, რომ „რევოლუციამ ფარდა ახალ ამშენებლობას, ცოცხალ ცხოვრებას...“ შეწყდა მძაფრი ენება და „ამირანმა თავი აიშვა“. ვრცელ ლექსში „რევოლუციურ საქართველოს“ მან ახალი საქართველოს თვალწარმტაც სურათი გადაგვიშალა.

გალაქტიონი, რევოლუციამდე თუ რევოლუციის შემდეგ, გამოხატავდა ხალხის წუხილს თუ შეტყვრებელ აღორჩანებას, თავისი ხალხის მსახურად რჩებოდა. მისმა ლირიკამ ხელი შეუწყო ქართველ ხალხში პატრიოტიზმის, ამ მაღალი კეთილშობილური გრძნობის გაღვივებას. სამშობლოსადმი რა დიდი სიყვარულის გრძნობით აბის გამთბარი თანამედროვე ქართული პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნიმუში „მშობლიური ჩემო მიწავ!“ რა შესანიშნავი ფერებით გვიხატავს მგოსანი საქართველოს სიმშვენიერეს და ქართველი ხალხის სიყვარულს იმ მიწისადმი, რომელიც ოდესღაც

საოპარ ევლად იყო ქცეული, მაგრამ გაზაფხულმა ჩა ამ ბრძოლებს. ლექსებში: „ქებათა-ქება“, „მშვენიერო ჩემო მიწავ“, „მთვარის ნაამბობი-დან“, „სამშობლოს“, „რა მშვენიერია ცა საქართველოსი“, „რარაც კარგია, სამშობლოვ“, „მე ვადღეგრძელებ საქართველოს“, „მშობლიური ცა უღრუბლო თუა“ და სხვა. ვალაქტიონი ყოველ სიყვარულით ეტრფის საქართველოს ყოველ კუთხეს, მის თვალწარმტაც ბუნებას, მის განათლებულ მჩქეფარე ცხოვრებას, ქართველი ხალხის წარსულსა და აწმყოს. ერთნაირი სიყვარული უმღერის იგი გურის მუებს, სვანეთს, ზეესურეთს... ისევე აღტაცებულია ყახეთით, აჭარით, აფხაზეთით, რაქალეხმეთით და მესხეთ-ჭავჭავთით, როგორც თბილისითა და ქუთაისით. ისევე ბრწყინვალე ლექსით ამკობს ბეთანის მონასტერს, როგორც ბაგრატს ტაძარს. ამის ნათელი დადასტურებაა პოეტის აღფრთოვანებული სიტყვები:

მიყვარს აყვასის ქედი,
ეს ამირი და იმერი,
მისი „ხელი ხმალს იყარ“ და
მისი „მრავალეამერი“.
მიყვარს მარად მხნე და ძმური
ეს გურია და სვანეთი,
თუში, ფშვი და ხეესური,
აჭარა და თრიალეთი...
აღმოსავლეთ-დასავლეთის
გზა მიხვეულ-მოხვეული,
იანანა მიგრულ დედის,
აფხაზერი, მოხევეური...

დიდი მგოსნის ბარათაშვილისა და აკაიის შემდეგ კლასიკურმა მთაწმინდამ კიდევ შესძლო ვალაქტიონის ლამაზ ლირიკაში გაღვივება. მან დიდებულად გაღმოგვცა თავისი სეველიანი განწყობილება ამ შეუღარებელ ლექსში. რვაქციის წლებში მთაწმინდა პოეტის ფიქრთა სამფლობელოდ გადაქცეულა როგორც ობლად მისიარულე ბარათაშვილისათვის. ღრმად დაფიქრებული მგოსანი დგას მთაწმინდაზე, სადა აკაის ლანი განისვენებს მეფური ძილით და შთავონებთ გაღმოყურებს თბილისს:

მოსჩანს მტეკარი და მტეხი თეთრად
მოღვლარე
ოპ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე.
აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფური
ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით
ეფინება ვარსკვლავების კრთობა მზიარული...
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

რევოლუციამდე ხალხის მძიმე მდგომარეობით „ნერვებდაქანცულ“ მგოსანს დედაქალა-

ზანი ნიშნინიძე
თბილისი ბალაბანიონის პოეზიაში

ქის განმარდნებულ თეატრშიც სწორად ავონ-
დება საქართველოს სოფლები. მას უძნელდება
სულიერი სიმშვიდე მიმოივოს სალონების,
კლუბებისა და რესტორნების ხმაურთან ქალაქ-
ში. მისთვის თბილისი სახრჩობელად ქცეულა:
„თბილისი ჩემთვის არის მაღალი გილიოტინა
და ეშაფოტი“-ო, აცხადებს იგი. მღელვარე
ცხოვრებით დაღლილი მგოსანი მთაწმინდის
პანთონიდან აღევნებს ქალაქის დამაინტველ
ცხოვრებას თვალს. თბილისი მძიმედ აწევბა
მის სულს. ლექსში „ტივები მტკვარზე“ უიმე-
დოდ აცხადებს პოეტმა:

ყოველგვარი გაპქრა ვილა...
არ ემჩნევა ფანჯრებს წთება,
თითქოს ვიღაც წავიდა და
არასდროს არ დაბრუნდება.

გალაქიონი დედაქალაქით აფორიაქებული
სულის დასამშვიდებლად მყუდრო ადგილს
ეძებს. ეძნელება თბილისის ძველად ნაგებ-ნა-
შენი კოშკების განშორება, მაგრამ რა გაეწყო-
ბა. იმდენად აღმშფოთებულია მისი სული, რომ
„ტოფითა და ნაღველით“ საესე ქალაქში რა
ვაჩერებს, მყუდრო ადგილი უნდა ეძებოს:

„სადმე ყრუ ადგილს დავესახლები სხვა
საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო
ნაკლებ ადამიანი...“

ცა ლაქვარდია... დღე არის თბილი, კმარა!
მოვშორდი შფოთიან თბილისს“.

მას არც სურს ახსოვდეს თბილისის სახელი.
მისი მკრძანობიარე ნერვები და ნაზი ბუნება
ვერ ისევნებს აბოზოქრებულ ქალაქებში, მას
ყრუ, უკაცრიელი ადგილები იზიდავს.

მაგრამ, როცა დაიძხო ძველი, „გავიარეთ
ლაბირინთები და ქაოსიდან ვზებზე გავედით“,
როცა ბოლო მოეღო მგოსნის გოდებას, გა-
უნდა, ხალხი განთავისუფლდა, ქვეყნად სიხა-
რული და „ღიმილი“ დამკვიდრდა, მგოსანი უკ-
ვე აღარ გაუტრბის თბილისს, რომელიც ახლა
„პოეტების სამეფოდ“ გადაქცეულა. გალაქ-
ტიონი უკვე აღარ ეძებს მივარდნილ ადგი-
ლებს. მას თავისი „ბებერი თბილისი“ ურჩიე-
ნია:

დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია,
თუ დრო არის, დროს ისევე შენ შეფერი.
და ვით ქრისტემ გალილეა აიარია,
მე თბილისი ავიარე ბებერი.

რევოლუციამ საზე უცვალა თბილისს. გადაი-
წარა ქალაქმა შავი ღრუბლები. კაფე-რესტორ-
ნების, კინტოების, ყარაჩოლელების, დაფა-
ურებისა და ხმაურის ნაცვლად, მშენებლობის
ყოველ უბანზე გაიჩაღებულ სოციალისტური
შრომის გულური ისმის. მხოლოდ მწარე მოგო-
ნებად დარჩა ის დრო, როცა თავდავიწყება

სწყურთოდა და „არასდ იყო თავდავიწყება“
იგი შეხარის „ჩვენს მშენიერ ცას, ჩვენს
ქვეყანას ვრცელს“ და თვალწინ წარმოუდგება
უბედურ ადგილებში ხეტიალის დროს გატარე-
ბული მწარე დღეები. მგოსანი იგონებს საქარ-
თველოს, კერძოდ თბილისის, დიდ მომღერალს
ვრიგოლ ორბელიანს, რომელსაც მიმართავს:

„ის დრო წავიდა! ტფილისი ძველი მიინერ-
მოინერა, სცივათ კახურებს,
და ნარიყალა ცრემლებით სველი
მატარებლების კვილს გაკუტრებს.
მე ვღვევარ მთაზე, მე ვღვევარ მარტო
დამთვრალი ახალ სანახავითა
რითი გავართო, როგორ გავართო? ჩემო
იარალი, ის დრო წავიდა!“

ირველიც სიცოცხლე და სიხარული დამკვი-
დრებულა. „ბნელს სული ხდება“, თავისუფა-
ლი ქართველი ხალხი სოციალიზმს აშენებს და
აღტაცებული მგოსანიც სულ სხვა ხმით უმ-
ღერის თავის სახელოვან თბილისს, რომელიც
შავბნულ წარსულში მხოლოდ „ოცნებით იწ-
ვოდა“, რომელსაც უამრავი განსაცდელი უნა-
ხავს, მრავალი დარბევა, აწიოკება და აზრება
ვანუტვია. ლექსში „საღღვევრძელი“ პოეტი
თბილისს მისი ტანჯვა-წამებისა და აღტაცების
მარაღიულ მოწმეს უწოდებს:

საღღვევრძელი იყოს მისი, ვინც ოცნებით
იწვოდა,
ვინც პოეტის მარადისი აღტაცება იცოდა...
საღღვევრძელი იყოს მისი, ვინც შრომამ ვერ
დაძვარა,
ავღვეთ ფეხზე! ჩვენი თბილისი ვაღღვევრძელით
ქალარა!

გალაქიონს ყველაფერი ხიბლავს განთავი-
სუფლებული საქართველოსა და მისი დედა-
ქალაქის. იგი აღფრთოვანებულია ჩვენი სამ-
შობლოს წინსვლით, ძველი თბილისის უჩვეუ-
ლოდ გამომდევებით. პოეტის გულწრფელ სიხა-
რულს იწვევს შექმნილი სახეების ვითარება.
იგი განცვიფრებული ამბობს: „ვინ იფიქრებდა,
რომ ამოდენა გრანდიოზული საქმე გველო-
დაო“.

უდღღღესია გალაქტიონის დამსახურება თავი-
სი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. მის ღრმად
სწამს, რომ მისი დამსახურება ამოდ არ ჩაიე-
ლის, რომ მის მიერ მაღალ მთაზე აგებულ
„ლითონზე უფრო მაგარ და პირამიდებზე მა-
ღალ“ სასახლეში მისი უკვდავი დღეება დათ-
საღვევრებს და ვერც დრო, ვერც ვამთა სიყვე,
ვერც ქარი გაანადგურებს“. გალაქტიონი სია-
მოვნებით აღასტურებს ქართულ ლიტერატუ-
რულ კრიტიკაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ
მის შემოქმედებასა და კლასიკურ მწერლობას
შორის მწიღრო კავშირია. იგი თავის თავს
შთან, ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა და ვაჟას
კანონიერ შემკვიდრედ აცხადებს. ეს მოსაზრე-

ბა გამოთქმულია როგორც ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ მის ერთ-ერთ დღიურში, ასევე ლექსში „რარივ კარგია, სამშობლოე“, სადაც ყოველი სტროფის ბოლო ტაქსის უკანასკნელ სიტყვად იგულისხმება „გალაქტიონი“. თუმცა ამას იგი თვითონ არ წერს, მაგრამ მივახვედრებს მის კანონიერ სურვილს, რომ იგი სამართლიანად დავაყენოთ ქართველი კლასიკოსების გვერდით:

„რარივ კარგია, სამშობლოე,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა!“ (და გალაქტიონი)
„სულ მაღლა გორის ციხეა,
სულ დაბლა ძველი სიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა“ (და გალაქტიონი).

როგორც პოეტური მოღვაწეობა გალაქტიონისა ვრცელი, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი, ასევეა მისი პირადი ბარათები და დღიურები. მგოსანმა უმდიდრესი არქივი დაგვიტოვა, რომელშიც მოგვეცა საშუალება გავცნობოდით პოეტის გამოუქვეყნებელ უამრავ საჭირო-და საინტერესო მასალას. გალაქტიონის არქივში ექვსასამდე ბლოკნოტი და დღიურია დაცული. აგრეთვე ასანთის კოლოფებზე და რვეულის ფურცლებზე მიწერილია სხვადასხვა სახის შენიშვნები და შთაბეჭდილებანი. საერთოდ, მწერლის დღიურებსა და პირად წერილებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი შემოქმედების ხასიათის გარკვევის საქმეში. ეს შემოქმედების ორი მხარეა. ისინი ერთმანეთს ავსებენ. მწერლის მემორაბები, წერილები, დღიურები ბევრ შემთხვევაში იძლევიან ვასალებს მისი შემოქმედების განხილვისას. ამას ადასტურებს გალაქტიონის საარქივო მასალებიც. მისი დღიურები, პირადი წერილები, მიწერებები საშუალებას იძლევიან შევიხედოთ პოეტის შემოქმედების ლაბორატორიაში, საარქივო მასალები იძლევიან ბევრი ნაწარმოების შექმნის ისტორიის გარკვევის საშუალებას. მგოსანის შინაგანი სამყარო, რომელიც ვასილიკარი ძალითაა გადაშლილი მის ბრწყინვალე ლექსებში, კიდევ უფრო მრავალმხრივად და ნათლად წარმოგვიდგება მისი პირადი არქივის გაცნობის შედეგად. გალაქტიონის დღიურებისა და დღიურის ხასიათის ჩანაწერების ნაწილი უთარილოა, მაგრამ შინაარსის მიხედვით ივარაუდება ჩანაწერის დრო. პოეტის ჩანაწერებში: „ქუთაისის ღამე“, „დიდი იმედები“, „ჩვენი ეზო“, „თბილისი ქალებს დარჩათ“ და სხვ. გამოხატული თავისი ხალხისადმი გალაქტიონის ღრმა სიყვარული და თბილისით, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხით მისი დინტერესება.

დღიურებს თვით გალაქტიონიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ჩემო დღიურო, ბევრი რამ

კარგი უნდა აღნუსხო შენა, წერს პოეტის ერთ ჩანაწერში კი ვკითხულობთ: „ყოველივე, რაც კი საამაყო დამრჩენია, შექმნილია არა მარტო კაბინეტური შრომით, არამედ ხალხში ყოფნით. იქიდანაა ჩემი წარსული, ჩემი მომავალი.“¹

ცნობილია, რომ გალაქტიონის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დიდი სიხარული განაცდევინა. ეს სიხარული გამოხატული აქვს მას თავის დღიურებში. ერთ-ერთ დღიურში იგი წერს:

„25 მარტიდან 20 აპრილამდე
1921 წელი

ტფილისი ცოტათი გამოცვლილია. კომუნისტები რუბრესიებს არ ხმარობენ. ჩვენთვის მოუციით დიდებულნი „ხელოვნების სასახლე“.

მე დროებით აქ ვცხოვრობ. მიმიღეს სიმპატიურად.

შთაგრობა ხელოვნებას დიდი ყურადღებით ეპყრობა. უთუოდ არც მე დავიჩაგრები.

როგორი იქნება ჩემი მომავალი მუშაობა, ჭრჭყრობით სრულიად არ ვიცი.

სალამი ჩემს ბრწყინვალე მომავალს!
მე მასში ოღნავი ეტვიც არ შეპარება.“²

გალაქტიონის შეხედულებით ყოველი ჭეშმარიტი პოეტი მტკიცედ უნდა იყოს დაკავშირებული თავის ეპოქასთან და მის ინტერესებს გამოხატავდეს. იგი წერს: „ჩვენ — პოეტები შეერთებული ვართ მავარი და განუწყვეტელი ჭაპვით ჩვენს ეპოქასთან, საუკუნესთან და ერთად ვეწვეით ბრძოლას მსოფლიოს უდიდესა და ბრწყინვალე მიზნებისათვის. მასთან ერთად ვიზიარებთ მის სიხარულსა და მწუხარებას“³

არ არის ჩვენი ეპოქის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც გამოხმაურება არ ებოვოს გალაქტიონის შემოქმედებაში. ასევე ეხმაურება ჩვენი ცხოვრების ყოველ უბანს პოეტის პირად არქივში არსებული მასალები. მგოსანი თბილისის ყოველ კუჩქულს ათვალიერებს და აქ მომხდარ არც ერთ მოვლენას არ ტოვებს უყურადღებოდ. „დავათვალიერე რიყის მიდამოები, — წერს იგი, — სადაც ისეთი გრანდიოზული მუშაობაა დაწყებული, რომ ბევრს უნდა აინტერესებდეს... აი, სახლი, სადაც ცხოვრობდა საწყალი ნიკოლა ფიროსმანიშვილი, მხატვარი, რომელმაც მხოლოდ სიყვდილის შემდეგ გაითქვა სახელი.“⁴

1 სსმ, გალაქტიონის არქივი, გვ. 1618.
2 იქვე, ბლოკნოტი № 75.
3 სსმ. გალაქტიონის არქივი, გვ. 3128.
4 იქვე, რვეული № 532, გვ. 4.

ფატი ნიფინიძე
თბილისი ბალახტიონის კოეზიზი



მეტად საინტერესოა «ქებათა ქება ნიკორწმინდას» შექმნის ისტორია. პოეტის ჩანაწერებში ვეცნობით, თუ როგორ მუშაობდა იგი ლექსზე, როგორ ვეცნობოდა თავისი ხალხის ისტორიას, კულტურას, ხელოვნებას; რომ პოეტის ფეხით პქონდა მოვლილი მთელი საქართველო, მისი კულტურის ძეგლები, ისტორიული ადგილები, ნანგრევები, რომლებსაც ის «უბოქის გედს» უწოდებდა და ეს დიდი სიყვარული თავისი ხალხის უყვდავი ხელოვნებისადმი მან ჩააქსოვა ლექსში, რომელიც ხუროთმოძღვრულ ქმნილებას მიეძღვნა. 1947 წელს გალაკტიონი შოვში ისვენებდა. იგი დასვირნობდა შოვის თვალწარმტაც მიდამოებში. ათვალეიერებდა ღირსშესანიშნაობებსა და კულტურის ძეგლებს. აქ შექმნა მან «ქებათა ქება ნიკორწმინდას». ამის შესახებ გალაკტიონი თავის დღიურში წერს: „როდესაც ნიკორწმინდელი ღურგალი მაგიდას მიკეთებდა, თან მიყვებოდა ამბებს ნიკორწმინდის ჩუქურთმის შესახებ. მე თვალწინ მედგა მუათე-მეთერთმეტე საუკუნის ჩვენი დიდი ხელოვნება, მაშინდელი ხუროთმოძღვრება, შენობის დიდებული გარესაშეკული, განსაკუთრებით ჩუქურთმა (ორნამენტა) უდიდესი ძეგლები მაშინდელი ხუროთმოძღვრებისა: ალავერდის ტაძარი, ბაგრატ III-ის ტაძარი, სვეტიცხოველი, სამთავისი, ბელთა სამთავრო, ნიკორწმინდა... მე შევბირდი ჩვენ ოსტატს, რომ დავწერდი რამეს იმ ძეგლის შესახებ. ვინაიდან ჩემი სიტყვა ყოველ-

თვის საქმეა, ვეათხოვლბ ლექსს ნიკორწმინდის შესახებ».⁵

და მოსანამ პირველად წაიკითხა მის საბატევემულოდ გამართულ საღამოზე იქ ახალდაწერილი ლექსი «ქებათა ქება ნიკორწმინდას». გალაკტიონი ორგანულად იყო დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასთან. ყარგად იცნობდა ქართველი ხალხის პირ-ვარამს, წყნევეულებებსა და ხსიათს. ასე მივიდა იგი ხალხის გულთან, მის სულიერ ტკივილებთან და მისწრაფებებთან. ამით შესძლო მან ბრწყინვალედ გამოეხატა ხალხის გულისანადები, გრძნობები და აზრები, გამოემხეტურებია მისი სევდა, იმედები და სიხარული. ამაშია გალაკტიონის სიღიადე, ამით მოიპოვა მან განუზომელი სიყვარული ჩვენი ხალხის გულში. ამით იყო გამოწვეული ხალხის აღტაცებული შეხვედრები მკოსანთან, როგორც ჩვენს დედაქალაქში, ასევე საქართველოს რაიონებსა და სოფლებში (ვანის რაიონში, ტყიბულში, მესხეთ-ჯაეახეთში). გალაკტიონი მუდამ თავის ხალხთან იყო და მის პირსა და ღზინს იზიარებდა. ამიტომ დაატყდა ყველას მებად გალაკტიონის უეცარი გარდაცვალების ამბავი 1959 წლის 17 მარტს, 21 მარტს კი დამწუხრებულმა ქართველმა ხალხმა უქანასკნელი გასაოცარი «შეხვედრა» მოუწყო საყვარელ პოეტს, როცა მისი დიდებული ცხედარი მთაწმინდის მიწას მიაბარა.

⁵ სსლმ, გალაკტიონის არქივი, ბლოკნოტი № 154.



მარიელ ჭანჭუკია

ყულაზა, სავსე ოცნებით...

1. პარალელური ხაზები

კრიტიკა ყველას აღიზიანებს, მაგრამ იგი იმ გამაღიზიანებელს უნდა გავდეს, მარგალიტის სელოვენურ ზრდას რომ უწყობს ხელს. ჩვენ კი მეტწილად მარგალიტების წინააღმდეგ ვიბრძვი, ხოლო მეტე, ყოველად ულოგიკოდ, სამკაულების ნაკლებობას ვუჩივით. და თუმცა ქეშმარიტი მშვენებება სამკაულების გარეშეც ქეშმარიტია, თვით ყველაზე ლამაზი ქალიც კი მხოლოდ მაშინ არ ირთვება უძვირფასესი სამკაულებით, როცა ეს უძვირფასესი სამკაულები, უბრალოდ, არა აქვს...

ეს, ეტყობა, პოეზიასაც ეხება.

ყოველ შემთხვევაში ამაზე დამაფიქრებელია მე ახალგაზრდა პოეტის გურამ პეტრიაშვილის პირველმა წიგნმა და პირველმა წერილმა.

გურამ პეტრიაშვილს თავისი ლექსების პირველი კრებულის ყდა მათემატიკური ფორმულებით აუჭრელებია. თავისთავად ყდა ურიგოდ არაა დახატული, მაგრამ მხატვრისა და პოეტის მიერ ამ ფორმულებში ჩათქმული აზრი ერთგვარად გაუგებარია. გარეგნულად ეს ამბავი სციენტისტის პილიგრიმოზას ჰგავს პოეზიაში (ოპენჰაიმერიც სწერდა ლექსებს და თარგმნიდა სანსკრიტიდან შედევერებს), მაგრამ თუ კარგად ჩაუფკ-

ვირდებით, ყველაფერი ეს უბრალოდ გაუგებრობაა და მეტი არაფერი. მათემატიკოსებს შეუძლიათ დიდსულოვნად დახუტონ თვალი შეცდომებზე, რომელიც ამ ყდაზეა დაშვებული, მაგრამ მე მათემატიკოსი არა ვარ და უნდა მოვავიციო ყდის ავტორებს: კვადრატული ფესვის დროს „2“ არ იწერება, იგი იგულისხმება. თუმცა ეს როდია მთავარი. დიდი ფრანგი პოეტი პოლ ვალერი ამაცობდა იმით, რომ შეეძლო დედანში წაეკითხა რელატიობის თეორია, მაგრამ არც ერთი თავისი პოეტური კრებულის ყდაზე სამყაროს აინშტაინისეული მოდელის გამომხატველი ფორმულა არ მიუწერია. კაცმა რომ თქვას, რა დაშავდა ამით — რამდენადაც ვიცი, გურამ პეტრიაშვილი პროფესიით მათემატიკოსია, გატაცებით — პოეტი, და მისი ამ ორი-გნების შეხვედრაში ცუდი რა უნდა იყოს! ამ თვალსაზრისით არც მე მექნებოდა მასთან რაიმე საკამათო, აღმანახ „კრიტიკის“ მესამე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი რომ არა — „პოეტურობა“ და პოეზია“.

ამიტომ, სანამ შევეხებოდე გურამ პეტრიაშვილს — პოეტს, ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ გურამ პეტრიაშვილზე — თეორეტიკოსზე (საერთოდ მიმანია, რომ თავისი პოსტულატების

გამქლანენბა გურამ პეტრიაშვილმა ცოტა იჩქარა).

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ მე ბევრ რამეში ვეთანხმები გურამ პეტრიაშვილს. ვეთანხმები, მაგალითად, იმაში, რომ ცუდი ლექსები ცუდია. ვეთანხმები იმაშიც, რომ კარგი ლექსები კარგია, და რომ მის მიერ ციტირებული ლექსების უმეტესობა მართლაც არ ბრწყინავს შესაშური ელვარებით. მაშ, რაღა უნდა მქონდეს სადავო? წარმოიდგინეთ, ბევრი რამ. მხოლოდ გულუბრყვილო და საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შეუძლია იფიქროს, რომ გურამ პეტრიაშვილის მიზანი მართლაც იმ ლექსების გაკრიტიკებაა, რომელთაც იგი ასეთი გულმოდგინებით და ზოგჯერ ასე ოსტატურადაც ესხმის თავს. მისი წერილის მთავარი მიზანია, ერთგვარი ადვოკატობა გასწიოს და დამტკიცოს, რომ „მისი ჯობს“. რაკი თავში ისევ ხსენებული ფორმულები მიტრიალებს, ვეცდები, სადაც კი მოვახერხებ, მეც მათემატიკოსები და ფიზიკოსები მოვიშველიო. ენრიკო ფერმის საოცრად სძულებია წერისა და მეტყველების დელარქინილი და ბუნდოვანი სტილი. პოეტურად განწყობილ ოპენჰაიმერსა და მის მოწაფეებს კი ლექციების კითხვის პათეტიკური და ბუნდოვანი მანერა ჰქონიათ. უსმინა თურმე ერთი ასეთი მეცნიერის ლექციას ფერმიმ, და გულდაწყვიტილმა შესნივლა მეგობარს: „ეტყობა ვებრდები. ვერაფერი გავიგე, რას ლაპარაკობდა ეს კაცი. ჩამოვრჩი ალბათ. მხოლოდ ლექციის ბოლოში მომეცა ცოტა იმედი, როცა ორატორმა ბრძანა: ასეთია, ბატონებო, ენრიკო ფერმის თეორიის დედააზრი. თურმე ჩემზე ლაპარაკობდა დალოცვილი“. ჩვენც რად გვინდა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი, ვთქვათ სათქმელი გასაგებად, უბრალოდ, მით უმეტეს, რომ გურამ პეტრიაშვილის წიგნის ყდაზეც სწერია, **ორჯერ ორი ოთხიაო**. მაშ ასე, მე კიდეც ერთი ბრალდება წაუყუენე გურამ პეტრიაშვილს

და ვთქვი, რომ მისი წერილი დედააზრულია მისი წიგნისა და მისი პოეტური პრინციპების უპირატესობის დასამტკიცებლად. მაინც საიდან ვიცი მე ეს? გურამ პეტრიაშვილი წერს თავისუფალ ლექსს, ე. წ. ვერლობრს. გაკრიტიკებით კი იგი აკრიტიკებს მხოლოდ ე. წ. კლასიკურ, ანუ, მისი ტერმინი რომ ვისმართო, „ეგზალტირებულ“ ლექსებს. აქედან კი მეტიმეტად მარტივი დასკვნა გამოდის — **ორჯერ ორი რომ ოთხია**, ამის ცოდნა არავის უპირატესობა არაა.

ახლა კი, სანამ რაიმე დასკვნას გავაკეთებდეთ, ვნახოთ, მაინც რას, როგორ და რატომ აკრიტიკებს ახალგაზრდა პოეტი.

წერილის შესავალში გურამ პეტრიაშვილი ჩამოთვლის სიტყვებს: **ოცნება, სურვილი, ზილვა, სიზმარი, აპრილი, გაზაფხული, ქარი, ქარიშხალი, წვიმა, მთვარე, მზე, ვარსკვლავი, მთა, ზღვა, ტალღა, სანთელი, ღელვა, თრთოლვა, წვა, ღოცვა, გრიალი, სიჩუმე, სინაზე, სინათლე...** და ასკვნის:

„დაკანონებულია აზრი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები პოეტური სიტყვებია“.

სად, რომელ წიგნში წაიკითხა გ. პეტრიაშვილმა ეს? ვინ მოახსენა? ამ აზრს იგი ვერსად ვერ ამოიკითხავდა. ეს აზრი საკუთრივ მისი, და მხოლოდ მისი აზრია, და რატომ აცხადებს მას დაკანონებულად? თვითონ დაკანონა? და ეს კანონი ჩვენთვისაც სავალდებულოა? ამას მოსდევს რამდენიმე აფორიზმი: „სიტყვის თავისთავადი პოეტურობა არ არსებობს. სიტყვას ჰეშმარიტ პოეტურობას აძლევს პოეტი, იგი იღებს ნებისმიერ სიტყვას და აქცევს მას პოეზიის კუთვნილებად“. ან კიდეც: „იმისთვის, რომ ნამდვილად ღირებული მეტაფორა შეიქმნას, საქმეა მახვილი თვალი“. „დროს უნდა გრძნობდეს პოეტი, დროს უნდა იგრძნობდეს ლექსში“ და ა. შ. ამის შემდეგ იწყება იმათი კრიტიკა, ვისაც გ. პეტრიაშვილის მიერ ტაბუდადებული ეს სიტყვები ლექსში უხსენებია. გ. პეტრიაშვილმა იცის, რომ **ორჯერ**



ორი ოთხია, ამიტომ იგი სწორად ალაგებს გასაკრიტიკებელ ხალხს (მიხეილ ჩაჩუა, ოთარ შალამბერიძე, ლეილა ერაძე, გივი აღმაშენებელი, მარიკა ბარათაშვილი, ირაკლი ციგროშვილი, გივი გეგეჭკორი, თამარ ერისთავი, ტაგუ მებურიშვილი, ქეთევან კვინიტრაძე, თედო ბეჟიშვილი, თამარ კლათონი, მზია ჩხეტიანი, ნესტორ მაღაზონია, ნანა ღვინევაძე, ვანო ჩხიკვაძე, ალექსანდრე ტაბატაძე, ამირან მიქაუტაძე, ლილი ნუცუბიძე, შალვა ფორჩხიძე, ანზორ აბულაშვილი, ალექო შენგელაია, ევგენი ბარათაია, ვახტანგ გორგანელი, ლია ჭავჭავაძე, შალვა ამისულაშვილი, ზურაბ ლორთქიფანიძე, გიორგი სამხარაძე, აკაკი გეგეჭკორი, აპოლონ ადონია, თეიმურაზ აბულაძე, მანანა ჩიტიშვილი, ტერეზა ჯოჯუა, კალე ზობოხიძე, არჩილ გურჯიძე, კობა არაბული, არჩილ ფირცხალავა, სილოვან ნარიშანიძე, შორის ფოცხიშვილი, მერი მიდელაური, გურამ კლდიაშვილი, ნაილი ნეკერიშვილი, ალუდა არაბული, მირიან მირნელი, ზურაბ კუხიანიძე, ზაქარია შერაზადიშვილი...), თუმცა „სულეებისა“ და „ფიქრების“ ავტორი სხეაც ბევრია. მაგალითად, ამ სიაში მას შეეძლო შეეტანა შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, ბარათაშვილი, გალაკტიონი. ამ სიაში მას შეეძლო შეეტანა გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაკაეარიანი, შოთა ნიშნიაანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი... მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რადგან იცის, რომ ორჯერ ორი ოთხია. ამ სიაში მას შეეძლო შეეტანე მე, როგორც „სულეებისა“ და „ფიქრების“ ერთ-ერთი საკმაოდ ნაყოფიერი ავტორი, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ამავე სიაში მას შეეძლო შეეტანა ერთგან პოზიტიურ კონტექსტში უკვე დამოწმებული ოთარ ჭილაძე, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. სამაგიეროდ ერთი „იოლი“ ავტორი მან ამ სიაში შეიტანა ოთხგან — ორჯერ ორი მისთვის მუდამ ოთხია. ნუ მიწყენს ამ სიტყვას გურამ პეტრიაშვილი, რადგან ცოტა თუ არ გაიხუმრეთ, ცხოვრება მოსაწყენი შეიქ-

ნება, ისევე, როგორც მოსაწყენი ბა ცხოვრება, რომ არ იყოს პოეზია, და მოსაწყენი იქნება პოეზია, რომ არ იყოს ბევრი რამ ისეთი, პოეზიიდან რის განდევნასაც მოითხოვს გ. პეტრიაშვილი. მაინც რის განდევნას მოითხოვს იგი პოეზიიდან? შეეცდები გაეარკვიო ზოგი რამ.

ღიას, გ. პეტრიაშვილს შეეძლო, მის მიერ ტაბუდადებული სიტყვების მომხმარებელთა რიცხვი ნებისმიერად გაეზარდა როგორც კლასიკოსების, ისე ჩვენი თანამედროვე პოეტების ხარჯზე, მაგრამ რახან მან აარიდა თავი ამ საჩინოთირო საქმეს, მე უგვაკეთებ ამას, რათა მკითხველისათვის უფრო ნათელი შეიქნას, თუ რისი უარყოფის სურვილი კლავს გ. პეტრიაშვილს. მაშ ასე: „ქარი“, „სული“, „ფიქრი...“

მარი ჭკრის, მარი ჭკრის, მარი ჭკრის, ფოთლები მიჭრიან ქარღაქარ...

მარი არა სჩანს, მარი არა სჩანს... მაინც მწვერვალებს ედება მარი...

გალაკტიონ ტაბიძე
ისლის სახლი, ისლის სახლი!

მარი!
მარი!
მარი!

კონსტანტინე გამსახურდია
ძვირფასო, სული მეუბნება თოვლით...

გალაკტიონ ტაბიძე
სულში ზოროტო, ვინ მოგებო ჩემად

წინამძღვრად!
ნიკოლოზ ბარათაშვილი

წარსულით სავსე,
იმედით სავსე —
ხანდახან ისე,
ხანდახან ასე, —
მიგორავს სული,
მიგორავს სული,
მიგორავს სული
ღედამიწაზე.

მუხრან მაკაეარიანი

მან მიიღარა ტურნეზე ხელი
შემკრთალი სულის შეხაკავებლად,

ოთარ ჭილაძე
რიონივით ნაპირებს გადმოდი, სული!
შოთა ნიშნიაანიძე

ბარბელ ჰანტაშინი
შულაბა, სახეა ოცნებით...

მე სული მისი ხელთა შეერია...
ჩანსულ ჩარკვიანი
მიბმული ვიყავ მეგობრის სულთან...
ირაკლი აბაშიძე
სული სახლდარს გადაცილდა ფრენით.
ტარენტი გრანელი
შენი ფიქრების მაღალ ბალახში
ქიხინებს თფორი ცხენების რემა.
თამაშ კილაძე
ყაქის ძაფივით ფიქარი ამორთე...
სიმონ ჩიქოვანი
გამოვებთა ფიქრების ზვბრძობან
და ცალკე დაღვა ფიქარი მწუხარე...
მურმან ლებანიძე

დღით, (განსაკუთრებით — ქალბატონებს).

და მინც, ტონს როგორმე აიტანდა კაცი, კომპენსაციად ქეშმარიტებებს რომ ელოდეს... მაგრამ, სამწუხაროდ, ასე ვერაა საქმე.

დროებით თავი დაეანებოთ „ევგვალტაციის“ მცდარ და ცალმხრივ განმარტებას და მივუბრუნდეთ პეტრიაშვილის მიერ ტაბუდადებულ სიტყვებს. გ. პეტრიაშვილი წერს: „რადგან მათ (ე. ი. ჩამოთვლილ სიტყვებს. ტ. ქ.) ასე ხშირად ხმარობენ ლექსებში, ალბათ უნდა ვიგუფიხსნოთ, რომ ავტორებს ისინი „პოეტურ“ სიტყვებად მიაჩნიათ“. ლინგვისტიკის თვალსაზრისით, და ყველა სხვა თვალსაზრისითაც, ეს აზრი აბსურდია. რომელიც გნებავთ ენის ლექსიკური შემადგენლობიდან შეიძლება გამოიყოს სიტყვათა ჯგუფი, რომელიც მეტყველებაში სხვა სიტყვებზე უფრო ხშირად იხმარება, ეს კი უსათუოდ იმას როდი ნიშნავს, თითქო ხალხს ეს სიტყვები „პოეტურ სიტყვებად“ მიაჩნდეს. პოეზიაში კონკრეტულის თაობაზე გ. პეტრიაშვილმა ისე ნათლად გამოთქვა თავისი აზრი, რომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ ცხოვრებისა და პოეზიის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ასე რომ, სიტყვათა ის გარკვეული ჯგუფი, რაც ცხოვრებაში უფრო ხშირად სჭირდება ადამიანს, პოეზიაშიც ასევე ხშირად ახსენებს მას თავს. რაა მერე ამაში ცუდი? სხვა საქმეა, რას ამბობს იგი ამ სიტყვებით, როგორ წერს, რაზე წერს! აი, ამაზე ღირდა საუბარი!

მსგავსი მაგალითების მოტანა კვლავაც შემიძლია და სამისოდ დიდი შრომის გაწევა არ მომიხდება, რადგან „ევგვალტირებულ“ ლექსებს, ათას ნაკლთან ერთად, ეს ერთი ღირსება მინცა აქვს: ისინი უფრო იოლად გამახსოვრდება კაცს, ვინემ... არავგვალტირებელი („არავგვალტირებულის“ შემცველი ტერმინი მოსაძებნი გვაქვს).

შეიძლებოდა თუ არა, რომ გურამ პეტრიაშვილს არ სცოდნოდა ამგვარი მაგალითების არსებობა? არა, არ შეიძლებოდა! მაშინ რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? მხოლოდ ერთი: გ. პეტრიაშვილი, როცა „ევგვალტაცია-სა“ და „ევგვალტირებულ“ პოეზიაზე ლაპარაკობს, გულისხმობს ყველა პოეტსა და ლექსს, რომლებიც ეს-ესაა გავისხენე. „ევგვალტირებული“, თუ კარგად ჩავუყვირდებით, მეტსახელია ყველაფრისა, რაც გ. პეტრიაშვილის რეცეპტით არაა დაწერილი. ამ რეცეპტებს კი იგი დაუხარებლად არიგებს. ასე გგონია, ქართველი პოეტებით გაქედილ დარბაზში შემოდის საჯარო ლექციების კითხვით გაბეზრებული მეტრი და იწყებს თავის ერთ-ერთ მორიგ საუბარს პოეზიაზე. არა, ასე როდი საუბრობენ ლიტერატურის გამო. არც საქართველოს დიდ წარსულზე და უძველეს ძეგლებზე შეიძლება საუბარი ასე აგდებულად, მით უმეტეს, როდესაც ასე ახლოა გრემი — ერთის მხრივ, — „როცა ახლოა მზე შემოდგომის“ — მეორეს მხრივ! კოლეგებსა და ამხანაგებს მეტი პატივისცემით უნდა მოვეყო-

სიტყვა თავისი ურთიერთობებისათვის. მთელი განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ ბატონს საამისოდ სხვა სიტყვები გააჩნია“. ეს რაც შეეხება ერთი რიგის სიტყვათა ხშირ ხმარებას. კიდევ უფრო უცნაურია გურამ პეტრიაშვილის აზრი სიტყვისადმი დამოკიდებულებაზე. გინდ პოეტური უწოდებ, გინდ პროზაული, მაგრამ კარგი და ცუდი, ლამაზი და ულამაზო სიტყვები ნამდვილად არსებობენ! ნუთუ ეს ახალი ამბავია პეტრიაშვილისათვის! სულერთი როდია, რომელი სიტყვებით იტყვი იმ თქვენს აკეთებულ „სათქმელსა“ და „ინფორმაციას“, რომელსაც მთელი წერილის მანძილზე ასე ელოცავენ! ბიოთმაში მშვენიერი ისლი იცოდა, მაგრამ პაპაჩემმა ოდა ღარიანი კრამიტით გადახურა: სულერთი არაა, რით ააშენებ საცხოვრებელს. ამ არჩევანს იქით მთავრდება ყოველგვარი ლიტერატურა. თავში პირველად მოსული სიტყვებით არც ლაპარაკი შეიძლება და, მით უმეტეს, არც წერა. „არსებობს სიტყვათა იერარქია... ეს იერარქია ქმნის სიტყვათა შორის მნიშვნელოვან განსხვავებას (ჟ. ვანდრიესი)“. თვით გურამ პეტრიაშვილსაც არ აწყენდა, ცოტა მეტი ეფიქრა სიტყვების შერჩევაზე. მაშინ მის ნაწერში აღარ იქნებოდა ასეთი ფრაზები: „მრავალმნიშვნელოვანი მიმეცა“, „ავტორმა სხვაშიც გამოიწვიოს გრძობა“, „ლექსისთვის განსაზღვრული „ფართი“, „ფრაზა თავისი მალაფარდოვნებით ცარიელია“, „გაუცნობიერებელი აზრი(!)“, „რეცეპტი... ეგზეკუციად იქცა“, „აბსტრაქტულ ცნებას არ გააჩნია ფიზიკური ფორმა (!)“, „სხვადასხვა საგნებისა და არსებობის უსასრულო ნიშან-თვისებები“... „იემი აზრით, აქ ერთი გაუცნობიერებელი აზრი (?) მოქმედებს“... „ლექსი... მიიღება“, „ეგზალტაციით ხშირად მიიღება უზუსტობა...“ „ჭერ ერთი რომ, ბალ-ვენახში ჭერ არავის უნახავს გედი“...

ზემოთ მოვასენეთ სიტყვა „ეგზალტაციის“ ცალმხრივი განმარტების თაობაზე. ნუ დავიზარებთ და, როგორც ეს

საერთოდ მიღებულია, ამ ერთგვარულ „გავეგზავნ-გამოვეგზავნოთ“ ლექსიკონების შემდგენლებს. რა ირკვევა?

1. **ეგზალტაცია** — აგზნებული, გაღამეტებით აღფრთოვანებული. მდგომარეობა.

2. **ეგზალტირებული** — აგზნებული, აღტაცებული.

3. **ლირიკა** — ლიტერატურის სახეობა, რომელიც ლექსად გადმოსცემს ავტორის გრძნობებს, განცდებს, აზრებს; ახასიათებს მგზნებარება.

4. **ლირიკული** — ლირიკის ხასიათისა; გრძნობებისა და განცდების გამომხატველი, ისეთი, რაშიც სუბიექტურ-ემოციური ელემენტი ჭარბობს.

და ბოლოს, ზოგიერთების მაგიერ სინონიმთა ლექსიკონშიაც ჩაიხედოთ: აღფრთოვანება, აღმაფრენა, აღგზნება, ზემთაგონება, ვნება, ცეცხლი, წვა, აღტაცება! — აი, ეგზალტაციის სინონიმები სინონიმთა ნებისმიერი ლექსიკონიდან.

ვამტვრიო ახლა ღია კარები, რომ უამყველაფრად ჰეშმარიტი პოეზია არ არსებობს?

გურამ პეტრიაშვილისათვის კი, როგორც უკვე გავარკვიეთ, „ეგზალტირებულია“ მთელი ქართული პოეზია რუსთაველიდან — გურამ პეტრიაშვილამდე (ცხადია, მის ჩაუთვლელად...), და ეგზალტაციაზე ეს გაწიწმება მას ვერლიბრის სასარგებლო არგუმენტი ჰგონია. როგორც უკვე ვთქვი, წერილის ავტორი სიტყვა ეგზალტაციაში მხოლოდ ნეგატიურ შინაარსსა სდებს. ახლა ვნახოთ, როგორ ახასიათებს ი. კოვალიოვი ღიდი ამერიკელი მწერლის პერმან მეღვლის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ ყველაზე უნაყოფო პერიოდს: „მისი წერილებიდან ჭრება ეგზალტაცია, რაც გაისმოდა ჭერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ. ახლა ესაა დაღლილი კაცის წერილები...“ მოტანა მსგავსი მაგალითებისა, სადაც ეგზალ-

ტარიმლ ნანტჰრინ
აშლაპა, სანამ ოცნებით...



ტაცია სრულიადაც არაა საღანძღავი სიტყვა, კიდევ შეიძლება, მაგრამ ამჯერად ამას დავჯერდეთ. ესეც არ იყოს, ამ ყბადაღებული „ეგზალტირებული“ ლექსების წერა, მე რომ ზოგ-ზოგებს ვაკვირდები, არც ისე იოლი ჩანს. ყოველი შემთხვევისათვის, ჭირვეულ მკითხველს შესაძლოა ექვიც კი აღეძრას იმათი შესაძლებლობების მიმართ, ვისაც ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია, რომ სრულყოფილად ფლობს ყველა სალექსო კომპონენტს, და უკვე მიაშურა ვერლიბრს, როგორც პოეტური ავტონომიის მოპოვების მარტივ საშუალებას. მათ გასაგონად უნდა ვთქვა, რომ პოეტური ავტონომია თვითმიზანი არაა. თვითმიზანი ქეშმარიტ პოეტურ ღირებულებათა შექმნა უნდა იყოს. თანაც პოეტური ავტონომიას მაშინა აქვს ფასი, როცა გაქვს საკუთარი კონსტიტუცია, საკუთარი დროშა და საკუთარი ენა. როგორც ვნახეთ, ენისადმი დამოკიდებულებაში ჩვენი კრიტიკოსი ვერ უძლებს კრიტიკას. ახლა მის ზოგ სხვა დებულებასაც ვადავხედოთ.



გ. პეტრიაშვილს რომ ცუდი ლექსების შექმნის მექანიზმი აინტერესებდეს მართლაც, იგი შეეცდებოდა მაგალითებით ეჩვენებინა, თუ რატომ არის ერთი და იმავე პრინციპით შედგენილი ორი პოეტური სახიდან ერთი — კარგი, მეორე კი — ცუდი! რატომ არის კარგი გალაკტიონის „ძვირფასო, სული მევესება თოვლით“, და რატომ არ ვარგა ა. მიქაუტაძის „სულში მეღვრება რიონის ელვა“. მაგრამ, ვიმეორებ, გ. პეტრიაშვილს ეს მიზანი არ ამოძრავებდა. მას, უბრალოდ, სურდა ანგარიში გაესწორებინა „ეგზალტირებული პოეზიისათვის“, და ამით თავისი პრინციპების უპირატესობა დაემტკიცებინა.

ეგზალტაციისა და ყოველი „ზედმეტი“ სიტყვის წინააღმდეგ ბრძოლამ გ. პეტრიაშვილი მიიყვანა იქამდე, რომ პთეზიას მან დააკისრა ერთადერთი

ფუნქცია — ინფორმატორის ფუნქცია მოვუსმინოთ მას:

„აქ გვაქვს მხოლოდ უბრალო ინფორმაცია: „როცა მე ძალიან ხალისიანი ვიყავი“.

„ამასთანავე, ყველა ეს რებუსი შეიცავს ერთსა და იმავე ინფორმაციას: სიჩუმეა. ესაა და ეს“.

„მაგრამ, როგორც აღრე ვთქვით, ყველა ეს რებუსი ადვილად იშორება და მიიღება უბრალო ინფორმაცია, ლიტონი განცხადება — „ძალიან სევდიანი ვარ“.

მაშ ასე, მთავარია ინფორმაცია. რაც ამ ინფორმაციის გადმოცემის თვალსაზრისით ზედმეტია, ის ზედმეტია საერთოდ. ამ ე. წ. „ეგზალტირებულ“ ლექსებში თურმე ცოტაა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, სამაგიეროდ ეს ლექსები სავსეა ზედმეტი სიტყვებითა და რებუსებით. როგორც უკვე აღვნიშნე, ავტორი ირჩევს „იოლად გასაკრიტიკებელ“ ავტორებს. ასე რომ ჩემთვის ისევე ღიად რჩება ამ „ზედმეტისა“ და „რებუსების“ საკითხი ჩვენს პოეტურ კლასიკაში. რაა, მაგალითად, ზედმეტი, გ. პეტრიაშვილის აზრით, ამ სტრიქონებში:

მას გახელილი დარჩა თვალები,
 ო, გახელილი დარჩა თვალები,
 ის უცხო მხარეს გარდაიკვალა
 და გახელილი დარჩა თვალები.

მკითხველს ვთხოვ, მოიგონოს რუსთაველი:

მის მუხისა წესი იყო, თავი მისი ძვირად ფიცის,
 და თუ ფიცის, არ გატეხის, მასვე წამხა
 დაამტკიცის.

აღბათ იცით, როგორ უნდა მივიღოთ აქედან „უბრალო ინფორმაცია“: „მეფეს არ უყვარდა ფიცის გატეხა“.

აი, სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს ბატიფესურით ნაწერმა რეცეპტმა და „ეგზალტაციის“ წინააღმდეგ „წმინდა ომმა“.

ახლა გაიხსენეთ ანა კალანდაძის „მო-



ლითა და ნინო მთებთ“, ჩვენ რომ შე-
ღვერი გვეგონა:

მწყემსა ჰკითხა: — რომელია ქართლის გზა?

მწყემსმა უხობა: — საქართველო არის ეს!

დიდი ამბავი! რა ღირებული ინფორ-
მაცია უნდა მიიღოს მკითხველმა ამ მარ-
ტივი დიალოგიდან. აი, სანამღე შეიძ-
ლება მიგიყვანოთ, პოეტებო, „ეგზალ-
ტირებული“ ლექსების წერამ!

კიდევ უფრო ცუდადაა „ინფორმა-
ციის“ საქმე შემდეგ სტრიქონებში:

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...

არა, ლექსები ინფორმაციებისთვის
არ იწერება. ლექსები სიხარულისთვის
იქმნება. ინფორმაციებისთვის ავტორის
მიერ ირონიულ კონტექსტში ნახსენები
ბრაშურები არსებობს. კიდევ ბევრი,
ძალიან ბევრი რამ არსებობს ინფორმა-
ციების წყაროდ, ოღონდ არამც და
არამც — ლექსები!

სიტყვა ინფორმაცია რომ აიკვიტა, ამით წე-
რილის ავტორს იქნებ იმის თქმა სურდა, რომ
პოეტმა ბევრი რამ უნდა იცოდეს! დიახ, პოეტს
მართებს, იცოდეს ათასი რამ, მაგრამ პოეზიაში
ამ ცოდნის რეალიზაცია ცოტა სხვაგვარად
ხდება. მაგალითი. სენიანსა და უსმენოს, ყვე-
ლს გვიმღერია ღვთაებრივი აკაკის „ეგზალტი-
რებული“ ლექსი „ციცინათელა“. აკაკის მიერ
სამიჯნურო სიმბოლოდ ციციანთელას გამოყე-
ნება წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, მე-
ტი რომ არა ეთქვათ, გულბრწყილობაა. საქმე
ის არის, რომ დაფრინავს მხოლოდ მამალი ცი-
ცინათელა. რაც შეეხება დედალს (რომელსაც,
ეტყობა, სიმბოლოდ იყენებს აკაკი), იგი მხო-
ლოდ დაცოცავს და, რაც მთავარია, არ ანათებს,
ე. ი. მას, კაცმა რომ თქვას, არც კი უნდა ერქვას
ციცინათელა (იხ. მ. მინარტი. „სინათლე და ფე-
რი ბუნებაში“). დიახ, ასეა ეს მეცნიერულად,
მაგრამ რას აკლებს ეს აკაკის ლექსს? არაფერს!

ინფორმაცია საშინელ წყალდიდობაზე, რამაც
ამისობით აღამიანის სიცოცხლე შეიწირა,
ძრწოლას გვრის კაცს, მაგრამ იმავე ინფორმა-
ციამ, პროექტირებულმა პოეზიაში, შესაძლოა
ქეშპირიტი შემოქმედების სიხარული განვეც-
დევინოს. და ეს ხდება იმ უბრალო მიზეზის
გამო, რომ „პოეტური ინფორმაცია“ ჩვეულებ-
რივი ინფორმაციისაგან პრინციპულად და თვე-
სობრივად განსხვავებული მოვლენაა. მეტიც, ამ
გაგებით პოეზია ანტიინფორმაციულია. ასე

რომ, არავინ იცის, კმარა თუ არა ეს
„საოქმედები“ და „ინფორმაციები“
რანტიად, რომ ესა თუ ის „ლექსი“ პოეზიად იქ-
ცეს!

თვით ამ „პოეტური ინფორმაციის“ ოდენო-
ბა ვერ გამოდგება ლექსის ღირსების განმსაზღ-
ვრელ კრიტერიუმად. ესაა მხოლოდ: რაც უფ-
რო მეტია ეს „პოეტური ინფორმაცია“ ლექსში,
მით უფრო „კომუნიკაბელურია“ იგი — მით
უფრო კარგად ითარგმნება. ჩეხ ჟურნალისტებ-
თან კამათის დროს იანის რიციოსი და ნაზიმ
ჰიქმეთი იცავდნენ თვალსაზრისს, რომ პოეტუ-
რი ნაწარმოების შეფასების ერთადერთი კრიტე-
რიუმად სწორედ ეს კომუნიკაბელურობა უნდა
მივიღოთ. მათი აზრით ის, რაც იოლად ითარგ-
მნება — კარგია, რაც არა — არ ვარგა! მაგრამ
ვინა ყველა გაიზიარებს რიციოსისა და ჰიქმეთის
ამ თვალსაზრისს? რა ვუყოთ მამინ აკაკის!
გოეთეს! გალაკტიონს! რილეს! პასტერნაკს!
ცენტავებს! და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ
ბრწყინვალე პოეტს...

გადასარევი ღვინოა „უსახელოური“, მაგრამ
მსოფლიო სახელი ვერა და ვერ მოიხვეჭა იმ
უბრალო მიზეზის გამო, რომ მგზავრობას ვერ
იტანს. უსახელოურის ქვეყნის რომ მოხდის
გლუხიაცო, იმ მუხუროში ყველა იგებს სურნე-
ლით, რა ქვეყრიც მოუხდიათ სადღაც ახლო-
მახლო. ჩამოიტან ამ ვასაოცარ სისამულს თბი-
ლისში და აღარაა ის — „გალახულია“, დაკარ-
გული აქვს ეს ვასაოცარი სურნელი. მარტო
უსახელოურს არ ეხება ეს, საერთოდ ორნარიია
ღვინო: ერთი ვერ იტანს მოგზაურობას და ად-
გილზე მისვლამდე ყველა ღირსებას ჰკარგავს
თითქმის. მეორეს კი შეეძლოა მსოფლიო შე-
მოაღარო, და მის ფერს, „ბუკეტსა“ და გემოს
არა დააკლდეს. ასევე, ორგვარი ხასიათისაა
ლექსიც. პირველი აგრეთვე ვერ იტანს „მგზავ-
რობას“ ანუ, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, ძნელად
ითარგმნება, მეორეს კი ვერას აკლებს რთული
ტრანზიტული გზები — იგი ყველაგან ინარჩუ-
ნებს მთელ თავის ელვარებას. მოკლედ, ამგვარი
ლექსი იოლად ითარგმნება.

ეს განსხვავებულად კარგი ლექსები და ვან-
სხვაგვებულად კარგი ღვინოები ერთმანეთს არ
უშლიან. რატომ უნდა დავამციროთ ერთი მხო-
ლოდ იმის გამო, რომ მეორის ქება ვეინდა?

ეს „იოლად გაშიფრვისა“ და „ინფორმაციის
მიღების“ ფილოლოგია სხვა არაფერია, თუ არა
ცლა; კედელთან დააყენო კვარცა პოეზიისა,
საფუძველთა საფუძველი მისი — მეტაფორა.
რაც თავი მახსოვს, რებუსებზე და ლექსის ბუნ-
დოვანებაზე ლაპარაკობს ყველა, ვინც, ცრუ-
რეალიზმის საფარველს ამოფარებული, ფაქ-
ტიურად კლავს მშვენიერს პოეზიაში. გ. პეტ-

ბარბელ მანაშრაძე

აშულაბა, სპსსი ოცნებით...

რიაშვილი, „რებუსებს“ რომ ებრძვის, ამგვარ უკეთურ მიზანს როდი ისახავს, მაგრამ ობიექტურად ისიც კეუმარიტი პოეზიის მტრების წისკვილზე ასხამს წყალს.

ბუნდოვანება და სინათლე პოეზიაში — დიდად ბუნდოვანი საკითხია. ვერაფერს დიანახავ კუნაპეტ ლამეში, მაგრამ ვერც მაშინ შეხედავ რამეს, თვალბეში რომ ათასსანთლიანი ნათურა მოგაბეღიალონ. ასე რომ, კაცმა არ იცის, სად უფრო ძნელია დანახვა: გურამიშვილის „ბუნდოვან“ პოეზიაში თუ, ვთქვათ, მავანისა და მავანის „ნათელ“ ლექსებში. ერთი რამეც არის: მზის დაბნელებას რომ უტყვირო, ხელში მაინც-დამაინც გაპტურული შუშა უნდა გვეკიროს. ჩვეულებრივი, „ნათელი“ შუშით ვერაფერს დაინახავ. ახლა მე თქვენ გვითხებით: ნახშირმა, რომლითაც შუშა ვავებურეთ, დააბნელა თუ, პირიქით, გაანათა იგი? საოცრად მშვიდ და საოცრად დაშვინდილ ზღვაშიც კი შეუძლებელია ფსკერის დანახვა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ზღვის ფსკერი არ არსებობს. არც იმას ნიშნავს ეს, რომ ეს ფსკერი საინტერესო არ არის. ეს ჩვენი სისუსტეა, ჩვენი ადამიანური მჭკრეტელობის სისუსტე. ცხადია, პოეტს არ ეპატიება, ზღვის დარად დაუმალოს მკითხველს მისი სულისა და გონების საუნჯეები, მაგრამ მკითხველმა, თავის მხრივ, ხომ უნდა იფიქროს ამ სიღრმეებში ჩაღწევაზე, ხომ უნდა მოგეშალოს საამისოდ? პოეტმა უნდა სცადოს, წყნარი და გამკვირვალე იყოს მისი „ზღვა“, მკითხველმა კი უნდა „აქვალანავი“ იშოვოს და მის წიაღთა გასაცნობად შეემზადოს! «Чтобы написанное было просто, — об этом должен заботиться писатель, чтобы написанное было понятно — это забота читателя» — ვალერი ბრუსილის ეს მარჯვე განმარტება ნათელს ჰქნეს პოეზიაში ბუნდოვნისა და „რებუსის“ ყბადაღებულ საკითხს.

დაიბ, თანდათან გამოაცალა გ. პეტრიაშვილმა ლექსს ყველა ტრადიციული ელემენტი, მაგრამ „დრომოქმულ“ სალექსო კომპონენტებს რომ უარყოფდა, მას კინტიც არ დაუძრავს რითმაზე. ეს არც ყოფილა ჩემთვის მოულოდნელი რამ — გაიხსენეთ ანდაზა, ჩამოხრჩობილის სახელში თოქსე არ ლაპარაკობენ, რომ გვასწავლის. არადა, წერილის ავტორს მახელი ჯერ რითმის წინააღმდეგ უნდა მიემართა — რითმა ხომ მის მიერ კანონგარეშე გამოცხადებული „ეგზალტაციის“ მთავარი წყაროა.

რას არ გათქმევენებს რითმა! რითმას შეუძლია კარის მეზობელი შევაცდენინოს! გაკასინჯინოს კერძი, მთელი ცხოვრება რომ გჰქულდა! გაყვიროს აზრი, რომლის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება იბრძოდი! უმაზეზოდ გაგალახინოს დამკრევე შვილი! შემოგირიგოს მოღალატე ცოლი! წაგვდოს რედაქტორებთან! გაქომაგოს მოწინააღმდეგე გუნდისათვის!

ძირს რითმა!

მაგრამ სიკეთეც განუზომელი აქვს რითმას: მას შეუძლია, ყოველივე ის, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, გააკეთოს პირიქითაც! ამიტომაცაა რითმის თვით არსში ქვეცნობიერის მომენტი ასე მოკარბებულად, და ამიტომაც ითვლება იგი მოულოდნელ განწყობილებათა წყაროდ და ე. წ. „ეგზალტაციის“ ბერკეტად!

ვლადიმერ მაიაკოვსკი, მიუხედავად მის მიერ სხვათა გასაცუტურაკებლად მოგონილი ტერმინისა — „ლექსის კეთება“ — საოცრად ეგზალტირებული პოეტი იყო. ამ ეგზალტაციის წყარო რითმაა. ამაზე პოეტი თავად ლაპარაკობს თავის ცნობილ სტატიაში. ვისაც რითმა უკვლევია, ყველა ერთხმად აღნიშნავს რითმის ამ უნარ-თვისებას.

ღარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი მშვენიერად მოეხსენება წერილის ავტორს. და თუ იგი არსად არ ასხენავს რითმას, ამას, ვიმეორებ, თავისი მარტივი მიზეზი აქვს.

ეგზალტაციის წინააღმდეგ ამხედრებული გ. პეტრიაშვილი „ეგზალტირებულ პოეზიად“ აცხადებს ყველაფერს, რაც მისი რეცეპტით არაა დაწერილი, და ამ ლაშქრობით გართულს ავიწყდება, რომ ფაქტიურად იგი ებრძვის ამადლეხებსა და მშვენიერს. ებრძვის შთაგონებას, მეზის სახელით რომ იცნობს კლასიკა. გ. პეტრიაშვილი ღარწმუნებულია, რომ ნამდვილ შთაგონებას წარმატებით შეცვლის საინტერესო ინფორმაცია!

მრავალთან ერთად ერთი უცნაური დაავადებაცაა აღნუსხული მედიცინაში: ცრუ ფეხშიშობა! (graviditas spuria) უცნაურია ამ დაავადების მიმდინარეობა. მისი სინდრომი—ესაა ნამდვილი ფეხშიშობის სურათი (ცხადია, ნაყოფის გამოკლებით). სწორედ ამგვარი „ცრუ შემოქმედებითი ფეხშიშობით“ არიან შეპყრობილი ზოგჯერ პოეტები — მათ ეჩვენებათ, რომ მუცლით ატარებენ ნაყოფს, და ეს განცდა ისე მძაფრია, სახესუე კორფლსაც კი დააყრის მათ სხივითა, წელი შეეწინებებათ, მკავე მოენატრებათ, ტუჩებში გამოებურტებათ, ვული ერევიან... მოკლეც, თითქოს უნდა შობონ! არადა, წინამდვილში მათს ამგვარ ყოფას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ორსულობასთან, რამეთუ არსადია ის მეორე სული — ნაყოფი! მე არ ვეკუთვები ის ადამიანთა რიცხვს, ვისაც სწულდება აღიზიანებენ: მათი ბრალი როდია მათი ავადმყოფობა! მაგრამ სობრალული იმას როდი ნიშნავს, ერთმანეთში ავრიოთ ნამდვილი და ცრუ ფეხშიშობა! ასევე, ერთმანეთში არ უნდა აგვერიოთ ნამდვილი და ცრუ შთაგონება, და მათი პირდაპირი შედეგი — ნამდვილი და „ცრუ“ ლექსი!



რადგან არის სინტერესო ინფორმაციებით გაწყობილი „ლექსები“, რომელსაც, დანა რომ კრა, სისხლი არ გამოუვა, და არის ჰუმანიტარული განცდის ამალღებული ნაყოფი, რომლის ვარდისფერი პრილობიდან მარად მოთქრიალებს სისხლი, ცრემლი და ღიმილი...

დიან! გ. პეტრიაშვილი არსად არ ასენებს რითმას — ეგზალტაციის ამ მიზეზთა მიზეზს, და ამას იწვევს „რითმის კომპლექსი“, შიში იმისა, რომ ამ თემაზე საუბარმა შესაძლოა არასასურველი მიმართულებით წარმართოს კამათი. სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო: გ. პეტრიაშვილის წიგნში მხოლოდ ურითმო ლექსებია დასტამბული.

განვიხილოთ ეს წიგნი.



ამთავითვე უნდა ვთქვა უმთავრესი რამ: გურამ პეტრიაშვილის წიგნი ნიჭიერი ქართველი პოეტის წიგნია. ეს არის წარმატებული დებიუტი პოეზიაში. და ეს ასეა იმიტომ, რომ პეტრიაშვილი — პოეტი ყოველთვის როდი უჩერის პეტრიაშვილ-კრიტიკოსს. მის წიგნში უნებლიეთ მოუყრია თავი „ეგზალტირებულ“ განწყობილებებს, „უმნიშვნელო“ ინფორმაციებს, „ზედმეტ“ სიტყვებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ „რებუსებსაც“ კი... მოკლედ, ყოველივე იმას, რის კანონგარეშე გამოცხადებასაც მიეძღვნა მისი სტატია. ეს კარგი წიგნია იმიტომ, რომ მის ავტორს აბასთუმნის, ბიურაკანისა და ნიუ-ჰემპშირის ტელესკოპებიდან დანახულ ცას თივის ბუღულიდან თვალმოკრული ღრუბელი ურჩევნია:

მართლა თუ სჯერათ ამ ასტრონომებს,
რომ თვინათ ტელესკოპებში ვარსკვლავს
ხედავენ?

კრიკინებით ხავე ბულულზე
თუ არ წევხარ ზაფხულის ღამით
და არ იგონებ
შენს სახეზე
ქალის თმების პირველ შეხებას, —
განა ვარსკვლავს
ვარსკვლავი ჰქვია?

ამ პაწია ლექსით გ. პეტრიაშვილი მარტო ასტრონომებს კი არ ეკამათება,

არამედ იმ გ. პეტრიაშვილსაც, რომელსაც მაც ლირიკული კრებულის ყდა გრემულეებით აპურელა, ოცნება ფესვის ნიშნით გადახაზა და, ორჯერ ორი ოთხიან, დაიყინა. მშვენიერია ლექსები: „მე ბავშვობაში კულბაწარა ვისროლე მაღლა“, „ზედნიერი დღე“, „მთელი დამე ბიძაჩემი შფოთავდა ძიღში“, „ზომალაზიაში“, „და როდესაც მიმოიხედეს“, „დილაადრინა“, „კურდღელი“, „დიდ ცისფერ ბურთს შავდა ბავშვობა...“ მაგრამ კრებულში არის გ. პეტრიაშვილის ლიტერატურული შეხედულებების რეალიზაციაც. და მეც პოეტის ყურადღება სწორედ მათზე მინდა შევაჩერო.

საერთოდ, თითქმის ყოველი კრიტიკული შენიშვნა, რასაც გ. პეტრიაშვილი მის სტატიაში თავმოყრილ პოეტებს აძლევს, ბუმერანგივით მასვე უბრუნდება.

მაგალითი. იგი პოეტებისაგან მოითხოვს კონკრეტულობას. წავიკითხოთ ერთი მისი ლექსი ამ თვალსაზრისით:

ღამით სკოლაში ხავეშაკოდ შეპარულები
სამახწავლებლოს ღია კართან შევჩერდით
უცებ.

„რა ექნა, მიყვარსო“ —
ეუბნებოდა ვიღაცას ჩუმად
და საბრალოდ ტიროდა ჩვენი
მათემატიკის მასწავლებელი...

სხვათა შორის, ამ ლექსიდან არა ჩანს, თუ „კონკრეტულად“ რომელ სქესს განეკუთვნება მათემატიკის ეს სენტიმენტალური მასწავლებელი: ტირილი მართო ქალისთვის მომადლებული უნარი არაა. ასე დაკარგა ლექსმა კონკრეტულობა. მსგავსი მაგალითი წიგნში სხვადაცაა.

შემდეგ გ. პეტრიაშვილი ზერს სიტყვა „სულზე“, რომ იგი „ამჟამად ყველაზე მრავალტანჯული სიტყვაა ქართულ ენაში“.

იქლა წყნარი აღმთანი.
და მისი სული

ბარბილ მანბური
აშლაბა, სახეა ოცნებით...



ლანობრილი,
გახვეული მტვრიან პალტოში
მტვრიან წინყარში
ობლად გვიდა.

აი, სად არის სული ტანჯული ყველაზე მეტად, და ამ „სტანჯველის“ ავტორი გ. პეტრიაშვილია. ამდაგვარ კონტექსტებში შეგიძლიათ იპოვოთ თითქმის ყველა სიტყვა, რომელთა ხსენებისთვისაც ამდენ ირონიას ხარჯავს გ. პეტრიაშვილი.

შემდეგ, ავტორი სტატიისა საყვედურობს ერთ-ერთ ავტორს, რომ მან „ჩერ სული ტაძართან გაათანაბრა და შემდეგ მიანიჭა მას ტაძრის დამახასიათებელი ნიშანი — ანთებული სანთლები“.

წავეითხოთ გ. პეტრიაშვილის ერთი ლექსი ამ თვალსაზრისით:

ორხანაბრა
დაკირხლულ ბაღში
დიდ ხეებს შუა
წვანან მინის ღირიებალები,
თითქოს ამ წუთას მოსულნი შორით...
ნება რა ქვეყნებს გადაუფრინეს
და რომელი მზის შუქით აივსნენ,
ან რომელი ცის ღაფვარდებში იხეტიალეს,
რომ ყველა მგზავრი,
კარგიც და ავიც,
ყვავილებად გადაქცეულა?

გ. პეტრიაშვილმაც, მის მიერ გაკრიტიკებული ავტორის მსგავსად, „ჩერ ორანჟერეა ღირიებაბლთან გაათანაბრა და შემდეგ მიანიჭა მას ორანჟერეის დამახასიათებელი ნიშანი — ყვავილები“.

ალბათ კმარა. რა შეიძლება დასკვნის სახით ითქვას! მართალია, გ. პეტრიაშვილი — პოეტი კვალში არ მიჰყვება გ. პეტრიაშვილს — კრიტიკოსს, მაგრამ სამაგიეროდ პეტრიაშვილი — კრიტიკოსი ორთოდოქსულად თანმიმდევრითა: დაუნდობლად ებრძვის „ეგზალტირებულ“ პოეზიას. ვგონებ, მკითხველისთვის უკვე ნათელი უნდა იყოს, რომ გ. პეტრიაშვილის საბოლოო მიზანი იმდენად ცუდი ლექსების გაკრიტიკება არაა, რამდენადაც ის, რომ „ამბრაზურას გადაეფაროს“ და ამით საფრთხე აარიდოს თავის თავისუფალ ლექსებს. არადა, მისი შიში სავსებით უსაფუძვ-

ლოა. მის მიერ შერისხული „ეგზალტირებული“ ლექსი, ერთის მხრივ, და ვერლიბრი, მეორეს მხრივ, პარალელური ხაზებია, რომლებიც პრაქტიკულად ერთმანეთს არ კვეთენ. ისინი საუკუნეების წიალიდან მოდიან ასე ჭულფად. ყველა ქვეყანა და საუკუნე გამოიარეს მათ. და ვინც ჩვენი პოეზიის წარსული კარგად იცის, მას ისიც მოეხსენება, რომ არც საქართველო ყოფილა ამ თვალსაზრისით გამონაკლისი. ასე რომ, ტყუილად ეშინიათ ზოგიერთებს. იმას, რასაც ისინი აკეთებენ, არსებობას უფლება დიდი ხანია მოპოვებული აქვს სხვათა მეცადინეობით. ამიტომაც ადვოკატი არ სჭირდება მას, მით უმეტეს — ცუდი ადვოკატი.

ნურც იმას იფიქრებს ვინმე, თითქოს ეს ამერიკა მისი აღმოჩენილი იყოს. პოეზიაში ეს ბილიტიც, ისევე როგორც მისი მთავარი გზა, დიდი წინაპრების მიერაა გატყეპნილი, თავი რომ დაგანებოთ ბიბლიასა და ძველ ჰიმნოგრაფებს, ელიოტსა და აპოლინერს, სენ-ჟონ პერსსა და ეზრა პაუნდს, ნეზვალსა და ნერუდას, არაგონსა და მიშოს, და კიდევ ბევრ ვინმეს, ჩვენშიაც მრავალსა ჰქონდა ასეთი ცდები. პირველ რიგში ეს გალაკტიონია, ტიციან ტაბიძეა, პაოლო იაშვილია, სიმონ ჩიქოვანია... შეიძლება მხარს უჭერდე ყველას, ვინც ამ გზით მიდის, მაგრამ ეს იმის უფლებას როდეს გაძლევს, აუვად მოისვენო ისინი, ვინც მთავარ გზას გაჰყვა, და არა ბილიკს, ბოლოს და ბოლოს იმავე მიზნისაკენ რომ მიდის...

ახალი ქართული თავისუფალი ლექსის დადგინების პროცესი ჩერ არ დასრულებულა, ზოგიერთებში კი უკვე ინაწილებენ დაფნებს ამ საქმეში დამსახურებისათვის (ამგვარი განწყობილება გამოკრთა რამდენიმე სავაზელო წერილსა თუ რეცენზიაში, რომლებიც ამ ბოლო ხანს გამოქვეყნდა). არადა, თუ ეს დამსახურებაა, მაშინ იგი პირველ რიგში დამსახურებაა მთაწმიდელთა და ძველი ქართველი ჰიმნოგრაფების...

ეს დამსახურებაა გალაკტიონისა და მისი თანამოსაგრებების...
ეს დამსახურებაა მუხრან მაკავარიანისა (გახსენეთ „იმერული ქელები“, „ლენინის ქუჩა“ და სხვ.);

ეს დამსახურებაა ოთარ ჭილაძისა, რომელიც კლასიკური სალექსო ზომების ფარგლებში ცდილობს მოიპოვოს აბსოლუტური თავისუფლება და სივრცე (მოიგონეთ მისი „თიხის სამი ფირფიტა“, „აღამიანი ვაზეთის სექტში“.);

ეს დამსახურებაა მურმან ლუბანიძისა (ამ აზრს ადასტურებს მისი თავისუფალი ლექსები,



აგრეთვე თარგმანება, განსაკუთრებით — ეგვიპტური ლირიკის ნიმუშთა თარგმანი);

ეს დამსახურებაა შოთა ჩანტლაძისა (ამას აღასტურებს მისი ლექსების ერთადერთი კრებული);

ეს დამსახურებაა გვიგ გვეგუკორისა, რომელიც სენ-ჟონ პერსის, ვიომ აპოლინერის და სხვათა თავისუფალი ლექსების გადმოღებისას იძულებული იყო გულდავულ ეძებნა ადვილტური ფორმები ქართულად;

ამავე უფლებით, ეს დამსახურებაა თამაზ ჩხენკელისა, რომელმაც ძველჩინური თუ ძველჩინური პოეზიის თარგმნისას იგივე გააკეთა;

ეს დამსახურებაა ჯემალ აჯაიშვილისა (იხილეთ ძველებრაველი პოეზიის მისეული თარგმანი) და ზვიად გამსახურდიასი (იხილეთ „ამერიკული პოეზია“).

ეს დაფნები, თუ იგი მაინცადამაინც ახლა უნდა განაწილდეს, ეკუთვნით უფრო ახალგაზრდებსაც, რომელთა ცდებიც საინტერესოდ მენვენება ამ მხრივ. ამ თვალსაზრისით თავისი გამორჩეული ტალანტის წყალობით ცალკე დგას ბესიკ ხარანაული, რომელიც ჭოქტად ამკვიდრებს მისი სახელოვანი სენსის — ბესიკის ლექსის ანტაპოდს. მრავლისაღმტკმელი პირველი წიგნის შემდეგ გამოცემული მისი პოემა „ხეიბარი თოჯინა“, ჩემი აზრით, წინ წადგმული მეტრეტრად მოკლე ნაბიჯია, მაგრამ ეს ნაბიჯი თავისუფალი ქართული ლექსის დამკვიდრების ძნელ გზაზეა გადადგმული და, ამდენად, საპატიოა. ასევე საპატიოდ მერჩვენება მე ლია სტურუსი, ჯარჯი ფხოველის, სასესებით ახალგაზრდარენე კალანდიას და იმავე გურამ პეტრიაშვილის გარჯა.

ამასთან ყოველ მათვანს, გარდა ვ. პეტრიაშვილისა, (ბესიკ ხარანაულს — თარგმანებით, ლია სტურუსს, ჯარჯი ფხოველსა და რენე კალანდიას — საკუთარი შემოქმედებით) დამტკიცებული აქვს, რომ, მერტყალებად და ასე თუ ისე, ფლობს ყოველ სალექსო კომპონენტს). ამიტომ მე აღარ მიჭირს დაეუჭერო მათ. ვ. პეტრიაშვილის შემთხვევაში კი საქმე ცოტა სხვაგვარადაა. და როცა იგი ასე გაწინამტებული ებრძვის „ეგზალტირებულ“ ლექსებს, მე მერჩვენება, რომ ამას სულ სხვა მიზეზი იწყევს... არადა, პოეზია ამ შემთხვევაში იმ უნიკალურ ქარქაშსა ჰგავს, რომელშიაც რამდენიმე ხმლის ჩაგება ზერზდება: რითმიანი ლექსი და ვერლიბრი ერთმანეთს არ უშლიან. პირიქით, მათი თანაარსებობა კიდევ უფრო თვალსაჩინოა ხდის ერთმანეთის როგორც ნაყუს, ისე ღირსებას. მართლა ლიბრი უნდა ქონდეს კაცს თვალზე გადაფარებული, რომ ვერლიბრის სიკეთე ვერ დაინახოს. არც მისი მომავლის წარმოდგენას სჭირდება დიდი ფუტუროლოგობა! მხოლოდ აქ საკითხი ასე დგას: გაფორმდა კი იგი ჩვენში საბოლოოდ? არ ვიცი, ხალ როგორ მიმდინარე-

ობდა ეს პროცესი, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ვერლიბრი ყალიბდება ერთის მხრივ რითმისა და მეორეს მხრივ თეთრი ლექსის კონტრამინაციის გზით. თანაც ეს პროცესი, ეტყობა, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. ასე რომ, ერთის აღიარებისთვის მეორის უარყოფა არაა აუცილებელი: აქ მაინცა ვთქვათ უარი ამ საზიზღარ ჩვენულებზე!

სხვათა შორის, ერთის აღიარების მიზნით მრავალთა შეგინება და შეუტრაცყოფა ზოგი ჩენი კრიტიკოსის მიერ დანერგული ზერზია. ვასთოეთ, ხომ? როგორ დიწყო ტროას ომი: ყველას სურდა ხელში ჩაეგდო ეაშლი წარწყვრით — „მას, ეინც ყველაზე მშვენიერია“.

ჩენი კრიტიკოსებიც დროდადრო გამოავარებენ ეაშლს, რომელსაც აწერია: „მას, ეინც ყველაზე ნიჭიერია“, და ელოდებიან, როგორ და როდის ატყდება ომი. სამწუხაროდ, ხშირად აღწევენ მიზანს...

ეს მავნე პრაქტიკა თვალში არ უნდა მოგვივიდეს და, ვერლიბრისთვის მოქალაქეობრივ უფლებებს რომ ეიბევენ, ცხადად თუ შეფარვით, ბროსა არ უნდა გამოეუცხადლო ყოველივეს, რაც ამ კალაპოტით არ მიედინება.

გურამ პეტრიაშვილის ერთ ლექსში ლაბარაკია მხატვარზე, რომელიც რატომღაც მთელი ცხოვრება მხოლოდ ლამფებს ხატავდა და „ორნამენტებში, ფერებში და ხანებში გართულს თურმე უკვე დიდი ხანია ავიწყდებოდა, ლამფის შუშებში ჩახატა სინათლის ალი“.

დიას, ცუდია, როცა ლამფას, თუნდაც დახატულს, აკლია სინათლის ალი, მაგრამ ბევრად უფრო ცუდია, როცა ეს ალი და ცეცხლი აკლია ლექსს. ეს ალი და ცეცხლი კი ის „ეგზალტაციაა“, რომლის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოგვიწოდებს გურამ პეტრიაშვილი. შემძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამ ლაშქრობაში ნაღდი პოეტები მას მოკავშირეებად ვერ გამოადგებიან. ასე რომ, პოეტ გურამ პეტრიაშვილს, რომლის წიგნიც მე პრინციპში მომეწონა, ვურჩევ, არ დაუჭეროს კრიტიკოს გურამ პეტრიაშვილს, რომლის წერილიც მე პრინციპულად არ მომე-

ბარეალ მანძურნი
უშლავა, სამსა ოცნებით...



წონა, და ვთხოვ, ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყოს, თითქოს ორჯერ ორი ოთხი იყოს: პოეზიაში ორჯერ ორი შეიძლება იყოს სამიც, სუთიც, ათასიც, მაგრამ ოთხი — არასოდეს! დაიჯერო, რომ ორჯერ ორი პოეზიაში უდრის ოთხს, ეს ნიშნავს, ფრთები შეაქრა ოცნებას. ჩვენ კი, როგორც ეს გურამ პეტრიაშვილის მიერ დაუმსახურებლად გა-

კენწილიმა გივი გეგეჭკორმა ერთხელ მოგვეგონა, მხოლოდ მანამ ვიქნებით ბედნიერი და უძლეველი, „სანამ გვექნება ოცნების თავი!“
სათაურიც ჩემი წერილისა („ყულაბა, სასეე ოცნებით...“), რომელიც გურამ პეტრიაშვილის ლექსიდან მაქვს ნასესხები, შეიცავს აზრს, რომ ოცნება ყოველი სიმდიდრისაგან უმჯობესი საუნჯეა!

2. მონათხაზთა ბანაჟი

...და აი, მეორე გურამი — გურამ დოჩანაშვილი, მაღალნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი, თავის მშვენიერ მოთხრობაში: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძალიან უყვარდა“ („ცისკარი“, № 7) ამტკიცებს, რომ ორჯერ ორი სულაც არაა ოთხი. მოუესმინოთ მოთხრობის გმირს: „უთქვათ ღვანან ერთად... დიდებული ესპანელი ინვალიდი და გვერდით კი უღვას ეს ჩვენი ნაცნობი ვიგინდარა, წელან რომ დავიხასიათეთ... პოდა, ჩამოივლის იმდროინდელი ჩამორჩენილი, ანდა, შესაძლოა, ნიჭიერი მათემატიკოსიც კი და რომ ჰკითხავენ — რამდენი კაცი ღვას ქუჩაში? — იტყვის: „ორი“. აბა, გეკითხებით, ვანა ეს პასუხია? როგორ თუ „ორი“ — ის და ის — ესე იგი — ერთი პლუს ერთია? აჰ, არა, არა, ხანდახან არაა მათემატიკა ზუსტი მეცნიერება. ლიტერატურაში კი, ჩემო კარგო, ეჰ, ასეთი უზუსტობა არასოდეს არ მოხდება, ყველაზე უკანონებო მეცნიერება თუმცაღა კია...“

მე კრიტიკოსი არა ვარ, რომ ამ მოთხრობის საფუძვლიანი ანალიზი მივაწოდო მკითხველს, მაგრამ მისგან მოგერილი სიხარული მაინც გადავდო იქნებ, და მაშინ ეს სტრიქონები გამართლებული იქნება, რადგან გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა ქებათა-ქებაა მკითხველისა, და მრავალი ისეთი პრობლემის დასმა და მხატვრულად მისი გადაწყვეტის მარჯვე ცდა, რასაც ჩვენი ახალგაზრდული პროზა, მის რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენელთან ერთად, ლი-

ტერატურის ერთადერთ ცენტრალურ მაგისტრალზე გაჰყავს...

თავის დროზე ლამაზი იდალგო წიგნის კითხვამ აქცია დონ კიხოტად. დღესდღეობით წიგნის კითხვა დონკიხოტობაა.

მარსელ პრუსტის მშვენიერი ესე — ტრაქტატი „კითხვის შესახებ“ იკვლევს წიგნისა და მკითხველის ურთიერთობას. ახლა ამ თანაცხოვრებაში, ამ სიყვარულში გაჩნდა სხვა, ზედმეტი!

ადიულტერის მესამე წევრი — ცისფერი ეკრანია.

ცისფერ ეკრანზე დროდადრო გამოჩენილი ემბლემა წიგნისა წარმატებით ცვლის წიგნს: ჩვენს მაგიერ კითხულობენ სხვები — უკეთესი დიქციით! უფრო ლამაზები! უფრო ლამაზად!

თუ თავად სერვანტესს დავუჯერებთ, მან დიდებულად იცოდა, რასაც წერდა. სერვანტესის შედეგის ინტერპრეტატორთა უმეტესობას რატომღაც საჭიროდ მიაჩნია ამტკიცოს, რომ გენიალურ ესპანელს ამ წიგნის წერისას მეტისმეტად მოკრძალებული მიზანი ჰქონდა: რაინდული რომანების კითხვისაგან ქუთხანადობი იდალგოს თავგადასავალი.

წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ცდებოდა „დონ კიხოტის“ ავტორი და სწორი ვართ ჩვენ — მისი მკითხველები.

ახლა კიდევ ერთხელ — უკვე მერამდენედ — ვნახოთ, რა დაამავა ამ უწ-



ყინარი რაინდული რომანების კითხვამ!
 ამ წიგნებმა მართლაც უღრძეს ჰკუთ
 ღარბმ აზნაურს — იგი გახდა მის დროს
 ყოველად საექვო ღირებულებების: სი-
 კეთის, სიწმინდის, სინათლის ფანატი-
 კოსი ქომავლი!

ათასჯერ მოკვდება იგი ერთი სიცოც-
 ხლის გადასარჩენად!

მრავალი ტრაგიკული მომენტია ჩვენს
 საუკუნეში, მაგრამ ეტყობა, უშთაფრესი
 ერთია მაინც: ჩვენს თვალწინ ისპობა
 წიგნის მკითხველი, როგორც ნედლეუ-
 ლი, როგორც მასალა დონკიხოტობისა-
 თვის!

ყველა მარკუზეს ნიჰილიზში და ყვე-
 ლა მაკლიუნენის ტელეპესიმიზში ერთ-
 გვარ ობიექტურ საფუძველს მაინც არაა
 მოკლებული!

იკარგება მკითხველი. ქრება წიგნის-
 მიერი სიხარული!

„ფორსაიტების საგის“ მრავალსერიი-
 ან ტელეფილმად „გარდათქმას“ ის აზრი
 ჰქონდა მხოლოდ, რომ მან ამ წიგნისა-
 კენ მიაბრუნა ათასობით ტელემაყურე-
 ბელი — მაყურებელი აქცია მკითხვე-
 ლად.

რადგან როგორი ყრკოლაც არ უნდა
 მოგვეგაროს მთვარის ხრიოკი კრატერე-
 ბის დანახვამ, ან კიდევ მისი დიდებუ-
 ლი ზედაპირიდან ასტრონომალდის აფ-
 რენის ამალეღვებელმა სანახაობამ, იგი
 მაინც ვერასოდეს ვერ შეცვლის „კაზა-
 კებისა“ თუ „ქუჩის“ კითხვით მოგვ-
 რილ სიხარულს!

არადა, „შრომატევადი“ სოციოლო-
 გიური კვლევის გარეშეც ნათელია, რომ
 მკითხველთა რიცხვი მცირდება მოსახ-
 ლეობის რიცხობრივი ზრდის შესაბამი-
 სად.

ის კი არა, სადღეისოდ ზოგ-ზოგები
 გულში ალბათ იმ დროს შენატრიან სუ-
 ლაც, როცა ჩვენს მაგიერ ერთ მშვენი-
 ერ დღეს საოჯახო კომპიუტერი ჩაა-
 ბულებულვებს ბესტსელერს და მერე
 ფრიალ ლაკონურად მოგვახსენებს მის
 შინაარსს.

წავიდა ის დრო, როცა კითხვას მია-
 ტოვებდნენ ყველაზე საინტერესო ად-

გილას, რათა გამოეზოგათ სიხარული
 მოსაწყენ გაკვეთილზე მერხში ქუ-
 ლულად წაკითხული „დეკამერონი“.

წიგნში ჩანინული ფოთოლი, ან ყვა-
 ვილი. — პებელასავით უფერული და
 უღონო.

რიგში დგომა და მოლოდინი, რომ
 შენც გერგება გაცრეცილი, ათას ხელში
 და ცრემლში გამოვლილი, ფურცლები.

არმეებზე მინაწერი გულუბრყვილო
 ლექსები, დაახლოებით ასეთი:

მე ეს წიგნი წავკითხე
 და ძალიან მომეწონა,
 მარად იყოს მისი ხსოვნა,
 ვინც ეს წიგნი დაგვიწერა!

(ღიას, ხსოვნა! რადგან მკითხველთა
 შეგნებაში მწერლის ადგილი სადმე პან-
 თეონშია, ღამაში იასამნებით მორთულ
 სავანეში).

სინანული იმის გამო, რომ მაინცდა-
 მაინც შენსობას გაწყდა ძაფი, რომე-
 ლიც დაგლუჯილ ყდას იმაგრებდა!

და ეს გაუთავებელი: „დაწექი!“ „დაი-
 ძინე!“ „ჩააქრე!“ „დაწექი!“

მოარული აფორიზმი იმის თაობაზე,
 რომ წიგნის ქურდი ქურდი არ არის...
 და ამიტომაც გაჩენილი სხვა მინაწერი
 არშიაზე:

მე ეს წიგნი მიყვია,
 ნაღდი ფული მიმიცია,
 ვინც მომპარავს, უსათუოდ
 დაიქირავს მილიცია!

რა ცოტა იყო წიგნი მაშინ!
 და რა ბევრი იყო მკითხველი!

დღეს ნახავ პოლიგრაფიულ შედევ-
 რებს, რომელთაც კაცი ხელის ხლება
 არ უწერიათ. ისინი მეშჩანური ანტუ-
 რაქის მოუცილებელი ელემენტებია
 მხოლოდ, იუგოსლავური „როჯერსისა“
 თუ სახელგანთქმული რუმინული თა-
 როების სავალდებულო ტვირთი და
 მტვერი!

რა ბევრია წიგნი დღეს!
 და რა ცოტაა მკითხველი!..

„გრუნტიკისა“ და „ფილიპისს“ მარ-

ბარბელ ზანბჰრიბ
 აშულაბა, სამხე ოცნებით...

კის მაგნიტოფონები ძილში გვასწავ-
ლიან ინგლისურსა თუ კიკუიუს ენას,
იმას კი აღარ გვეუბნებიან, რომ სასურ-
ველია ამ ენებზე ვიკითხოთ წიგნი...

მომავალში ალბათ გურმანების საკი-
თხიც წარმატებით გადაიჭრება: რით
ვერ შეცვლიან აბები სუფრის მოსაწყენ
რიტუალს! დროს, რომელსაც ახლა ჰა-
მაში ვხარჯავთ, მოვახმართ ტელევიზო-
რის წინ ჯდომას — ვნახავთ ფილმს,
როგორ ჰამდნენ ჩვენი წინაპრები!

ჩემთვის უცხოა ყოველგვარი დემოგ-
რაფიული პესიმიზმი. ერთადერთი,
რაც ალბათ საქართველოს მომავალს
ემუქრება, ქართველი მკითხველის გულ-
გრილობაა!

როგორც ცაზე თავისი ვარსკვლავი
აქვს ყველას, ისე მკითხველიც ყოველ
მწერალს თავისი ჰყავს.

ყოველ ეპოქას ჰყავდა თავისი დიდი
ტირანები, დიდი მწერლები და... დიდი
მკითხველები!..

ამ უკანასკნელთა გამო მატიანეები
სდუმან!

„ლიბერ ლიბერუმ“ — „წიგნთა წიგ-
ნი“!

ბელგიელ, ამერიკელ, ინგლისელ და
იტალიელ მეცნიერთა ერთობლივი გარ-
ჯის ამ საინტერესო ნაყოფში გამოიწე-
ლილვითაა მოთხრობილი დამწერლო-
ბის 5000 წლიანი ისტორია: ეტრატისა
და მელნის მომზადების წესი, თიხის გა-
მოწვის უმჯობესი ხერხი, იეროკლიფის
გამძლეობის საიდუმლო... და არაფერია
ნათქვამი მათზე, ვინც ამ ეტრატსა და
თიხის ფირფიტებს კითხულობდა.

არადა, ცივილიზაციის ისტორია —
ბოლოს და ბოლოს, ეს არის მკითხვე-
ლების ისტორია!

გაიხსენეთ დიდი ილიას გულისტკივი-
ლი: ჩვენი ისტორია მეფეთა ისტო-
რიააო, რომ ბრძანებდა!

მეფეთა და მეფე-პოეტთა ისტორია!

და არაფერია, ან თითქმის არაფერია
ამ ისტორიაში ნათქვამი მასზე, ვისი და-
ბებკილი ჩოხის კალთამაც ჩვენამდე მო-

იტანა მეფეთა და მეფე-პოეტთა ეს
ათასგვარი „გაბაასებანი“...

როცა ასუანის კაშხლის მშენებლო-
ბამ აბუ-სიმბელის ტაძრის გადატანა
მოითხოვა, გამოირკვა, რომ ჩვენი საუ-
კუნის ნაქები ტექნიკა უძღურია იმ მო-
წილობის დასაძრავად, რომლებიც
მონების შიშველმა ხელებმა იმ სიმაღ-
ლეზე აზიდეს. ამიტომაც ტაძარი... და-
ხერხეს და ისე მიიტანეს ახალ საცხოვ-
რებელ ადგილამდე.

ხეოსისა და ხეფრენის პირამიდებ-
შიაც მათი გრანდიოზულობა როდი
გვანცვიფრებს მხოლოდ, არამედ იმის
შეგნებაც, რომ ეს ასტონიანი ლოდები
სუპერამწეების წყალობით არ აუტა-
ნიათ ფარაონთა მარადიული განსასე-
ნებლის ზეთავზე.

მერედა რას, რა წიგნებს კითხულობ-
და ეს „პრიმიტიული“ ხალხი?

ერთი წიგნი მახსოვს ასეთი: „რას
კითხულობდნენ ეგვიპტელნი 4 000
წლის წინათ“.

წიგნში ძველეგვიპტური მითები, ლე-
გენდები და ლოცვანია თავმოყრილი.

და მაინც, სათური გაუმართლებლად
პრეტენზიული მეჩვენება. ჩვენ ბევრი
არაფერი ვიცით იმის თაობაზე, თუ რას
კითხულობდნენ ეგვიპტელები 4 000
წლის წინათ. სადღაა დღეს ის წიგნე-
ბი, — თაკრა მზეზე გამომწვარი ფირ-
ფიტები და პაპირუსის გრაგნილები,
ფერგადასული პალიმპსესტები და ძვი-
რფასი პირველეტრატები!

ბავშვობაში, წესიერ წიგნებს დანატ-
რულმა, ყოველმა ჩვენგანმა საკუთარ
უბედურებასავით განიცადა ალექსანდ-
რიის ზღაპრული ბიბლიოთეკის საცა-
ვებში მოდებული ხანძარი!

ის ცეცხლი იმ წელს არ ჩამქალა.
დღესაც გიზგოვებს ის კოცონი: წიგნე-
ბის მიმართ გაციებული გული ის ცეცხ-
ლია, სხვა არაფერი!

გურამ დონანაშვილის დიდებული
მოთხრობა: „კაცი, რომელსაც ლიტერა-
ტურა ძალიან უყვარდა“ სავსეა შუქით,
რომელმაც ეს გაციებული გულები უნ-
და გაათბოს და გაანათოს!..



თამაზის წლიურია თემა — მუშა-მისაშობურე-
 თა თავისუფალი დროა. ხელმძღვანელი გა-
 მოსაყვამთხი ადამიანების პროფესიის შერჩევას
 თამაზს ანდობს. თავიდან მშვენიერად აეწყობა
 საქმე. გამოსაკითხი პირები — რესპონდენტე-
 ბანი — მარტივად და ამომწურავად პასუხობენ.
 მაგრამ აი, თამაზი გადააწყდებდა კაცს, რომელიც
 ყველა კითხვას ერთადერთი კუთხით — ლიტე-
 რატურული კუთხით უღვებდა. თამაზი, ცოტა არ
 იყოს, მწყურალადა მხატვრულ ლიტერატურას-
 თან, ამიტომ დაბნეულია და რესპონდენტი ხან
 გივი გონია, ხანაც მთვრალი. რესპონდენტი თა-
 მაზს აცნობს თავის თანაშემწევსა და თანამზრახ-
 ველს — კლიმს, რომელიც მასავითაა შეყვარე-
 ბული ლიტერატურაზე. და თამაზი იძულებუ-
 ლია, ამ ორი უცნაური კაცის ბავიდან ისმისოს
 თასი სისულელე ვინმე აურელანისა და ქალ-
 ბატონ ზოვარაზე, იმაზე, რომ თურმე რესპონ-
 დენტს რიგში დგომისას დრო სულაც არ ეკარ-
 ვება, რადგან შესაძლებელია ამ დროს იფიქრო
 ლიტერატურაზე, რომ მათემატიკა მისთვის არ
 ყოფილა ზუსტი მეცნიერება, რადგან მწერალი
 სერვანტისი პლეს ვინმე ვიგინდარა არაა ორი;
 რომ იგი თურმე არასდროს გამოდის კრებებზე,
 რადგან დაუშვებლად მიიჩნია ერთნაირად ესა-
 უბროს ორ კაცს, რომელთაგან ერთს არ წაუ-
 კითხავს სტენდალი, მეორეს კი ვადამუღბულე-
 ბული აქვს; რომ მისთვის საცოლე წაურთმე-
 ვია კაცს, რომელიც გვანებია სიტყვას „გაე-
 ძეხი...“

ხელმძღვანელი, თამაზის ვიზიტის შედეგებს
 რომ მოისმენს, საჭიროდ ჩათვლის, თავად ეს-
 ტუმროს რესპონდენტს. რესპონდენტი ხელმძღ-
 ვანის დანახვისთანავე ვილაც პერსონაჟს —
 ვინმე ჯანჯავიძე სემონაროს ამგვანებს. თუმცა
 დიდი გაუგებრობაა, საუბარში ის მინც ირკვე-
 ვა, რომ თურმე ხელმძღვანელი არ იცნობს სამ-
 ხრეთ ამერიკის პროზას. მაშინ რესპონდენტი
 გულწრფელად ულოცავს ხელმძღვანელს, რად-
 გან მას წინ დიდ ბედნიერება ელის — პირვე-
 ლად წაითხვის სიხარული... თავდაპირველად
 ხელმძღვანელს ამაყად ეკირა თავი — თამაზი-
 სავან განსხვავებით მას რაღაც მინც ჰქონია წა-
 კითხული. დიკენსის „დავით კოპერფილი“,
 მაგალითად, მაგრამ ირკვევა, რომ ეს ზღვაში
 წვეთი არ ყოფილა. ამიტომ, დაცინვას რომ
 თავი აარიდოს, ხელმძღვანელი ახალ შეკითხვას
 აძლევს რესპონდენტს: როგორ მოაწყობდით
 ცხოვრებას, ეს რომ თქვენს ნება-სურვილზე
 იყოსო დამოკიდებული! რესპონდენტს ბევრი
 უოცნებია თურმე ამაზე, და ბედნიერია, თავისი
 გეგმების განხორციელების საშუალება რომ ეძლევა:
 მისი ნება რომ იყოს, მთელ ქალაქს კარცერ-
 ლუქსებით მოჰფენდა. ეს თქნებოდა იდეალურად
 მწყობრილი თათხებია მხატვრული ლიტერატუ-
 რის საყვარელად, წიგნებით გამოტენილი კარა-

და-თარობით, ინბანიტ ჰერმობატული,
 გამოამწყვდედენენ უმაწვილ უსაქმურებს და
 გეგმარობიერად ვაეცნობდენ სხვადასხვა მწერ-
 ლებს. ამ ღონისძიების შედეგად ყმაწვილ უსაქ-
 მურის ნაცვლად მივიღებდით „რომელიც
 „კლიმს“, ენე იგი კაცს, რომელიც ძლიერ უყ-
 ვარს ლიტერატურა... და თუმცა ხელმძღვანელი
 აღიარებს ლიტერატურის გარკვეულ მნიშვნე-
 ლობას ადამიანის „ხედმეტ, თავისუფალ დრო-
 შა“, და მიიჩნია, რომ ლიტერატურა სულაც
 არაა „ხელწამოსკრავი რამ“, მისთვის ამხელა
 როლის მინიჭება სრულ გაუგებრობად მიიჩნია.
 ანკი როგორ გინდა გაუგო ადამიანს, რომლის
 პასუხებიც არა და არა გავს მთლად დალაგებუ-
 ლი კაცის პასუხებს. როგორი ტანსაცმელი მის-
 წონს? — ფართოფიბიანი, წიგნი რომ უკეთ ჩაი-
 ტოს! კინოფილმები თუ უყვარს? — არა, რად-
 გან ლიტერატურის დავინანსებული კონკურენ-
 ტია. და თუ მინც საქმე საქმეზე მიდგა, ტიტ-
 რებიანი ფილმები ურჩევნია — რაღაც მინცაა
 წასაკითხი! როგორი კომუნალური პირობები
 აქვს? — კარგი, რადგან ცენტრალური ვათბო-
 ბის უქონლობას სავსებით ანაზღაურებს მო-
 ხერხებული სავარძელი და რიგიანი ტორშე-
 რი — მოეწყვ და იკითხე რამდენიც გინდა...
 დაბა, რა გინდა გაუგო ამნარი კჳუს კაცს. აკი
 ვერც გაუგო ხელმძღვანელმა. მაშინ რესპონ-
 დენტი დინჯად და აუმღვრეველად უხსნის, რაა
 ლიტერატურა. ორნარიად უხსნის. მარტივად:
 „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის
 შემდეგ ხდება ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ...“
 და რთულად უხსნის: „— ქვეყნად არსებულ
 ხმაურთან ერთს გამოვეყოფი — ყველაზე სა-
 შინელს, უსიამოს, გულდამწყვეტსა და ვინ
 იცის, კიდრე რა — ესაა პირველი გონამის და-
 ცემა სავლაგში ჩადგმულ კუბოს სახურავზე.
 გავახსენდათ, არა?... ხანდახან... ბნელი ღამით,
 უეცრად ვაღვიძებულს, უცნაური... სიცხადით
 წარმოვიდგებთ სიკვდილი, რომელიც, დარწ-
 მუნებული ბრძანდებოდეთ და, მოკ... ჩვენ
 ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა. და თქვენგან...
 განსხვავებით... სიკვდილისაც ნაკლებად გე-
 შინია, რადგან მრავალჯერ მოემკვდარეართ და
 ყველაფერი, აჰ, ყველაფერი გამოვიციდია —
 მეფელ ვყოფილვართ, სიკეთისათვის ხის ხმლით
 გვიბრძოლო, ხან დაფნა დავგიდგამს თავზე; ხა-
 ნაც — ეკალი. სქელი ხალისაც გაუშლიათ ჩვენს
 სავალ გზაზე, ყვეილმოყრილი, და ნაკვერჩხ-
 ლეზზეც შიშველი ფეხისგულეებით გვივლია...
 ქარაფშუტულად გეიქაჩანია, მოცილინი ენას
 ეატლიკინებდით, და ისეც მომხდარა, ბავდახ-
 შულთ, თოქმეტი, დიდხანს გვიტარებია უცხო
 საიდუმლო. ეჰ, ის ხმაური მაინც გვესმოდა... და
 ბევრი, ბევრი სიციოცხლე გვინდოდა, ბევრნი-

ტარიელ ზანაშვილი

უშუალება, სავსე მოგონებით...

გავს იმათ ბრძოლას, გზასაცდენილ-
თათვის ერთ გზას რომ ხედავენ მხო-
ლოდ — მოკვეთას! გურამ დოჩანაშვი-
ლი გზასაცდენილთათვის ეძებს კათარ-
ზისის გზას, და მის პოვნაში მწერალს
ეხმარება ოცნება. ამ ოცნების შედეგია
ეს „კარცერი — ლუქსები“, სადაც ნაჭ-
რილობევი სულელები უნდა მოშუშდეს.

შემჩნეული მაქვს: უარყოფითი გმი-
რები ხშირად იქცევიან თვითნებურად,
დადებითი პერსონაჟები კი ნაბიჯსაც
ვერ გაადაგამენ ავტორის დაუკითხა-
ვად! მწერალიც პასუხს მსოლოდ ამ
უქანასკნელთა საქციელზე აგებს, გუ-
რამ დოჩანაშვილის მოთხრობაშიც მწე-
რლის თვალსაზრისს ვასიკო კეყერაძე
და კლიმა გამოხატავენ! — კეთილი
„ოპოზიციონერების“ ეს უცნაური ტან-
დენი!

ვასიკო კეყერაძემ არამკითხველი
მკითხველებისათვის „კარცერი — ლუქ-
სები“ მოიგონა! მაგრამ ეს კარცერი
არაა მარტოობის კარცერი. პირიქით —
იგი მთელ ქვეყნიერებასთან ყოფნის
კარცერია, კაცობრიობის დიდ წარსულ-
თან შესხვედრის ადგილია, ადამიანების
მიერ გადახდილ დიდ ომებში მონაწი-
ლეობის ასპარეზია. აქ შეგიძლია ერთად
განიცადო ათასი გაწბილებული სიყვა-
რულის სიმწარეც და ჰარამხანაში ტრი-
უმფატორი შაპის მიბრუნებაც, ათასჯერ
მოგვეკლავენ აქ, და ათასჯერ გადარჩე-
ბი, რათა ისევ იცვალო სახე და ერთ-
დროულად იყო მეფეცა და მონაც, გმი-
რიცა და ლაჩარიც, ვალერის მენიჩბეცა
და მქონებელი მეკობრეც, გულჩვილი
ჯალათიცა და უშიშარი სიკვდილისჯი-
ლიც...

იმ ფაქტს, რომ ერთ პატარა წერილში
ამდენჯის ვახსენე სერვანტესის გმირე-
ბი, თავისი მიზეზი აქვს: სერვანტესი
გურამ დოჩანაშვილის მოძღვარი და სა-
ლოცავი ოსტატია, ამ სიყვარულს კი არ
შეეცაო თავისი კვალი არ დაეჩნია
ახალგაზრდა კაცის წიგნებზე, მართლაც,
გ. დოჩანაშვილს თითქმის არა აქვს
მოთხრობა, სადაც არ მოძრაობდეს დი-
დი ესპანელის მოუხეშავი ლანდი, ან

სადაც ნაწარმოების გმირებს არ დასთა-
მაშებდეს სერვანტესის პოეტური სამ-
ყაროს შუქი! ასეა ეს მოთხრობაში:
„გრიშა ანუ მთავარი“, ასეა ეს მოთხრო-
ბაში: „ჩემი ტერეზა, ჩვენი ბუჭუტა“,
ასეა ეს თითქმის მულამ... და თუმცა მე
სავსებით მაქვს შეგნებული ამგვარი
სკოლის მთელი სიკეთე, მაინც ვფიქ-
რობდი, რომ მომავალში გ. დოჩანაშვი-
ლი უნდა მორიდებოდა სერვანტესთან
მეტისმეტ სიახლოვეს, რადგან დიდმა
მუხამ ჩრდილიც დიდი იცის! როგორი
რულუნებითაც დამწყები ფერმწერი
იხატავს შედეგის ასლს, ისეთის სიბე-
ჯითით იმეორებდა გ. დოჩანაშვილი თა-
ვის დროზე თავისი დიდი წინაპრის სეე-
დასა და სიხარულს, მაგრამ განსწავლის
წლები, ეტყობა, უკან დარჩა, და დღეს
მისი მოთხრობა სავსებით დამოუკიდე-
ბელი წიგნია — საკუთარი სეედითა და
სიხარულით.



ალბათ როგორ შურთ ვასიკო კეყე-
რაძესა და კლიმს, წიგნში თავჩარგულ
მოსკოველებს რომ ხედავენ ყველგან:
მეტროში; ავტობუსში, ყვავილების
რიგში...

ვასიკო კეყერაძემ და კლიმმა იციან,
რომ ინტელიგენტების რიცხვით საქარ-
თველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა
მსოფლიოში! და მაინც, გამორიცხული
არაა მოეჩვენოთ, რომ არსად ისე ცო-
ტას არ კითხულობენ ადამიანები, რო-
გორც საქართველოში!

იქნებ არც იყოს შემთხვევითი, რომ
გურამ დოჩანაშვილის ეს ასირებული
გმირები ასირებულები არიან იმ მხრი-
ვაც, რომ საქართველოში — ღვინის ამ
კლასიკურ ქვეყანაში, როგორც სიყვა-
რულით ეძახიან ჩვენს საშობლოს შელ-
ვინებული ჟურნალისტები — არ სვამენ
ღვინოს!

და ამის ნაცვლად კითხულობენ. კით-
ხულობენ. კითხულობენ...

სხვებსაც აიძულებენ იკითხონ. ამგ-

ბარბელ ხანტაია

ყულაბა, სავსე ოცნებით...



ვარი იძულებისთვის, როგორც ვნახეთ, მათ „კარცერი — ლუქსები“ გამოიგონეს და შიგ გამოამწყვდის ყველა, ვინც ნებით არ ისურვა ხელმისაწვდომი სიხარული...

ნორმან მეილერს თავისი წიგნისთვის დართული აქვს ცხრილი, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდა დასახელებული ერთის მხრივ ჰიპებისა და მეორეს მხრივ სქუერთა საყვარელი წიგნები და საქმიანობა. მე არ ვიცი, მართლა ურჩევნიათ თუ არა ფილადელფიელ ჰიპებს ჰაიდგერი სარტრს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მხოლოდ შურისა და მიბაძვის ღირსია ამერიკელ მწერალთა და სოციოლოგთა ამგვარი მეცადინეობა — იცოდნენ უკლებლივ ყველაფერი საზოგადოების ყოველი ფენის ვატაცებებსა და ინტერესებსზე. ვითომ ჩვენთვის ზედმეტი იქნებოდა იმის ცოდნა, თუ რას კითხულობს ჩვენი ახალგაზრდა მკითხველი? ან არის კი იგი — მკითხველი? და თუ არ არის — რატომ?

გურამ დოჩანაშვილი ჯიუტი სოციოლოგის სიბეჯითით იკვლევს ამ პრობლემას და, სანამ მისი გადაჭრის ოპტიმალური გზა გამოჩნდებოდეს, მანამდე ამ „არამკითხველი მკითხველებისათვის“ აგებს „კარცერ-ლუქსებს“...

გურამ დოჩანაშვილის ამ „კარცერ-ლუქსში“ ჯერ თვითონ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობას შევავაზნიდი.

მერე ამ „კარცერებში“ შევავაზნიდი კარცერების ამბავს — ნოდარ დუმბაძის განმარტებულ „თეთრ ზაირალებს“.

მერე ამ „კარცერებში“ შევავაზნიდი ჰაუა ამირეჯიბის რომანს: ამ წიგნშიც საქმარისადაა კარცერების ამბავი.

მერე ოთარ ჭილაძის წიგნს შევავაზნიდი. რომანს „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ არ შეიძლება მასიური მკითხველი ჰყავდეს. და აი, ვაჟა საჭირო „კარცერი-ლუქსი“, რომ დასხდნენ და იკითხონ... და ისწავლონ კითხვა, რადგან არსებობს პისარევის მიერ დასმული კითხვა: „იციოთ კი კითხვა?“

ყველამ როდი იცის კითხვა! ყველას როდი სურს კითხვა!

შევავაზნიდი ჰაუა ამირეჯიბის წიგნს და ვნახავდი, მოუხდებოდათ თუ არა მისი ვაგრძელების წყაითხვა...

მასხოვს, მისაკო ჯიბლაქემ მიაშბო დუეკო შევარდნაძეზე:

ვანთქმულ დირალსა და მის რაზმელებს ეკლესიის კედელზე გაყრული წარწერა უნახავთ. წარწერა ფირალის მოლატეს 1000 ოქრის პირდებოდა თურმე. წაუციოხავს დათიკოს წარწერა და მჰაკაცს მიბრუნებია:

— ისე, რომ იცოდე შენ, შეცდომაა წარწერაში, წერტილი აკლია!

— სად, კაკო?

— ე ბიჟო, ევერ! — და ფირალს ხელუკლმა ნსროლი ტყვიით გამოუსწორებია ეანდარმის მიერ დაშვებული ორთოვრადიული შეცდომა. და ეს ხდებოდა იმ დროს, როცა „თავისუფლების არმიის კაპიტანმა“ ხელმოწერა არ იცოდა! ასეთი ყაჩაღები ჰყავდა საქართველოს.

მათს ჭკევაში თავისუფლებისაკენ ერის დაუცხრომელი ლტოლვა იყო გამოხატული!

თუ არა თავისუფლებისაკენ ამ გიჟური ლტოლვით, სხვაგვარად ვერ აიხსნება მეხუზლას ფირალად გუარდნის მიზეზი. ვაღმოცემა ამტკიცებს, რომ დილით საფოხარში გასულმა მეხუზლამ დახედა თოხს, მერე ვახედა ყანას და — არა, ამით მე იმის მომრევი არ ვარო! — მოისროლა თოხი და სურების ტყეს შეერია თოფიარალიანი!

სისხლი წვიმდა რომინ ჰუდისა და ხოაკინ მურიეტას ვანარებზე, არსენა კი ამაყობს, რომ კაცის სისხლი არ აძვეს...

ათასგვარია ვმირობა, ყაჩაღებს რომ ჩაუდენიათ, მაგრამ უნიკალური და ვამორჩეული ერთია მაინც მათ შორის: სისონა დარჩიას ვმირობა!

სისონი დარჩია

ვანთქმულია ბიჟობაში,
შევიდა და მჰა იტირა,
არ შეშინდა იმდონ ჯარში,
ცალ ხელში თოფი ეტირა,
ცრემლი მუასხამდა თვალში:
აღე, ბიჟო, მომეხმარე,
თოფი არ მკრას ვინმე თავში...

სისონა დარჩიამ სიციოცხლე სასწორზე შევადლო, რომ მჰა ეტირა! არ შეეძლო არ ეტირა! ქართველს არ შეუძლია არ დიტიროს მჰა, თუნდაც ამას სიციოცხლე დასჭირდეს მისი! ასეთი ყაჩაღები ჰყავდა საქართველოს!

ქართული მწერლობა ვალში როდია ამ სახალხო ვმირების წინაშე: კაკო ყაჩაღი, ბაში აწიუკი, ვაბრო, მაკე ხეტიკა, სიმონა, ფირალი დავლაძე, არსენა და კადეე მრავალი სხვა — ეს ის სახეებია, რომლებშიაც ჩვენი ერის თავისუფლებისმოყვარე სულია ვამოხატული!

ჰაუა ამირეჯიბის დათა თუთაშხია თავისუფლებისაკენ დაუცხრომელი ლტოლვის ვამომხატველი ახალი და მეტისმეტად საინტერესო სახეა.



დათა თუთაშხია და მუშენი ზარანდა თითქმის ერთმანეთს, მწერლის მიერ ორად გაყოფილი, რათა უკეთ წარმოჩენილიყო ორი მარადიული საწყისი. დათა და მუშენი წყლის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს, ოღონდ იმ შენიშვნით კი, რომ ერთი წვეთი — ცის ნამივით კამკამა, ხოლო მეორე მღვრე და ტუჭყინა...
ოთარ ჭილაძის რომანს შევაგზავნიდი-მეთქი, ვთქვი!

ჩვენმა ხალხმა კარვად იცის „შუალენო“, „სახარჯო ღვინო“, „შინა ღვინო“... მაგრამ რომელი ქართველი აკადრებდა საპატოო სტუმარს წყალგარეულ სანმელს!

და თუმცა ოთარ ჭილაძის მშვენიერი რომანის ანტურაჟი დიდძალ არაქართულ მასალას მოიცავს, წიგნის ავტორი და გმირები ქართული სულით არიან გაქვნილნი, და ამიტომაც, გასაყვირი არაა, თუ ძველ ბერძენთა ეპოლიოზაზე თავის ღვინოს წყლით არ ანზავებს პოეტი. იგი გვასმევს მაგარ, აუზღვრეველ, ფიცხ ღვინოს, რომელიც გვათრობს ძლიერ.

ოთარ ჭილაძეს არ შეიძლება ბევრი მკითხველი ჰყავდეს. რთული სახეობრივი სისტემა, ასევე რთული მეტაფორა, დროში სავანთა და მოვლენათა რეტროსპექტული გადაადგილება და, ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, თითქმის უდიდოლოვო, გრაფიკულად ძალზე დამძიმებულ ნაწიერ ვერ მიიზიდავს გამოუცდელ ან შემთხვევით მკითხველს! მაგრამ ხომ არიან ნამდვილ ღვინოზე, მის ფერსა და ბუჭყუნე შეყვარებული ადამიანები — კარგი კომპაზიტები, ნამდვილი ყურძნის წვენის დამფასებლები!

ჩვენბ ოთარ ჭილაძის ზომალდს იმაზე მეტი ტვირთი ჰქონდეს ტრიუმფში, ვიდრე მისი წყალწყვა ოთარისწინებს ამას, (და ბორტზეც ორი-სამი კაცი ზედმეტი ჰყავდეს აყვანილი — მეტწილად უცხოელი), მაგრამ სკეპტიკოსთა გასაგონად უნდა ვთქვა, რომ ამ ზომალდს არავითარი საფრთხე არ ემუქრება — დიდხანს იცურებს იგი, და ალბათ შორეულ წყლებშიც...

ერთ ინგლისელ კრიტიკოსს, რომლის გვარიც ვერა დევერ გავიხსენე, მოხდენილადა აქვს ნათქვამი ბეკეტის „გოლოს მოლოდინზე“: „ბიესაში არაფერი არ ხდება. თანაც ეს არაფერი — ორჯერ ხდება“. ბეკეტის „არაფრისაგან“ (ცხადნა, მრავლისმეტყველი „არაფრისაგან“) განსხვავებით; ჰაბუა ამირჯიბისა და ოთარ ჭილაძის რომანებში პირდაპირი ვასაოცარი ამბები ხდება — უცნაური, მეტისმეტად საინტერესო, ზოგჯერ დაუფრებელიც კი! მაგრამ ეს დაუფრებელი ამბები ათასგზის უფრო სარწმუნოა, ვიდრე ის „თვალთ ნანახი“ და „გავგონილი“ სისულელებია, წარმოუდგენლად უნიჭო წიგნებში რომ გვხვდება ზოგჯერ!

ოთარ ჭილაძის წიგნი მითია, რომლისაც სინამდვილედ ქცევა განუზრახავს პოეტს!

ჰაბუა ამირჯიბის წიგნი სინამდვილედ არის ლიც ხვალ მითად უნდა იქცეს!

ამ ორი მწერლის გმირები სათქო ერთმანეთის რეტროსპექტული ხატებია, ისინი თითქმის სამყაროს თავსა და ბოლოში დვანან, გაღმა-გამოღმა, და ეს სიმორე, ეს მანძილი მათ შორის ქმნის განსხვავებულობის ეფექტს.

მე ეს წიგნები მომეწონა, და ეკვიც არ მეპარება, რომ გ. ლოჩანაშვილის „კარცერ-ლუქსებში“ მათ წარმატება ელის!..

ცხადია, მე მხოლოდ უცანსეულ ხანებში შექმნილ უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებებზე ვლაპარაკობ, თორემ იგულისხმება, რომ ყველაფერი, რაც ღირსეული და ფასეული დაწერილა ქართულ ენაზე, უძვე იქაა, — „კარცერ-ლუქსებში“, სადაც პირველად წაიკითხვის სიხარული ელით ადამიანებს...

ესეც არ იყოს, მე სულაც არ მევალება „კარცერ-ლუქსებში“ შესავაზენი წიგნების შერჩევა!

კლიმა და ვასიკო კეყერაძემ თავად იციან, რა წაიკითხონ, მაგრამ რა ქნან იმათ, ვისთვისაც წიგნებით დატვირთულ თაროებს თავგზა აუბნევიან? ვთქვათ, გურამ ლოჩანაშვილის გმირების წყალობით მართლაც სხედან ახლა ეს მიმნდობი ადამიანები თავიანთ „კარცერ-ლუქსებში“ — და გველოდებიან, რა წიგნებს შევუგზავნით! მერედა, ვინ უნდა ითავოს ეს საქმე, ვინ უნდა შეარჩიოს საამისოდ წიგნები — უკეთესი მოთხრობა და ლექსი?

ვინ უნდა გამოიცინოს იქ „შესავაზენი“ ნაწარმოებები?! რა კრიტიკიუმებით უნდა შეფასდეს ისინი?.

ყველამ იცის სარქალი და თაგზობანი, მაგრამ ცოტა ვინმეს თუ სმენია ერთი უცნაური ინსტიტუტის — მცნობის ინსტიტუტის ამბავი. მცნობი იშვიათი კაცია მწყმეში და გამოჩენული პატივითაც სარგებლობს თავისი განსაკუთრებული, მე ვიტყვოდ, თითქმის ავადმყოფური უნარის გამო — დოლის ჟამს იცნოს და დედას მიგვართოს ბატკანი (მინცალამაინც საკუთარი შვილი). მცნობი რომ არა, შეივლდაკარგული ცხვერვის პეტელი იგრეიონის საყვირით დააქვევდა ფარებს. კრიტიკოსი ამ მცნობით უნდა იყოს, მასაც გამოჩენული და იშვიათი ნიჭი ესაპიროება და მოეთხოვება მცნობისა, რომ ყოველ „ბატკანს“ — ყოველ ლექსსა და მოთხრობას თავისი სახელი დაარქვას, თავისი გზა და პატრონი უპოვოს. არა-მწყმესი, ამ გამოჩენული ნიჭის უქონელი, არ ფყარებს

ბარიელ ზანტურიძე
უშუაბა, სამცხე მთიანეთი...



თავის მცნობის საქმე. აი, კრიტიკოსობას კი, სავალალოდ, ბევრი ჩემულობს ისეთი, ვისთვისაც განგებას საამისო უნარი არ მიუმაღლებია. ხომ ამდენი მწარე სიტყვა დაეხარჯე გურამ პეტრიაშვილის წერილის მისამართით, მაინც გამართლებულად მიმაჩნია მისი დაბეჭდვა.

მისი პათოსი მკითხველს აფიქრებინებს, რომ საჭიროა ახალი კრიტიკიკების შემუშავება. საჭიროა არსენას არმინი, საჭიროა მსოფლიო სტანდარტების დონეზე ასვლისთვის ზრუნვა და ფიქრი. კრიტიკის არაიდენს ძაფი, რომელსაც ლიტერატურის ლაბირინთებში მხარტყელი მკითხველი სამზოზე უნდა გამოეყვანა, მეტის-მეტად საეუკო ღირსებისა ჩანს. საჭიროა მისი შეცვლა. და ყოველივე ამაზე მე კიდევ ერთხელ დამაფიქრა აღნიშნულმა წერილმა. ამისთვის მადლობა მის ავტორს! მაგრამ ჩემს ამ მაღლობას ყველა ის შენიშვნაც უნდა ხლებოდეს, ზემოთ რომ მოგახსენეთ. უამშენაშენებოდ ჩემი მადლობა არ იქნებოდა მართალი კაცის სწორი სიტყვა. ახლა კი ნამდვილად მაქვს ამის პრეტენზია.

კრიტიკის მხრივ არასწორი შეფასებანი ყოველთვის წინასწარგანზრახული „ბორტების“ შედეგი როდია. არააშვიათად ესაა შეცდომა. რთულია ამ შეცდომების მექანიზმი. ზოგჯერ ამ შეცდომებს იწვევს შეცდომების შიში — ვიეთ მართლა ახალი აღმოჩნდეს ის, რაც ახლად გამოჩნდა: ლექსი; ნახტი; მუსიკა.

მაგრამ შეცდომები დიდად ვერ დაახარალებდა მწერლობას, წინასწარგანზრახული მკვნე ტენდენციების ჭეხირიც რომ არ ეღობებოდეს წინ მის განვითარებას. „არაობიექტური არჩევანი“ დღეს არ დაწყებულა. იგი კაცობრიობის ხნისაა. ვაგისხენოთ, როგორ დაირიგა დღე კი-ხოტმა ერთი დამწყები პოეტი: „თუ ლიტერატურული შეჯიბრებისათვის წერთ ლექსს, ეცადეთ მეორე ჯილდო მიიღოთ, იმიტომ, რომ პირველს ყოველთვის კეთილგანწყობილების ან დიდი შთამომავლობის გამო იძლევიან, მეორე კი ნიჭის ჯილდოა, ის ენიჭება ნამდვილი სამართლიანობით. ამნაირად მესამე ჯილდო არსებობდა მეორე ზღვება. ბოლო პირველი — ნამდვილ მესამედ, ლიცენციატთა იმ ხარისხების მხგავსად, როგორცმაც ჩვენს უნივერსიტეტებში აძლევენ. მაგრამ მაინც პირველი ჯილდო დიდი სახელი და ღირსებაა.“

ყოველ ჩვენგანს კარგად ახსოვს ბიბლიდანი, თუ როგორ აცოუნა რებეკამ ბრმა ისააკი და როგორ დაალოცინა მას იაკობი ისააკის ნაცვლად!

ქართული კრიტიკა დიდი ხანია ბრმა ისააკსა ჰკვებს: რახანია, ლოცავს იგი იაკობს... ისააკის ნაცვლად! და თუ ბიბლიური სიუჟეტის მიხედვით ამ აქტს ასე თუ ისე ჰქონდა გამართლება, ქართულ მწერლობას ბრმა ისააკის შეცდომებმა სერიოზული ზიანი მიაყენა...

და მაინც, ქართულ კრიტიკას შესწევს ძალა, გურამ დოჩანაშვილის „ქარცერ-ლექსების“ გულდაგულოდ მოკალათებულ გულბრწყელი და უბირ მკითხველს „სწორად შეურჩიოს წიგნი“ — უთხრას მას მართალი სიტყვა, რა არის კარგი და რა — ცუდი!

ქართულ სალიტერატურო კრიტიკას შეუძლია ეს! მან უნდა გააყეთოს ეს!.. რაკი ჩემი ეს მორიგი „ინტერმეცო“ კრიტიკას ეხება, ბარემ ერთსაც ვიტყვი.

ვასიკო კევერაძემ და კლიმმა „ქარცერ-ლექსებში“ შეიტანეს პროზა და პოეზია, მაგრამ მათ არაფერი უთქვამთ კრიტიკაზე. ნუთუ ამ ახალი „სუპერსამკითხველოების“ ბინადრებმა არ უნდა იყითხონ კარგი კრიტიკული ლიტერატურა? სანამ ე. დოჩანაშვილი და მისი გმირები ამ საკითხს გაარკვევენ, მანამ მეც შეეკავებ თავს, თუმცა გულში უკვე მაქვს მონიშნული კრიტიკისებიცა და მათი წიგნებიც, რომელთა წაკითხვა არანაკლებ სიამოვნებას განაძლევიანებს მკითხველს, ვინემ კარგი მოთხრობა და ლექსი!..

ქართულმა მწერლობამ იცის დიდი დავით კლდიაშვილის, აგრეთვე ნოდარ დუმბაძისა და რეზო ჭეიშვილის ღმინი. ახლა მათ ემატება გურამ დოჩანაშვილის ლიტერატურული ღმინი, რომლის ელვარებაც დღითიდღე უფრო საჩინო ხდება. თანდათან სრულყოფილ სახეს იღებს მის მოთხრობებში ჰუმორი, გროტესკი, სატირული სახე! არც ამ მოთხრობას აკლია სატირული პლანი, მაგრამ გროტესკის სიმწვავეს მწერალი ოსტატურად ანელებს ჰუმორის შუქით, რისთვისაც თვით სიტყვა „ჰუმორისაც“ კი იყენებს.

მე წავიკითხე ამ ჰუმორით გამთბარი „გრიშა ანუ მთავარი“.

მე წავიკითხე გრიშას მეორე ძმის — ვასიკოს ცხოვრების ამბავი.

მე ახლა მოუთმენლად ველოდები ტრიბტიქის მესამე წიგნს: აკი თქვა ვასიკომ, სამნი ძმანი ვართო. გურამ დოჩანაშვილი ალბათ მესამე ძმის ხასიათსაც გავვაცნობს. ვასიკო კევერაძის თქმით, ეს უნდა რომანი იყოს.

მე სიამოვნებით დაველოდები მაღალნიჭიერი ქართველი მწერლის პირველ რომანს.

ფერმის ბიოგრაფი ე. სეგრე წერს: „სწირად ამბობდა ფერმი, კაცი უნდა

ერიდო საქმეს, რომელიც იმავეთვე განწირულიაო. დონ კიხოტი არ იყო მისი საყვარელი გმირი“. უცნაურია, ფერმის არ ყვარებია კაცი, „ეინც თავით ვარსკვლავებამდე უწია“ (ბრუნო ფრანკი). პირადად მე თვით გენიალურ ფერმისაც კი ვერ მოვუწონებ დონ კიხოტის „აუგს“, და ამ კამათში მის ოპონენტად მისსავე გენიალურ მეგობარს მოვიხმობ, — ნილს ბორს: პოეზიისადმი, ამაღლებულისადმი, ოცნებისადმი მისი წრეგადასული სიყვარულის გამო. ბორსა, რომელიც სტუმრად იყო საქართველოში, თითქმის არაფერი იცოდა ფიზიკოსთა და მათემატიკოსთა სახელიან ქართულ სკოლაზე, სამაგიეროდ კარგად იცოდა რუსთაველის უკვდავი წიგნი. მისი პასუხიც კითხვაზე — რა არის პოეზია — ისევ „მეოცნებეთა“ სასარგებლოდ ლაპარაკობს: „მიზეზი იმისა, რომ

პოეზია გვამდიდრებს, მდგომარეობაა მის უნარში, მოგვეაგონოს ის ჰარმონია, რის მიღწევაც სისტემატური ანალიზით შეუძლებელია“. გარდა იმისა, რომ აღიარებს ჰარმონიის არსებობას, ბორი ამავე დროს ჰუმბოლტების წვდომის საქმეში წამყვან უნარს ხელოვნებასა და პოეზიას აკუთვნებს...

ასე რომ ჩვენ, უფრო დაბალი რანგის „მეცნიერებმა“, დავანებოთ თავი გამრავლების ტაბულის ზუთხვას და მივხედოთ უფრო სერიოზულ საქმეს — ოცნებებს...

ამ ოცნების გამოსარჩლება გურამ დოჩანაშვილის ახალი მოთხრობა. იგი სიხარულითა და სიამაყით აესებს მკითხველის გულს და კიდევ ერთხელ მოგვავიწყებს, რომ მხოლოდ მანამ ვიქნებით ბედნიერნი და ძლიერნი, „სანამ გვექნება ოცნების თავი“...



გარეკანის მეორე გვერდზე ნახ. ზ. ფორჩხიძისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადეცა ასაწყობად 15/VIII-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/X-73 წ., ქალაქის ზომა
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საადრ-საგ.

თაბახი 14,5

შეკვეთა № 2735.

უე 01986.

ტირაჟი 27.000.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

69/175



ფან 60 კკკ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236

3